ბერ
ლაგერკვისტი

ბარაბა

S4-(4 Шв) — 4
ლ 133

ნობელის პრემიის ლაურეატი პერ ლაგერკვიტი თანამედროვე შვედური ლიტერატურის კლასიკოსია.

მისი შემოქმედების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ლაიტმოტივი რწმენის დაკარგვა გახლავთ.

თარგმნა მანანა მიქელაძემ

რედაქტორი ნანი მაჩაღუა

ლ $\frac{4703000\ 000 - 151}{3\ 604\ (08) - 89}$ 89

© გამომცემლობა „მერანი“ კოოპერატიული ფირმა „ნუგეში“



పెద్దలపల్లి.



ყველამ იცის, მაშინ ისინი ჯვარზე როგორ ეკიდნენ და მის გარშემო ვინ მოიყარა თავი. დედაი მისი, მარიამი და მარიამ მაგდალინელი, ვერონიკა, სიმონ კვირინელი და იოსებ არმათიელი, რომელმაც შემდეგ მის სხეულს არდაგი შემოახვია. ოღონდ ქვემოთ, ფერდობზე, ცოტა მოშორებით კიდევ იდგა ერთი კაცი, ვინც თვალს არ აშორებდა მომაკვდავ ჯვარცმულს, ვინც მისი სასიკვდილო წამება თავიდან ბოლომდე იხილა. ამ კაცს სახელად ბარაბა ერქვა და ეს წიგნიც მასზე დაიწერა.

ოცდაათიოდე წლის თუ იქნებოდა. ჩასკვნილი იყო, თუმცა სახე ჩაყვითლებოდა. წითური წვერი და შავი თმა ჰქონდა, წარბებიც — შავი, თვალები კი თითქოს იმისთვის ჩაცვენოდა, რომ გამოხედვა უკეთ დაემალა. ერთი უპედან ღრმა ნაჭრილობევი იწყებოდა, ნიკაპისკენ ეშვებოდა და წვერში იკარგებოდა. საერთოდ კი ადამიანის გარეგნობას, ალბათ, დიდი მნიშვნელობა არცა აქვს.

იგი ბრბოს პრეტორიიდანვე ქუჩა-ქუჩა აედევნა, ოღონდ უკან მიჰყვებოდა და როცა გატანჯული რაბი თავის ჯვრიანად წაიქცა, ნაბიჯიც კი შეანელა და შეყოვნდა, მის გვერდით არ აღმოჩნდეო, და ჯვარიც სწორედ იმ სიმონს წამოკიდეს. მამაკაცები ბრბოში ცოტანი იყვნენ, რომაელებს თუ არ ჩავთვლით. მსჯავრდადებულს უფრო ქალები მიაცილებდნენ; და კიდევ ბიჭუნების ხროვა — ეს შარახვეტიები ხომ მაშინვე იქ გაჩნდებოდნენ ხოლმე, როცა ქუჩაში ვინმე ჯვარზე გასაკრავად მიჰყავდათ. ასეთ გასართობს ხელიდან არ გაუშვებდნენ, მაგრამ მალე დაიღალნენ და ჩვეულებრივ თამაშს მიუბრუნდნენ; მანამდე კი ერთი შეავლეს თვალი სახენაჭრილობევ კაცს, ბრბოს კუდში რომ მიჰყვებოდა.

და აი, უკვე თხემის ადგილზე იდგა და შუალა ჯვარზე გაკრულ კაცს თვალს ვერ აშორებდა. აქ ამოსვლა არ უნდოდა, აქ ყველაფერი უწმინდური და დამასნეულებელი იყო. იმასაც ამბობდნენ, ვინც ამ დაწყევლილ, შეჩვენებულ ალაგას ერთხელ მაინც ამოვა, სულის ნაწილს აქ ტოვებს, უსათუოდ აქვე დაბრუნდება და დარჩებაო. ირგვლივ თავის ქალები და ძვლები ეყარა. დამპალი ჯვრები აღარაფრად ვარგოდა, მაგრამ არ გაჰქონდათ, რომ ხელი არაფრისთვის ეხლოთ. აქ რატომ მოვიდა? ამ კაცს ხომ არ იცნობდა და დიდად არც მისი ხვედრი ენაღვლებოდა. მაშ გოლგოთაზე რაღად მოვიდა? ბარაბა აკი გაათავისუფლეს.

ჯვარცმულს თავი ჩამოუვარდა, მძიმედ სუნთქავდა. ეტყობა, ცოტაღა დარჩა. ძლიერი აღნაგობა აქვსო, ვერ იტყოდით, გაძვალტყავებულ სხეულს ლანდი გასდიოდა და ისეთი გამხდარი მკლავები ება, თითქოს ამ ხელებით არასოდეს უმუშავიაო. უცნაური კაცი ჩანდა, თხელი წვერი და ბიჭივით უბალნო მკერდი ჰქონდა. ბარაბას იგი არ მოეწონა.

იქ, სასახლესთან პირველად რომ დაინახა, მაშინვე მიხვდა, სხვებს არ ჰგავდა. ვერ გეტყოდათ, რატომ, უბრალოდ მიხვდა. მისი მსგავსი არასოდეს ენახა. ან იქნებ, მოეჩვენა კიდეც, რადგან ჯურღმულიდან ის-ის იყო ამოვიდა და თვალები სინათლეს უცებ ვერ შეაჩვია. და აი, თავდაპირველად ეს კაცი რაღაც შარავანდედით შემოსილი იხილა. შარავანდედი, ცხადია, უმალვე გაქრა, ბარაბას ჩვეული გამჭრიახი მზერა დაუბრუნდა, ისევ მშვენივრად ხედავდა გარშემო ყველაფერს და არა მხოლოდ იმას, ვინც სასახლესთან განმარტოებული იდგა. და მაინც, იგი უცნაური იყო, არავის ჰგავდა. ბარაბას ვერ გაეგო, ასეთი კაცი ციხეში როგორ ჩაგდეს, მასავით სიკვდილი როგორ მიუსაჯეს. მისი გონება ამას ვერ წვდებოდა. რა ბარაბას საქმეა, მაგრამ ასეთი კაცისათვის მსჯავრი არ უნდა დაედოთ, ნათელია, რომ ის უდანაშაულოა.

და აი, ის ჯვარზე გასაკრავად წაიყვანეს, ბარაბას კი ჯაჭვები შემოხსნეს და გაათავისუფლეს. ბარაბას რა ბრალია, ასე თავად გადაწყვიტეს, მათი ნება იყო, ვის გაათავისუფლებდნენ. ჰოდა, ბარაბა გაუშვეს. ორიდან ერთი უნდა გაეთავისუფლებინათ, თუმცა სიკვდილი ორივეს მიუსაჯეს. ბარაბას თავგზა აებნა. სანამ ჯაჭვებს ხსნიდნენ, იდგა და შესცქეროდა ის, მეორე ჯარისკაცებმა თაღქვეშ როგორ გაატარეს, ამ კაცს ზურგზე უკვე ჯვარი ჰქონდა აკიდებული.

კიდევ დიდხანს იდგა და დაცარიელებულ თაღს თვალს არ აშორებდა. შემდეგ მცველმა ხელი ჰკრა და დაუყვირა:

— რა პირი დაგიღია? გაეთრიე აქედან, ვერა ხედავ, გაგათავისუფლეს!

ბარაბა გამოფხიზლდა, იგივე თაღი გაიარა, დაინახა, ის, მეორე როგორ მიათრევდა ჯვარს და მის კვალს ქუჩა-ქუჩა აედევნა. თავადაც არ იცოდა, რად გამოუდგა, ან საათობით რად იდგა, მის სასი-

კვდილო ტანჯვა-წამებას რად უყურებდა, ამ კაცის ხვედრი ხომ დიდად არ ენაღვლებოდა.

კი მაგრამ ისინი, აი, ჯვართან ახლოს რომ მიყუჟულან — ამათ რაღა ესაქმებათ? ეტყობა, თავად მოვიდნენ, არავის დაუძალებია, მიდით და დასნეულდითო. ახლო მეგობრები და ნათესავები თუ იყვნენ. უცნაურია, დასნეულების თითქოს სულ არ ეშინოდათ.

აი, ის ქალი, ეტყობა დედაა. თუმცა სულაც არა ჰგავს. მაგრამ რომელიმე განა ჰგავს? ქალს გლეხური, პირქუში, უხეში სახე ჰქონდა, ტუჩებსა და ცხვირს სულ ხელისგულით იწმენდდა, ცხვირიდან წვეთები ჩამოსდიოდა, რადგან ცრემლს იოკებდა. მაგრამ ქალი არ ტიროდა. იგი სხვებივით არ იტანჯებოდა და ჯვარცმულს სხვებივით არ შესცქეროდა. რა თქმა უნდა, დედამისი იყო. ალბათ, სხვებზე მეტადაც ეცოდებოდა, მაგრამ თითქოს მასზე განაწყენებულიც ჩანდა, აქ რადა ხარ გაკრული, საქმე ჯვარცმამდე რად მიიყვანეო. ალბათ, რაღაც ისეთი მაინც ჩაიდინა, რომ ჯვარზე გააკრეს ასე წმინდა და უმწიკვლო და ქალიც ამას საყვედურობდა. ვინ ვინ და ქალმა ხომ იცოდა, რომ მას არაფერი დაუშავებია, ამიტომაც იყო დედა, რომ დაეშავებინა კიდეც, მაინც ასე ეცოდინებოდა.

თავად ბარაბას დედა არ ჰყავდა. არც მამა — მის შესახებ გაგონებითაც კი არაფერი გაუგონია. არც ნათესავები — არც ერთ ნათესავს არ იცნობდა. ამიტომ ამ ჯვარზე ბარაბა რომ ჩამოეკიდათ, ალბათ, ცრემლი არც დაიღვრებოდა. ასე ვინ გამოიტირებდა. მკერდში მუშტებს ისე იბრაგუნებენ, თითქოს უფრო დიდი უბედურება აღარ არსებობს. როგორ ქვითინებენ და ყმუიან — საშინელებაა.

მარჯვენა ჯვარზე გაკრულ კაცს მოხარშულს იცნობდა. უცებ მას რომ დაენახა ბარაბა, ნაღდად გადაწყვეტდა ჩემ გამო მოვიდა, უნდა ნახოს დამსახურებულად როგორ მომეზღოო. ბარაბა კი მის სანახავად სულაც არ მისულა, თუმცა არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო მისი ტანჯვისთვის ეცქირა. თუკი საერთოდ ვინმე იმსახურებდა სიკვდილს, უპირველესად ეს ნაძირალა იმსახურებდა. ოღონდ, იმისთვის არა, რისთვისაც გაასამართლეს, სულ სხვა რამის გამო.

მაგრამ რად უნდოდა ბარაბას მისი დანახვა, მისი და არა იმ მეორესი, შუალა ჯვარზე რომ იყო გაკრული. ბარაბა მეორეს სანახავად მოვიდა, მის ნაცვლად ჯვარზე ხომ სწორედ ის ჩამოკიდეს. სწორედ მან, მეორემ აიძულა ბარაბა აქ მოსულიყო, მეორეს ჰქონდა ამის უფლება, ასეთი ძალა. ძალა? განა უფრო უძლური ვინმე არსებობდა? უფრო საცოდავი ჯვარზე არავინ გაუკრავთ, დანარჩენები გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ და, მგონი, გაცილებით ნაკლებადაც იტანჯებოდნენ. ეტყობა, უფრო ძლიერები იყვნენ. ამას კი ხეირიანად თავიც ვერ დაეჭირა, მთლად გვერდზე ჩამოვარდნოდა.

აგერ თავი ასწია, გამშრალი ტუჩები მოილოკა და ჩავარდნილ, უბალნო მკერდში მძიმე ოხვრა გაეხირა. რაღაც წაიჩურჩულა, მგო-

ნი, მწყურიაო, თქვა. ჯარისკაცები ფერდობის ქვემოთ, ბალახზე წამოგორებულიყვნენ, მოწყენილები ელოდნენ, ეს სამნი ბოლოს და ბოლოს როდის დაიხოცებოდნენ, კამათელს აგორებდნენ და არაფერი გაუგონიათ. მაშინ ერთ-ერთი ნათესავი მათ მიუახლოვდა. ჯარისკაცი უხალისოდ წამოიზლაზნა, ღრუბელი დოქში ჩააწო, ხელჯოხს წამოაცვა და ჯვარცმულს გაუწოდა. ჯვარცმულმა მღვრიე სითხე გასინჯა და აღარ დალია. არამზადამ კი ჩაიხითხითა, შემდეგ ძმაკაცებთან მივიდა და ახლა ყველა ერთხმად ახარხარდა. არამზადები!

მშობლები — თუ ვინც იყვნენ — ჯვარცმულს გულმოკლულები შესცქეროდნენ. ის კი იხრჩობოდა, იხრჩობოდა და ამკარად სულს ღაფავდა. ჩქარა მაინც აღესრულოს, ფიქრობდა ბარაბა, მისი ტანჯვა ჩქარა მაინც დასრულდეს! ყველაფერი ჩქარა მაინც დამთავრდეს! როგორც კი აღსრულდება, შეიძლება გაიქცე და ამაზე აღარასოდეს იფიქრო!

მაგრამ მთაზე სიბნელე ჩამოწვა, თითქოს მზე ჩაქრა, ისეთი სიბნელე და ამ წყვდიადში ჯვარცმულმა მთიდან ხმამაღლა დაიყვირა:

— უფალო! უფალო! რაისთვის დამიტოვე მე!

სულისშემძვრელი ყვირილია. რისი თქმა სურდა? ან ასე უცებ რად ჩამობნელდა? ამ შუადღისას რად ჩამობნელდა? გაუგებარია. სამი ჯვარი სიბნელეში ძლივსღა მოჩანდა. საზარელია. ახლა რაღაც საშინელება მოხდება. ჯარისკაცები წამოიშალნენ, იარაღს ხელი დასტაცეს. ესენი ხომ მაშინვე იარაღს დასტაცებენ ხოლმე ხელს. ხელშუბიანები ჯვრებს შემოეხვიენენ. ასე იდგნენ და ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ — ბარაბას ესმოდა. ახლა კი დაფრთხნენ! ახლა კი უკვე აღარ ხითხითებენ. ეტყობა, ცრუმორწმუნეები არიან!

ბარაბა თავადაც დაფრთხა, და გაიხარა, როცა კვლავ ინათა და გარემოს ძველებური იერი დაუბრუნდა. ნელა ნათდებოდა, როგორც დილაობით თენდება ხოლმე. ბორცვებს, ზეთისხილის ხეებს დღის სინათლე მოეფინა და მიჩუმებული ჩიტუნებიც კვლავ აყღურტულდნენ. ჰო, სწორედ ისე, როგორც დილით.

ჯვართან ნათესავები გაუნძრეველად იდგნენ. აღარც ოხრავდნენ, აღარც ყმუოდნენ, იდგნენ და ჯვარცმულს შესცქეროდნენ. ჯარისკაცებიც ასევე იდგნენ. ირგვლივ სრული მდუმარება სუფევდა.

ახლა მშვიდად შეიძლებოდა ადგომა და წასვლა. ყოველივე ხომ უკვე დასრულდა. მზე კვლავ ძველებურად ანათებდა და გარემოსაც ძველებური იერი ედო. უბრალოდ, ცოტა ხნით ჩამობნელდა იმიტომ, რომ ის მოკვდა.

ჰო, წასვლის ჟამი დადგა. სწორედ დრო იყო. ბარაბას აქ არაფერი ესაქმებოდა. რახან ის, მეორე მოკვდა, აქ აღარაფერი აკავებდა. კაცი ჯვარს ჩამოხსნეს — წასვლისას ესღა დაინახა. ვიღაც ორმა სხეულს სუფთა ირდაგი შემოახვია — ესეც დაინახა. ძალიან თეთრი სხეული ჰქონდა და ორივენი ისე ფრთხილად ეპყრობოდნენ, თითქოს ეშინოდათ, არაფერი დავუშავოთ, არა ვატკინოთ რაო. სიცა-

რია, ის ხომ უკვე ჯვარცმული იყო. საერთოდაც, რაღაც უცნაური ხალხი ჩანდა. სამაგიეროდ დედა შვილის ნეშტს თვალგაშმრალი შესცქეროდა. მისი ჩაშავებული, პირქუში სახე უსაშველო ტკივილს ვეღარ გამოხატავდა. მხოლოდ იმას ამხელდა, რომ მისი გონება ვერ სწვდებოდა, რაც აქ მოხდა, რასაც ვერასდროს და ვერავის შეუნდობდა. ამას კი ბარაბა კარგად მიხვდა.

როცა მგლოვიარეთა წყებამ ახლოს ჩაიარა — მამაკაცები ნეშტს მიასვენებდნენ, ქალები უკან მიჰყვებოდნენ — ერთ-ერთი ქალი დედას მიუახლოვდა, რაღაც ჩასჩურჩულა და ბარაბა მიანიშნა. დედა შეჩერდა და ისეთი გასაცოდავებული, ისეთი საყვედურიანი მზერით შეხედა, ბარაბამ იფიქრა, ამ მზერას ვერასოდეს დავივიწყებო. შემდეგ ისინი გოლგოთას გზას კვლავ ქვემოთ დაუყვნენ და მარცხნივ გადაუხვიეს.

ბარაბა მიმავლებს შორიახლო ისე აედევნა, რომ არავის დაენახა. სულ ახლოს, კლდეში გამოკვეთილი სამარე მოჩანდა. მიცვალებული იქ დაასვენეს, ილოცეს, შემდეგ სამარე დიდი ლოდით დაგმანეს და წავიდნენ.

მაშინ ბარაბა სამარეს მიუახლოვდა და ცოტა ხნით გაჩერდა. თუმცა არ ულოცია. ის ბოროტმოქმედი იყო, ბოროტმოქმედთა ლოცვა კი საერთოდ ზეცას ვერ აღწევს, ესეც არ იყოს, ბარაბას ცოდვები არ ჰქონდა მონანიებული, თანაც ამ კაცს სულ არ იცნობდა. ისე, სხვათა შორის გაჩერდა ცოტა ხნით.

შემდეგ იერუსალიმისკენ მიმავალ გზას გაუყვა.

* * *

ქალაქში ბარაბა დავითის კარიბჭით შევიდა და კურდღლისტუჩაც მაშინვე დაინახა. ქალი კედლის გასწვრივ მიიპარებოდა და ვერ გხედავო, თავს იკატუნებდა. მაგრამ ბარაბამ შენიშნა. ქალმა დამინახა და ეტყობა, ამ შეხვედრას არ მოელოდა, ალბათ, უკვე ჯვარზე გაკრული ვეგონეო.

გამოედევნა, წამოეწია და ახლა ისინი გვერდიგვერდ აღმოჩნდნენ. ცხადია, არ უნდა დაწეოდა, არც სჭირდებოდა ბარაბას ქალთან გასაუბრება და თვითონვე გაოცდა, როცა დაელაპარაკა. მგონი, ქალიც გაოცებული იყო და რადგან სხვა გზა აღარ ჰქონდა, გაუბედავად შეხედა.

ერთმანეთის საწუხარზე კრინტი არ დაუძრავთ. კაცმა ისღა ჰკითხა, საით გაგიწევია ან გალგალიდან რაიმე ამბავი ხომ არ მოგსვლიაო. ქალი მოკლედ და ჩვეულებისამებრ დუდღუნით გაეპასუხა. ბარაბამ სიტყვები ძლივს გაარჩია. შემდეგ გაარკვია, ქალს თურმე არსად მიეჩქარებოდა. ხოლო, როცა ჰკითხა, სად ცხოვრობო, ქალმა არ უპასუხა. მას კაბის კალთები შემოსცვეთოდა და ნაფლეთებად

ეკიდა, კალთიდან კი დიდი, ჭუჭყიანი, შიშველი ფეხები მოუჩანდა. საუბარი მალე ამოიწურა და გზას ორივე მდუმარედ გაუყვა.

რომელიღაცა სახლის ღია კარიდან, შავ ხვრელს რომ მიაგავდა, ხმამაღალი ლაპარაკი ისმოდა. მოულოდნელად იქიდან მაღალი, მსუქანი ქალი ყვირილით გამოვარდა. ქალი მთვრალი იყო. ბარაბას დანახვისას მსხვილი მკვლავები სიხარულით აიქნია და კაცი შინ შეიპატიჟა. ბარაბამ ფეხი აითრია, თანაც უცნაური თანამგზავრი ახლდა და რცხვენოდა, მაგრამ ქალი არ მოეშვა და ორივენი მუჯლუგუნების კვრით სახლში შერეკა. აქ კი ხმამაღალი სალმით მიეგება ბარაბას ორი მამაკაცი და სამი ქალი, რომლებიც მაშინღა იცნო, როცა თვალი სიბნელეს შეაჩვია. შესვლისთანავე სუფრასთან დასვეს და ღვინო დაუსხეს. ერთხმად აყაყანდნენ, რა კარგია, ციხიდან რომ გამოგიშვეს და როგორ გაგიმართლა, შენ ნაცვლად სხვა რომ დასჯესო. სიმთვრალით თავაწყვეტილებს მისი სიხარულის გაზიარების სურვილი წვავდათ. ხელებს უფათურებდნენ, რომ ეს სიხარული მათაც გადასდებოდათ. ერთმა ქალმა კი ხელი უბეში ჩაუცურა და სქელუას თავაწყვეტილ ხარხარში, ბალნიან მკერდზე მოუთათუნა.

ბარაბა ყველასთან ერთად სვამდა, მაგრამ ცოტას ლაპარაკობდა. იჯდა და თავისი მუქი თაფლისფერი თვალებით, რომლებიც ისე ჩასცვენოდა, თითქოს დამალვას ცდილობდაო, ერთ წერტილს მიშტერებოდა. ყველამ აღნიშნა, დღეს რაღაც უცნაური ხარო. თუმცა ხანდახან ასეთი ადრეც ენახათ.

ქალები ღვინოს უსხამდნენ, ის კი კვლავ სვამდა და საერთო საუბარს უსმენდა, თუმცა თავად ხმას თითქმის არ იღებდა.

ბოლოს და ბოლოს რა გვირს, რა დაგემართაო, ყველა ერთად შეუჩნდა, მაგრამ სქელუამ ხელი კისერზე მოხვია და თქვა: აბა რა გასაკვირია, ასე უცხოდ რომ გამოიყურება, ისე დიდხანს იტანჯებოდა ჯურღმულში, თითქმის მოკვდა კიდეც, რადგან სიკვდილს ვისაც მიუსჯიან, ის მაშინვე კვდება, შემდეგ გინდაც გაათავისუფლონ და შეიწყნარონ მაინც მკვდარია, იმიტომ, რომ მკვდარი იყო. ის მხოლოდ მკვდრეთით აღსდგა, ეს კი იმას სულაც არ ნიშნავს. სხვებივით შვება — ლხინით იცხოვროსო. როცა ამ სიტყვებს ხარხარი მოჰყვა, ქალი გაბრაზდა და მოქეიფეებს დაემუქრა, ბარაბასა და კურდღლისტუჩას გარდა ყველას გარეთ გაგყრითო. ამ გოგონას შესახებ არაფერი ვიცი, მაგრამ ერთი შეხედვით მაინც კეთილი და მოკრძალებული ქალის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა, ცოტა არ იყოს, მდაბიოსა ჰგავსო. ამ სიტყვებზე კაცები სიცილისგან კინაღამ დაიხოცნენ, შემდეგ დაწყნარდნენ და ბარაბას ჩურჩულით უამბეს, როგორც კი შეღამდება, ისევ მთებში დავბრუნდებით, ჩვენ მხოლოდ იმისთვის ჩამოვედით, რომ თიკანი მსხვერპლად შეგვეწირაო. მსხვერპლი არ მიიღეს, ამიტომ გავყიდეთ და მის ნაცვლად ორი უმწიკვლო გვრიტი შევწირეთ, მოგებული ფულით კი აგერ, სქელუასთან ვქეიფობთო. მერე, ჩვენთან დაბრუნებას თუ აპირებო,

შეეკითხნენ და თანაც აუხსნეს, ახლა ისინი სად უნდა მოეძებნა. ბარაბა მხოლოდ თავს უქნევდა და დუმდა.

ერთმა ქალმა სიტყვა ჩამოაგდო იმ მეორეზე, რომელიც ბარაბას ნაცვლად გააკრეს ჯვარზე. ერთხელ როგორღაც დავინახე, გვერდით ჩამიარაო. ამბობენ, წმინდა წერილიც იცის, წინასწარმეტყველებაც შეუძლია და სასწაულებსაც ახდენსო. ეს ხომ მავნებლობა არაა, ამას ბევრი იჩემებს და ამის გამო ჯვარზე ვინ გააკრავდაო. ლანდი გასდიოდაო, ესღა ახსოვდა მოსაუბრეს. მეორე ქალმა დასძინა არ მინახავს, მაგრამ გამიგონია, თითქოს ამბობდა, ტაძარი დაიქცევა, იერუსალიმი დაიღუპება, ხოლო მიწისძვრა და ცეცხლი ცასა და დედამიწას შთანთქავსო. სისულელეა, ამისთვის ჯვარზე გააკრაედნენ, აბა რას იზამდნენ. მესამემ განაგრძო, უმეტესად ღატაკებს მეგობრობდა და სულ ჰპირდებოდა, უფლის სავანეში მოხვდებითო, კახპებსაც კი ჰპირდებოდაო. აქ უკვე სამივე ერთად ახარხარდა, მაგრამ მაინც დაასკვნეს, კარგი იქნება, მართლაც, ასე რომ მოხდესო.

ბარაბა უსმენდა, ოღონდ წელანდელივით დაფიქრებული აღარ იყო. ეს კია, ერთხელაც არ გაღიმებია. ის უცებ შეცბა, როცა სქელუა კვლავ მოეხვია და უთხრა, მიმიფურთხებია იმ მეორესათვის, ასეა თუ ისე, მან ხომ უკვე ფეხები გაჭიმა, ჯვარზე ბარაბა კი არა, ის გააკრეს და სწორედ ეს არის მთავარი.

აურდღლისტუჩა თავდაპირველად მოკუნტული იჯდა და საუბარს გაფანტული უსმენდა, მაგრამ როცა სიტყვა იმ მეორეზე ჩაწოკარდა, უცებ შეშფოთდა, უცნაურად გარდაისახა, წამოხტა, თეთრი, ტანჯული სახე შიშით მოეცა, თვალი თანამგზავრს მიაპყრო და თავისი უცნაური ხმით, დუდღუნით დაიყვირა:

— ბარაბა!

თითქოს უჩვეულო არაფერი მომხდარა, ქალმა კაცს დაუძახა, მაგრამ ყველა გაოგნებული შესცქეროდა, ვერ ხვდებოდნენ ასე უცებ რატომ აყვირდა. ბარაბაც უცნაურად გარდაისახა, თვალები სწორედ ისე ააცეცა, როცა ჩვეულებისამებრ ვინმეს მზერას არიდებდა. ვერავინ გაიგო, რა მოხდა. თუმცა რა მნიშვნელობა ჰქონდა, სჯობდა, ყურადღება არ მიექციათ. ასე თუ ისე, ბარაბა ხომ ნაღდად მათი კაცი, სწორედ რომ მათთაგანი იყო, მაგრამ ახლა ცოტათი თავის თავს არ ჰგავდა და არავინ იცოდა, რას ჩაიდენდა.

გოგონა კვლავ სოხანეზე გაშლილ საფენზე მოიკუნტა, მაგრამ ცეცხლოვანი თვალები ბარაბასათვის არ მოუშორებია.

სქელუამ საჭმელი მოიტანა. ალბათ, დაგამშიეს, ალბათ, ეს ოხრები ჯურღმულებში ხალხს აშიმშილებენო, თქვა და წინ, მაგიდაზე, პური, მარილი და შემწვარი ცხვრის ხორცი დაუწყო. ბარაბამ ცოტა მოციცქნა, დანარჩენი კი, თითქოს უკვე მაძღარი იყო, კურდღლისტუჩას გადაულაგა. ქალი საჭმელს დაეძგერა, შეთქვლიფა, როგორც მხეცმა, მაშინვე გარეთ გავარდა და გაუჩინარდა.

მაშინ დანარჩენებმა გაბედეს და ვინ არისო, ბარაბას ჰკითხეს, შაგრამ პასუხს, ცხადია, ვერ ეღირსნენ. ახლა ბარაბა თავის თავს ჰგავდა. პირად საქმეებს ყოველთვის საიდუმლოდ ინახავდა.

— მაინც რა სასწაული მოახდინა იმ წინასწარმეტყველმა? — შეეკითხა ბარაბა ქალებს. — რას წინასწარმეტყველებდა?

ქალებმა უპასუხეს, ავადმყოფებს არჩენდა, ბოროტ სულებს დევნიდა და როგორც ამბობენ, მგონი, მკვდრებსაც აცოცხლებდა. მაგრამ, ვინ იცის, მართალია თუ ტყუილი, ალბათ, ტყუილიაო. ხოლო მის წინასწარმეტყველებაზე წარმოდგენაც არ ქონდათ. მხოლოდ ერთმა თქვა, ყური მოვკარი, თითქოს ვიღაცას დიდი ლხინი გადაუხდია, საქორწილო, თუ რაღაც ამგვარი სუფრა გაუშლია, სტუმრები კი არ მოსულან. მაშინ მსახურები გზაზე გაკრეფილან და განურჩევლად ყველა მიუპატიჟებიათ, გადაყრიან დამშეულ ღარიბ-ღატაკებს, რომლებსაც შიშველი სხეულიც კი ვერაფრით დაეფარათ. ჰოდა, მდიდარი მეპატრონეც განრისხებულა... თუ არა უშავსო, უთქვამს... არა, საქმე რით დამთავრდა, აღარ ახსოვდა. ბარაბა ისეთი ყურადღებით უსმენდა, თითქოს რაღაც ძალიან მნიშვნელოვან ამბავს უყვებოდნენ, მხოლოდ, როცა ერთ-ერთმა ქალმა დაამატა, ჯვარცმულს, როგორც ბევრ სხვას, თავი მესია ეგონაო, ბარაბამ გრძელი, წითური წვერი მუჭაში ჩაბღუჯა და ღრმად ჩაფიქრდა.

— მესია? შეუძლებელია... — ჩაიბუტბუტა მან.

— მესია კი არა, ის არ გინდა! — თქვა ერთ-ერთმა მამაკაცმა. — მესიას ჯვარზე ვინ გააკრავდა. ამ უდღეურებს ხომ იქვე ჩახოცავდა. ნეტავ თუ ესმის რას ნიშნავს მესია.

— როგორ არ მესმის, ჯვრიდან ჩამოვიდოდა და სულ ყველას ამოწყვეტდა!

— მესია იყო და ჯვარზე გაგაკრან? სად გაგონილა!

ბარაბა კი ისევ იჯდა, წვერი მუჭაში ჩაებღუჯა და სოხანეს დაშტერებოდა.

— არა, მესია არ იყო...

— რას ბუტბუტებ, ბარაბა, ჯობია გადაჰკრა! — უთხრა მეზობელმა და ფერდში მუჯლუგუნი უთავაზა, უცნაური კია, რომ გაუბედა, არადა — უთავაზა. ბარაბამ თიხის ტოლჩა მორჩილად გამოცალა და დაბნეულად იქვე დადგა. ქალებმა მაშინვე შეუვსეს და ისევ დაალევინეს. ღვინომ, ალბათ, იმოქმედა, მაგრამ ბარაბას ფიქრები კვლავ სხვაგან დაჰქროდა და მეზობელმა ისევ იდაყვი გაჰკრა.

— აბა, ბარაბა, დალიე და გამოცოცხლდი! განა არ გიხარია, რომ მხიარულ ხალხთან ზიხარ, ნაცვლად იმისა, ჯვარზე ლპებოდე? მაინც ასე ჯობია, არა? აქ თავს კარგად გრძნობ, ხომ მართალია? აბა, დაფიქრდი, ბარაბა! შენ ხომ ტყავი გადაირჩინე, შენ ხომ ცოცხალი ხარ! ცოცხალი! გესმის, ბარაბა?

— ჰო, ჰო — ამბობდა იგი. — ჰო, რა თქმა უნდა...

ასე ნელ-ნელა შეუჩნდნენ, კაცმაც სოხანეს თვალი მოსწყვიტა და თითქოს ადამიანსაც უფრო დაემგვანა. ისხდნენ ასე, სვამდნენ, ყველაფერზე და არაფერზე ყბედობდნენ და ბარაბაც აღარ იყო ისეთი უცნაური.

მაგრამ უცებ, თითქოსდა უმიზეზოდ, განსაცვიფრებელი შეკითხვა გაისმა. ეს ბარაბამ იკითხა, დღეს რომ მზე ჩაქრა და წყვდიადი ჩამოწვა, იმაზე რას ფიქრობთო.

— წყვდიადი? რა წყვდიადი? — ყველა გაოცებული შეჰყურებდა. — განა ჩამობნელდა? როდის?

— ექვსი საათი თუ იქნებოდა...

— ჯანდაბა შენ თავს! ეს უკვე ნამეტანია! კი, მაგრამ სხვებსაც ხომ უნდა შეენიშნათ!

ბარაბა დაიბნა და ყველას სათითაოდ უნდობლად შეხედა. ისინი კი ისევ არწმუნებდნენ, არავითარი წყვდიადი არ გვინახავს და სხვასაც მთელ იერუსალიმში არაფერი მაგის მსგავსი არ შეუმჩნევიაო. რა, მართლა წყვდიადი მოგელანდა? შუადღის გულზე ჩამოწვა? რა არაკებს გვიყვები? თუ მართლა მოგეჩვენა, მაშინ ჯურღმულში დიდხანს ჯდომისაგან თვალები დაგბნელებია. ჰო, სწორედ ეგ არის. სქელუამ თქვა, ნაღდად იმის ბრალია, თვალები რომ სინათლეს გადაეჩვევნენ, სინათლემ დაგაბრმავა. აბა რა არის გასაკვირველიო.

ბარაბამ ყველას ეჭვიანი მზერა მოავლო და, მგონი, გულზე მოეშვა. იგი წელში გასწორდა, ტოლჩას მისწვდა, გადაჰკრა, ოღონდ ამჯერად ტოლჩა მაგიდაზე აღარ დაუდგამს, კიდევ დამისხითო, გაუშვირა. დიდხანს არ ალოდინეს, ყველამ ერთად განაგრძო სმა და ბარაბამაც, ეტყობა, ბოლოს და ბოლოს, ღვინო დაიგემოვნა. საერთოდ. იგი ტოლჩას ერთბაშად გადაჰკრავდა ხოლმე და მაშინვე გამოიბრუჟებოდა. არა. ამჯერად ქადაგად არ დავარდნილა, მაგრამ ზოგი რამ ციხის შესახებ მაინც უამბო. კარგი დრო გაუტარებია, რაღა! გახდებოდი უცნაური, აბა რა მოგვიდოდა. ხედავთ, გაათავისუფლეს, ჰა, როგორია? ამ ოხრებმა ოღონდ კლანჭებში მოგიგდონ, მერე თვითონ იციან. და უცებ ასე გაუმართლა! ჯერ ერთი მისი ჯერი დაემთხვა პასექს, როცა ვიღაცას აუცილებლად ათავისუფლებენ. მეორეც. სწორედ ბარაბა გაათავისუფლეს! რა ბედნიერებაა! ახლა ყველას ეთანხმებოდა, ხოლო როცა ზურგზე ხელები მოუტყაპუნეს, ერთად წაესივნენ და სახეში ცხელი ოხშივარი შეასუნთქეს, თავადაც ახარხარდა და რიგრიგობით ყველასთან შესვა. ღვინო თავში აუვარდა, კაცი გალღვა, უფრო და უფრო გამხიარულდა, დასიცხულმა გულისპირი ჩაიხსნა, სოხანეზე დაწვა და ყველასთან ერთად მოხერხებულად მოკალათდა. ეტყობა, თავს კარგად გრძნობდა. მეზობლის ქალს ხელიც კი მოუთათუნა და მიიზიდა. ქალი ახარხარდა, კისერზე ჩამოეკიდა, მაგრამ სქელუამ გვერდზე გაათრია და თქვა: როგორც იქნა, ჩვენი ცუნცულა თავის თავს დაეშსგავსა. იმ საზიზღარი ციხის შემდეგ გამოკეთდა და აზრზეც მოვიდა. ახლა

რაღაც სისულელეები, რაღაც წყვდიადი აღარ მოელახდებაო, ჰო-ჰო-ჰო, იფ-იფ-იფ — და ქალმა კაცი მიიზიდა, მთელი სახე დაულოშნა, მსხვილი თითები კისერზე შემოაჭდო, წითური წვერი აუწეწა. ყველას უხაროდა, რომ კაცს გულზე მოეშვა, ისეთივე გახდა, როგორიც ადრე იყო, როცა გამხიარულდებოდა ხოლმე. ყველა შეესანიშნავ გუნებაზე დადგა. სვამდნენ, ბღაოდნენ, ერთმანეთს ყველაფერში უთანაგრძნობდნენ, გულით უხაროდათ ერთად რომ იყვნენ, ერთად თავს ასე კარგად რომ გრძნობდნენ. სიმთვრალისაგან უფრო და უფრო ხელდებოდნენ. მამაკაცებს ქალი და ღვინო თვეობით არ ეგემნათ და ახლა დანაკარგის ანაზღაურებას ცდილობდნენ — ხომ უნდა აღენიშნათ, რომ ბოლოს და ბოლოს იერუსალიმში ჩამოაღწიეს, ბარაბას გათავისუფლება ხომ უნდა აღენიშნათ! თორემ დრო აღარ ითმენდა, ისევ მთაში უნდა დაბრუნებულიყვნენ. მაგარი, ნწკლარტე ღვინით იბანგებოდნენ და სქელუას გარდა ყველა ქალს ეტოროიალებოდნენ, ფარდის მიღმა რიგრიგობით მიათრევდნენ და იქიდან გაწითლებულები, აქოშინებულები მხოლოდ იმისთვის გამოდიოდნენ, რომ კვლავ ესვათ და ებღავლათ. ასეთი წესი ჰქონდათ — ყველაფერს საფუძვლიანად აკეთებდნენ.

დაბინდებამდე იმხიარულეს. შემდეგ ორივე მამაკაცი წამოდგა, დროა გუდა-ნაბადი ავიკრათო, განაცხადეს, ყველას გამოემშვიდობნენ, თხის ტყავები წამოისხეს ტყავქვეშ იარაღი დამალეს და ღამეულ ქუჩაში გასხლტნენ. მთვრალი, დაოსებული დედაკაცები მაშინვე ფარდის მიღმა მიწვნენ და სამივემ ღრმა ძილს მისცა თავი. ბარაბა და სქელუა მარტონი დარჩნენ და ჩვენი სიამტკბილობის დრო ხომ არ დადგა, ამდენი საშინელების გადატანის შემდეგ ეს ხომ არ გინდაო, შეეკითხა ქალი, მთელი შიგანი მეწვის, როცა შენზე ვფიქრობ, შე საცოდავო, ციხეში რა გადაიტანე, ჯვარზეც კინაღამ გაგაკრესო. ქალმა იგი სახურავზე საზაფხულოდ დადგმულ პალმის ტოტების ქოხში აიყვანა. აი, იქ დაწვნენ და ქალმა ბარაბას მიუალერსა. კაციც მალე გახელდა და ქალის დიდ, მსუქან სხეულს თითქოს სამარადისოდ ჩაეწება. შუაღამე ისე გადავიდა, არ კი გაუგიათ.

ბოლოს და ბოლოს, ორივე დაოსდა. ქალი გვერდზე გადაბრუნდა და მაშინვე ჩაიძინა. გაოფლილი კაცი ძილგამფრთხალი იწვა და ქოხის ფოთლებიან ჭერს შესცქეროდა. ისევ შუალა ჯვარზე გაკრულ კაცსა და თხემის ადგილას მომხდარ ამბავზე ფიქრობდა. შემდეგ წყვდიადი გაახსენდა. იყო თუ არ იყო? ნუთუ მართლა მოეჩვენა? იქნებ, მხოლოდ გოლგოთაზე ჩამობნელდა, ქალაქში კი არაფერი შეუმჩნევიათ? იქ კი ნამდვილად ჩამობნელდა, ჯარისკაცებიც დაფრთხენ და საერთოდ... თუ ესეც მოეჩვენა? იქნებ, ყველაფერი მოეჩვენა? არა, არაფერი შველის, მაინც გაუგებარია:

და მისი ფიქრი კვლავ ჯვარზე გაკრულ კაცს მიუბრუნდა. თვალგახელილი იწვა, ვერ იძინებდა, გვერდით კი ქალის საესე სხეულს გრძნობდა. ქოხის ხმელ ფოთლებს შორის ზეცა მოჩანდა —

ალბათ, ზეცა იყო, თუმცა არც ერთი ვარსკვლავი არ ანათებდა. არსად, არც ერთი ვარსკვლავი არ ანათებდა. ყველგან მხოლოდ წყვდიადი მეფობდა.

ჰო, ახლა გოლგოთაზედაც და სხვაგანაც წყვდიადი მეფობდა.

* * *

მეორე დღეს ბარაბა ქალაქში დაეხეტებოდა და უამრავ ნაცნობს გადაეყარა, ზოგს — მეგობარს, ზოგს — მტერს, მაგრამ მისი დანახვა ყველას ერთნაირად უკვირდა. ზოგიერთმა კი ისე შეცბუნებით შეხედა, თითქოს მოჩვენებას ხედავსო. ბარაბა შეჩქვიფდა. ნუთუ არ იცოდნენ, რომ გაათავისუფლეს? ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა შეეგნოთ, როდის მიხვდებიან, რომ ჯვარზე სხვა გააკრეს!

მზემ დააჭირა და გასაოცარი იყო, როგორ გაუჭირდა კაცის თვალებს ამ ჩახჩახა შუქის დანახვა. იქნებ, იმ ჯურღმულში თვალები მართლაც დაუსნეულდა? ბარაბამ ჩრდილში გასვლა გადაწყვიტა, ტაძრისაკენ გაემართა, კარიბჭის თაღი გაიარა, შევიდა, თვალების დასასვენებლად ბინდში ჩამოჯდა და მაშინვე შვებით ამოისუნთქა.

რამდენიმე კაცი უკვე იჯდა ტაძარში; ისინი კედელთან მიყუჟულიყვნენ. ჩუმად საუბრობდნენ. ბარაბას გამოჩენა, მგონი არ ესიამოვნათ, თვალი ალმაცერად შეაცლეს და ხმა დაიდაბლეს. ბარაბას მხოლოდ ცალკეული სიტყვები ესმოდა, მაგრამ აზრი ვერ გამოჰქონდა და არც ცდილობდა გამოეტანა. მათი საიდუმლო სულაც არ აინტერესებდა. ერთ-ერთი მათგანი დაახლოებით ბარაბას ხნის იქნებოდა, ისიც წითურწვერიანი იყო, წითური, გრძელი, გაწეწილი თმა წვერში ერეოდა. ცისფერი თვალები რაღაც უცნაურად, ბავშვურად იმზირებოდნენ, სახე კი ფართო, ხორცსავსე ჰქონდა. მაღალ, ბრგე ყმაწვილს საერთოდ ყველაფერი დიდი ჰქონდა, ხელებისა და ჩაცმულობის მიხედვით ხელოსანი უნდა ყოფილიყო. ბარაბას სულ არ ენაღვლებოდა, ეს კაცი ვინ იყო ან როგორ გამოიყურებოდა, მაგრამ მისი შეუმჩნევლობა შეუძლებელი იყო, თუმცა განსაკუთრებული არაფერი გააჩნდა, თუ ცხადია, ცისფერ თვალებს არ ჩავთვლით.

მაღალი რაღაცას დარდობდა, ეტყობა, დანარჩენებიც ნაღვლობდნენ. მგონი, მიცვალებულზე საუბრობდნენ, ჰო, მგონი, მიცვალებული ახსენეს. თუმცა მამაკაცები იყვნენ, დროდადრო მძიმედაც ოხრავდნენ. თუ ბარაბამ სწორად გაიგო, თუ მართლა მიცვალებულს ახსენებდნენ, ხომ შეიძლებოდა ეს ოხვრა-გოდება ქალებისათვის, მოტირლებისათვის გადაელოცათ?

უცებ ბარაბამ გაიგონა, რომ ის მიცვალებული, მათი მიცვალებული, ჯვარზე გააკრეს, ჯვარზე გუშინ გააკრეს. გუშინ?

ყურები დაცქვიტა, მაგრამ კედელთან მეზობლებმა ხმას უფრო დაუწიეს და ბარაბამ ვეღარაფერი გაიგონა

ვისზე საუბრობდნენ?

ამ დროს ქუჩაში ხალხმა ჩაიარა და სიტყვაც აღარ ისმოდა, მაგრამ, როგორც კი სიჩუმე ჩამოწვა, ბარაბამ მათი ჩურჩული ისევ გაიგონა და მიხვდა, რომ ასე იყო, რომ სწორედ მის შესახებ საუბრობდნენ. მის შესახებ, ვინც...

უცნაურია... ამ წუთში ბარაბაც ხომ მასზე ფიქრობდა. სასახლის წინ რომაა, იმ თაღში გაიარა და გაახსენდა. შემდეგ ჩაუარა იმ ადგილს, სადაც მას ჯვარი დაუვარდა და ცხადია, ისევ გაახსენდა.

აი, ესენიც სხედან და იხსენებენ... უცნაურია! ამათ რაღა ესაქმებათ? ან ასე დაუსრულებლად რას ჩურჩულებენ? დროდადრო მხოლოდ მაღალი, წითური გოლიათი წამოიძახებდა რაღაცას ხმამაღლა. ამის გაგონებაღა შეიძლებოდა. წითური ნამეტანი ზორბა იყო და ეტყობა, ჩურჩულისათვის არ იყო გაჩენილი.

შემთხვევით... შემთხვევით წყვდიადზე ხომ არ ლაპარაკობდნენ? მისი სიკვდილის ჟამს წყვდიადი რომ ჩამოწვა, იმაზე ხომ არ ლაპარაკობდნენ?

გაფაციცებით უსმენდა, ისე გაფაციცებით, რომ მათ, ეტყობა, შენიშნეს. უცებ ჩაჩუმდნენ, ხმას აღარ იღებდნენ, ისხდნენ და ალმაცერად გამოსცქეროდნენ. შემდეგ ცოტა კიდევ იჩურჩულეს — აღარაღერი გაუვონია — მაღალს დაემშვიდობნენ და წავიდნენ. ისინი ოთხნი იყვნენ და ბარაბას არც ერთი მათგანი არ მოეწონა.

ბარაბა და მაღალი მარტო დარჩნენ. წითურთან საუბარი დააპირა, მაგრამ რითი დაეწყო, არ იცოდა. წითური კი იჯდა, დროდადრო დიდ თავს აკანტურებდა და პირი ეღრიცებოდა. როგორც მდაბიოს შეეფერება, დარდის დამალვას არც კი ცდილობდა. ბოლოს და ბოლოს, ბარაბამ პირდაპირ ჰკითხა რა გაწუხებსო. წითური გაოცდა, ბარაბას მრგვალი, ცისფერი თვალებით შეხედა და არაფერი უპასუხა. ორიოდე წუთი უცნობი დანდობილად ათვალიერა, შემდეგ იერუსალიმელი ხომ არა ხარო, ჰკითხა. არა, აქაური არა ვარო. კილო რომ აქაური გაქვსო? ჩემი სამშობლო აქვეა, მთებში აღმოსავლეთითაააო, უპასუხა ბარაბამ. მაღალი თითქოს დაწყნარდა. იერუსალიმელების არაფერი მწამს, იოტისოდენაც არ ვენდობი, თითქმის ყველა ყაჩაღი და ბოროტიაო, პირდაპირ უთხრა. ბარაბამ ჩაიცინა და მაღალს სულითა და გულით დაეთანხმა. თავად სადაურია? თავად? ო, მისი სამშობლო შორსაა, და ბავშვურმა თვალებმა სცადა გამოეხატა ეს სიშორე. გულუბრყვილოდ გაენდო ბარაბას, როგორ უნდოდა, იერუსალიმში კი არა, იქ ყოფილიყო. უფრო მეტად ქვეყანაზე არსად უნდოდა ყოფნა. ოღონდ ეექვება მშობლიური ადგილები კვლავ მოიხილოს, იქ იცხოვროს და მოკვდეს, როგორც ოდესღაც ფიქრობდა. ბარაბა გაოცდა. რატომ? ხელს რა უშლის? ყველა ხომ თავისი თავის პატრონია.

— ო, არა, — უპასუხა მაღალმა. ღრმად ჩაფიქრდა და დასძინა. — არ არის, არა.

აქ რაღად დარჩიო? — შეკითხვისაგან თავი ვეღარ შეიკავა ბარაბამ. მაღალმა უცებ არ უპასუხა, შემდეგ კი უხალისოდ თქვა, მოძღვრის გამო დავრჩიო.

— მოძღვრის?

ჰო, ნუთუ მოძღვრის შესახებ არაფერი სმენია?

არა.

— არა? გუშინ გოლგოთაზე ჯვარს რომ აცვეს იმ კაცზე არაფერი გსმენია?

— ჯვარს აცვეს? არა, არ მსმენია. ჯვარზე რად გააკრეს?

— იმიტომ, რომ ასე ეწერა.

— ასე ეწერა? ჯვარს უნდა ეცვათ?

— ჰო, წმინდა წერილში ასე წერია. მოძღვარმა თავადაც იწინასწარმეტყველა.

— თავად იწინასწარმეტყველა? წმინდა წერილში ასე წერია? — ბარაბამ წმინდა წერილი ცუდად იცოდა და ასეთი არაფერი ვაეგონა.

— არც მე ვიცოდი, მაგრამ ასე წერია.

ბარაბამ მაშინვე დაიჯერა. და მაინც, რატომ, რისთვის გააკრეს ჯვარზე მოძღვარი? უცნაურია.

— ჰო... მეც ასე მგონია. არ მესმის სიკვდილი რისთვის დასჭირდა. თანაც ასეთი საზარელი სიკვდილი. მაგრამ ასე ეწერა. თავადაც იწინასწარმეტყველა. მოსახდენი უნდა მომხდარიყო და მოხდა კიდეც. რამდენჯერ უთქვამს, — აქ მაღალმა უშველებელი თავი ჩაჰკიდა, — რამდენჯერ უთქვამს, თქვენ ნაცვლად ვეწამები და მოკვდებიო.

ბარაბამ შეხედა.

— თქვენ ნაცვლად მოკვდებიო?

— ჰო, ჩვენ ნაცვლად! უდანაშაულოდ ვეწამები და თქვენ ნაცვლად მოკვდებიო. დამნაშავეები ხომ ცხადია, ის კი არა, ჩვენა ვართ.

ბარაბა იჯდა, ქუჩას გაჰყურებდა და აღარაფერს ეკითხებოდა.

— ახლა უფრო იოლად მესმის ის, რასაც ხანდახან ამბობდა, — თავისთვის ჩაილაპარაკა მაღალმა.

— კარგად იცნობდი? — შეეკითხა ბარაბა.

—კარგად. რა თქმა უნდა, კარგად. იმთავითვე მასთან ვიყავი, ჯერ კიდევ მაშინ, იქ, ჩვენთან, დასაბამიდან.

— მაშ შენი მხრიდანაა წამოსული?

— შემდეგ კი ყველგან მივყვებოდი, სადაც არ უნდა წასულიყო.

— რატომ?

— რატომ? მეკითხება კიდეც. ზედავე გეტყობა, რომ მოძღვარს არ იცნობდი.

— რაზე მეტყობა?

— გაიგე, მას ძალა ჰქონდა, შეუცნობელი ძალა. ერთხელ გეტყოდა, გამომყევი! და გაჰყვებოდი. სხვა გზა არ გრჩებოდა. აი ასეთი

ძალა ჰქონდა. მოძღვარი რომ გცნობოდა, უკითხავად შენც გაჰყვებოდი.

ბარაბა გაჩუმდა, შემდეგ თქვა:

— ჰო, ალბათ, არაჩვეულებრივი ადამიანი იყო, თუ ყველაფერი, რასაც შენ ამბობ, მართალია. მაგრამ თუკი ჯვარს აცვეს, არც ისე ძალა ჰქონია.

— ო, არა, არა! თავდაპირველად მეც ასე ვიფიქრე — ყველაზე საშინელიც სწორედ ესაა. გულში ერთი წუთითაც როგორ გავივლე! ახლა კი, ჭგონი, მივხვდი ასეთი სამარცხვინო სიკვდილი რისთვის დასჭირდა. ახლა კარგად დავფიქრდი და ისეთ ხალხსაც ვესაუბრე, წმინდა წერილი ჩემზე უკეთ რომ იციან. გესმის, თურმე მას, უდანაშაულოს, ამის ატანა და ჯოჯოხეთში მოხვედრაც მოყვასისთვის სჭირდებოდა. ის კიდევ დაბრუნდება და თავის ძალასაც დაგვანახვებს. მკვდრეთით აღსდგება! ჩვენ ეჭვიც არ გვეპარება, რომ მკვდრეთით აღსდგება!

— მკვდრეთით აღსდგება? ეს რა ბოდვაა?

— ეს ბოდვა არ არის! უეჭველად აღსდგება. ზოგიერთები ფიქრობენ, ხვალ დილით აღსდგებაო, რადგან ეს მესამე დღეს უნდა მოხდეს, თითქოს ამბობდა, ჯოჯოხეთში სამ დღეს დავრჩებიო, თუმცა ეს თავად არ მომისმენია, მაგრამ ასე ამბობდა. ხვალ, გათენებისას...

ბარაბამ მხრები აიჩეჩა.

— არ გჯერა?

— არა.

— არ გჯერა... რა დაგაჯერებს... შენ ხომ არ იცნობდი. ჩვენ შორის კი ბევრს სჯერა და მართლაც, თავად რატომ არ უნდა აღსდგეს, თუკი სხვების მკვდრეთით აღდგენა შეეძლო?

— მკვდრეთით აღდგენა შეეძლო? შეუძლებელია.

— შეეძლო! ჩემი თვალით მინახავს.

— ნუთუ მართალია?

— სრული ჭეშმარიტებაა. მკვდრეთით აღადგინა. ასე რომ, ძალა აქვს. ძალა ყველასთვის ეყოფა, ოღონდ სურვილი ჰქონდეს, ოღონდ მოინდომოს, თავის თავისთვისაც მოინდომოს, აქამდე ასე არ იქცეოდა. ასეთი ძალის პატრონმა თავი ჯვარზე რად გააკვრევინა?.. ჰო, ვიცი, ვიცი... ოღონდ ამის გაგება იოლი როდია. მე, ძმაო, ერთი უბირი კაცი ვარ და ამის გაგება ჩემთვის იოლი არაა.

— შენც, კაცმა რომ თქვას, თითქოს არ გჯერა, რომ მკვდრეთით აღსდგება.

— არა, არა, მჯერა. ცხადია, მართალს ამბობენ. მოძღვარი დაბრუნდება და თავის ძალასა და ბრწყინვალებას წარმოაჩენს. ამაში ეჭვიც კი არ მეპარება. იმათ ხომ წმინდა წერილი უკეთ იციან. მაშინ დიადი ჟამი დადგება. ისინი ხომ იმასაც ამბობენ, ახალი, ბედნიერი ხანა დაიწყება და ძე კაცისათვის მეუფებას დაამკვიდრებსო.

— ძე კაცისა?

— ჰო, თავის თავს ასე უწოდებდა.

— ძე კაცისა?..

— ჰო, ასე ამბობდა, თუმცა ზოგიერთები ფიქრობენ... არა, ვერ ჭეტყვი. ბარაბა ახლოს მიუჩოჩდა.

— რას ფიქრობენ?

— ისინი... ისინი ფიქრობენ, რომ თავად უფლის ძე იყო!

— უფლის ძე იყო?

— ჰო, მაგრამ, იქნებ, ტყუილიცაა. გაოგნდები, აბა, რა მოგივა. სჯობს ისეთივე დაბრუნდეს, როგორიც წავიდა.

ბარაბა გაგიჟდა.

— რას არ ყბედობენ! — წამოიყვირა. — უფლის ძეო! უფლის ძეა და ჯვარს აცვეს! შენ რა, არ გესმის, რომ ეს შეუძლებელია!

— მე ხომ გითხარი, შეიძლება ტყუილიცაა-მეთქი. თუ გინდა კიდევ გაგიმეორებ.

— რომელი გიჟი დაიჯერებს ამას? — განაგრძო ბარაბამ და ნაჭრილობევი თვალის ქვემოთ ისე გაულურჯდა, როგორც გამწარებისას ულურჯდებოდა ხოლმე.

— უფლის ძეო! სადაური უფლის ძეა, გეგონა, აგრევე დაეშვებოდა მიწაზე? ეგრევე შენს მშობლიურ მხარეში იხეტიალებდა და იქადაგებდა!

— არა... რატომ? სწორედ, რომ შესაძლოა. ასე მომხდარიყო. ვითომ ჩვენს მხარეში არ მოვიდოდა? ჩვენი მხარე, ცხადია, მივარდნილია. მაგრამ საიდანღაც ხომ უნდა დაეწყო. — და მაღალმა ისე მიამიტად გამოხედა, ბარაბას ნაღდად გაეცინებოდა. ასე აღელვებული რომ არ ყოფილიყო. იგი კანკალებდა და მხრებზე თხის ტყავს ისწორებდა. თუმცა ტყაპუჭი ჩამოცურებას სულაც არ აპირებდა. — კი მაგრამ, მისი სიკვდილის შემდეგ სასწაულები რომ მოხდა, იმაზე რაღას იტყვი? — შეეკითხა მაღალი. — ამაზე თუ იფიქრე?

— რა სასწაულები?

— შენ რა, არ იცი, რომ მისი სიკვდილის ჟამს წყვდიადი ჩამოწვა?

ბარაბამ გვერდზე გაიხედა და თვალები მოიფშვნიტა

— რომ მიწა იძრა და გოლგოთაც ქვევიდან ზევით, სწორედ იმ ადგილას გასკდა, სადაც ჯვარი იდგა?

— მსგავსი არაფერი მომხდარა! თავად გამოიგონეთ! საიდან იცი, რომ გასკდა? შენ რა, იქ იყავი?

უცებ მაღალს ფერი ეცვალა. ბარაბას დაეჭვებით შეხედა და მაშინვე თვალი აარიდა.

— არა, არა, მე არაფერი ვიცი. არაფრის დამტკიცება არ შემიძლია, — წაიბუტბუტა, კიდევ დიდხანს დუმდა და მძიმედ ოხრავდა.

ბოლოს ბარაბას მხარზე ხელი დაადო და როგორღაც ამოთქვა:

— იცი... მოძღვარს გვერდით არ ვუდექი, როცა იტანჯებოდა და კვდებოდა. მე გავიქეცი. მივატოვე და გავიქეცი. მანამდე კი განვუდექი კიდეც. ეს ყველაზე საზარელია. განვუდექი, განვუდექი.

როგორ მაპატიებს, თუკი დაბრუნდება! რას ვეტყვი. რას ვუპასუხებ. როცა შემეკითხება? — მან ფართო, წვერიანი სახე ხელისგულებში ჩამალა და გადაქანდ-გადმოქანდა. — ეს რა ჩავიდინე! ადამიანმა ასეთი რამ როგორ უნდა ჩაიდინოს! — და როცა ბარაბას ისევ შეხედა, ცისფერ თვალებში ცრემლი ედგა. — რა გაწუხებსო, მეკითხებოდი. ახლა ხომ შიხვდი. ახლა ხომ იცი, რა კაციცა ვარ. უფალმა ჩემმა და მოძღვარმა კი შენზე უკეთ იცის. მე უბედურს რა მეშველება? როგორ ფიქრობ, მომიტევებს ამას მოძღვარი?

ბარაბამ უთხრა, ალბათ მოგიტევებსო, თუმცა მაღალის ნაამბობს მაინცდამაინც არ შეუწუხებია, სხვათა შორის უპასუხა, ისე სიტყვის მასალად. რატომღაც მოსწონდა ეს კაცი, რომელიც თავის თავს ადანაშაულებდა, თითქოს ბოროტმოქმედი იყო, თუმცა, საერთოდ, ცუდი არაფერი ჩაუდენია. მანამდე რა, ვინმე არავის მოუტყუებია? დიდი ამბავი!

მაღალმა ხელზე დასტაცა ხელი და მაგრად მოუჭირა.

— ასე გგონია, მართლა ასე გგონია? — ხმაჩახრეწილი იმეორებდა.

სწორედ ამ დროს მოედანზე რამდენიმე კაცმა ჩაიარა. როცა წითური დაინახეს და შენიშნეს, თუ ვისთან იჯდა და საუბრობდა, გაშეშდნენ, თითქოს თვალებს არ დაუჯერეს. მაშინვე მაღალთან მიცვივდნენ და თუმცა მათ საქციელში ისეთი მოწიწება იგრძნობოდა, რაც წითურის უბადრუკ სამოსელს სულაც არ შეეფერებოდა, მაინც დაუყვირეს:

— იცი, ეს კაცი ვინ არის?

— არა, — პატიოსნად აღიარა მაღალმა. — არ ვიცნობ, მაგრამ სიკეთით სავსე სული აქვს და მშვენივრად ვისაუბრეთ.

— მაშ არ იცი, რომ მოძღვარი ამის ნაცვლად გააკრეს ჯვარზე?

მაღალმა ბარაბას ხელი გაუშვა, ირგვლივ ყველას რიგრიგობით შეხედა და ძრწოლა ვეღარ დამალა. დანარჩენებს ზედ ეტყობოდათ, რასაც ფიქრობდნენ და მძიმედ, ბრაზიანად სუნთქავდნენ.

ბარაბა წამოდგა და ისე შებრუნდა, რომ მისი სახე მეტად ვეღარავის დაენახა.

— განვედ ჩვენგან, უწმინდურო, — დაუყვირეს მას.

ბარაბამ თხის ტყავი შემოიხვია, ქუჩას მარტო დაუყვა და უკან აღარ მოუხედავს.

კურდღლისტუჩას არ ეძინა. იწვა, ვარსკვლავებს შესცქეროდა და იმაზე ფიქრობდა, რაც მალე უნდა მომხდარიყო. არა, დაძინება არ შეიძლება, მთელი ღამე უნდა იფხიზლოს.

ქალი იწვა თივაზე: რომელიც სანაგვე კარიბჭესთან ორმოში აკრიფა. ირგვლივ კი კვნესოდნენ, ძილში ბორგავდნენ ავადმყოფები

და ეღარუნებდა ეჟვნები კეთროვანისა, სიარულით რომ ცდილობდა ტკივილის გაუჩენებას. ნაგვის გროვები მთელ ხეობას სიმყრალით ავსებდა, სუნთქვა ჭირდა, მაგრამ ქალი მიჩვეული იყო, ამ სუნს ვეღარც გრძნობდა. აქ ამ სიმყრალეს ვეღარავინ გრძნობდა.

ხვალ განთიადისას... ხვალ განთიადისას...

უცნაური კია — მალე ყველა სახიჩარი განიკურნება და ყველა დამშეული დანაყრდება. რა ძნელი დასაჯერებელია. მაინც როგორ მოხდება? ზეცა განიხვნება, ანგელოსნი დაეშვებიან და ყველას დააპურებენ, თუნდაც მხოლოდ ღატაკებს, მდიდრებმა ისევ შინ მიირთვან, აი, ჭეშმარიტად დამშეულებს კი ანგელოსები მაშინვე დააპურებენ, აქვე, სანაგვე კარიბჭესთან, სუფრებს, წმინდა ტილოს ქათქათა სუფრებს, პირდაპირ მიწაზე გაშლიან და ყოველგვარი კერძით აავსებენ, ყველას შეეძლება წამოწვეს და რამდენიც უნდა, იმდენი მიირთვას. საერთოდ, ამის წარმოდგენა მაინცდამაინც რთული არ არის, უბრალოდ უნდა გახსოვდეს, რომ ყველაფერი შეიცვლება, გარდაიქმნება, გადასხვაგვარდება... იქნებ, თავადაც ახალი კაბით გამოეწყოს. ვინ იცის, იქნებ, თეთრი კაბა ანდა ლურჯი ქვედატანი ჩაიცვას? ყველაფერი ხომ შეიცვლება, როცა უფლის ძე, მკვდრეთით აღსდგება და ახალი საუკუნე დადგება.

ქალი იწვა და ფიქრობდა ნეტავ ეს ყველაფერი როგორ მოხდებაო.

ხვალ... ხვალ განთიადისას... კარგია, რომ წინასწარ უთხრეს.

კეთროვანის ეჟვნებმა სულ ახლოს გაიჟღარუნა. ქალს ხმა ეცნაურა. ეს კეთროვანი ღამღამობით ყოველთვის მოდიოდა, თუმცა კეთროვანებს თავიანთი დაბლობიდან გამოსვლა ეკრძალებოდათ, ეს მაინც ბედავდა. ეტყობა, ადამიანებთან ახლოს ყოფნა უნდოდა. ერთხელ თავადაც ასე თქვა. ქალი ხედავდა, ვარსკვლავების შუქში, რა ფრთხილად დაბოდიალობდა კეთროვანი მძინარეთა შორის.

მიცვალებულთა საუფლო... მაინც როგორია?.. ამბობენ, ის ახლა მიცვალებულთა საუფლოში დადისო... მაინც როგორ გამოიყურება?.. არა, ამის წარმოდგენა ქალს არ შეეძლო.

ბრმა მოხუცმა ძილში დაიკვნესა. ცოტა მოშორებით ღონემიხდილი ყმაწვილი გაშოტილიყო და იხუთებოდა, მისი ხროტინი ყოველღამე ისმოდა. სულ ახლოს გალილეველი ქალი იწვა, მას ხელი ეკრუნჩხებოდა, რადგან სხეულში უცხო სული ჩასახლებოდა. ირგვლივ იწვნენ ავადმყოფები, რომელთაც სწამდათ, რომ წყლის ნაკადით განიკურნებოდნენ და ღატაკები, რომლებიც აქ, სანაგვეზე ნარჩენებით იკვებებოდნენ. ხვალ აქ აღარავინ დარჩება. ახლა ისინი იწვნენ და ძილში ბორგავდნენ, მაგრამ ქალს უკვე აღარავინ ეცოდებოდა.

ანგელოზი, ალბათ, სულს შეუბერავს წყალს და ისიც მაშინვე განიწმინდება? და ყველა, ვინც კი ამ წყალში შევა, მაშინვე განიკურნება? თვით კეთროვანებიც კი განიკურნებიან? ნუთუ წყალში

მათაც შეუშვებენ? თუ გამოყრიან? ვინ იცის... არავინ არაფერი იცის...

იქნებ, წყლის ნაკადი არც განიწმინდოს, იქნებ ეს არც იყოს მთავარი. იქნებ. ანგელოზებმა გეთინომიის მთელ ხეობას, მთელ დედამიწას გადაუფრინონ და ყველა ავადმყოფობა, დარდი თუ უპედურება ფრთებით ახვეტონ! იქნებ, ასეც მოხდეს!

შემდეგ ქალმა გაიხსენა, როგორ იხილა ძე უფლისა. რა ალერსიანი იყო! ასე თბილად მას ჯერ არავინ მოქცევია. ქალს შეეძლო უფლისათვის ეთხოვა, ამ სიმახინჯისაგან მიხსენიო, მაგრამ არ ისურვა. მოძღვრისათვის ეს ძალიან იოლი იყო, მაგრამ ქალმა არ ინდომა თხოვნა. მოძღვარი იმათ ეხმარებოდა, ვისაც მართლა უჭირდა, ის დიდ საქმეთათვის იყო მოვლენილი. ქალს კი არ სურდა წვრილმანებით მისთვის თავი შეეწყინა.

უცნაური რამ უთხრა, ძალიან უცნაური, როცა ქალი მტევერში მის წინ მუხლებზე დაეცა, ის კი მოტრიალდა და მიუახლოვდა.

— ჩემგან შენც სასწაულს ელოდები? — ჰკითხა.

— არა, უფალო, არ ველოდები. მხოლოდ გიცქეროდი, გზას როგორ მიუყვებოდი.

შემდეგ მოძღვარმა შემოხედა. ნაზად, სევდიანად შემოხედა, ლოყაზე ხელი მოუთათუნა, ტუჩზეც შეეხო, ტუჩი კი ზუსტად ისეთივე დარჩა. ბოლოს უთხრა:

— შენ ჩემ ყოფნას დაადასტურებ.

უცნაური სიტყვებია. ნეტავ რას ნიშნავს? „ჩემ ყოფნას დაადასტურებ“. მე დავადასტურებ? გაუგებარია. როგორ დავადასტურებ?

მოძღვარმა ქალის ნათქვამი უმალ გაიგო. სხვებს კი არა ჰგავდა, მაშინვე მიხვდა. თუმცა რა არის გასაოცარი, უფლის ძეც ხომ ამიტომ იყო.

კიდევ ბევრი მსგავსი აზრი უტრიალებდა თავში. იხსენებდა მოძღვრის მზერას. მისი ხელების სურნელს, როცა ტუჩებზე შეეხო... ქალის ფართოდ გახელილ თვალებში ვარსკვლავები ირეკლებოდნენ, ის გაოცებული იყო, სანამ შესცქეროდა, უფრო და უფრო ემატებოდა ვარსკვლავები. რაც შინიდან წამოვიდა იმდენი ვარსკვლავი ნახა... საინტერესოა, რა არის ვარსკვლავი? ვინ იცის. ცხადია, ისიც ღმერთმა შექმნა, მაგრამ რა არის, არავინ უწყის... აქ, უდაბნოში ბევრი ვარსკვლავია... მთაშიც ბევრი იყო... მთაში, გალგალთან... ოღონდ იმ ღამეს არ იყო, არა, იმ ღამეს არ ყოფილა...

ქალმა ორ ფიჭვს შორის მოქცეული სახლი გაიხსენა... დედა კარში იდგა და შესცქეროდა, სანამ შეჩვენებული კურდღლისტუჩა მთიდან ეშვებოდა... ჰო, იძულებულნი იყვნენ გაეგდოთ, რათა ამის შემდეგ ისე ეცხოვრა, როგორც მხეცები ცხოვრობენ ბუნაგებში... ქალი ფიქრობდა, თუ რა მწვანე იყო მდელო გაზაფხულზე, დედა კი ამ დროს კართან, სიბნელეში, გვერდულად იდგა, რათა შემჩვენებელს არ დაენახა...

მაგრამ ახლა ამას აღარ აქვს მნიშვნელობა. ახლა მნიშვნელობა აღარაფერს აქვს.

უსინათლო წამოჯდა და ყურები დაცქვიტა, გაღვიძებოდა და კეთროვანის ეჟვნების ჟღარუნი გაიგონა.

— აბა, გასწი აქედან, — დაიყვირა მან და სიბნელეს მუშტი მოუღერა. — წაეთრიე! ხედავ, რა შემოგვეჩვია?

ეჟვნების ჟღარუნი სიბნელეში ჩაიკარგა. მოხუცი კვლავ წამოწვა და თვალის ცარიელი უპეები ხელით დაიფარა.

მკვდარი ბავშვები — ნეტავ ისინიც თუ ხვდებიან მიცვალებულთა საუფლოში? ვინც ისე მოკვდა, დედის საშოდან არც კი დაძრულა, ისიც იქ ხვდება? შეუძლებელია... ნუთუ ეწამებიან? ისინი რიღასთვის? თუმცა დაზუსტებით ვინ იცის... დაბეჯითებით არავინ იცის.

„შეჩვენდეს ნაყოფი მუცლისა შენისა...“

მაგრამ, როცა ახალი საუკუნე დადგება, განა ყველა შეჩვენება თავის თავად არ გაბათილდება? იქნებ, ასეც მოხდეს, ვინ იცის?

„შეჩვენდეს... ნაყოფი... მუცლისა შენისა...“

ქალს შემცივნულივით შეაძაგძაგა. მალე მაინც გათენდებოდეს! როდის დადგება აისი! რა ხანია, აქ წევს, ღამე კი არა და არ გაილია! ჰო, ვარსკვლავები უკვე სხვაგვარად კიაფობენ და ნამგალა მთვარეც კარგა ხანია მთას ამოეფარა. სამგზის იხილა ჩირაღდნები ქალაქის კედელზე, ესე იგი ბოლო გუშაგებიც გამოიცვალნენ. ჰო, გაილია ღამე.. უკანასკნელი ღამე...

აი, ზეთისხილის მთაზე ცისკრის ვარსკვლავი ამობრწყინდა! მაშინვე იცნობ, ისე დიდი და კაშკაშაა, სხვებზე გაცილებით კაშკაშა, ასე ბრწყინვალე კი ჯერ არ ყოფილა. ჩავარდნილ მკერდზე ხელებდაკრეფილი ქალი ვარსკვლავს გაბრწყინებული თვალებით შესცქეროდა.

შემდეგ წამოხტა და ბინდში გაიქცა.

გზის მეორე მხარეს, სამარის პირდაპირ, ბუჩქის უკან კაცი მოკუნტული იწვა. გათენდება თუ არა, ყველაფერს დაინახავს, აქედან კარგად მოჩანს, მალე მაინც ამოვიდოდეს მზე!

ცხადია, მიცვალებული მკვდრეთით ვერ აღსდგება, ეს ხომ ისედაც იცოდა, მაგრამ სურდა ყველაფერი თავისი თვალით ეხილა, დარწმუნებულიყო. ამიტომაც წამოხტა ალიონზე, კარგა ხნით ადრე, სანამ აისი აინთებოდა და ამ ბუჩქის უკან ჩაწვა. თუმცა თავისი საქციელი თავადვე აოცებდა. აქ რისთვის მოვიდა? ბოლოს და ბოლოს, მისთვის ხომ სულ ერთია? რა მისი საქმეა?

ეგონა, სასწაულის სანახავად უამრავი ხალხი მოიყრის თავსო. ამიტომაც დაიმალა, არ უნდოდა, რომ ვინმეს დაენახა. მაგრამ, როგორც ჩანს, მის გარდა არავინ მოსულა. უცნაურია.

თუმცა არა —სულ ახლოს, ზედ შუა გზაზე, ვიღაცას მუხლი მოეყარა. ვინ არის? როგორ მოხდა, რომ მისი ნაბიჯების ხმა ვერ გაიგონა? მგონი, ქალია. მისი ნაცრისფერი სილუეტი გზის ნაცრისფერ მტვერში ითქვიფებოდა.

უკვე თენდებოდა და მალე პირველი სხივიც დაეცა კლდეს, სადაც სამარე იყო გამოკვეთილი. ყოველივე ისე სწრაფად მოხდა, რომ ბარაბამ თვალი ვერ მიადევნა. არადა მზერად აქ უნდა ქცეულიყო. სამარე ცარიელი აღმოჩნდა! კართან ლოდი გადაეგორებინათ და კლდეში სამარე ცარიელი იყო!

თავდაპირველად ბარაბა გაოგნდა. იწვა და შესქეროდა სამარეს, სადაც — თავად იხილა, ჯვარცმული როგორ შეასვენეს, შესქეროდა იმ ლოდსაც, რითაც მის თვალწინ შესასვლელი დაგმანეს. შემდეგ ყველაფერს მიხვდა. განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ლოდი გაცილებით ადრე გადააგორეს, ალბათ მანამდე, სანამ ბარაბა მოვიდოდა. სამარეც მანამდე დაცარიელდა. ძნელი მისახვედრი როდია, ლოდი ვინ გადააგორა და მიცვალებული ვინ წაასვენა. ეს ყველაფერი მისმა მოწაფეებმა ღამით ჩაიდინეს. სიბნელით ისარგებლეს და საყვარელი მოძღვრის სხეული მოიტაცეს. ახლა კი განაცხადებენ, შეგვპირდა და ადგა კიდეცო. ამის მოფიქრებას დიდი ჭკუა როდი სჭირდება.

ჰოდა, ყველანი გადაიხვეწნენ, როცა ამ დილით უდიდესი სასწაული უნდა მომხდარიყო, მიიმალნენ.

ბარაბა საფარიდან გამოძვრა და სამარეს მიუახლოვდა, უკეთ რომ დაეთვალიერებინა. როცა მუხლმოყრილ სხეულს გვერდით ჩაუარა, ცალი თვალით გახედა, კურდღლისტუჩა შეიცნო და გაოგნდა. გახევებული იდგა და ქალს დასცქეროდა. ქალის გაფითრებული, ტანჯული სახე სამარეს მიშტერებოდა, მისი ნეტარი მზერა მეტს ველარაფერს ამჩნევდა. ბაგე გაპობოდა, მაგრამ თითქმის არ სუნთქავდა. ზემო ტუჩის მახინჯი ნაჭრილობევი სულ გათეთრებოდა. ქალი ბარაბას ვერ ხედავდა.

მისი სახის გამომეტყველებამ კაცი როგორღაც შეაცბუნა და შეარცხვინა კიდეც. რაღაც ისეთი გაახსენა, რისი გახსენებაც არ სურდა. ქალს მაშინაც ასეთი სახე ჰქონდა. კაცს კი მაშინაც რცხვენოდა. ბარაბამ მხრები აიჩეჩა და მოგონება მოიშორა.

ბოლოს და ბოლოს, ქალმაც შენიშნა და თავადაც გაოცდა, ბარაბას აქ რომ ხედავდა, აქ რომ იდგა. ეს გასაგებიცაა, კაცს ხომ თვითონაც უკვირდა. აქ არაფერი ესაქმებოდა.

უკეთესი გამოსავალი იყო, თავი მოეკატუნებინა — გზად მივდიოდი. აქ შემთხვევით გამოვიარე, არც ეს ადგილი ვიცოდი და არც სამარის შესახებ მსმენია რამეო. ანკი რად არ უნდა მოეკატუნებინა? რა თქმა უნდა, ეს ძნელი დასაჯერებელი იქნებოდა და ქალი, ალბათ, არც დაუჯერებდა — და მაინც, ბარაბამ იკითხა:

—შენ აქ რატომ წევხარ?

ქალს არ აუხედავს, არც განძრეულა, კვლავ მუხლებზე იდგა და მზერას კლდეში გამოკვეთილ სამარეს არ აშორებდა. და ბარაბამ მისი ჩურჩული ძლივს გაიგონა:

— ძე უფლისა აღსდგა...

უცნაურია, მაგრამ ამ ჩურჩულმა კაცი შესძრა. თავისი ნების საწინააღმდეგოდ რაღაც იგრძნო — მაგრამ რა — ვერ ხვდებოდა. იდგა და არ იცოდა რა ეთქვა, როგორ მოქცეულიყო. შემდეგ, როგორც აპირებდა, სამარეს მიუახლოვდა და დარწმუნდა, რომ ცარიელი იყო. თუმცა ეს ხომ წინასწარვე იცოდა, ეს ხომ მისთვის სულ ერთი გახლდათ და არც არაფერს ნიშნავდა. შემდეგ კვლავ დაჩოქილ ქალს მიუახლოვდა. კურდღლისტუჩას ისეთი ნეტარი, დაბანგულ-ბედნიერი სახე ჰქონდა, რომ შეეცოდა. ეს ყველაფერი ხომ სიცრუე იყო. ცხადია, ბარაბას შეეძლო მისთვის მოეთხრო, როგორ მოხდა ეს მკვდრეთით აღდგომა, მაგრამ ქალი ხომ ისედაც გაანაწყენა... ალბათ, უნდა აკმაროს. თავი ვერ აიძულა, ქალს სრული სიმართლე ვერ უთხრა. მხოლოდ ფრთხილად ჰკითხა, შენი აზრით ჯვარცმული მკვდრეთით მაინც როგორ აღსდგაო.

თავდაპირველად ქალმა ბარაბას გაოგნებით შეხედა, შემდეგ აღფრთოვანებულმა, თავისი დუდღუნა ხმით დაწვრილებით უამბო, ციდან როგორ დაეშვა ანგელოზი, რომელსაც ხელი შუბივით გაეშვირა. ცეცხლი კი ანაფორასავით ემოსა. შუბი კლდესა და ლოდს შორის ჩაესო და გახეთქა. თითქოს ყველაფერი უბრალოდ გეჩვენებოდა, არა, მართლაც უბრალოდ ხდებოდა, თუმცა ეს ნამდვილი სასწაული იყო. აი, ასე მოხდა, შენ რა, თავად არ დაგინახავსო?

ბარაბამ თვალები დახარა და არა, არ დამინახავსო. ჩაილაპარაკა. თუმცა გულში გაუხარდა, რომ მსგავსი არაფერი უხილავს. ეტყობა, თვალები გამოუკეთდა. ისეთივე გაუხდა, როგორიც ყველას აქვს და ახლა აღარაფერი ეჩვენება, ყველაფერს ჩვეულებრივად ხედავს. ის კაცი მასზე ვეღარ მოქმედებს, ძალა დაკარგა. არავითარი აღდგომა. მსგავსიც არაფერი უხილავს. გოგონა კი კვლავ მუხლმოყრილი იდგა და რაც იხილა, მისი გახსენება თვალებს უბრწყინებდა.

ქალი, ბოლოს და ბოლოს, წასასვლელად წამოდგა და ქალაქისაკენ ორივე ერთად დაეშვა. ლაპარაკობდნენ ცოტას, მაგრამ ბარაბა მიხვდა, რომ მათი ადრე განშორების შემდეგ, ქალმა ირწმუნა მისი, ვისაც ის უფლის ძეს, ბარაბა კი უბრალოდ მიცვალებულს ეძახდა. მაგრამ ბარაბამ როცა ჰკითხა, მაინც რას გასწავლიდათ ეს კაცი, ქალმა არ უპასუხა, თვალი აარიდა და ჩაჩუმდა. ასე მივიდნენ გზის ჯვასაყართან — ქალს გეთინომიის ხეობისაკენ, კაცს კი დავითის კარიბჭისკენ უნდა აეღო გეზი და ბარაბამ კვლავ ჯიქურ ჰკითხა, მაინც რას გასწავლიდათ ის კაცი, თუმცა რა ჩემი საქმეა, მაგრამ მაინც რა ირწმუნეო. ორიოდ წუთი ქალი თავჩაქინდრული იდგა, შემდეგ

ბარაბას გაუბედავად შეხედა და როგორც ყოველთვის, გაურკვევლად ჩაიდუდღუნა:

— გიყვარდეთ ერთმანეთი.

და ერთმანეთს ასე დაშორდნენ.

ბარაბა დიდხანს იდგა და მიმავალ ქალს გასცქეროდა.

ბარაბას თვითონვე უკვირდა, რად ჩარჩა იერუსალიმში, სადაც არაფერი ესაქმებოდა. მთელი დღეები ქუჩა-ქუჩა უთავბოლოდ დაეხეტებოდა. არადა, მთაში, ალბათ, ელოდნენ და სად დაიკარგაო, ფიქრობდნენ. ქალაქში რატომ დარჩა? ეს თვითონაც არ იცოდა.

სქელუამ ჯერ გადაწყვიტა ჩემ გამო არ მიდისო, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ცდებოდა. ცოტა განაწყენდა კიდეც, მაგრამ — ღმერთო ჩემო! — კაცები უმადურები არიან და მათი განებივრება არ შეიძლება, ქალს კი ყოველლამე მასთან ეძინა და ეს თვითონაც მოსწონდა. კარგია, როცა გვერდით ნამდვილი მამაკაცი გიწევს და ეღლაბუცები. ბარაბას კი ერთი კარგი თვისებაც აქვს. მართალია, შენ ფეხებზე ჰკიდიხარ. მაგრამ ყველა სხვაც ფეხებზე ჰკიდია. ასეა, წყალი არ გაუვა. მას არავინ სჭირდება. ყოველთვის ასეთი იყო. საერთოდ, ქალს მოსწონდა კიდეც. კაცს ფეხებზე რომ ეკიდა, უფრო სწორად, მხოლოდ მაშინ მოსწონდა, როცა ერთმანეთს ეალერსებოდნენ. შემდეგ კი მართლა მწარდებოდა და ცოტას კიდეც წაუტირებდა. მერე რა, არც ეს იყო ურიგო და თუ დაუკვირდებოდი, სიტკბოების მომგვრელიც გახლდათ. სქელუას ამ საკითხში დიდი გამოცდილება ჰქონდა და არანაირი სიყვარული არ სძულდა.

მაგრამ ამ იერუსალიმს რას მიეკერა, ეს ქალსაც ვერ გაეგო. მთელი დღეები სად იკარგებოდა, რას აკეთებდა? ის ხომ იმ უქნარებს არ ჰგავდა, ქუჩაში ხეტიალის მეტი რომ არაფერი აინტერესებთ. ის მძიმე და ხიფათიან ცხოვრებას იყო ნაჩვევი. ასე უსაქმოდ ხეტიალი მას სწორედ არ შეეფერებოდა.

არა, თავის თავს აღარ ჰგავს მას შემდეგ. რაც ეს ამბავი მოხდა, მას შემდეგ. რაც კინაღამ ჯვარზე გააკრეს. თითქოს ვერაფრით შეგუებია, რომ აიღეს და გაათავისუფლეს, — ჩაილაპარაკა მზის გულზე წამოგორებულმა, ფუმფულა მუცელზე ხელებდაკრეფილმა სქელუამ და უცებ გადაიხარხარა.

დროდადრო ბარაბა იმ ჯვარცმულის მიმდევრებს აწყდებოდა. ვერავინ იტყვის, გამიზნულად ეძებდაო, უბრალოდ ისინი ბაზარში ან ქუჩაში ხვდებოდნენ. ბარაბაც სიამოვნებით ჩერდებოდა, მათთან ლაქლაქებდა, ეკითხებოდა იმ ჯვარცმულზე, და იმ უცნაურ მოძღვრებაზე. თავი და ბოლო რომ ვერ გაუგო. ერთმანეთი გიყვარდეთ?... მაგრამ სასახლის მოედანს არ ეკარებოდა, არც მეზობელ, მდიდარ ქუჩებში დადიოდა, მხოლოდ ქვემორე უბნის ქუჩაბანდებში დაიხე-

ტებოდა, სადაც ფარდულებში ხელოსნები მუშაობდნენ, მეწვრილმა-ნეები კი საქონელს ხმამაღლა აქებდნენ. ამ უბრალო ხალხს შორის მრავალი მორწმუნე იყო და ისინი ბარაბას გაცილებით მეტად მოს-წონდა, ვიდრე კოლონადის ქვეშ მოსეირნე საზოგადოება. ამ ხალხის უცნაურ რწმენას ბარაბამ ვერაფერი გაუგო, თუმცა საკმაოდ ბევრი განმარტება მოისმინა. შეიძლება იმიტომაც ვერ გაიგო, რომ საკმაოდ ბრიყვულად უხსნიდნენ.

მაგალითად, მათ სასოებით სჯეროდათ, რომ მათი მოძღვარი მკვდრეთით აღსდგებოდა, რომ მალე ზეციურ მეომრებს სათავეში ჩაუდგებოდა, ამ ქვეყანას მოეევლინებოდა და დედამიწაზე თავის მეუფებას დაამკვიდრებდა. თანაც ყველა ერთსა და იმავეს იმეო-რებდა, ეტყობა, ასე ასწავლეს. ზოგიერთებს უცნაურობადაც კი მიაჩნდათ მოძღვარი საკუთარი თვალით რომ იხილეს, მოუსმინეს და გაესაუბრნენ კიდეც. ერთს თურმე მისთვის სანდლებიც შეუკერავს, ზომაც აუღია და ყველაფერი. არა, როგორღაც ძნელი დასაჯერებელი იყო. მეორენი ამტკიცებდნენ, სულ ერთია, მაინც უფლის ძეა და ღრუბელზე მამის გვერდით დაჯდება, თუმცა მანამდე ამ ცოდვილ, უკეთურ ქვეყანას დააქცევსო.

ეს რა ახირებული ხალხია?

მათ შენიშნეს, ბარაბას ამდაგვარი ამბების არაფერი სჯერაო და თავი მოარიდეს. ზოგიერთები მასთან შეხვედრისას ამკარა სიფრთხი-ლეს იჩენდნენ და თითქმის ყველა აგრძნობინებდა, შენი დანახვა მაინცდამაინც არ მსიამოვნებსო. საერთოდ, ბარაბა ასეთ მოპყრობას შეჩვეული იყო, მაგრამ უცნაურია; ახლა ეს შეურაცხყოფდა, თუ-მცა ადრე მსგავსი რამ არ უგრძვნია. ხალხი ყოველთვის აგრძნობი-ნებდა, არ გვჭირდებიო, მისგან თავი ყველას შორს ეჭირა. იქნებ. გარეგნობის გამო ან თვალის ქვეშ დანით მიყენებული ნაჭრილობევი აფრთხობდათ. ამ ჭრილობის ამბავი ხომ არავინ იცოდა, ან იქნებ, თვალები არ მოსწონდათ, ისე ღრმად რომ ჩასცქეროდა, გამოხედვას ვერავინ იტერდა. ბარაბამ ეს ყველაფერი მშვენივრად იცოდა, მაგრამ გულთან ახლოს არასოდეს მიუტანია. ხალხის დამოკიდებულებას ის უბრალოდ ვერ ამჩნევდა.

ღღემდე არ იცოდა, თუ ასეთი რამ მას შეურაცხყოფდა.

ამათ კი საერთო რწმენა ადულებებდათ და ვინც ამ რწმენას არ იზიარებდა, იმას ახლოსაც არ იკარებდნენ, ეშინოდათ. მათ თავისი საძმო ჰქონდათ, სიყვარულის საღამოებს აწყობდნენ და პურს ერთი დიდი ოჯახივით ტეხდნენ. ეს ყველაფერი ეტყობა, მათ მოძღვრებას უკავშირდებოდა, თავი და თავი ის „გიყვარდეთ ერთმანეთი“ იყო მაგრამ უყვარდათ თუ არა ის, ვინც მათ არ ჰგავდა, ეს ჯერ კიდევ საკითხავი გახლდათ.

ბარაბას სულაც არ უნდოდა მათ სიყვარულის საღამოებს დასწ-რებოდა, ესღა აკლდა, გაფიქრებაც კი ზარავდა. ასე როგორ უნდა

შიეჯაჭვო ვინმეს! ბარაბა მუდამ თავისთავადი იყო და გადასხვაფერების სურვილი არც ახლა გაჩენია.

მაგრამ მათთან შეხვედრას რატომღაც მაინც ცდილობდა.

ერთხანს თავიც კი მოიკატუნა, თითქოს საძმოში შემოსვლა იმიტომ მინდა, რომ თქვენი რწმენის არსს კარგად ჩავწვდეო. ისინი პასუხობდნენ, სიამოვნებით მიგიღებთ, შეეცდებით ჩვენი მოძღვრის სიტყვები აგიხსნათო. სინამდვილეში, გახარებულებს არ ჰგავდნენ. უცნაურია. სინდისი კი აწუხებდათ, მაგრამ ბარაბას კირთება, კიდევ ერთი ერთმორწმუნის შეძენა, სულაც არ ახარებდათ. არადა, ეს ყოველთვის ძალიან უხაროდათ ხოლმე. მაინც რა იყო მიზეზი? მაგრამ ბარაბამ იცოდა მიზეზი. მოულოდნელად იგი წამოხტა და იქაურობას ფართო ნაბიჯებით გაშორდა, თვალს ქვემოთ ნაჭრილობევი გაულურჯდა.

იწამე! როგორ იწამოს, როცა საკუთარი თვალით იხილა ჯვარზე გაკრული! მისი სხეული, კარგა ხნის წინ მიცვლილი, აკი თვითონ ნახა, რომ არ აღმდგარა, ეს მათი წარმოსახვის ნაყოფი იყო! თავიდან ბოლომდე ყველაფერი მხოლოდ მათი წარმოსახვის ნაყოფი იყო! მკვდრეთით ჯერ არავინ აღმდგარა, არც მათი „ფასდაუდებელი" მოძღვარი, არავინ აღმდგარა! და საერთოდ, ბარაბა არ აგებს პასუხს, თუ ვინ აირჩიეს მაშინ! ეს მისი კი არა, ხელისუფლების საქმეა! ვინც უნდოდათ, ის აირჩიეს, უბრალოდ ასე მოხდა. უფლის ძეო! სადაური უფლის ძეა! ასეც რომ იყოს, თავად რომ არ ნდომებოდა, განა ჯვარზე თავს გაკვრევინებდა„ ეტყობა, თავად უნდოდა! უცნაურია და თანაც სისაძაგლეა — წ ა მ ე ბ ა თავად ისურვო. თუ ძართლა უფლის ძე იყო, მისთვის თავის დახსნა ხომ სულ იოლი იქნებოდა. მან კი არ ი ს უ რ ვ ა. თავის დახსნა არ უცდია, თავად გადაწყვიტა დატანჯულიყო და ასეთი საზარელი სიკვდილით მომკვდარიყო და ასეც მოხდა. თავისი გაიტანა — არ უნდოდა და არ გაუშვეს. ისე მოიქცა, რომ ბარაბა გაეშვათ. ადგა და ბრძანა: ბარაბა გაუშვით და ჯვარზე მე გამაკარითო.

თუმცა დღესავით ნათელია, რომ ის უფლის ძე არაა...

უცნაურად კი გამოიყენა თავისი ძალა, ძალიან უცნაურად. თითქოს ეს ძალა თვითონ არც გამოუყენებია. ისე გადააწყვეტინა, როგორც სხვებს სურდათ, თითქოს თვითონ არაფერში ჩარეულა, არადა თავისი გაიტანა: ჯვარს ის აცვეს, ბარაბა კი გაათავისუფლეს.

ახლა ესენი ყბედობენ, ჩვენთვის, ჩვენ ნაცვლად მოკვდაო. ვინ იცის! შეიძლება. აი, ბარაბას ნაცვლად ნაღდად რომ მოკვდა, ამას ვერავინ უარყოფს ეტყობა, ბარაბა მისთვის ამათზე უფრო ახლობელია, ყველა სხვაზე უფრო ახლობელია, მასთან სულ სხვაგვარადაა დაკავშირებული, ეს საძმო კი ახლოსაც არ იკარებს! ბარაბა აარჩიეს, ჰო, აარჩიეს, რომ ტანჯვისა და წამებისაგან გაეთავისუფლებინათ. ჭეშმარიტი რჩეული ხწორედ ისაა, თავად უფლის ძის ნაცვლად

ვაათავისუფლეს. მან ხომ ასე თავად ისურვა, თავად ბრძანა. უბრალოდ ამ ხალხმა არაფერი იცის.

ხოლო მათი „საძმო“, „სიყვარულის საღამოები“ და „გიყვარდეთ ერთმანეთი“ ბარაბას არაფრად სჭირდება. ის თავისთვისაა და მისი ურთიერთობაც იმასთან, უფლის ძეს რომ ეძახიან, აი იმ ჯვარცმულთან, ასევე თავისებური იქნება. ამათსავით მათი მონა კი არ გახდება. დე, იმათ ილოცონ და ოხვრითაც იმათ მოიოხონ გული.

ნუთუ შეიძლება ტანჯვა გ ი ნ დ ო დ ე ს? როცა საჭირო არაა, როცა არავინ გაიძულებს? ვერც კი წარმოიდგენ, ამის გაფიქრებაც კი გულს აგირევს. კვლავ თვალწინ გაუკრთა გაძვალტყავებული, უბადრუკი სხეული, ხელები, ჩამოკიდებულ სხეულს ძლივს რომ იჭერდა და გამშრალი ბაგეები, სიტყვა „მწყურია“ ძლივს რომ წარმოსთქვა. არა, ბარაბას არ მოსწონდა ის, ვინც ასეთ ვნებებს თავად ეძებდა, ვინც ჯვარზე საკუთარი სურვილით გაეკრა. არა, სულაც არ მოსწონდა! ესენი კი თავიანთ ჯვარცმულს აღმერთებდნენ, მის ტანჯვას, მის უბადრუკ სიკვდილს ესათუთებოდნენ, ან იქნებ, უბადრუკად სულაც არ ეჩვენებოდათ? სწორედ სიკვდილს აღმერთებდნენ. ბარაბას კი სწორედ ეს სძაგდა, გაფიქრებაც გულს ურევდა, არ სჭირდებოდა არც ეს მოძღვრება. არც ეს ხალხი, არც ეს ჯვარცმული, ვისიც მათ სწამდათ.

ო, არა, ვის-ვის და ბარაბას სიკვდილი არ უყვარდა. სიკვდილი სძულდა, სულაც არ უნდოდა. იქნებ, ასე ამიტომაც მოხდა? იქნებ, სიკვდილისაგან დახსნილი რჩეულიც ამიტომ აღმოჩნდა? თუ ჯვარცმული მართლა უფლის ძე გახლდათ, ნათელმხილველიც უნდა ყოფილიყო და მაშინ, ცხადია, ეცოდინებოდა, რომ ბარაბას სიკვდილი — ტანჯვა და სიკვდილი არ სურდა. ჰოდა, აიღო და მის ნაცვლად მოკვდა! ბარაბას კი ისღა დარჩა, გოლგოთაზე გაეცილებინა და მისი ჯვარზე გაკვრისათვის ეცქირა. მეტი არაფერი მოეთხოვებოდა, მაგრამ ესეც ბევრი იყო, მას ხომ სიკვდილიც და ყველაფერი, მასთან დაკავშირებული, ასე ხელაღებით სძულდა.

ჰო, უფლის ძე სწორედ მის ნაცვლად გარდაიცვალა! სხვაზე კი არა, სწორედ ბარაბაზე თქვა: ის გაათავისუფლეთ, მე კი ჯვარს მაცვითო!

ასე ფიქრობდა ბარაბა, სანამ მექოთნეების შესახვევში ფარდულს ფართო ნაბიჯებით შორდებოდა, სანამ ემშვიდობებოდა მათ, ვისთან შეერთებაც სურდა და ვინც, შენი მოსვლა არ მსიამოვნებსო, აშკარად აგრძნობინა.

ბარაბამ გადაწყვიტა მათთან აღარ მივალო.

მაგრამ მეორე დღეს, როცა მაინც მივიდა, მაშინვე ჰკითხეს. ჩვენს რწმენას რა ვერ გაუგეო და აშკარად აგრძნობინეს, გუშინდელ დღის გამო ვწუხვართ, ცივად რომ მიგიღეთ, თავს ვადანაშაულებთ, რახან ასე მხურვალედ გსურს, დაგარიგებთ და თვალს აგიხელთო. მაშ რა იკითხა? რა ვერ გაიგო?

ბარაბამ კინაღამ მხრები აიჩეჩა და უპასუხა, ვერაფერიც ვერ გავიგე და მაინცდამაინც არც მაწუხებსო. მაგრამ ამის ნაცვლად განაცხადა, ვთქვათ, ვერ წარმომიდგენია, რა არის აღდგომა და არც მჯერა, რომ შეიძლება ვინმე მკვდრეთით აღსდგესო.

მათ თავი აიღეს, ჯერ ბარაბას, შემდეგ ერთმანეთს შეხედეს, ცოტა ხანს იჩურჩულეს, ბოლოს კი ყველაზე უფროსმა იკითხა, ნოეარ გინდა ის კაცი ნახო, მოძღვარმა მკვდრეთით რომ აღადგინაო. თუ გინდა, გაჩვენებთ, ოღონდ საღამოს, სამუშაოს შემდეგ, რადგან ის იერუსალიმში არ ცხოვრობსო.

ბარაბა დაფრთხა. ამის მსგავსს ნაღდად არაფერს ელოდა. ეგონა, იმსჯელებენ, თავის აზრს გადმომიშლიანო, ასეთ უხეშ დამამტკიცებელ საბუთს კი ნაღდად არ ელოდა. ცხადია, ესმოდა, რომ ეს ყველაფერი მათი წარმოსახვის ნაყოფი, ღვთისმოსაური სიყალბე იყო, რომ ის კაცი უბრალოდ არც მომკვდარა, მაგრამ მაინც შეშინდა. იმ კაცის ნახვა სულაც არ სურდა, მაგრამ ამას ასე პირდაპირ ხომ ვერ იტყოდა. ძალაუნებურად ითვალთმაქცა, ძალიან მადლიერი ვარ და მიხარია, რომ საშუალება მეძლევა, თქვენი უფლისა და მოძღვრის ძლევამოსილება ვირწმუნოო.

საღამოს მოლოდინში იგი ქუჩებში დაეხეტებოდა და უფრო და უფრო ღელავდა. დღის ბოლოს კვლავ სამეთუნეოში მივიდა და ერთმა ყმაწვილმა ქალაქის კარიბჭის მიღმა, ზეთისხილის მთისკენ წაიყვანა.

ის, ვისთანაც მიდიოდნენ, მთის ფერდობზე შეფენილი პატარა სოფლის განაპირას ცხოვრობდა. ახალგაზრდა მეთუნემ კარზე ჩალის ფარდა გადასწია და დაინახეს, რომ მასპინძელი, მათგან გვერდშექცევით იჯდა მაგიდასთან, ხელები ზედ დაეწყო და წინ, ერთ წერტილს მიშტერებოდა. სტუმრები, ეტყობა ვერ შეამჩნია, სანამ ყმაწვილი წკრიალა ხმით არ მიესალმა. მაშინ სახე კარისკენ ნელა მოატრიალა და მისალმებაზე უცნაურად დახშული ხმით უპასუხა. ყმაწვილმა მექოთნეთა შესახვევის საძმოს მოკითხვა გადასცა, აუხსნა რისთვის მოვიდნენ და დამხვდურმაც, მაგიდასთან დასხედითო, ხელით ანიშნა.

ბარაბა მოპირდაპირე მხარეს დაჯდა და მისი სახე შეათვალიერა. კაცს ყვითელი, ერთი შეხედვით ძვალივით მაგარი სახე და ჩამომჭკნარი კანი ჰქონდა. ბარაბა ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ ასეთი სახე არსებობდა, არც ასეთი მიუსაფრობა უხილავს ოდესმე. კაცის სახე უდაბნოს ჰგავდა.

ყმაწვილის შეკითხვაზე, მასპინძელმა უპასუხა, ჰო, მოვკვდი, შემდეგ კი გალილეველმა რაბიმ, ჩვენმა მოძღვარმა, სიცოცხლე დამიბრუნაო. ოთხი დღე და ოთხი ღამე ვიწექი სამარეში, ახლა კი იგივე სული და იგივე სხეული მაქვს სულ არ შეცვლილვარ. მოძღვარმა თავისი ძალა და ბრწყინვალება გამოაჩინა და დაამტკიცა, რომ ჭეშმარიტად უფლის ძეაო.

იგი დინჯად ლაპარაკობდა, უტყვი სახე ჰქონდა და ბარაბას არაფრისმთქმელი მზერით შესცქეროდა.

შემდეგ მოძღვარსა და მის დიად საქმეებზე ცოტა კიდევ ისაუბრეს. ბარაბა საუბარში არ ჩარეულა. მერე ყმაწვილი იმავე სოფელში მცხოვრები მშობლების მოსანახულებლად წავიდა და ისინი მარტო დატოვა.

ყველას გული ერეოდა, აღარავის უხაროდა, რომ დაბრუნდა და ასე ადგომა და წასვლა არ შეეძლო, ვერც წასვლის მიზეზი ეპოვნა. ის კი თვალმოუშორებლად შესცქეროდა უცნაური, ჩამქრალი მზერით, რომელიც არაფერს, მით უმეტეს ბარაბასადმი ინტერესს არ გამოხატავდა და მაინც ასე უცნაურად იზიდავდა, ბარაბას წასვლა, თავის დაღწევა, გაქცევა უნდოდა, მაგრამ გაქცევა არ შეეძლო.

თავდაპირველად მასპინძელი დუმდა, შემდეგ ჰკითხა, ჩვენი მოძღვრისა თუ გწამს, ჭეშმარიტად უფლის ძე რომაა, თუ გჯერაო. ბარაბა შეყოყმანდა, შემდეგ, არაო, უპასუხა, რადგან უცნაური იყო მოტყუება ამ ცარიელი მზერისა, რომელსაც ცრუობდი თუ არა, სულაც არ ენაღვლებოდა. მასპინძელი არ განაწყენებულა, მხოლოდ თავი დაიქნია და თქვა:

— ჰო, ბევრს არა სწამს. გუშინ დედამისი მოვიდა. იმასაც არა სწამს. მე კი მხოლოდ იმისთვის დამიბრუნა სიცოცხლე, რომ ეს დავადასტურო.

ბარაბამ უთხრა, შენ როგორ არ ირწმუნებ, ალბათ, სამარადჟამოდ მისი მადლიერი ხარ ასეთი დიდი სასწაულით რომ გიხსნაო.

მასპინძელმა უპასუხა, ყოველდღე მადლობას ვწირავ, რომ სიცოცხლე დამიბრუნა, რომ მიცვალებულთა საუფლოში აღარ ვარო.

— მიცვალებულთა საუფლო? — წამოიყვირა ბარაბამ და თვითონ შენიშნა, რომ ხმა აუთრთოლდა, — მიცვალებულთა საუფლო?... როგორია? შენ ხომ იქ იყავი! მიამბე, როგორია!

— როგორია? — გამოეხმაურა მასპინძელი და ბარაბას გაოგნებით შეხედა. ცხადი იყო, შეკითხვის არსი არ ესმოდა.

— ჰო, რა ნახე, რა განიცადე?

— არაფერიც არ განვიცადე, — ისე უხალისოდ უპასუხა, თითქოს ბარაბას დაჟინებით უკმაყოფილო იყო. — მკვდარი ვიყავი. სიკვდილი კი არარა არს.

— არარა?

— ჰო, აბა რა უნდა იყოს?

ბარაბა თვალმოუშორებლად შესცქეროდა.

— ესე იგი, გინდა მიცვალებულთა საუფლოზე გიამბო? არაფრის მოყოლა არ შემიძლია. მიცვალებულთა საუფლო არარაა. იგი არსებობს, მაგრამ არარაა.

არა, ეს არავინ იცოდა. არც იმათ, ვინც გამოქვაბულში ჩურჩულსახე აშინებდა, მაგრამ თვალს მაინც ვერ აშორებდა.

— ჰო, — ჩაილაპარაკა მასპინძელმა და არაფრისმთქმელი მზე-

რით ბარაბას მიღმა გაიხედა. — მიცვალებულთა საუფლო არარაა, მაგრამ მისთვის, ვინც იქიდან დაბრუნდება, სხვა ყველაფერიც არარა გახლავთ. უცნაურია, რომ ეს მკითხე, სხვებს არ უკითხავთ.

და მან უამბო, იერუსალიმის საძმო ხშირად მიგზავნის მოსაქცევად ხალხს და მრავალი უკვე კიდეც მოვაქციეო. ასე ვემსახურები მოძღვარს, აუნაზღაურებელ ვალს ვუხდი, რადგან სიცოცხლე დამიბრუნა. თითქმის ყოველდღე ამ ყმაწვილს ან სხვას ჩემთან ვინმე მოჰყავს და მეც ჩემს მკვდრეთით აღდგომას ვუდასტურებ. ოღონდ მიცვალებულთა საუფლოზე არასოდეს მისაუბრია. მიცვალებულთა საუფლოს შესახებ ჩემთვის არავის და არასდროს უკითხავს რამეო.

ოთახში ბინდი ჩამოწვა. კაცი წამოდგა და დაბალ ჭერზე ჩამოკიდებულ ლამპარში ზეთი აანთო. შემდეგ პური და მარილი მოიტანა, მაგიდაზე დააწყო. პური შუაზე გატეხა, ნაწილი სტუმარს გაუწოდა, თავისი ნაწილი მარილში ჩააწო და შენც იგივე ჰქმენიო, ბარაბას შესთავაზა. ბარაბა ძალაუნებურად დაემორჩილა, თუმცა ხელები უკანკალებდა. ასე ისხდნენ და ლამპრის უღიმღამო შუქზე პურს შეექცეოდნენ.

ამ კაცმა სიყვარულის საღამო ბარაბასთან მოყვასურად გაატარა! აბა მექოთნეთა შესახვევის საძმოს კი არ ჰგავდა! ეს ადამიანებს ერთმანეთისაგან დიდად არ ასხვავებდა! მაგრამ, როცა გამხმარი, ყვითელი თითებით პურის ნატეხი გაუწოდა და ბარაბამ ის ძალაუნებურად გაღეჭა, მოეჩვენა მკვდრის ხორცსა ვჭამო.

რატომ, რატომ გატეხა პური ბარაბასთან ერთად? რა საიდუმლოება იმალებოდა ამ სერობის მიღმა?

როცა სერობა დასრულდა, მასპინძელმა ბარაბა კართან მიაცილა და მშვიდობიანად გაუშვა. ბარაბამ საპასუხოდ რაღაც ჩაიბუტბუტა და სიბნელეში სწრაფად გაუჩინარდა. იგი ქალაქისაკენ მიაბიჯებდა, დიდი ნაბიჯებით ფერდობზე ეშვებოდა. გონებაში კი აკვიატებული ფიქრები მოეჯარა.

სქელუა გაოცდა და გაიხარა, როცა იმ საღამოს კაცი თავაწყვეტილი სურვილით დაეუფლა. იმ საღამოს მისი თავაწყვეტილობა ზღვარს ცილდებოდა. ქალს მიზეზი ვერ გაეგო, მაგრამ გრძნობდა, რომ ამ საღამოს კაცი ნამდვილად დასაოკებელი იყო. არადა, ქალის გარდა ვის შეეძლო მისი დაცხრომა. და ქალსაც ეზმანებოდა კვლავ ახალგაზრდა ვარ და ისევ ვიღაცას ვუყვარვარო.

მეორე დღეს ბარაბამ ქალაქის ქვემო უბანს, მექოთნეთა შესახვევს თავი მოარიდა. მაგრამ საძმოს ერთ-ერთი წევრი მას სოლომონის კოლონადასთან გადაეყარა და მაშინვე გუშინდელი ამბები გამოჰკითხა. აბა რას იტყვი? ხომ არავის მოუტყუებიხარო? ბარაბამ უპასუხა, ჰო, მართალია, ის კაცი მოკვდა და შემდეგ აღსდგა, ამაში დაეჭვება შეუძლებელია, ოღონდ თავად არ მესმის, თქვენს მოძღვარს მისი მკვდრეთით აღსდგენა რისთვის დასჭირდაო. მექოთნე

გაშრა, უფლის ასეთი შეურაცხყოფით განაწყენებული გაფითრდა. მაგრამ ბარაბამ ზურგი შეაქცია და მასაც წასვლის გარდა სხვა აღარაფერი დარჩენოდა.

როგორც ჩანს, ეს ამბავი მხოლოდ მექოთნეების კი არა, ზეთისხდელების, დაბაღებისა და ქსლის მბეჭველთა შესახვევებშიც გაიგეს, რადგან იქ ხელმეორედ მისულმა ბარაბამ უცებ შეამჩნია: მორწმუნეები, ყოველთვის რომ ელაპარაკებოდნენ, ახლა უცებ შეიცვალნენ, დუმდნენ და ეჭვიანად, ალმაცერად უმზერდნენ. ახლო მეგობრები ისედაც არასოდეს ყოფილან, მაგრამ ახლა თავის უნდობლობას დაუფარავად ამჟღავნებდნენ. ერთი ჩამომხმარი ბებერი, რომელსაც ბარაბა არც კი იცნობდა, პირდაპირ თავს დაესხა, რას დადიხარ ჩვენგან რა გინდა, სასახლის, ან მღვდელმთავრის დაცვის, ანდა სადუკეველების მოგზავნილი ხომ არა ხარო. ბარაბამ ვერაფერი უპასუხა და მხოლოდ ამ ქაჩალი ბერიკაცის ბოღმისაგან გალურჯებულ მელოტ თავს დასცქეროდა. ეს კაცი ცხოვრებაში არასოდეს ენახა და არც მისი ვინაობა იცოდა, მხოლოდ ყურის ბიბილოში გაყრილმა ლურჯმა და წითელმა ნართმა, მღებავიაო, მიახვედრა.

ბარაბა მიხვდა, გამინაწყენდნენ და შეხედულება შეიცვალესო. ყველას სახეზე ახლა ცივი და მტრული გამომეტყველება აღბეჭდილიყო, ზოგიერთები კი მზერით ისე ბურღავდნენ, თითქოს მისთვის ნიღბის ჩამოხსნა ეწადათ. მაგრამ ბარაბა, ვერაფერს ვამჩნევო, თავს იკატუნებდა.

და აი, ბოლოს და ბოლოს აღსრულდა. ახალი ამბავი ყველა შესახვევს, სადაც მორწმუნეები ცხოვრობდნენ, ტყის ხანძარივით მოედო და მალე კაცი აღარ დარჩა, ყველამ იცოდა. ის არის! სწორედ ის, ვინც მოძღვრის ნაცვლად გაათავისუფლეს, ვისაც მაცხოვრის, უფლის ძის ნაცვლად შეუნდეს! ეს ბარაბაა! ბარაბა — შენდობილი!

კაცს ბოროტი მზერა თან სდევდა, სიძულვილით ანთებული თვალები შესცქეროდა.

ქარიშხალი არც მაშინ ჩაცხრა, როცა ბარაბა სრულიად განერიდა მათ.

— ბარაბა — შენდობილი! ბარაბა — შენდობილი!

თავის თავში ჩაიკეტა, აღარავის ხვდებოდა. გარეთ აღარც კი გადიოდა. სქელუასთან იწვა ფარდის მიღმა ან, თუკი შინ ძალიან ხმაურობდნენ, სახურავზე, ქოხში აფარებდა თავს. მთელ დღეებს ასე ატარებდა. არაფერს აკეთებდა, ჭამაც კი ავიწყდებოდა, თუ საჭმელს წინ არ დაუდგამდი და არ შეახსენებდი, არაფერს შეჭამდა. ირგვლივ ვეღარაფერს ამჩნევდა.

სქელუა თავს იმტვრევდა, რა დაემართაო, ვერაფერი გაეგო. შეკითხვას ვერ უბედავდა. ძალაუნებურად თავი უნდა შეეკავებინა,

რახან კაცს ასე სურდა. ეტყვი რამეს და არ გიპასუხებს, როცა არ უნდა შეიხედო ფარდის მიღმა, სულ წევს და ჭერს შესცქერის. სქელუა თავს იმტვრევდა. ხომ არ გადაირია? გონება ხომ არ დაუსუსტდა? არა, სქელუას არაფერი ესმოდა.

და უცებ მიხვდა. მაშინღა მიხვდა, როცა ხალხისაგან შეიტყო, ეგ დაეხეტება გიუებთან, რომლებმაც ირწმუნეს იმ კაცისა, ჯვარს რომ აცვეს მაშინ, როცა ბარაბას უპირებდნენ ჯვარზე გაკვრასო. ახლა კი მიხვდა! აშკარაა, ამიტომ გამოიცვალა! ახლა ყველაფერი ნათელია! იმათ გააგიჟეს! თავი ყოველგვარი სიბრიყვით გაშოუტენეს! ვინ არ გაგიჟდება, თუკი ამ ბრიყვებში გაერევა! მათ სჯეროდათ, რომ ჯვარცმული მაცხოვარი იყო, თუ რაღაც ამგვარი, ვითომ ის დაეხმარებოდა მათ, რასაც სთხოვდნენ, ყველაფერს მისცემდა, ვითომ იერუსალიმის მეფე გახდებოდა და ამ ქოსა ნაძირალებს გაყრიდა. კიდევ მრავალი ასეთი რამის სჯეროდათ, ქალმა მათი მოძღვრება ხეირიანად არ იცოდა მაგრამ ახირებულები რომ იყვნენ, ეს ყველას კარგად მოეხსენებოდა. ოჰ, ღმერთო ჩემო, იმათ რაღას გადაეკიდა? ვითომ რისთვის დასჭირდა? გასაგებია, ახლა ყველაფერი გასაგებია! თავად ბარაბას უპირებდნენ ჯვარზე გაკვრას, მერე კი აიღეს და ის, ვიღაც მათი მაცხოვარი აცვეს ჯვარს და წარმოგიდგენიათ, ეტყობა საჭირო გახდა ბარაბას მათთვის აეხსნა, ასე და ასე იყო, ბატონო, დამნაშავე არა ვარო, ისინი კი, ალბათ, მაინც თავისას ქაქანებდნენ შენ არ იცი, როგორი მშვენიერი, უმანკო და წმინდა, თანაც დიადი იყო ის, ვისიც ჩვენ ვირწმუნეთო, დიად მეუფეს, ჩვენს მაცხოვარს ასე არ უნდა მოქცეოდიო, ერთი სიტყვით, თავი ამგვარი სისულელეებით გამოუტენეს, ესეც გადაირია, მე რატომ არ მოვკვდი, მე უნდა მოვმკვდარიყავიო. ნათელია, დღესავით ნათელია, რომ ასე მოხდებოდა!

ჰო, ესე იგი იმიტომ გამოიცვალა, რომ მაშინ ჯვარს არ აცვეს! რა სიბრიყვეა! ოჰ, ბარაბა, რა სასაცილო ხარ, შეიძლება მუცელზე გასკდე! ყველაფერი ამის გამო მოხდა, ახლა გასაგებია!

და მაინც, საკმარისია, დროა უკვე გონება მოიკრიბოს, ნეტავ მასთან გონივრულად მოლაპარაკება შეიძლებოდეს. მაინც რა ჭირს? რა დაეტაკა?

მაგრამ გამოლაპარაკება ვერ მოახერხა. უნდოდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. განა ბარაბა თავის თავზე ილაპარაკებდა? არა, ასეთი საუბრებით ვერ მიუდგებოდი.

ასე რომ, ყველაფერი ძველებურად მიედინებოდა. ქალი გარს უვლიდა და კვლავ მკითხაობდა, რა დაემართაო. ავად ხომ არ გახდა? მართლა, იქნებ, ავად გახდა? სულ მთლად გაძვალტყავდა და თეთრ, ჩამომხმარ სახეზე ვარდისფრად მხოლოდ ელიახუს დანით მიყენებული ნაჭრილობევი უღვივის. რაღაც საცოდავია, თავის თავს აღარ ჰგავს. თავის თავს სულ აღარ ჰგავს. უსაქმოდ დაეხეტება, წევს და ჭერს ათვალიერებს. და ეს ბარაბაა? ეს ის კაცია ბარაბა რომ იყო?

იქნებ, გამოცვალეს? იქნებ, თავის თავს აღარ ეკუთვნის? იქნებ, ვიღაცის სული ჩაუსახლდა? მგონი ასეცაა! იმ მეორეს სული? ჯვარცმულის სული? ცხადია, მას ბარაბასთვის სიკეთე არ სურს. იქნებ, ამ „მაცხოვარმა“, როცა მოკვდა, აიღო და თავისი სული ბარაბას ჩაუსახლა, თავად რომ არ მომკვდარიყო, მიყენებული წყენისათვის შური რომ ეძია, შური შენდობილზე რომ ეძია? ასეც ხომ შეიძლებოდა მომხდარიყო! თუ ჩაუფიქრდებოდი, ბარაბა უცნაური სწორედ ამის შემდეგ გახდა, ქალს ხომ ახსოვს, როგორი იყო, ახალგათავისუფლებული რომ გამოეცხადა. ჰო, ეტყობა, სწორედ ასე იყო, ყველაფერი ნათელია. მხოლოდ აი, ძნელი გასაგებია, როგორ მოახერხა იმ რაბიმ თავისი სული ბარაბასთვის ჩაესახლებინა. სული ხომ გოლგოთაზე აღმოხდა, ბარაბა კი იმ დროს იქ არ იყო. მაგრამ, თუ მართლა ისეთი ძლიერია, როგორც ამბობენ, მისთვის ძალიან იოლი იქნება, სადაც სურს, უჩინრად იქ გამოცხადდეს. ასეთი ძალისხმევისა, რასაც მოინდომებს, იმას ჩაიდენს.

საინტერესოა, თავად ბარაბამ თუ იცოდა თავს რა გარდახდა? თუ ხვდებოდა, რომ სხვისი სული ჩაუსახლდა? რომ თავად მიიცვალა, მასში კი ჯვარცმული ცოცხლობდა? იცოდა თუ არ იცოდა?

იქნებ, ვერც ხვდებოდა, მაგრამ ამის გამო შვებას ნაკლებად გრძნობდა. ეს ნათლად ჩანდა. გასაგებიცაა. სხვისი სული სხვისი სულია და ბარაბასთვის მას სიკეთე არ სურდა.

ქალს იგი ეცოდებოდა, თვალს ვერ უსწორებდა, ისე ეცოდებოდა. კაციც თვალს არიდებდა, მაგრამ იმიტომ მხოლოდ, რომ მისი დანახვა არ უნდოდა. ქალი აღარ სჭირდებოდა, სულ აღარ სჭირდებოდა, ამიტომ არც უყურებდა. ღამღამობით ხომ სულ აღარ უნდოდა, ეს კი ყველაზე მძიმე ასატანი გახლდათ. სულელი დედაკაცი ადგა და ამ ბრიყვს მიეწეპა! ღამღამობით ქალი იწვა, ტიროდა და ახლა ეს ტირილი სიტკბოებას სულ აღარ ჰგვრიდა. უცნაურია, ასეთი რამ თუ კიდევ დაემართებოდა, ვერც წარმოედგინა.

როგორ მოიზიდოს? ჯვარცმული როგორ გააძევოს და ბარაბა ისევ თავის თავს როგორ დაამსგავსოს? ქალს წარმოდგენა არ ჰქონდა, სულებს როგორ აძევებდნენ. ამის შესახებ არაფერი იცოდა. ეს სული კი სახიფათო და ძლიერი ჩანდა. ქალს მისი ეშინოდა კიდეც, თუმცა გაუბედაობას ვერ დააბრალებდი. ბარაბას ხომ ზედ ეტყობოდა, რა ძლიერი სული ჰფლობდა. მან ხომ ისეთი დიდი, ჯანმრთელი ჭაბუკის მოთოკვა შესძლო, სულ ახლახან სიცოცხლით სავსე რომ იყო. როგორ მოახერხა? ასეთის შეეშინდება, აბა რა მოგივა. ის ხომ ჯვარცმული სული იყო და ამიტომაც აშკარად განსაკუთრებული ძალა ჰქონდა.

ძალიან ეშინოდაო, ვერ იტყოდი, უბრალოდ ჯვარცმა არაფრად ესაჭიროებოდა. მადლობა მოგვიხსენებია. ვერ დაემდურები, მას უშველებელი და სავსე, ბარაბას მოსარგები სხეული აქვს. ოღონდ, ნამდვილი ბარაბასი, აი, ისეთის, როგორიც უწინ იყო, სწორედ მე

უნდა გავეკარით ჯვარსო, სანამ დაიჩემებდა. ქალს კი უხაროდა და მერე როგორ უხაროდა, სწორედ ის რომ გამოუშვეს და ჯვარს არ აცვეს.

მარტოობის სევდით შეპყრობილი სქელუა ასე ფიქრობდა. შემდეგ კი, უცებ, ბარაბას სულ არ ვიცნობო, გაიფიქრა. არც ის ვიცი, რა დაემართა, ჯვარცმულის სული ჩაუსახლდა თუ სხვა რამ მოუვიდაო. კარგი ამბავია, მე და ჩემმა ღმერთმა, მხოლოდ ის მესმის, რომ მას არაფრად ვჭირდები, მე კი ასე ბრიყვულად შემიყვარდაო. ეს გაიფიქრა, ერთი წამოიტირა და უბედური ქალი ვარო, მიხვდა.

ბარაბამ, რაც ამ ქალთან ცხოვრობდა, რამდენჯერმე მოინახულა ქალაქი და ერთხელაც ასეთი რამ შეემთხვა.

ერთ პატარა სახლში შევიდა, დაბალჭერიან ქოხმახში, სადაც სინათლე სახურავზე დატოვებული ჭუჭრუტანებიდან აღწევდა და სადაც ტყავისა და სიმყავის მძაფრი სუნი იდგა. ალბათ, ტყავის სახელოსნო იყო, თუმცა დაბაღების ქუჩაზე კი არა, იდგა იმ მთის ფერდობზე, ტაძრიდან კედრონის ხეობისაკენ რომ ეშვებოდა. ადრე აქ, როგორც ჩანს, ტაძრისათვის მსხვერპლად შეწირულ ცხოველთა ტყავები გამოჰყავდათ. ახლა სახელოსნო მიტოვებულს ჰგავდა, კედლის გასწვრივ ჩამწკრივებული გობები და როფები ცარიელი იყო, თუმცა სუნი კვლავ ტრიალებდა. იატაკზე პურის ქერქები, მრავალგვარი ნარჩენები და სხვა ნაგავი ეყარა.

ბარაბა სახლში შეუმჩნევლად შესხლტა, შესასვლელთანვე კუთხეში ჩაიკუნტა და მლოცველებით სავსე ოთახი მოათვალიერა. ბევრი ვერაფერი დაინახა. კარგად მხოლოდ ისინი მოჩანდნენ, ვისაც ჭუჭრუტანიდან გამოღწეული სხივი ეცემოდა. ეტყობა, ყველგან ლოცულობდნენ, ბინდბუნდიდანაც ისმოდა ბუტბუტი. მოულოდნელად რომელიმე კუთხეში ხმა უფრო და უფრო აიწევდა, ისევ ჩაწყნარდებოდა და საერთო ზუზუნში ჩაიკარგებოდა. ანდა უცებ ყველა ერთად ახმაურდებოდა, გახელდებოდა, ვიღაცა წამოიმართებოდა და მაცხოვრის აღდგომას მგზნებარედ დაადასტურებდა. დანარჩენები მაშინვე ჩაწყნარდებოდნენ და მთქმელისაკენ ისე შებრუნდებოდნენ, თითქოს მისი ძალა ჩვენც გადმოგვეცემაო, ელოდნენ. როცა ის ერთი სიტყვას დაასრულებდა, ლოცვას უფრო მგზნებარედ იწყებდნენ. მოწმეთა სახეებს ბარაბა ვერ ხედავდა, მხოლოდ ერთადერთხელ მოწმე თითქმის მის გვერდით წამოდგა და კაცმა მისი ოფლით დაცვარული სახე შენიშნა. მლოცველს ამქვეყნად თითქოს ყველაფერი დავიწყებოდა, მის ჩაცვენილ ლოყებზე ოფლის წვეთები მოგორავდნენ. ხანშიშესული კაცი იყო, სულმოუთქმელად ლაპარაკობდა. უცებ მიწაზე განერთხო და შუბლი იატაკს ისე დაახალა,

როგორც ლოცვის ჟამს ყველა ახლის ხოლმე. თითქოს მოულოდნელად გაახსენდა, რომ იმ ჯვარცმულის გარდა, ვისზედაც დაუსრულებლად ლაპარაკობდა, კიდევ მამა ღმერთიც არსებობდა.

ამის შემდეგ შორეული კუთხიდან ხმა გაისმა და ეს ხმა ბარაბას ეცნო. იქით გაიხედა და სინათლის სხივში გალილეადან ჩამოსულ წითურ ახმახს მოჰკრა თვალი. ის სხვებზე მშვიდად ლაპარაკობდა და გალილეურ კილოზე უქცევდა, რაც იერუსალიმელებს საერთოდ სასაცილოდაც არ ყოფნიდათ. მიუხედავად ამისა, ამ კაცს სხვებზე უფრო ყურადღებით უსმენდნენ, მის ყოველ სიტყვას გაფაციცებით იჭერდნენ, თუმცა განსაკუთრებულს არაფერს ამბობდა. თავდაპირველად ცოტა თავის „ძვირფას“ მოძღვარზე ილაპარაკა, სხვაგვარად არც ახსენებდა. შემდეგ მლოცველებს შეახსენა, როგორც მოძღვარმა თქვაო, ყველას, ვინც ჩემი ირწმუნა, ჩემი სახელისთვის გააძევებენ და დევნას დაუწყებენო. ყველამ უნდა აიტანოს თავისი ტანჯვა და ყველას უნდა ახსოვდეს, თავად მოძღვარი როგორ ეწამა. მართალია, ჩვენ მხოლოდ სუსტი, საცოდავი ადამიანები ვართ. მას კი არ ვგავართ, მაგრამ უნდა ვეცადოთ გამოცდას გავუძლოთ, მასზე უარი არ ვთქვათ და რწმენას არ ვუღალატოთო. მეტი არაფერი უთქვამს. და ამასაც მათ კი არა, თითქოს თავის თავს ახსენებდა. როცა სიტყვა დაასრულა, შეკრებილებს იმედგაცრუება დაეტყოთ. ეს, ალბათ, მანაც შეამჩნია და თქვა, ახლა იმ ლოცვას წაგიკითხავთ, თავად მოძღვარმა რომ მასწავლაო. ასეც მოიქცა და სანამ კითხულობდა, მგონი, ყველა ძალიან კმაყოფილი იყო და ბევრი ატირდა კიდეც. მლოცველები როგორღაც აღფრთოვანდნენ. აი, მან ლოცვა დაასრულა, ბარაბასთან ახლოს მდგომნი მოტრიალდნენ, თითქოს გადაკოცნას უპირებდნენ და ბარაბამ ისინი მაშინვე იცნო. სწორედ მათ დაუყვირეს მაშინ „განვედ ჩვენგან უწმინდუროო.“.

შემდეგ კიდევ ორმა დაამოწმა და ყველა ისე აივსო ღვთიური სულით, ისე ატოკდა, აქეთ-იქით ქანაობაც კი დაიწყეს. ბარაბა ყოველივე ამას თავისი კუთხიდან გამჭრიახი თვალებით უთვალთვალებდა.

და უცებ შეცბა. ერთი სხივის ქვეშ კურდღლისტუჩა შენიშნა. ქალი იდგა, ხელები ჩავარდნილ მკერდზე დაეკრიფა და ფერმკრთალი სახე სინათლისთვის მიეშვირა. მას შემდეგ, რაც სამარესთან დაშორდნენ, ბარაბას ქალი აღარ უნახავს. ის კი უფრო გამხდარა და გასაცოდავებულა, ლოყები შიმშილისგან ჩაცვივნოდა, სხეულს კი ძონძები ძლივს უფარავდა. ყველა გაოცებით უმზერდა — ეტყობა, მას აქ არავინ იცნობდა. ეტყობა, ქალი მათ უცნაური ეჩვენათ, იქნებ, ამ ძონძების გამო, თუმცა მიზეზი თავადაც არ ესმოდათ და რას იტყვისო, გაოგნებული ელოდნენ.

ეს რაღად მოძვრებოდა დასამოწმებლად? რა მოიფიქრა? ბარაბამ გუნებაში ამოიხვნეშა. ნუთუ არ ესმის, რომ ეს მისი საქმე არაა?

ძალიან გაბრაზდა ქალზე, თუმცა მასაც არაფერი ესაქმებოდა აქ. აბა, რაში ჭირდებოდა დამოწმება?

და აი, ქალმა დაიწყო. მოძღვრისა და მაცხოვრის რწმენაზე რაღაც ჩაიდუდღუნა, მაგრამ მგონი გული ვერავის აუჩუყა. პირიქით, ჩვეულებრივზე გაცილებით ბრიყვულად და გაუგებრად ლაპარაკობდა. იმიტომ, რომ ერთად ამდენ მსმენელს მიჩვეული არ იყო და რცხვენოდა. ისინი კი ნათლად აჩვენებდნენ, უხერხულად ვგრძნობთ თავს და სირცხვილით თვალები სად დავმალოთ, არ ვიცითო. ზოგიერთმა კი უბრალოდ ზურგი შეაქცია. ბოლოს და ბოლოს, „უფალო. აი, დავადასტურე, როგორც მიბრძანეო" თუ რაღაც ამის მსგავსი წაიბუტბუტა, კვლავ სოხანეზე მოიკუნტა და შეეცადა, რაც შეიძლება ნაკლები ყურადღება მიექცია.

ყველამ შეცბუნებით გადახედა ერთმანეთს, ამ ქალმა ხომ არ დაგვცინაო. იქნებ, მართლაც ასეა! მგონი, ყველას დაშლა და სხვადასხვა მხარეს წასვლა მოუნდა. ერთ-ერთი უფროსი კაცი, რომელმაც ბარაბას „განვედ ჩვენგან უწმინდუროო", უთხრა, წამოდგა და დაშლის დროაო, განაცხადა. შემდეგ დაამატა, ალბათ, ყველასთვის გასაგებია, ქალაქში კი არა, აქ რად შევიკრიბეთ, ხელმეორედ სხვაგან შევიკრიბებით, თუმცა სად — ჯერ არავინ იცის, მაგრამ უფალი ამდვილად მოძებნის ჩვენთვის თავშესაფარს, სადაც მიწიერი ბოროტება არ შეგვეხება, ის არ მიატოვებს თავის ფარას, ის — მწყემსი კეთილი და...

ბარაბას მეტი აღარ მოუსმენია. ქოხიდან სხვებზე ადრე შეუმჩნევლად გამოძვრა. უნდოდა ყველაფერ ამას, რაც შეიძლება, მალე გასცლოდა.

კაცს გული ერეოდა.

როცა დევნა დაიწყო, ბრმა ბებერი, დაყრდნობილი იმ ჭაბუკის ხელს, რომელსაც სული ეხუთებოდა, სინედრიონში, მდევრებთან მივიდა და უთხრა:

—სანაგვე კარიბჭესთან ერთი ქალი ერესს ავრცელებს ვიღაც მაცხოვარზე, რომელიც თითქოს დაბრუნდება და მთელ ქვეყანას შეცვლის. რაც კი ახლა არსებობს, თითქოს ყველაფერი დაიღუპება და დაიწყება ახალი, უკეთესი ცხოვრება, სადაც მხოლოდ მისი ნება აღსრულდება. იქნებ, საჭიროა ეს ქალიც ქვებით ჩავქოლოთ?

მდევარი წინდახედული კაცი იყო და უსინათლოს თხოვა, უფრო დაწვრილებით ამიხსენი ყველაფერიო. მაინც რას ეყრდნობა მისი ბრალდება? და რაც მთავარია, რომელ მაცხოვარზეა ლაპარაკი? უსინათლომ უპასუხა, სწორედ იმ მაცხოვარზე, რომლის რწმენის გამო ხალხს ქვებით ქოლავენ და სამართლიანობა მოითხოვს ეს ქალიც ჩაიქოლოსო. მე ხომ ჩემი ყურით გავიგონე, როგორ განაცხა-

და, ჩემი უფალი ყველას, თვით კეთროვანებსაც გადაარჩენს, განკურნავს, ისინიც განიწმინდებიან და სხვებზე ულირსნი აღარ იქნებიანო. აბა ნახეთ, რა მოხდება. კეთროვანები, ალბათ, ყველგან იხეტიალებენ, თანაც ეუვნებს მოიხსნიან, მაშინ როგორღა უნდა გაარჩიო, განსაკუთრებით ბრმა თუ ხარ? განა შეიძლება ასეთი ერესის გავრცელება?

გვერდით, სადღაც წყვდიადში, ბრმამ გაიგონა, რომ საბჭოს მოღვაწემ წვერი მოიქექა და შემდეგ იკითხა, ამ დაპირებებისა ვინმეს თუ სჯერაო.

— ასეთებიც გვხვდებიან, — უპასუხა ბრმამ. — სანაგვე კარიბჭესთან ბრბო, რასაც გინდა, იმას დაიჯერებს. კეთროვანებმა კი, ცხადია, ყველაზე მეტად გაიხარეს. გარდა ამისა, ქალი მათთან დაეხეტება, გალავანთან მიდის, მათი ამფსონი გახდა ის ურცხვი ისა. ვინ იცის, იქნებ, მათთან ცოდავს კიდეც. თავად მე არ ვიცი. მაგრამ გამიგონია, ქალწული არ არისო. იმასაც ამბობენ, თავისი ახალშობილი მოკლაო. თავად არ ვიცი, ხალხი რასაც ამბობს, მხოლოდ ის მესმის. ყურები ხომ მაქვს, თუმცა თვალი არ მიჭრის, უსინათლო ვარ. ეს კი დიდი უბედურებაა, ბატონო ჩემო, სიბრმავე დიდი უბედურებაა.

საბჭოს მოღვაწემ იკითხა, ამ „მაცხოვარს", როგორც თავად ეძახის, ან უფრო სწორად ჯვარცმულს, ქალმა ბევრი თაყვანისმცემელი თუ შესძინაო.

— ბევრი. განკურნება ყველას უნდა. ქალი კი პირდება სახიჩრებს, შეშლილებს, უსინათლოებს, ყველას მოარჩენსო. ასე რომ, ამ ქვეყნად არავითარი მწუხარება აღარ იქნება არც სანაგვე კარიბჭესთან და არც სხვაგანო. ახლა კი ქალზე განაწყენდნენ, მაცხოვარი აქამდე რად არ გამოჩნდაო. ქალი ხომ დიდი ხანია დაპირდა, ის კი არა და არ მოდის. ჰოდა, ხალხს მობეზრდა. ახლა დასცინიან, ლანძღავენ, ეს ხომ გასაგებია, აბა, რა საჭიროა, ღამღამობით ქვითინი და ხალხისთვის ძილის დაფრთხობა. მარტო კეთროვანებსღა სჯერათ, არცაა გასაკვირი, იმდენი ეტლიკინა. ასე პირდება ტაძართან მიგიშვებენ და უფლის სავანეში შესვლის ნებას დაგრთავენო.

— ვის? კეთროვანებს?

— ჰო.

— ეს როგორ იტლიკინა?

— ეს ხომ ქალის დაპირება არაა, ეს მისი უფლის პირობაა. უფალი კი ისე ძლიერია, ყველაფრის დაპირება და ყველაფრის შეცვლა შეუძლია. ის ყოველივეს განაგებს, რადგან უფლის ძეა.

— უფლის ძე!

— ჰო.

— უფლის ძეა? ასე ამბობს?

— ჰო, ეს მკრეხელობაა, ყველას მოეხსენება. ის ხომ ჯვარს აცვეს, მეტი რაღა იქნება. ვინც გაასამართლა, ალბათ, იცოდა, რას აკეთებდა?

— ერთ-ერთი მსაჯული თავად ვიყავი.

— თუ ეგრეა, მისი ვინაობა ჩემზე კარგად გცოდნია.

დროებით სიჩუმე ჩამოწვა. უსინათლოს კვლავ ესმოდა ის, მეორე, წყვდიადში წვერს როგორ იქექავდა. შემდეგ იმავე ხმამ აუწყა, ქალი სამართალში უნდა მივცეთ, დეე, პასუხი აგოს და თუ შეუძლია, თავისი რწმენა დაიცვასო. ბებერმა მადლობა გადაუხადა, თავი მდაბლად დაუკრა და კედელზე ხელის ფათურით მოძებნა კარი, რომლითაც შემოვიდა. მის დასახმარებლად საბჭოს წევრმა მსახური მოიხმო და სანამ მას ელოდა, წესი რომ არ დაერღვია, უსინათლოს შეეკითხა, ქალზე დაბოღმილი ხომ არ ხარო.

— დაბოღმილი? რისთვის? ხალხზე დაბოღმილი საერთოდ არა ვარ. რისთვის? მე ხომ არასდროს და არავინ დამინახავს. არც ერთი სულიერი არ დამინახავს.

მსახურმა ბებერი ქუჩაში გაიყვანა. კართან კი ელოდებოდა ის ყმაწვილი, რომელსაც სული ეხუთებოდა. უსინათლო ყმაწვილს ხელზე ჩაებღაუჭა და ერთად გაუყვნენ გზას.

კურდღლისტუჩას განაჩენი გამოუტანეს და წაიყვანეს იმ ორმოსთან, სადაც მსჯავრდადებულებს ქვებით ქოლავდნენ. ეს ორმო ქალაქიდან ცოტა სამხრეთით მდებარეობდა. ქალის კვალს მისდევდა მყვირალა ბრბო, ტაძრის დაცვის ერთ-ერთი უფროსი და მისი მცველები. ისინი წელს ზემოთ შიშვლები იყვნენ, თმა და წვერი დაწნული ჰქონდათ, ხელში კი ეჭირათ ტყავის მათრახები, რომლებიც რკინის წვეტებით ბოლოვდებოდნენ. მცველები წესრიგს იცავდნენ. როცა ადგილზე მივიდნენ, აღგზნებული ბრბო ორმოს გარს შემოერტყა, მცველმა კი გოგონა ძირს ჩაიყვანა. ორმოში უამრავი ქვა ეყარა, ორმოს სიღრმეში კი ქვები ძველსა და შავ სისხლს ჩაემუქებინა.

დაცვის უფროსმა ყველას გაჩუმება უბრძანა, მღვდელთმთავრის მაცნემ სასჯელი, მისი მიზეზები ხმამაღლა გამოაცხადა და დასძინა, პირველი ქვა ბრალის დამდებმა უნდა ისროლოსო. შემდეგ უსინათლო ორმოს კიდეზე დააყენეს და აუხსნეს, რა უნდა გაეკეთებინა, მაგრამ ბრმას ამის გაგონებაც არ სურდა.

— ქვა რად ვესროლო? რა მესაქმება ამ ქალთან? თვალით არასოდეს დამინახავს!

როცა, ბოლოს და ბოლოს, აუხსნეს, წესი ასეთია და ამისგან თავს ვერავინ დაიხსნისო, მან პირქუშად ჩაილაპარაკა:

— რას იზამ.

ბებერს ხელში ქვა ჩაუდეს და მანაც ეს ქვა წყვდიადში მოისროლა. ერთხელ კიდევ სცადა — და კვლავ არაფერი გამოუვიდა. მას ხომ წარმოდგენა არ ჰქონდა სამიზნე სად იყო, უბრალოდ ქვას

წყვდიადში ისროდა, წყვდიადი კი ყველგან ერთნაირი იყო. ბარაბამ, რომელიც ბებრის გვერდით იდგა და აქამდე მხოლოდ მას, ქვემოთ მდგარ ქალს დასცქეროდა, ახლა შენიშნა, რომ უსინათლოს დასახმარებლად ვიღაც მოვარდა. ამ კაცს პირქუში, ბებერი, გაძვალტყავებული სახე ჰქონდა, შუბლზე კი ტყავის ტოპრაკებში ჩაკერებული აღთქმის მცნებები მიემაგრებინა. ალბათ, მწიგნობარი იყო. მან ბრმის ხელი მიზნისაკენ მიმართა, რათა დასჯა გაგრძელებულიყო, მაგრამ ამჯერადაც არაფერი გამოვიდა. ქვები მიზანს არ ხვდებოდა. სიკვდილმისჯილი ქვემოთ იდგა, გაბრწყინებული თვალები ფართოდ გაეხილა და რა მოხდებაო, ელოდა.

სამართლიანმა მოღვაწემ, ბოლოს და ბოლოს, მოთმინება დაკარგა, დაიხარა, დიდი, წვეტიანი ქვა აიღო და მთელი თავისი ბებრული ძალ-ღონით გოგონას ესროლა. ქვა მიზანს ზუსტად მოხვდა, ქალი შეტორტმანდა და გამხდარი ხელები როგორღაც უმწეოდ აიქნია. ბრბო აღფრთოვანებით აყვირდა, ხოლო სამართლიანი წინ გადაიხარა და თავის ნამოქმედარს, ეტყობა, უზომოდ კმაყოფილმა დახედა. ბარაბამ მისკენ ნაბიჯი გადადგა, სამოსი ოდნავ წამოუწია და ზუსტი, ჩვეული ხელით დანა გაუყარა. ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, თვალი ვერავინ მიატანა. ხალხს ამისთვის სად ეცალა, მსხვერპლს ქვებს უმიზნებდნენ და ესროდნენ.

ბარაბამ ორმოს კიდისკენ გზა ხელისკვრით გაიკვლია და დაინახა, რომ ქვემოთ, კურდღლისტუჩამ რამდენიმე ნაბიჯი წინ ტორტმანით გადადგა, ხელები გაშალა და დაიყვირა:

— მოვიდა! მოვიდა!.. ვხედავ მას, ვხედავ! — შემდეგ მუხლებზე დაეცა, თითქოს ვიღაცის კალთას ჩაებღაუჭა და ჩაიდუდღუნა, — უფალო, როგორ დავადასტურო, უფალო, მომიტევე და შემიწყალე, უფალო...

შემდეგ გასისხლიანებულ ქვებზე დაეცა და სული განუტევა.

როცა ყველაფერი დასრულდა, ორმოს კიდესთან ხალხმა დაინახა, რომ ერთი კაცი მკვდარი ეგდო, მეორემ კი ვენახები გადაირბინა და კედრონის ხეობისაკენ მიმავალ გზაზე, ზეთისხილის ბაღში მიიმალა. მცველები გამოედევნენ და ეძებეს, მაგრამ თითქოს მიწამ უყო პირიო, ვერსად იპოვნეს.

* * *

დაღამდა თუ არა, ბარაბა ორმოსთან დაბრუნდა და ქვემოთ ჩავიდა. სიბნელეში ვერაფერს ხედავდა და წინ ხელების ფათურით მიიწევდა. სულ ქვემოთ იპოვნა ქალის დაფლეთილი სხეული, რომელიც ქვებით თითქმის დაემარხათ. რადგან ქვებს სიკვდილის შემდეგაც დიდხანს ესროდნენ. ქალის სხეული ისეთი პატარა და მსუბუქი იყო, სულ არ დაუმძიმებია ბარაბას ხელები, როცა ის ციცაბო ფერდობზე ამოძვრა და სიბნელეს შეერია.

ბარაბას ქალის ნეშტი მიჰქონდა. დროდადრო დასასვენებლად ჩამოჯდებოდა და მიცვალებულის სხეულს სიბნელეში გვერდით დაასვენებდა. შემდეგ ღრუბელი გაიფანტა, ვარსკვლავები აკიაფდნენ, მთვარე ამოვიდა და მიდამო გაანათა. კაცი იჯდა, შესცქეროდა ქალის სახეს, რომელიც უცნაურად კი ეჩვენა, თითქმის არ დაზიანებულიყო. არც იმაზე ფერმკრთალი ჩანდა, ვიდრე სიცოცხლეში იყო. მეტი სიფერმკრთალე არც არსებობს. მთლად გამქვირვალე იყო. ნაპრილობევიც ზედა ტუჩზე სულ არ ეტყობოდა, თითქოს მნიშვნელობა არა ჰქონდა. ეტყობოდა თუ არ ეტყობოდა. ჰო, ახლა მაინც რა მნიშვნელობა ჰქონდა.

ბარაბას გაახსენდა, როგორ მოისაზრა და ქალს მიყვარხარო, უთხრა. დაეუფლა კიდეც — არა, ჯობდა ახლა ამაზე არ ეფიქრა... მაგრამ. მიყვარხარო როცა უთხრა — უთხრა მხოლოდ იმისთვის, არ გამცეს და დამემორჩილოსო — მერე და სახე როგორ გაუნათდა!

ამისთანების მოსმენას შეჩვეული არ იყო... ბარაბამ ნამდვილად გააბედნიერა მაშინ, არადა, ალბათ, ხვდებოდა კიდეც, რომ ატყუებდნენ. იქნებ, ვერც ხვდებოდა? ასე იყო თუ ისე, კაცმა თავისას მიაღწია. ყოველდღე მოდიოდა და იმდენი საჭმელი მოჰქონდა, რომ კაცი შიმშილით არ მომკვდარიყო — თავადაც მასთან წვებოდა, უფრო ხშირადაც წვებოდა, ვიდრე კაცს ჭირდებოდა. ბარაბაც ეუფლებოდა, იმიტომ, რომ სხვა ქალი გვერდით არ ჰყავდა, ეუფლებოდა, თუმცა მისი დუღღუნა ხმა ზარავდა და ნაკლები ილაპარაკეო, თხოვდა. შემდეგ ფეხი მოურჩა და ცხადია, წავიდა, აბა რა უნდა ექნა!

ბარაბამ წინ გადაჭიმული უდაბნო მოათვალიერა. მიტოვებულსა და მკვდარ უდაბნოს, მთვარის მკვდარი შუქი ეფინა. ოთხივე მხრივ ასეთი უდაბნო გადაჭიმულიყო. კაცი იცნობდა ამ უდაბნოს და რომც არ შეეხედა, მაინც მთლიანად ხედავდა.

„გიყვარდეთ ერთმანეთი...“.

კვლავ ქალის სახე შეათვალიერა, შემდეგ სხეული ხელში აიტაცა და მთისკენ გასწია.

აქლემებისა და ცხვრების ბილიკს გაუყვა, იუდეის უდაბნოს გავლით მოაბელთა ქვეყნისაკენ რომ მიემართებოდა. ბილიკი თითქმის არ მოჩანდა, მაგრამ ცხოველთა ნაკვალევი ან არადა, ტურების მიერ დაღრღნილი ჩონჩხები მოსახვევებს მიანიშნებდა. შუაღამემდე ასე იარა, შემდეგ ბილიკი ქვემოთ დაეშვა და ბარაბა მიხვდა, ცოტაღა დამრჩაო. იგი ვიწრო ნაპრალში გაძვრა და თითქოს სხვა, უფრო მიტოვებულ და პირქუშ უდაბნოში გავიდა. აქ ისევ ბილიკი გამოჩნდა. მაგრამ ბარაბა დასასვენებლად ჩამოჯდა. მძიმე აღმართის დაძლევით გაიტანჯა. თანაც ადგილამდე მისვლას ცოტაღა აკლდა.

ნეტავ თავად მოახერხებდა პოვნას თუ მოხუცთან მოუწევდა წასვლა? ბარაბას მოხუცთან წასვლა არ უნდოდა, ჯობდა უმისოდ ეპოვნა. მოხუცი, ალბათ, ვერ მიხვდებოდა, მიცვალებული რისთვის მოასვენა. განა თავად ბარაბა კი ხვდებოდა? რა საჭირო იყო?.. მაგ-

რამ იფიქრა, აქ მისი სახლიაო, თუკი საერთოდ სადმე ჰქონდა სახლი... გალგალში არაფრით არ დაკრძალავდნენ, იერუსალიმში კი მის სხეულს, ალბათ, ძაღლებს მიუგდებდნენ. ეს კი ძალიან ცუდია. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს? რა განსხვავებაა? აი, ბატონო, მოიყვანა თავის საცხოვრებელთან, საიდანაც გააძევეს და სადაც, ალბათ, იმავე სამარეში ჩაწვება, მისი ჩვილი რომ წევს. მერე რა შეემატება? უბრალოდ მისთვის უნდოდა გარჯილიყო. ადვილი არ არის — მიცვალებული გაახარო.

ეს იერუსალიმი რას აიკვიატა? რად დაუკავშირდა იმ ჭკუანაკლულ მეუდაბნოვეებს, ვისაც მხოლოდ ერთი აზრი აქვთ აკვიატებული — დიდი მესია მოგვევლინება და ვიჩქაროთ, ყველამ უფლის წყალობას შევაფაროთ თავი? ჯობდა მოხუცისთვის დაეგდო ყური და არც არაფერი დაემართებოდა. მოხუცი ადგილიდან დაძვრას არც აპირებდა. ასე ამბობდა, მეყოფა, იმედი უკვე იმდენჯერ მომეცა და გამიცრუვდა, მესიობა უკვე იმდენმა კაცმა დაიჩემა, ვითომ ეს რად აღმოჩნდება ჭეშმარიტი მესიაო. კურდღლისტუჩამ კი აიღო და შეშლილებს დაუჯერა.

ჰოდა, წევს დასახიჩრებული, მკვდარი. იმას შეეწირა. არის კი ის ჭეშმარიტი მესია?

ჭეშმარიტია, არა? ქვეყნის მაცხოვარია? ადამიანთა მოდგმის მაცხოვარია? მაშ ქალს რად არ დაეხმარა? მის გამო ქვებით რად ჩააქოლინა? თუ მაცხოვარია, ქალი რატომ არ გადაარჩინა?

მისთვის ხომ ეს იოლზე იოლი იქნებოდა, თუკი მოინდომებდა. მაგრამ არა, ტანჯვა ჭირდებოდა, თავადაც ეწამა და სხვაც უნდა ეწამებინა. მოწმეებიც ჭირდება. „უფალო, აი, დავადასტურე, როგორც მიბრძანე...“ „მკვდრეთით აღვსდექი, რათა დამედასტურებინა...“.

არა, ბარაბას ეს ჯვარცმული გულზე არ ეხატებოდა. ბარაბას იგი სძულდა. ქალი სწორედ მან მოკლა. მსხვერპლიც ქალისაგან სწორედ მან მოითხოვა და თავი არ დაიხსნასო, თვალიც მიადევნა. იქ, ორმოშიც კი ჩავიდა. ქალმა ხომ დაინახა, მისკენ წავიდა, ხელები გაუშვირა, შველა თხოვა, კალთებზე ჩაებღაუჭა — მან კი დასახმარებლად თითიც არ გაანძრია. ესაა უფლის ძე? უფლის მოყვარული ძე! ქვეყნის მაცხოვარი!

თავად ბარაბამ ის მაინც მოკლა, ვინც პირველი ქვა ისროლა. ეს ხომ მაინც გააკეთა. თუმცა ცხადია, ესეც ცოტაა. ქვა უკვე გაფრენილი იყო, უკვე მოხვდა. უშედეგო საქმე გახლდათ. და მაინც, მაინც, ბარაბამ ქვის მსროლელი მოკლა.

კაცმა მოღრეცილი პირი ხელით გაიწმინდა და მწარედ ჩაიცინა. შემდეგ მხრები აიჩეჩა, წამოდგა, თავისი ტვირთი ისე გაღიზიანებულმა ასწია, თითქოს ტარებით დაიღალა და გზას გაუდგა.

მოხუცის სავანეს გვეერდი აუქცია, თუმცაღა იცნო, პირველად რომ გადააწყდა, მაშინვე დაიმახსოვრა. ისიც გაახსენდა, მოხუცმა

ჩვილის სამარესთან როგორ მიიყვანა. კეთროვანების გამოქვაბულები მარცხნივ მოჩანდნენ, ჭკუანაკლული მეუდაბნოვეებისა კი პირდაპირ, თუმცა მაშინ იქამდე არ მიუღწევიათ, ჰო კაცს ყველაფერი გაახსენდა, თუმცა ახლა, მთვარის შუქში ყველაფერს სხვა იერი დაჰკრავდა. აი აქ, ფერდობზე დაეშვნენ და მოხუცმა უამბო, ბავშვი მკვდარი დაიბადა, იმიტომ, რომ დედის მუცელშივე შეჩვენებული იყოო. მაშინვე დავმარხე. რადგან მკვდარი რაც იბადება, ყოველივე უწმინდურიაო. „შეჩვენდეს ნაყოფი მუცლისა შენისა...“ დედას არ შეეძლო მოსვლა, სამაგიეროდ, მერე სამარესთან ხშირად იჯდა ხოლმეო... მოხუცი ლაპარაკობდა, დაუსრულებლად ლაპარაკობდა...

აქ არის? მგონი აქ უნდა იყოს... აჰა, აქ არის, აი, ეს ლოდიც... ბარაბამ ლოდი გადასწია და ქალი გამხმარი ჩვილის გვერდით დააწვინა. დასახიჩრებული სხეული ისე გაასწორა, თითქოს ცდილობდა მოხერხებულად მოეწყო. მისი სახე და ახლა მნიშვნელობა დაკარგული ტუჩის ზემოთა ნაჭრილობევი უკანასკნელად შეათვალიერა, შემდეგ ლოდი თავის ადგილას დააბრუნა, დაჯდა და უდაბნოს თვალი მოაელო. უდაბნო მიცვალებულთა საუფლოს ჰგავს, ფიქრობდა იგი, ქალი ახლა უკვე იქაა, თავად მივიყვანე. თუმცა მნიშვნელობა არა აქვს. კაცი სიკვდილის შემდეგ სად წვება, მაგრამ ქალი სხვაგან კი არა. მაინც თავისი გამხმარი ჩვილის გვერდით წევს. რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე, კიდევ ერთხელ გაიფიქრა ბარაბამ, ირიბად ჩაიცინა და წითური წვერი მოიქექა.

„გიყვარდეთ ერთმანეთი...“.

* * *

როცა თავისიანებთან დაბრუნდა, ისე გამოცვლილიყო, უწინდელი ბარაბა ვეღარავინ იცნო. მართალია, იმ ორმა, მაშინ იერუსალიმში რომ იყვნენ. ყველას უამბო, უცნაური გახდაო, მაგრამ გასაკვირი აბა რა იყო, ის ხომ ამდენი ხანი ჯურღმულში იჯდა და თანაც ჯვარზე კინალამ გააკრეს. ალბათ მალე გაუვლიდა. მაგრამ არა, არ გაუარა. თუმცა კარგა ხანია დრო დამდგარიყო. მიზეზი ვერავის გაეგო, მაგრამ ბარაბა აშკარად თავის თავს აღარ ჰგავდა.

საერთოდ. ყოველთვის ახირებული ჩანდა, ვერ გაუგებდი, რას ფიქრობდა, რას აპირებდა. მაგრამ ახლა სხვანაირად იყო საქმე. ახლა მათთვის სრულიად უცხო გახდა და თავადაც, ვგონებ, მათ ისე უცხოებივით უყურებდა, თითქოს პირველად ხედავდა. როცა გეგმებს უზიარებდნენ — არც უსმენდა და არც სიტყვას ჩაურთავდა, თითქოს მისთვის სულ ერთი იყო. იორდანეს ხეობაში, საქარავნო გზებზე თავდასხმებში. ცხადია, მონაწილეობდა, მაგრამ როგორღაც უხალისოდ, ნადავლისთვის თავს იკლავსო, ვერ იტყოდი. მთლად თავს არ არიდებდა ხიფათს, მაგრამ აღარც აღარაფერი აკლდა. ვინ იცის,

იქნებ, ამასაც გულგრილობის გამო აკეთებდა. თითქოს აღარაფერი უნდოდა. მხოლოდ ერთხელ, როცა მღვდელთმთავრისათვის განკუთვნილ, იერიქონის მცხოვრებლებისაგან შეგროვილ აღალს ძარცვავდნენ, იგი უცებ სიბრაზისაგან გახელდა და აღალის მოდარაჯე, ტაძრის ორივე მცველი აჩეხა. ვერავინ გაიგო, რისთვის აჩეხა, მათ ხომ წინააღმდეგობის გაწევა არც უფიქრიათ, მაშინვე დანებდნენ, როგორც კი ბევრად გეპარბობენო, დაინახეს. შემდეგ ცხედრებიც შეურაცხყო და ყველამ გადაწყვიტა, ეს კი მეტისმეტი მოუვიდაო. მცველები, მღვდელთმთავრის მსახურები მათ თავადაც სძულდათ, მაგრამ მიცვალებულები — ტაძრის, ტაძარი კი უფლის საკუთრება იყო. ჰოდა, ცოტა დააკლდათ, კინაღამ დაფრთხნენ, როცა ბარაბამ მიცვალებულები ასე შერყვნა.

საერთოდ, არც კი უცდია, რაიმე ისეთი ჩაედინა, რაც თითოეული მათგანისათვის ღირსეული იქნებოდა. თითქოს მათი საქმე სულაც არ ენაღვლებოდა. იორდანეს ფონზე გასვლის ჟამსაც კი, როცა რომაელ ჯარისკაცებს შეუტიეს, თავი დიდად არ გამოუდვია. არადა, ესენი არ იყვნენ. კინაღამ ჯვარზე რომ გააკრეს? დანარჩენები ისე დახღილდნენ, ყველას ყელი გამოღადრეს და გვამები მდინარეში გადაყარეს. ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ბარაბას ხალხის მჩაგვრელები სხვებივით სძულდა, მაგრამ ყველა რომ მასავით გულგრილად მოქცეულიყო, იმ საღამოს კარგი დღე არ დაადგებოდათ.

გარდასახვა გაუგებარი იყო. თუ მათ შორის ვინმესთვის შეიძლებოდა ჭეშმარიტად მამაცი გეწოდებინა, ამას სწორედ ბარაბა იმსახურებდა. ხანდახან უკიდურესად თავზეხელაღებულ თავდასხმებს აწყობდა და თავადაც პირველი მიდიოდა. მისთვის შეუძლებელი არ არსებობდა, ყველაფერს ახერხებდა. სწორედ სიმამაცისა და ჭკუის გამო ენდობოდნენ და ბარაბას გეგმებს ყოველთვის წარმატება მოაქვსო, იმ აზრსაც მიეჩვივნენ. ის თითქმის მეთაური გახდა, თუმცა მეთაურებს საერთოდ არ სცნობდნენ და ბარაბაც არ უყვარდათ. იქნებ, მეთაურიც ამიტომ გახდა? სწორედ იმიტომ, რომ ახირებული და ჯიუტი იყო და მათ არ ჰგავდა. მის ხასიათს ხომ ვერა და ვერ აუღეს ალღო, ყოველთვის უცხო რჩებოდა. ერთმანეთის შესახებ მათ ყველაფერი იცოდნენ, ბარაბას შესახებ კი — თითქმის არაფერი და საოცარია, სწორედ ამიტომ ენდობოდნენ. ცოტა არ იყოს ეშინოდათ კიდეც ამ კაცისა და ამიტომ, სულის სიღრმეში უფრო მეტად ენდობოდნენ. თუმცა არა, უმთავრესი მიზეზი მაინც მისი სიმამაცე და ჭკუა იყო, რასაც წამოიწყებდა, ყველაფერს წარმატებულად ასრულებდა.

ახლა კი — აბა ვის ჭირდება მეთაური, რომელსაც მეთაურობა სულაც აღარ სურს და საერთოდაც აღარაფერი უნდა? მეთაური, რომელიც მხოლოდ გამოქვაბულის შესასვლელთან ზის და იორდანეს ხეობას ან უფრო მოშორებით — მკვდარ ზღვას რომ ეძახიან, სწორედ იმ ზღვას გასცქერის? რომელიც ისეთი უცნაური მზერით

გიყურებს, რომ სულს გიშფოთებს? სულ მუდამ დუმს და თუ დაგელაპარაკა კიდევ ერთხელ დარწმუნდები, რომ ახირებულია, თითქოს ფიქრებით სადღაც შორს დაქრის, გულისამრევია. იქნებ იმიტომ, რომ იერუსალიმში ასე დიდხანს ჩარჩა და ჯვარზე კინაღამ გააკრეს? თითქოს მართლაც გააკრეს ჯვარზე და თავისიანებთან მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნდა.

ყველას გული ერეოდა, აღარავის უხაროდა, რომ დაბრუნდა და კვლავ მათთან მოვიდა. მისი ადგილი აქ აღარაა. მეთაურად ხომ ნაღდად აღარ გამოდგება — სხვა რაღაში გამოდგება? უნდა იფიქრო, აღარაფრისთვის ვარგა? ჰო, უცნაურია, მაგრამ ასე უნდა იფიქრო.

თუ კარგად გაიხსენებ, ბარაბა ყოველთვის არ იყო ის კაცი, ვინც ყველას თვითონ მიუძღვის და ყველაფერს თვითონვე წყვეტს. ისეთი გულადი და თავზეხელაღებული, რომელსაც არც ხიფათი, არც სიკვდილი, არაფერი აფრთხობს, არა, ასეთი არ იყო, სანამ ელიახუმ თვალის უპის ქვეშ ნაჭრილობევი არ დაუტოვა. მანამდე, პირიქით, სიმამაცით მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა. საერთოდ, ეს ყველას ახსოვდა. მერე კი უცებ მამაკაცად გადაიქცა. სწორედ მას შემდეგ, რაც ელიახუ, ეტყობა მოსაკლავად, მუხანათურად თავს დაესხა. ისინი განწირულებივით დაეჭიდნენ ერთმანეთს და ბარაბამ ზორბა, საშიში, მაგრამ უკვე ხანდაზმული და დამძიმებული ელიახუ გამოქვაბულის შესასვლელიდან ხევში მოისროლა. ახალგაზრდა უფრო სხარტი და მოქნილი იყო და თავისი ძალ-ღონის მიუხედავად, ბებერი მეომარი მას ვერ მოერეოდა. სულ ტყუილად წამოიწყო ეს ჩხუბი. ნეტავ რას ერჩოდა? ასე რად სძულდა ბარაბა? ეს არავის ესმოდა, მაგრამ რომ სძულდა, ყველამ იცოდა.

მათი მეთაურიც ბარაბა სწორედ მაშინ გახდა. მანამდე კი თავი დიდად არ გამოუჩენია, მამაკაცი იგი მხოლოდ მას შემდეგ გახდა რაც ნაჭრილობევი შეიძინა.

აი, ასე ლაპარაკობდნენ, ლაპარაკობდნენ — ჩურჩულებდნენ.

მაგრამ მათ არ იცოდნენ და არც არავინ იცოდა, რომ ელიახუ, ვინც ასე კარგად ახსოვდათ, ბარაბას მამა იყო. ეს არავინ იცოდა, არც შეიძლებოდა ვინმეს სცოდნოდა. მისი დედა, მოაბელი ქალი, ტყვედ ჩაიგდეს, როცა იერიქონის გზაზე ქარავანი გაძარცვეს. ამ ქალთან ჯერ ყველა კარგად გაერთო, შემდეგ კი იერუსალიმში საროსკიპოს მიჰყიდეს. საროსკიპოში ჩქარა შენიშნეს მალე იმშობიარებსო და იქიდანაც გააძევეს, ქალმაც შუა ქუჩაში იმშობიარა, მკვდარიც იქვე იპოვნეს. არავინ იცოდა ბარაბა ვისი შვილი იყო, თავად ქალიც ვერ იტყოდა ამას. მხოლოდ იმის თქმაღა შეეძლო, რომ ნაყოფი მუცელშივე შეაჩვენა და ზეცისა და დედამიწის, ზეცისა და დედამიწის შემქმნელის სიძულვილით შობა.

არა, ეს არავინ იცოდა. არც იმათ, ვინც გამოქვაბულში ჩურჩულებდნენ და არც შესასვლელში ჩამომჯდარმა ბარაბამ, მოაბის

გადატრუსულ მთებს და მკვდარ ზღვად წოდებულ უკიდეგანო სივრცეს რომ გასცქეროდა.

ბარაბას ელიახუ არც კი გახსენებია, თუმცა სწორედ იმ ადგილას იჯდა საიდანაც მაშინ ის გადააგდო. კაცმა არ იცის, რა მიზეზით, ან უფრო სწორად, სრულიად უმიზეზოდ, იგი ჯვარცმული მაცხოვრის დედაზე ფიქრობდა. იხსენებდა, თუ როგორ იდგა ქალი და თავის მილურსმულ ძეს, თავისავე გაჩენილ ვაჟიშვილს შესცქეროდა. თვალწინ ედგა მისი გამშრალი თვალები, გლეხური, უხეში სახე, რომელსაც ტკივილის გამოხატვა არ შეეძლო, ან იქნებ, ამის გამოხატვა უცხოების თანდასწრებით არ სურდა? არ ავიწყდებოდა მისი საყვედურით აღსავსე მზერა, მას, ბარაბას რომ შეავლო, როცა წინ ჩაუარა. რატომ შეხედა სწორედ ბარაბას? თითქოს სხვისთვის არაფერი ჰქონდა სასაყვედურო!

კაცი ხშირად ფიქრობდა გოლგოთაზე, იქ მომხდარ ამბავზე, და ქალზე, იმ მეორეს დედაზე...

იგი იჯდა და დაუსრულებლად შესცქეროდა მკვდარი ზღვის მიღმა მთებს და ბინდს, რომელიც მოაბელთა მიწაზე ეშვებოდა.

ისინი კი თავს იმტვრევდნენ, ბარაბა როგორ მოვიშოროთო. ოცნებობდნენ თავი დაეხსნათ ამ უსარგებლო ტვირთისგან, აღარ დაენახათ ეს პირქუში სახე, რომელიც სევდის მომგვრელი იყო და ყოველგვარ სიხარულს სპობდა. როგორ მოიქცნენ? უცებ ხომ ვერ ეტყვიან აღარ გვჭირდები, ზედმეტი ხარ, სჯობს წახვიდეო? აბა ამის თქმას ვინ გაბედავს? თავი არავის გამოუდვია. სიმართლე თუ გნებავთ, ვერავინ ბედავდა. ეს უაზრო, ბრიყვული შიში, თუ რაც გნებავთ ის უწოდეთ, ძვალსა და რბილში ჰქონდათ გამჯდარი.

და კვლავ ჩურჩულებდნენ, ყველას თავი მოგვაბეზრა, არ გვიყვარს, არც არასოდეს გვყვარებია, იქნებ, იღბალმაც სწორედ ამიტომ გვიღალატა, აი, ახლახან კიდევ ორი კაცი დავკარგეთ, ან სიკვდილ-მისჯილის გვერდით რა იღბალმა უნდა გაგვიჭრასო. გამოქვაბულს ყრუ, მძაფრი სიძულვილი ავსებდა, ბინდიდან თითქმის ზიზღნარევი მზერა შესცქეროდა მას, ვინც ქარაფის თავზე მარტოდმარტო დაუსრულებლად იჯდა და ხალხს თითქოს ცუდი ბედ-იღბლის ნიშნად ეკლინებოდა. როგორ მოეშორებინათ თავიდან?

და აი, ერთხელაც, განთიადისას ბარაბა გაქრა... აღარსად ჩანდა. თავდაპირველად იფიქრეს, ჭკუაზე შეირყა და კლდიდან გადავარდა ან ბოროტი სული ჩაუსახლდა და თავად გადაჩეხაო. იქნებ, ელიახუს სულმა გაუსწორა ანგარიში? სწორედ იმ ადგილას, სადაც ოდესღაც ელიახუს დასახიჩრებული სხეული იპოვნეს, ხრამი გაჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინეს. მის კვალს საერთოდ ვერსად მიაკვლიეს. ბარაბა უბრალოდ გაქრა.

ყველას მაშინვე გულზე მოეშვა და ისინიც ციცაბო მთის კალთაზე მზით გახურებულ თავის ბუდეში მიბრუნდნენ.

* * *

არავინ იცის, შემდგომში ბარაბა როგორ ცხოვრობდა. ზუსტად ვერავინ გეტყვით, სად გადაიკარგა ან რას აკეთებდა, სანამ ჯერ კიდევ ჯან-ღონით სავსე მამაკაცი იყო. ზოგიერთებს ჰგონიათ, გაუჩინარების შემდეგ, სინას ან იუდეას უდაბნოებში გადაიხვეწა და მარტოსული, უფლისა ადამიანების სამყაროებზე ფიქრობდაო. სხვები პირიქით, ამბობდნენ სამარიელებთან წავიდაო, სწორედ იმათთან იერუსალიმის ტაძარი, ღვთისმსახურები და მწიგნობრები რომ სძულთ და პასექის დროს, მათ წმინდა მთაზე, კრავის შეწირვის ჟამს, მუხლებზე დაჩოქილი, ჰარისიმის მთაზე მზის ამოსვლას ელოდაო.

ზოგიერთები კი დაბეჯითებით ამტკიცებენ, უმეტესწილ იგი სირიასთან ახლოს, ლიბანის ფერდობებზე, ყაჩაღთა ბანდის მეთაური იყო და თუკი იუდეველებსა და ქრისტიანებს წააწყდებოდა, დაუნდობლად უსწორდებოდაო.

და როგორც უკვე ითქვა, რა იყო მართალი და რა ტყუილი, დაბეჯითებით არავინ იცოდა. სამაგიეროდ, ზუსტად ცნობილია, რომ უკვე მეექვსე ათეულ წელში გადამდგარმა ბარაბამ რამდენიმე წელი პათოსში, რომის ნაცვლის სპილენძის საბადოებში გაატარა და ბოლოს მისსავე სახლში მონად აქციეს. არავინ იცის, რისთვის დაიჭირეს ან საბადოებში მუშაობა რისთვის მიუსაჯეს — უფრო საშინელი სასჯელი ხომ არ არსებობდა. მაგრამ გასაოცარი ის კი არ არის, რომ საბადოში მოხვდა, გასაოცარი ისაა, რომ ამ ჯოჯოხეთში, თუნდაც მონად ქცეული, ცხოვრებას დაუბრუნდა. თუმცა აქ განსაკუთრებული რამ მოხდა.

ახლა იგი სახედანაოქებული და ჭაღარა კაცი იყო, თუმცა ყოველივე იმის შემდეგ, რაც ბედისწერამ არგუნა, საოცრად კარგად გამოიყურებოდა. გასაკვირველად მალე გამოკეთდა და ძველებურად ძალ-ღონით აივსო. როცა მაღაროდან ამოვიდა, მიცვალებულს ჰგავდა: ჩამომხმარი სხეული ჰქონდა, ორ დამშრალ ჭასავით თვალის ფოსოებიდან სიცარიელე იხედებოდა. შემდეგ თვალებმა სამყარო ისევ აირეკლა, ადრინდელზე უფრო მღელვარე და ქანცგაწყვეტილი ძალის მოდარაჯე მზერა შეიძინა, მაგრამ დროდადრო კვლავ იელვებდა ის სიძულვილი, რითიც დედამისმა სამყარო შეაჩვენა, როცა ბარაბას აჩენდა. თითქმის შეუმჩნეველი ნაჭრილობევი კვლავ გაულურჯდა და გაჭაღარავებული წვერისაკენ დაეშვა.

ასეთი ძლიერი რომ არ ყოფილიყო, ვერაფერი გადაარჩენდა. ამისთვის მადლობა უნდა ეთქვა ელიახუსა და მოაბელი ქალისთვის, ვისგანაც სიცოცხლე მიიღო საჩუქრად. მაგრამ არც ერთს არ უყვარდა იგი, პირიქით, სძულდა, არც ერთმანეთი უყვარდათ. სიყვარული

თურმე რა ცოტას ნიშნავს. მაგრამ ბარაბამ არ იცოდა, რით იყო დავალებული იმ ორი ადამიანისაგან, სიძულვილით რომ ეხვეოდნენ ერთმანეთს.

იგი აღმოჩნდა დიდ სახლში, სადაც თავი უამრავ მონას მოეყარა. მათ შორის ერთი მაღალი, მოუხეშავი, გაძვალტყავებული სომეხიც იყო, რომელსაც სახელად სააკი ერქვა. ზედმეტად ახოვანი სააკი, მუდამ მხრებში მოხრილი დადიოდა. დიდი, ოდნავ გადმოკარკლული, შავი და ფართოდ გახელილი თვალები ისე უელავდა, თითქოს ცეცხლი ეკიდა. ჭაღარა, მოკლე თმისა და თითქმის გადატრუსული სახის გამო, ხნიერს ჰგავდა, თუმცა სინამდვილეში ორმოცს ცოტათი იყო გადაცილებული. ისიც მაღაროდან ამოვიდა. მრავალი წელი იქ ბარაბასთან ერთად გაატარა და თავის დახსნაც მასთან ერთად მოახერხა. თუმცა ვერა და ვერ გამოკეთდა. დაძაბუნებული და მთლად გაჭაღარავებული. თითქოს კატორღელის სამუდამო დაღს ატარებდა. სახე მთლად ჩანაცრისფერებული ჰქონდა. ასე გეგონებოდათ, რაღაც ისეთი განიცადა, რაზეც ბარაბას წარმოდგენა არა აქვსო. ეს მართლაც ასე იყო.

დანარჩენ მონებს ძალიან აინტერესებდათ ეს ორი კაცი, ვინც იქიდან დაიხსნა თავი, საიდანაც ჩვეულებრივ ვერავინ გამოდიოდა. მათი ამბის მოსმენა ძალიან უნდოდათ! მაგრამ ისინი დუმილით უკლიდნენ გვერდს თავის წარსულს, საერთოდ თავი ყველასგან შორს ეჭირათ, ერთმანეთსაც თითქმის არ ელაპარაკებოდნენ, ამიტომ გაუგებარი იყო მათი ურთიერთობა. არადა, განუყრელად ერთად იყვნენ. უცნაურია. საკმელად და დასასვენებლად ერთძახეთის გვერდით სხდებოდნენ, ღამ-ღამობით, თივაზეც გვერდიგვერდ ეძინათ, იმიტომ, რომ მაღაროში ერთი ჯაჯვით იყვნენ გადაბმულები.

ისინი ერთმანეთს მაშინვე გადააბეს, როგორც კი მატერიკიდან ჩამოიყვანეს. მონებს თავიდანვე ორ-ორს გადააბამდნენ ხოლმე და ამის შემდეგ მაღაროში ასე წყვილად მუშაობდნენ, ერთმანეთთან დაშორება აღარ შეეძლოთ. ეს ტყუპი — მონები ერთმანეთს ზედმეტად კარგად იცნობდნენ. ხანდახან ერთმანეთი მძაფრი სიძულვილით სძულდათ და ისიც ხდებოდა, სულ უმიზეზოდ, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ჯოჯოხეთში გადაბმულნი იყვნენ, ერთმანეთს დაუნდობლად დაეტაკებოდნენ ხოლმე.

მაგრამ ეს ორი კაცი თითქოს მორიგდა და ერთმანეთს უბედურების ატანაშიც კი ეხმარებოდა. არცთუ იშვიათად საუბრობდნენ და კატორღელის მძიმე ტვირთს ამით იმსუბუქებდნენ. თავად ბარაბა ცხადია, დიდი მოსაუბრე არ გახლდათ, მაგრამ მეორეს ყურადღებით უსმენდა. თავდაპირველად თავის თავზე არაფერს ყვებოდა, ორივე დუმდა, საიდუმლო, რომლის გამხელაც არ სურდათ, ორივეს ჰქონდა და ბევრმა წყალმა ჩაიარა, სანამ ერთმანეთის შესახებ რაიმეს შეიტყობდნენ. ერთხელაც, სრულიად შემთხვევით, გაირკვა, რომ ბარაბა ებრაელია და წარმოშობით იმ ქალაქიდანაა, იერუსალიმად

რომ იწოდება. სააკი შეკრთა და შეკითხვები სეტყვასავით დააყარა. ერთი შეხედვით ამ ქალაქს კარგად იცნობდა, თუმცა მის ახლოსაც არასოდეს გაუვლია. ბოლოს ბარაბას ჰკითხა, ხომ არაფერი იცი იქ რომ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა იმ რაბის, იმ უდიდესი წინასწარმეტყველის შესახებ, ვისი მოძღვრებაც ბევრმა იწამაო. ბარაბა მიხვდა, რას ეკითხებოდა და კი. გამიგონიაო, უპასუხა. სააკმა გაბოკითხვა კვლავ გააგრძელა, მაგრამ ბარაბამ თავი აარიდა და თითქმის არაფერი ვიცი, უთხრა. თვალით თუ უნახავს? ჰმ, როგორ არა, კი, დაუნახავს. სააკი მგონი შეაძრწუნა იმ ცნობამ, რომ ბარაბას რაბი ნანახი ჰყავდა და ცოტა ხნის შემდეგ, მართალს თუ ამბობო, ისევ ჩაეკითხა. ბარაბამაც კვლავ უხალისოდ და ნაძალადევად, ჰო, მინახავსო, უპასუხა.

სააკს წერაქვი გაუვარდა. იგი იდგა, ღრმად ჩაფიქრებული, თავისი ხვედრით გაოგნებული. მისთვის უცებ ყველაფერი შეიცვალა. ამ სიახლის ბოლომდე აღქმა არ ძალუძდა. მაღაროც შეიცვალა, უცებ ყოველივე შეიცვალა. ის თურმე უფლის მხილველ კაცთან იყო გადაჯაჭვული.

და უცებ ზურგი ზედამხედველის მათრახმა აუწვა, მან სწორედ ამ დროს ჩაიარა. დარტყმისას სააკი მოიხარა, თითქოს მათრახს ასე უფრო აიცილებდა. და აღგზნებულმა წერაქვი აამუშავა. როცა მწვალებელმა, როგორც იქნა ჩაიარა, სააკს სისხლი ღვარად ჩამოსდიოდა და ახოვანი სხეული უკანკალებდა. ხმის ამოღება კიდევ დიდხანს ვერ შესძლო. მაგრამ როგორც კი ლაპარაკი მოახერხა, სად და როდის ნახეო, შეეკითხა. ტაძარში ან სამლოცველოში ხომ არ მოგიკრავს თვალი? მაშინ ხომ არ უსმინე, როცა თავის მომავალ მეუფებაზე საუბრობდა? ან იქნებ, სხვა დროს იხილეო? ბარაბა თავდაპირველად დუმდა. შემდეგ, გოლგოთაზე ვნახეო, უხალისოდ ჩაილაპარაკა.

— გოლგოთა? რა გოლგოთა?

ბარაბამ უპასუხა, ეს სწორედ ის ადგილია, სადაც ბოროტმოქმედებს ჯვარზე აკრავენო.

სააკი მიჩუმდა. თვალები ძირს დახარა. შემდეგ კი ძალიან ჩუმად ჩაილაპარაკა:

— აი თურმე სად გინახავს.

ასე ითქვა პირველი სიტყვა იმ ჯვარცმულზე, ვისზედაც შემდგომში ამდენს ლაპარაკობდნენ.

სააკს მოძღვრის, მისი წმინდა სიტყვებისა და უდიდესი სასწაულების შესახებ, რაც შეიძლება მეტის გაგება ეწადა. ჯვარს რომ აცვეს, ეს ხომ თავადაც იცოდა, აბა როგორ არ ეცოდინებოდა. კარგი იქნებოდა, ბარაბას რაიმე სხვაც მოეყოლა...

გოლგოთა... გოლგოთა... რა უცნაური, უცხო სახელია, არადა, რამდენი ხანია იცოდა, რამდენჯერ გაუგონია იქ, ჯვარზე, მაცხოვარი როგორ კვდებოდა, რა დიდი სასწაულები მოხდა. ბარაბას ჰკითხა, თუ დაინახე ორად გაპობილ ტაძარს რიდე როგორ გადაე-

ფარა, მთაც ხომ ორად გაიპო და თუ იქ იდექი, ალბათ, ესეც უნდა ვენახაო?

ბარაბამ უპასუხა, შეიძლება ასეც მოხდა, მაგრამ მე არაფერი შემიმჩნევიაო.

— კი მაგრამ, მკვდრები ხომ სამარეებიდან გამოვიდნენ! ისინი ხომ მკვდრეთით აღსდგნენ, რათა მისი ძალა და ბრწყინვალება დაედასტურებინათ.

— ჰო... — ჩაილაპარაკა ბარაბამ.

— მისი სიკვდილის ჟამს ხომ მთელ დედამიწაზე წყვდიადი ჩამოწვა.

ო, აი ეს ბარაბამ თავადაც იხილა. წყვდიადი ნამდვილად დაინახა.

სააკი, როგორც ჩანს, ბარაბას პასუხმა გააბედნიერა, თუმცა სასჯელის საშინელ ადგილზე ფიქრი თრგუნავდა. მას გაპობილი შთა, ჯვარი და ჯვარზე მსხვერპლად შეწირული უფლის ძე თითქოს თვალწინ ედგა. ცხადია, მაცხოვარი უნდა დატანჯულიყო და მომკვდარიყო. ასე ეწერა, ჩვენს გადასარჩენად ეწერა. ჰო, ასეა, თუმცა შეუძლებელია ამის გაგება. მაგრამ სააკი უფრო ხარობდა, როცა მას განდიდებულს წარმოიდგენდა თავის სამეუფეოში, სადაც ყოველივე სხვანაირი იყო და აქაურობას არ ჰგავდა. ჯობდა მასზე გადაჯაჭვულ ბარაბას გოლგოთას გარდა მაცხოვარი კიდევ სადმე ეხილა. რაღა მაინცდამაინც იქ ნახა?

— უცნაურია, — უთხრა მან ბარაბას. — უცნაურია, რომ მაინცდამაინც იქ იხილე. იქ საიდანღა გაჩნდი?

ამ შეკითხვას ბარაბამ დუმილით უპასუხა.

მეორედ სააკმა, ნუთუ მანამდე მართლა არასოდეს გინახავსო, ჰკითხა. ბარაბამ უცებ არ უპასუხა. შემდეგ პრეტორიის ეზოშიც ვიყავი, როცა ასამართლებდნენო, უთხრა და, როგორ მოხდა, ისიც უამბო. გაიხსენა ის უცნაური შარავანდედი, სიკვდილმისჯილს რომ შემოეხვია. სააკი აღტაცებული დარჩა, როცა შარავანდედის ამბავი გაიგო. ბარაბამ კი აღარ ისურვა დაემატებინა, ყველაფერი იმიტომ მომეჩვენა, რომ მაშინ ის-ის იყო ჯურღმულიდან ამოვედი და მზემ თვალი მომჭრაო. რა საჭირო იყო? სააკს ამით რა მოემატებოდა? ან ვის რა მოემატებოდა? ჰოდა, არაფერი აუხსნა და სააკიც გაბედნიერდა, დაუსრულებლად ითხოვდა ამ სასწაულზე რამე კიდევ მიამბეო. კაცს სახე უბრწყინავდა, მისი ბედნიერება თითქოს ბარაბასაც გადაედო, თითქოს ბედნიერებას ერთად იყოფდნენ. და ყოველთვის, როცა სააკი თხოვდა, ბარაბა თავის არაჩვეულებრივ ხილვებს აღწერდა და ყოველთვის იმ დიდი ხნის წინანდელ უცნაურ შუქს თითქოს თავიდან ხედავდა.

ცოტა ხანიც გავიდა და სააკს გაანდო, მაცხოვრის აღდგომის მომსწრე ვიყავიო. არა, არ დამინახავს როგორ აღსდგა. ეს არავის დაუნახავს. მაგრამ ის კი ვიხილე, როგორ ჩამოფრინდა ციდან ანგე-

ლოზი; რომელსაც ხელი შუბივით გაეშვირა, ცეცხლი კი ანაფორა-სავით ემოსა. შუბმა სამარეს ლოდი მოაგლიჯა, იგი ლოდსა და კლდეს შორის ჩაერჭო, გააპო და მეც დავინახე, რომ სამარე ცარიელი იყო...

საკი სუნთქვაშეკრული უსმენდა და დიდ, ნდობით აღსავსე თვალებს ბარაბას არ აშორებდა. ნუთუ? ნუთუ ამ საცოდავმა, ბინძურმა მონამ ეს ყველაფერი იხილა? ნუთუ უდიდესი სასწაული, ყველა სასწაულთა სასწაული მის თვალწინ აღსრულდა? ვინ არის იგი? მისთვის, საკისათვის რად მოიღეს ასეთი წყალობა, რად გადააჯაჭვეს ისეთ კაცს, ვინც ასეთი რამ განიცადა, ვინც უფალთან ასე ახლოს იყო?

ამ ამბავმა ბედნიერებისაგან თავგზა აუბნია და საკიც მიხვდა, დროა, ჩემს საიდუმლოებას ფარდა ავხადო, დამალვა უკვე შეუძლებელია. მან ფრთხილად მიმოიხედა, დარწმუნდა, რომ გვერდით არავინ ედგა და ბარაბას რაღაცას გაჩვენებო, ჩურჩულით შეპირდა. შემდეგ ბარაბა კლდის შეერილზე დამაგრებულ ლამპართან მიიყვანა და მოციმციმე ალის შუქზე, ყელზე ჩამოკიდული მონის საჭდე აჩვენა. ყველა მონას ეკიდა ასეთი საჭდე, რომელზედაც მეპატრონის დამღა ამოეტვიფრათ. აქ, მაღაროებში, ყველა საჭდეზე რომის დამღა იყო დასმული, ისინი სახელმწიფო მონები იყვნენ. მაგრამ საკის საჭდეს უკანა მხარეზე ორივემ გაარჩია უცნაური, იდუმალი ნიშნები, რომლის მნიშვნელობა არც ერთს ესმოდა. საკმა აუხსნა ეს ჯვარცმულის, მაცხოვრის, უფლის ძის სახელიაო. ამ უცნაურ, თითქოს ჯადოქრულ ნაჭდევს ბარაბა გაოგნებული დასცქეროდა. მაგრამ საკმა ჩასჩურჩულა, ამას მხოლოდ ერთი მნიშვნელობა აქვს, კერძოდ ის, რომ მე, საკი, უფლის ძეს ვეკუთვნი, მისი მონა ვარო. შემდეგ ბარაბას უფლება მისცა საჭდესათვის ხელი შეეევლო. ბარაბაც დიდხანს იდგა და საჭდე ხელში ეკავა.

უცებ ორივეს მოეჩვენა ზედამხედველი მოდისო. არა, შეცდნენ და კვლავ უცნაური წარწერისაკენ დაიხარენ. საკმა ბარაბას ჰკითხა, ეს ერთმა ბერძენმა მომცა. ეს ბერძენი ქრისტიანი და თავადაც მონა იყო, სწორედ მან მიამბო მაცხოვრისა და მისი ძეუფების შესახებ მალე რომ დაიწყება და მისი როგორ ვირწმუნო, ისიც მასწავლა. იგი სადნობ ღუმელთან გავიცანი. იქ კი წელიწადზე მეტს ვერავინ ძლებს. ბერძენმა ერთი წელიც ვერ გაძლო და როცა კვდებოდა, პაპანაქება სიცხეში „ნუ მიმატოვებ, უფალო“, მისი ჩურჩული გავიგონე. შემდეგ მას ფეხები მოაჩეხეს, რათა ხუნდები ადვილად მოეხსნათ, სხეულს კი ცეცხლში გადაუძახეს — იქ ყველას ასე ექცეოდნენ. ვფიქრობდი, მეც ეს დღე მომელის-მეთქი და სხვა არც არაფრის იმედი მქონდა, მაგრამ მალე, მონათა ნაწილი და მათ შორის მეც, აქ გადმომიყვანეს, აქ ბევრი მონა დასჭირდათო.

აი, ასე, ახლა იცი, რომ ქრისტიანი და უფლის მონა ვარო.

დაასრულა თავისი სიტყვა სააკმა და ბარაბას ნდობით აღსავსე თვალებით შეხედა.

რამდენიმე დღე ბარაბა ჩუმი და ჩაფიქრებული იყო. შემდეგ სააკს უცნაურად აღფრთოვანებული ხმით შეეკითხა, მაგ წარწერას ჩემს საქმეზეც ხომ ვერ ამოტვიფრავო.

სააკმა შეეცდებიო, მაშინვე უპასუხა. მართალია, იდუმალი ნიშნები არ ვიცი, მაგრამ ხომ შეიძლება საქმეს დავხედოო...

ისინი ზედამხედველის ჩავლას დაელოდნენ, შემდეგ კი სააკმა ლამპრის მკრთალ შუქზე, წვეტიანი ქვის ნატეხით, ნიშნების ამოკვეთა მონდომებით დაიწყო. მისი მიუჩვეველი ხელისათვის უცნობი მოხაზულობის გამოყვანა იოლი როდი იყო, მაგრამ ძალიან ცდილობდა ზუსტად დაემსგავსებინა. მუშაობა მრავალგზის შეწყვიტა, ხან ვიღაცამ გაიარა, ხანაც მოეჩვენათ, გაიარაო — მაგრამ ბოლოს და ბოლოს წარწერა ამოიტვიფრა და ორივემ გადაწყვიტა, ძალიან კარგი გამოვიდაო. ისინი მდუმარედ დასცქეროდნენ თავის ნაქმეგს, ამ საიდუმლო წარწერას, რომელსაც თუმცა ვერ კითხულობდნენ, მაინც იცოდნენ, რომ ჯვარცმულის სახელი იყო და ისინიც მისი მონები ხდებოდნენ. შემდეგ ორივე მუხლებზე დაეცა და უფალს, ყველა უბედურთა მაცხოვარს, ღმერთს, მხურვალე ლოცვა აღუვვინეს.

ზედამხედველმა შორიდან შენიშნა, რომ ლამპართან წამოწოლილი ორი კაცი ისე თავდავიწყებით ლოცულობდა, ვერავის ამჩნევდა. ისიც თავს დაეხსა და ორივე ცემით მიასიკვდილა. შემდეგ, როგორც იქნა, მიატოვა და სააკიც მიწას დაასკდა. მაგრამ არა, ზედამხედველი კვლავ მობრუნდა, სააკს ისევ უშხუნა და წამოდგომა აიძულა. შონები ტორტმანებდნენ, ერთმანეთს ეჯახებოდნენ და ისევ და ისევ მუშაობდნენ.

ასე იგემა ბარაბამ პირველი ტანჯვა იმ ჯვარცმულისთვის, რომელსაც თვითრი სხეული და უბალნო მკერდი ჰქონდა და ჯვარზე მის ნაცვლად გააკრეს.

წლები გადიოდა. დღეები დღეებს მისდევდა. სააკსა და ბარაბას, ალბათ, დღეთა სათვალავიც აერეოდათ, მაგრამ ყოველ საღამოს, ალბით ზუსტად ასეთ ღონემიხდილ მონასთან ერთად მათ დასაძინებლად შეყრიდნენ და ისინიც დაღამებულაო, ხვდებოდნენ. გარეთ მათ არასოდეს უშვებდნენ. სისხლისაგან დაცლილნი, ჩრდილებად ქცეულნი, წლიდან წლამდე ცხოვრობდნენ ქვემოთ, წყვდიადში, მიცვალებულთა საუფლოში, სადაც გზას მხოლოდ ლამპრები და იშვიათი ღუმლები ანათებდნენ.

მაღაროს შესასვლელში სუსტი შუქი იღვრებოდა და იქ, ზემოთ რაღაცას, ალბათ, ცას თუ მოკრავდნენ თვალს. მაგრამ მიწა, ის სამყარო, რომელსაც ადრე ეკუთვნოდნენ, არასოდეს დაუნახავთ. აქვე, შესასვლელშივე აძლევდნენ საქმელს — კალათებითა და ბინძური გობებით, რათა ღორებივით შეეთქვლიფათ.

სააკი დარდიანი იყო. ბარაბა მასთან ერთად აღარ ლოცულობდა. მას შემდეგ, რაც საჭდეზე მაცხოვრის სახელის ამოტვიფრა ითხოვა, რამდენჯერმე ილოცა, შემდეგ კი მიატოვა. უფრო ჩუმი, რაღაც უცნაური და უცხო გახდა. სააკს არაფერი ესმოდა, თავიც რომ ემტერია, მაინც ვერ გაიგებდა. თავად ძველებურად ლოცულობდა, ხოლო ბარაბა მხოლოდ ზურგს შეაქცევდა, თითქოს ამის დანახვაც არ სურდა. მართალია, ისე დგებოდა, რომ სააკს აფარებოდა. ლოცვისას ხელი არავინ შეუშალოსო. ესე იგი ეხმარებოდა? შაგრამ თავად კი აღარასოდეს ულოცია.

რატომ? რისთვის? სააკი საგონებელში ჩავარდა. გამოცანაა. ბარაბა მისთვის საერთოდ გამოცანად გადაიქცა. არადა, ფიქრობდა კარგად ვიცნობო. აქ, მიწისქვეშეთში, ამ ჯოჯოხეთში ერთმანეთს კარგად დავუახლოვდით. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ერთად ვილოცეთო. და უცებ მიხვდა, რომ სულ არ იცნობდა. მის შესახებ არაფერი იცოდა. თუმცა განუშორებლად ერთად იყვნენ. დროდადრო გვერდით წამოწოლილი ეს უცნაური კაცი სრულიად უცხოდ ეჩვენებოდა.

მაინც ვინ იყო ეს კაცი ბოლოს და ბოლოს?

ისინი ერთმანეთს კვლავ ელაპარაკებოდნენ, თუმცა ძველებურად ვეღარ საუბრობდნენ და ბარაბაც ახლა მასთან საუბრისას ზურგშექცევით ჯდებოდა. სააკი მის თვალებს ვეღარ ხედავდა. ან კი დაუნახავს ოდესმე? აბა, ჩაუფიქრდეს — დაუნახავს თუ არ დაუნახავს?

მაშ ვისთან გადააჯაჭვეს სააკი?

ბარაბა თავის ხილვებზე აღარაფერს ყვებოდა. ეს კი ს

ბება, ხუნდებს შემოხსნის და ისინიც მაშინვე მის საუფლოში მოხვდებიან.

ო, როგორ ოცნებობდა სააკი! და მუდამ, როცა დასაპურებლად უხმობდნენ, მაღაროს ჭიდან, სასწაული ხომ არ მოხდაო, ზემოთ იხედებოდა. მაგრამ განა აქედან სამყაროს დანახვა შეიძლებოდა? არავინ იცოდა, გარეთ რა ხდებოდა. ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო და ვერ გაგეგო. მაგრამ ეს თუ მოხდა, უფალი თუ უკვე გამოცხადდა, ცხადია, მათ მოუხმობდა. უფალი მათ არ დაივიწყებდა, თავისიანებს არ დაივიწყებდა და მიცვალებულთა საუფლოდან დაიხსნიდა.

ერთხელ, როცა სააკი კლდის შვერილზე მუხლმორთხმული ლოცულობდა, ძალიან უცნაური ამბავი მოხდა.

მაღაროში ახლად მოსული ზედამხედველი, რომელმაც მათი მტანჯველი შეცვალა, სააკს უკნიდან მიუახლოვდა. სააკს იგი არ დაუნახავს და არც არაფერი გაუგონია, მაგრამ ბარაბამ, რომელიც მლოცველის გვერდით იდგა, თუმცა თავად არ ლოცულობდა, იგი ბინდში შენიშნა და ვიღაც მოდისო, სააკს წასჩურჩულა. სააკმაც ლოცვა მაშინვე შეწყვიტა, წამოხტა და ხელი წერაქვს დასტაცა. ეტყობა, იგი ყველაზე საშინელ სასჯელს ელოდა, ამიტომ წინასწარ მოიხარა და ზურგი მათრახს მიუშვირა. იგი არავის დაუსჯია, რითაც ორივე განცვიფრებული დარჩა. ზედამხედველი, ცხადია, შეჩერდა, მაგრამ სააკს მხოლოდ მეგობრულად შეეკითხა, ასე რად იწექი, ეს რას ნიშნავსო. სააკმა ძლივს უპასუხა ჩემს ღმერთს ვლოცულობდიო.

— რომელ ღმერთს? — შეეკითხა ზედამხედველი.

სააკმა აუხსნა, რომელ ღმერთზე იყო საუბარი და შანაც მდუმარედ დაუქნია თავი, თითქოს ასეც ვფიქრობდიო. აგრძნობინა. შემდეგ სააკს ჯვარცმული მაცხოვრის ამბები გამოკითხა. მის შესახებ უკვე მრავალი უცნაური ამბავი მომისმენიაო, თქვა. თავი მართლა ჯვარზე გააკრეფინა? მონის სამარცხვინო სიკვდილით მოკვდა? და ამის შემდეგ, ღმერთივით სცემენ თაყვანს? სასწაულია. მართლაც სასწაულია... მაცხოვარს რაღაც ეძახიან? ღმერთისთვის უცნაური სახელია... ეს რას ნიშნავს? ჩვენ გვაცხონებს? ჩვენს სულებს აცხონებს... რა უცნაურია... ეს რაღა საჭიროა?

სააკი შეეცადა აეხსნა. ზედამხედველი ყურადღებით უსმენდა, თუმცა ბნელი მონის დაბნეული, გაურკვეველი სიტყვებიდან ბევრი ვერაფერი გაიგო. ხანდახან მხოლოდ თავს გადააქნევდა. მაგრამ ისეთი ყურადღებით უსმენდა, თითქოს უბრალო სიტყვები მისთვის საგანგებო მნიშვნელობას იძენდა. ბოლოს თქვა, რა უბედურებაა, რამდენი ღმერთი არსებობს. მათგან თავი ვერ დაგიხსნია, შენი სიმშვიდისათვის ყველას მსხვერპლი უნდა შესწიროო...

სააკმა უპასუხა, ჯვარცმული მსხვერპლს არ თხოულობს, მხოლოდ ის უნდა შენივე თავი შესწირო მსხვერპლადო.

— შენი თავი? კი მაგრამ, როგორ? ეს რაღას ნიშნავს?

— მის დიად სამსხვერპლოზე, შენი თავი უნდა შესწირო მსხვერპლად.

— მის სამსხვერპლოზე?...

ზედამხედველმა თავი გადაიქნია.

— ბნელი მონა ხარ, — უთხრა შემდეგ. — რასაც ჩაგძახებენ, იმას ამოიძახებ. ეს ვინ გამოიგონა? ეს ბოდვები სად მოისმინე?

— ბერძენი მონასაგან გავიგონე, — უპასუხა სააკმა. — ყოველთვის ასე ამბობდა, თუმცა რას ნიშნავს, ზუსტად თავადაც არ ვიცი.

— საქმეც ეს არის, არც არავინ იცის. მსხვერპლად თავი შესწირო... მის სამსხვერპლოზე... მის სამსხვერპლოზე...

შემდეგ რაღაც გაუგებრად ჩაიბუტბუტა და იშვიათი ლამპრების ბინდში, თითქოს მიწამ უყო პირიო, ისე გაუჩინარდა.

სააკი და ბარაბა ამ დაუჯერებელ შემთხვევაზე დიდხანს ფიქრობდნენ. ყოველივე ისე უცნაურად გამოიყურებოდა, ვერაფერი გაეგოთ. ასეთი ადამიანი აქ როგორ გაჩნდა? ნუთუ ჩვეულებრივი ზედამხედველია? და ჯვარცმულის, მაცხოვრის ხვედრით დაინტერესდა? არა, დაუჯერებელია. და მაინც, ამ შემთხვევამ ორივე გააცარა.

ამის შემდეგ ზედამხედველი სააკთან ხშირად ჩერდებოდა და ელაპარაკებოდა. ბარაბას ერთხელაც არ დალაპარაკებია. სააკს კი კვლავ და კვლავ თხოვდა, მიამბე შენს უფალზე, მის ცხოვრებასა და სასწაულებზე, ამ განსაკუთრებულ მოძღვრებაზე. „გიყვარდეთ ერთმანეთი“ რას ნიშნავსო. და აი, ერთხელაც ზედამხედველმა თქვა:

— კარგა ხანია, ვფიქრობ, სხვებთან ერთად ეს ღმერთიც ხომ არ ვაღიარო. მისიც ხომ არ ვიწამო. მაგრამ როგორ ვერწმუნო? ამდენი უცნაური ამბავი როგორ დავიჯერო? ან კი მე, მონათა ზედამხედველი ჯვარცმულ მონას როგორ ვეთაყვანო?

სააკმა უპასუხა, ჰო, ჩემი უფალი მონის სიკვდილით მოკვდა. მაგრამ სინამდვილეში ჭეშმარიტი ღმერთია, ერთარსება ღმერთია! და თუ მისას ირწმუნებ, სხვას ვეღარავის ეთაყვანებიო.

— ერთარსება ღმერთი! და მონასავით გააკრეს ჯვარზე! შეუძლებელია! ერთარსება ღმერთია და ჯვარს აცვეს!

— ჰო, — უპასუხა სააკმა. — ასეა.

ზედამხედველმა უკიდურესი განცვიფრებით შეხედა და არაფერი უპასუხა. შემდეგ ჩვეულებისამებრ თავი გადააქნია და მაღაროში გაუჩინარდა.

ზედამხედველი მიდიოდა და იდუმალ ღმერთზე ფიქრობდა. რაც მეტს ფიქრობდა, ის უფრო და უფრო მიუწვდომელი ხდებოდა. იქნებ, მართლა ერთარსება ღმერთია? და მხოლოდ მის წინაშე, ერთადერთი მის წინაშე უნდა ილოცო. იქნებ მთელ სამყაროში მართლაც ერთადერთი, ძლიერი ღმერთი, ზეცისა და მიწის მეუფე

არსებობს, რომელიც თავის კანონს ყველგან, აქაც კი, მიწისქვეშეთ-შიც აწესებს? კანონი კი ისეთი უცნაურია, ვერაფერს გაუგებ... „გიყვარდეთ ერთმანეთი“,... „გიყვარდეთ ერთმანეთი...“ არა. ამის გაგება შეუძლებელია...

იგი ორ ლამპარს შორის ბნელში შეჩერდა, რათა კარგად დაფიქრებულიყო.

უცებ გონება გაუნათდა და მიხვდა, რაც უნდა გაეკეთებინა. მონა, რომელსაც_ეს იდუმალი ღმერთი სწამს, აქედან უნდა დაიხსნას. ამ საბადოებს, სადაც ყველაფერი იღუპება, უნდა მოაშოროს და ზევით, მზის გულზე, სხვა სამუშაოზე გადაიყვანოს. აბ ღმერთისა და მით უმეტეს, მისი მოძღვრების მას არაფერი ესმის. მაგრამ მონას დაიხსნის. უფალმა თითქოს თავად უბრძანა ასე მოიქცეს.

როგორც კი ზემოთ მოუწია ამოსვლა, პირდაპირ საბადოების კუთვნილი მიწის დამმუშავებელი მონების ზედამხედველთან მივიდა. მას ცოცხალი, გლეხური სახე და დიდი, სველი ტუჩები ჰქონდა. ზედამხედველმა მოუსმინა თუ არა, მაშინვე აგრძნობინა, ეს აზრი არ მომწონს, მაღაროს მონა არ მჭირდებაო. ნამდვილად კი მონები ძალიანაც ჭირდებოდა, განსაკუთრებით მაშინ, ხვნის დრო იყო და ხარები არ ყოფნიდა. მაგრამ არა, ქვევიდან არაფერს ამოყვანა არ სურდა. ისინი არაფრად ვარგოდნენ, ვერაფერს გამორჩებოდი. მათ არც სხვა მონები სცნობდნენ, რა უნდა გაეკეთებინათ აქ. მიწაზე? და მაინც, ბოლოს და ბოლოს, უფროსს დაუთმო — სიცარიელეა. მას ხომ ყოველთვის თავისი გაჰქონდა — და უფროსიც მაღაროში დაბრუნდა.

მეორე დღეს საკს მის ღმერთზე უფრო მეტ ხანს ესაუბრა, შემდეგ უამბო სააკისთვის როგორ გაისარჯა. მონას ისღა დარჩენოდა მაღაროს შესასვლელში დარაჯისთვის თავისი სახელი ეთქვა. ხუნდებს მაშინვე მოხსნიდნენ და მეორე მონას მოაშორებდნენ. შემდეგ ზევით ამოყვანდნენ და ვისთანაც ამის შემდეგ უნდა ემუშავა, იმას ჩააბარებდნენ.

სააკი შესცქეროდა და ყურებს არ უჯერებდა. ნუთუ მართალია? ზედამხედველმა დაუდასტურა. ჰო, მართალია, იქნებ, თავად შენმა უფალმა ბრძანა, რომ მისი ნება აღსრულებულიყოო.

სააკმა გულზე ხელები დაიკრიფა და დადუმდა. შემდეგ ჩაილაპარაკა, ამხანაგთან განშორება არ შეშიძლია, რადგან ერთი ღმერთი გვყავს და ერთი რწმენა გვაქვსო.

ზედამხედველი ძალიან გაოცდა და ბარაბას შეხედა.

— ერთი რწმენა? ამასთან? კი მაგრამ, ეს ხომ მუხლებზე არასოდეს დგება და არ ლოცულობს?

— ჰო. — გაეპასუხა სააკი. — იქნებ, ასეცაა, მაგრამ უფალთან ეს უფრო ახლოსაა. იგი მის გვერდით, ჯვართან იდგა, როცა უფალი ეწამებოდა და კვდებოდა. მის ირგვლივ შარავანდედი

შეამჩნია და ისიც იხილა თუ როგორ მოამტვრია ცეცხლოვანმა ანგელოზმა სამარის ლოდი, რათა უფალი მიცვალებულთა საუფლოდან დაეხსნა. სწორედ მან ამიხილა თვალი, უფლის ბრწყინვალებასაც მან მაზიარა.

ზედამხედველმა თავი გადაიქნია. ალმაცერად შეხედა ბარაბას, ლოყაზე ნაჭრილობევდამჩნეულ კაცს, რომელიც ადამინს სახეში არასოდეს უყურებდა. აი, ახლაც შებრუნდა. ნუთუ ასეთი კაციც სააკის უფალს ეკუთვნის? არა, ბარაბა ზას არ მოსწონდა.

ზედამხედველს სულაც არ სურდა მაღაროდან ბარაბაც დაეხსნა, მაგრამ სააკმა გაიმეორა:

— მასთან დაშორება არ შემიძლია.

ზედამხედველმა რაღაც ჩაიბუტბუტა და ბარაბას დიდხანს ალმაცერად უყურა. შემდეგ უხალისოდ დათანხმდა, დეე, ისე იყოს. როგორც გინდა. კარგი, ერთმანეთს ნუ დაშორდებითო, თავად კი მოსცილდა და თავისი მარტოობისაკენ გასწია.

დანიშნულ დროს, სააკი და ბარაბა შესასვლელის დარაჯთან მივიდნენ. მათ ხუნდები შემოხსნეს და მაღაროდან ზევით აიყვანეს. და როცა მიწაზე აღმოჩნდნენ და იხილეს გაბრწყინებული ზეცა მთის თავზე, საიდანაც ლავანდისა და მურტის სურნელი იფრქვეოდა, როცა იხილეს გაზაფხულის ხეობის სიმწვანე და შორეული ზღვა, სააკი მუხლებზე დაეცა და სიხარულით თავგზააბნეულმა შეჰყვირა:

— უკვე აქ არის! უკვე მოვიდა! შეხედე — აი, იგი, აი, მისი მეუფება!

დარაჯმა, მათ რომ მოჰყვებოდა, სააკს გაოცებით შეხედა. შემდეგ წამოსაყვნებლად ფეხი ოდნავ წაჰკრა და უთხრა:

— ჰა, გასწი.

* * *

ბარაბა და სააკი გუთანში მშვენივრად შეებნენ. ადრე ხომ ერთი ჯაჭვით იყვნენ გადაბმულები და ორი ხარივით ერთმანეთს შეეთვისენ. ამ გაძვალტყაევებულ, გასაცოდავებულ, ნახევრად თავგადაპარსულ მონებს, დანარჩენი მონები მასხრად იგდებდნენ. ზედ ეტყობოდათ, საიდან მობრძანდნენ. მაგრამ ერთ-ერთმა მათგანმა მალე აღიდგინა ძალა, რადგან ბუნებით ჯანმრთელი იყო და ამის შემდეგ სამუშაოს არცთუ ისე ცუდად აუდიოდნენ. ზედამხედველი არ უჩიოდა. მიწისქვეშეთიდან ამოსულ მონებს მეტს რას გამორჩებოდა.

ორივე მადლიერების გრძნობით იყო განმსჭვალული. მართალია, მუშა პირუტყვივით დილიდან საღამომდე შრომობდნენ, მაგრამ წარსულთან შედარებით, დიდი შეღავათი ჰქონდათ. მხოლოდ დღის სინათლის დანახვა, სუფთა ჰაერის სუნთქვაც კი დიდ

ბედნიერება იყო. და თუმცა მათი გაძვალტყავებული სხეულები მცხუნვარე მზისაგან ოფლში იწურებოდა, თუმცა კვლავ პირუტყვებად თვლიდნენ და ადრინდელზე უკეთესად არ ეპყრობოდნენ, მათ სიხარულს მაინც საზღვარი არ ჰქონდა. მათრახი სუზტად ისე ზუზუნებდა, როგორც საბადოში, განსაკუთრებით საკს ხვდებოდა, ის ხომ ბარაბაზე ბევრად სუსტი იყო. და მაინც, ორივენი სიცოცხლეს დაუბრუნდნენ. სწორედ ისე ცხოვრობდნენ, როგორც ყველა ცოცხალი ქმნილება მიწის ზემოთ ცხოვრობს და არა მიწის წიაღსა და მარადიულ წყვდიადში. დილაც დგებოდა და საღამოც, დღეცა და ღამეც. ისინი ყოველივეს ხედავდნენ და ამით ხარობდნენ.

მაგრამ იმასაც ხვდებოდნენ, რომ უფლის მეუფების ჟამი ჯერ არ დამდგარიყო.

თანდათან მათ სხვა მონებიც მიეჩვიენ და მხეცებად აღარ თვლიდნენ. ორივეს თმა წამოეზარდა, სხვა მონებს დაემსგავსნენ და ყურადღებას აღარ იქცევდნენ. საერთოდაც მნიშვნელოვანი ის კი არ იყო, რომ ამ ორმა კაცმა ჯოჯოხეთი მოიარა, არამედ ის, რომ იქიდან თავის დაღწევა მოახერხეს. ამან დანარჩენ მონებში თავიდანვე ცნობისმოყვარეობა და უნებლიე აღტაცებაც კი გამოიწვია, თუმცა ამის აღიარება არავის სურდა. მაგრამ ამაოდ ცდილობდნენ გაეგოთ, ეს როგორ მოხდა. ისედაც ჩუმებს, მომხდარ სასწაულზე საუბარი საერთოდ არ სურდათ. ეს ორი, უცნაური კაცი ყველას გაურბოდა და ერთმანეთს არ შორდებოდა.

არადა, ახლა ეს აუცილებელი სულ არ იყო. საერთო ჯაჭვი აღარ აკავშირებდათ. ვისთანაც უნდოდათ, იმასთან შეეძლოთ დამეგობრება. არც ის იყო საკვლდებულო, გვერდიგვერდ დაეძინათ ან ეჭამათ. ისინი კი ძველებურად ერთად ისე დადიოდნენ, თითქოს ხუნდები არც კი შემოეხსნათ.

მუშაობისას ძალაუნებურად ერთად იყენენ შებმულნი. მაგრამ სამუშაოს დასრულების შემდეგ სხვა მონებში გარევა შეეძლოთ. მაგრამ თუ გავიხსენებთ, რა უცხოდ გრძნობდნენ თავს მათ შორის, იქნებ, არც ისე უცნაური აღმოჩნდეს ყველას ასე რომ ერიდებოდნენ... მიეჩვიენ ერთმანეთსაცა და იმ ჯაჭვსაც, რომელიც აღარ აკავშირებდათ. თუკი რომელიმეს ღამით გაეღვიძებოდა, სანამ გვერდით ჩაძინებულ ამხანაგს არ დაინახავდა, გული უსკდებოდა. და შეამჩნევდა თუ არა, მაშინვე ჩაწყნარდებოდა.

რას მოესწრო ბარაბა! ეს როგორ დაემართა! სრულიად გაუგებარია. მას ხომ ნაღდად არ სურდა ვინმეს მიჯაჭვოდა. არადა, მიაჯაჭვეს. თინაც არც ჰკითხეს ისე, რკინის ხუნდებით მიაბეს და თუმცა ხუნდები აღარ ეკეთა, მაინც ვერ იშორებდა. ეჯაჯგურებოდა, თავის დახსნას ცდილობდა.

საკს კი თავის დახსნა არც უცდია. პირიქით, მას ტანჯავდა

აზრი, რომ ძველებურად ახლობლები აღარ იყვნენ. რატომ? რა მოხდა?

მათ არასოდეს ულაპარაკიათ, თუ რა სასწაულით დაიხსნეს თავი საბადოდან, მიცვალებულთა ამ საუფლოდან. პირველ დღეებში ცოტა ისაუბრეს, შემდეგ შეწყვიტეს. მაშინ სააკი მაცხოვარმა, უფლის ძემ დაგვიხსნაო, ამბობდა. ჰო, ალბათ ასე იყო... ცხადია... თუმცა საერთოდ ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს სააკი მართლაც მაცხოვარმა იხსნა, ბარაბა კი სააკმა გადაარჩინა. განა ასე არ იყო? ასე არ გამოდიოდა?

ჰო, ჯობდა ამაზე არც ეფიქრა.

ბარაბა, ცხადია, გადარჩენისათვის სააკის მადლიერი იყო, მაგრამ უფლის მადლიერი თუ იყო? ალბათ იყო, მაგრამ დაბეჯითებით არაფრის თქმა არ შეიძლებოდა, ბარაბასას ვინ რას გაიგებს...

სააკი დარდობდა, სულ არ ვიცნობ, ასე კი შეევთვისეო. გული ტკიოდა, რომ ძველებურად ერთად ვეღარ ლოცულობდნენ, ისე როგორც იქ, საბადოში, მიცვალებულთა ამ საუფლოში. სააკს კი ლოცვა ძალიან უნდოდა! მაგრამ ბარაბას არ საყვედურობდა, უბრალოდ მას არაფრის გაგება არ შეეძლო.

ბარაბას ხასიათში საერთოდ ბევრი რამ იყო გაუგებარი. სამაგიეროდ, მაცხოვრის გარდაცვალება და მისი მკვდრეთით აღდგომა იხილა. უფლის ირგვლივ არაამქვეყნიური ნათელიც დაინახა. თუმცა ამის შესახებ მეტად აღარ უსაუბრიათ...

სააკი იტანჯებოდა. მაგრამ თავისი სატკივარი როდი აწამებდა. ოთვლივით თეთრი თმის საფარველქვეშ, გამოფიტულ, გადატრუსულ სახეზე, ქურის ნაპერწკლების ნიშნები მოუჩანდა, გამხდარი სხეული ზედამხედველის მათრახის ზოლებით იყო აჭრელებული. მაგრამ სააკს თავისი სატკივარი როდი ტანჯავდა. პირიქით, აბედნიერებდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც უფალმა დიდი სასწაული მოახდინა, იგი ამოიყვანა ზემოთ, მზის გულზე, მინდვრის შროშანებთან, რის შესახებაც თავად უფალი ოდესღაც ასე ლამაზად ყვებოდა.

მან ხომ სასწაული ბარაბასთვისაც მოახდინა, მაგრამ ბარაბა ახლადდანახულ სამყაროს შეშფოთებით უმზერდა და არავინ იცოდა რას ფიქრობდა.

პირველ ხანებში მიწის ზემოთ ასე ცხოვრობდნენ.

საგაზაფხულო ხვნა მოთავდა თუ არა, ისინი დააყენეს წყლის ბორბალთან, რომელსაც პაპანაქების დადგომისთანავე წყალი უნდა ამოექაჩა, რათა ყველაფერი არ გადამხმარიყო. ეს სამუშაოც მძიმე გახლდათ. შემდეგ მოსავალი აიღეს და ისინი გაგზავნეს წისქვილში, რომელიც რომის ნაცვლის სახლის შორიახლო. სხვა დანარჩენ ნაგებობებს შორის იდგა; ეს შენობები უდაბურ, უბადრუკ სოფელთან ერთად, ნავსაყუდელის გვერდით გადაჭიმულ

პატარა ქალაქს ქმნიდა. ასე აღმოჩნდნენ ბარაბა და სააკი ზღვის სანაპიროზე.

ცალთვალა ჯუჯა სწორედ აქ, წისქვილში გაიცნეს.

იგი ჯმუხი, ტანდაბალი მონა იყო, გადაპარსული თავი, დანაოჭებული ჩანაცრისფერებული სახე და დახეთქილი ტუჩები ჰქონდა. ცალი თვალი თაღლითურად იმზირებოდა, მეორე ფქვილის მოპარვისათვის ამოთხარეს. ამ დანაშაულისთვისვე კისერზე დიდი ხის უღელი ედგა. მას ტომრების ფქვილით ავსება და ბეღელში წაღება ევალებოდა. არც მის მარტივ საქმიანობაში და არც თავისფერ-ჩანაცრისფერებულ სახესა და ჯუჯა სხეულში ღირსშესანიშნავი არაფერი იყო. მიუხედავად ამისა, ყველაზე მეტად მას ამჩნევდნენ. არავინ კი იცის, რატომ. იქნებ იმიტომაც, მის დანახვაზე ყველას გული რომ ერეოდა და თავს უხერხულად გრძნობდა. ყველას ზუსტად შეეძლო ეთქვა, ჯუჯა გვერდით ედგა თუ არა, რადგან ზურგზე მუდამ მისი ერთადერთი თვალის მზერა ლურსმანივით ერჭობოდა. თუმცა მის გამოხედვას იშვიათად თუ ვინმე დაიჭერდა.

ორი ახალბედასთვის ცალთვალას, თითქოს არც დაუნახავსო, არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. ის დამცინავი ღიმილი, რითაც შეცქეროდა, როცა ისინი ყველაზე მძიმე დოლაბთან დააყენეს, არავის შეუნიშნავს. ან იქნებ, ვერავინ მიხვდა, რომ ნაცრისფერი, დახეთქილი ტუჩების გაპობა ღიმილს ნიშნავდა. წისქვილში ოთხი დოლაბი იყო, ყოველ მათგანთან თითო წყვილი მუშაობდა. ადამიანები ვირების საქმეს აკეთებდნენ, რადგან ვირები აკლდათ, ადამიანები კი საკმაოზე მეტი ჰყავდათ, თანაც მათი შენახვა უფრო იაფი ჯდებოდა. თუმცა სააკსა და ბარაბას, იმასთან შედარებით, რასაც ადრე აძლევდნენ, აქაური კვება თითქმის უხვად მიაჩნდათ. და საერთოდაც, აქ გაცილებით უკეთ ცხოვრობდნენ, თუმცა მძიმე სამუშაოს ასრულებდნენ. ჩასუქებული, დონდლო ზედამხედველი არც ისე ცუდად ექცეოდა, ძირითადად წინ და უკან დარბოდა და მხარზე გადაკიდებულ მათრახს იშვიათად ხმარობდა. ეს მათრახი დროდადრო ხვდებოდა მხოლოდ იმ უსინათლო მოხუცს, რომელიც ფეხზე ძლივს იდგა.

წისქვილი შიგნით ფქვილისაგან მთლად გადათეთრებული იყო. დიდი ხნის მანძილზე ფქვილი იატაკში, კედლებში, ჭერს ქვემოთ გაჭიმულ ქსელში, ყველაფერში ჩაჯდა. თავად ჰაერიც გაჟღენთილი იყო ფქვილით და კიდევ გუგუნით, თუკი ოთხივე დოლაბი ტრიალებდა. ყველა შიშველი მუშაობდა. ცალთვალას კი თეძოებზე ჯვალო შემოეხვია და წისქვილში ვირთხასავით დაშლიგინებდა. კისერზე დადგმული ხის უღელი კი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს ვირთხა დაიჭირეს, მან კი როგორღაც თავის დახსნა მოახერხა. ამბობდნენ, როცა ბეღელში მარტო რჩება, ფქვილს ჭამსო. იმასაც ამბობდნენ, შიმშილის გამო კი არა, სი-

ჯიუტის გამო ჭამს, რადგან თუკი მოიხელთეს მეორე თვალსაც ამოთხრიან და უსინათლო მოხუცივით სამუშაოდ დოლაბთან დაა-ყენებენო. ეს სამუშაო მის ძალას აღემატება და უფრო საზარელია, ვიდრე ის მარადიული წყვდიადი, რომელიც ელოდება, თუკი ქურდობაზე ერთხელ კიდევ წაასწრესო. ოღონდ არავინ იცის, ეს მართალი იყო თუ არა...

არა, ეს ორი ახალბედა ცალთვალას განსაკუთრებით როდი აინტერესებდა. მხოლოდ ჩუმ-ჩუმად უთვალთვალებდა, ისევე როგორც ყველას და ელოდებოდა, რა მოხდებაო. თუმცა მათ წინააღმდეგ განსაკუთრებით შემართული არ ყოფილა. ჯუჯას გაგონილი ჰქონდა, ეს ორი მიწისქვეშეთიდან ამოვიდაო, იქიდან ამოსული კი მას ჯერ არავინ ენახა. მაგრამ განსაკუთრებით შემართული არც მიწისქვეშეთელების წინააღმდეგ ყოფილა. განსაკუთრებით შემართული ის არავის წინააღმდეგ არ იყო.

ეს ორი კაცი მაღაროში მოხვდა — ესე იგი მძიმე დანაშაულჩაიდინეს, თუმცა ერთ-ერთი მათგანი ბოროტმოქმედს სულაც არ ჰგავდა. სამაგიეროდ, მეორე სწორედაც რომ ჰგავდა და ეტყობა, ამას თვითონვე გრძნობდა კიდეც. ერთი გასაცოდავებული იყო, მეორე კი მთლად ბრიყვის შთაბეჭდილებას ტოვებდა. როგორ მოახერხეს მაღაროდან თავის დაღწევა? ამ ჯოჯოხეთიდან ამოსვლა? ვინ დაეხმარა? საკითხავი სწორედ ეს იყო.

მაგრამ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე იოლი გახლდათ. არაფერია, უნდა დალოდებოდა მხოლოდ და ყველაფერი გაირკვეოდა. განმარტება, ასეთი თუ ისეთი, ყოველთვის მოიძებნებოდა. ყველაფერი, ასე ვთქვათ, თავისთავად გაირკვეოდა. ცხადია, აქ მხოლოდ თვალის მიდევნება იყო საჭირო. ჯუჯას კი ასეთი თვალი ნაძდვილად ჰქონდა.

სწორედ ამიტომაც შენიშნა, რომ ძროხისთვალებიანი, გაძვალტყავებული მაღალი მონა, საღამოობით, სიბნელეში, მუხლმორთხმული ლოცულობდა. ასე რატომ ლოცულობდა? რომელ ღმერთს ლოცულობდა? რომელი იყო ის ღმერთი, ასეთი ლოცვა რომ ჭირდებოდა?

ცალთვალა ჯუჯამ ბევრი ღმერთი იცოდა, თუმცა ლოცვა თავში აზრადაც არ მოსვლია. რომც მოსვლოდა, ცხადია, დანარჩენებივით კერპებს მიაკითხავდა და იმ ტაძარში ილოცებდა, სადაც კერპების ადგილი იყო. ამ ბრიყვს კი, მგონი, ჩემი ღმერთი სიბნელეში წინ მიდგასო, ეგონა, თანაც ღმერთს ცოცხალივით ელაპარაკებოდა და ვინ იცის, იქნებ, კიდეც ხედავდა. სასწაულია. ის კი სიბნელეში ჩურჩულებდა და ჩურჩულებდა, გულს ლოცვით ოხვებდა. თუმცა დღესავით ნათელია, რომ არავითარი ღმერთი აქ არ იყო და ეს ყოველივე რაღაც უაზრო წარმოსახვის ნაყოფი გახლდათ.

რაც არ არსებობს, ის ხომ ადამიანს არც აინტერესებს. მიუ-

ხედავად ამისა, შენიშნა თუ არა სააკი ლოცულობსო, ჯუჯა მაშინვე მისი არაჩვეულებრივი ღმერთით დაინტერესდა. სააკმაც შეძლებისდაგვარად აუხსნა: უფალი ჩემი ყველგან, თვით სიბნელეშიც კი არისო, როცა გინდა, შეგიძლია მოიხმო და იგრძნობ, რომ მოვა. შენთან იქნება. ხანდახან იმასაც გრძნობ, რომ მკერდში ჩაგისახლდება, ეს კი ნეტარი გრძნობაა. ცალთვალამ უპასუხა, მართლა არაჩვეულებრივი ღმერთი გყოლიაო.

— ქეშმარიტად, — დაუდასტურა სააკმა.

ცალთვალამ თითქოს აწონ-დაწონა ყველაფერი, რაც სააკმა უხილავ, მაგრამ ალბათ ძლიერ ღმერთზე უამბო, შემდეგ კი ჰკითხა, მაღაროდან მან ხომ არ დაგიხსნათო.

— ჰო, — თქვა სააკმა. — მან დაგვიხსნა.

შემდეგ დასძინა, ის ჩაგრულთა ღმერთია და ყველა მონას ხუნდებისგან გაათავისუფლებსო. სააკს თავისი რწმენის ქადაგება დაუოკებლად სურდა, აქ კი პირდაღებული უსმენდნენ.

— ჰოო? — თქვა ცალთვალამ.

სააკი უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ ამ მონას, ამ ყველასთვის უსარგებლო, თვალდათხრილ ჯუჯას სჭირდებოდა იმის მოსმენა, თუ როგორ გადაარჩენდნენ მასაც, სხვებსაც და ღვთის ნებითა და სურვილით სააკს იგი უნდა მოექცია. სააკი ღმერთზე დაუსრულებლად ლაპარაკობდა, თუმცა ბარაბა ალმაცერად უმზერდა და მის საქციელს, ვგონებ, სულაც არ იწონებდა. ერთხელაც, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, ისინი დოლაბზე მარტონი ჩამოსხდნენ. სააკმა ცალთვალას თავისი საიდუმლო გაუმხილა და საჭდეზე ამოტვიფრული წარწერაც აჩვენა. საერთოდ ცალთვალამ თავად სთხოვა იდუმალი ღმერთის სახელი მითხარი, თუკი ცხადია, ამის თქმის უფლება გაქვსო. სააკმაც მისი სახელი წარმოთქვა, თანაც უფლის ძალისა და სიდიადის დასტურად, წმინდა სახელის საიდუმლო ნიშნებიც აჩვენა. ცალთვალამ წარწერა დიდი ინტერესით დაათვალიერა. შემდეგ ასევე ყურადღებით მოისმინა სააკის ნაამბობი ბერძენ მონაზე, რომელმაც ეს წარწერა ამოტვიფრა და ყოველი მონახაზის მნიშვნელობა იცოდა. წარმოგიდგენია, უფლის ყველა ნიშანი ესმოდა!

სააკმა წარწერას კიდევ ერთხელ დახედა, საჭდე გადააბრუნა, გულზე მიიკრა და ბედნიერებით გაცისკროვნებულმა, უფლის მონა ვარ, უფალს ვეკუთვნიო, განაცხადა.

— ჰოო, — თქვა ცალთვალამ.

შემდეგ მის მაღაროელ მეგობარზე ჩამოაგდო სიტყვა. მასაც თუ აქვს ასეთი წარწერაო, იკითხა.

— რა თქმა უნდა, — უპასუხა სააკმა.

ცალთვალამ, მეც ასე ვფიქრობდიო, თავი დაუქნია. თუმცა სინამდვილეში გაუკვირდა, რომ ამ ორ კაცს ერთი ღმერთი ჰყავდა და ერთი რწმენა ჰქონდა. ის ნაპრილობევიანი ბოროტმოქმედი

ხომ არასოდეს ლოცულობდა. ისინი კვლავ და კვლავ ამ განსაცვიფრებელ ღმერთზე საუბრობდნენ და სააკი გრძნობდა ერთმანეთის რა კარგად ესმოდათ. კარგია, რომ ცალთვალას თავისი დიადი საიდუმლო გაუმხილა, ეტყობა, ეს თავად უფალმა ჩააგონა.

წისქვილში ყველა გაოგნდა, როცა ერთ მშვენიერ დილას ზედამხედველმა განაცხადა, დღეს დანიშნულ დროს, სააკსა და ბარაბას თავად პროკურატორი ელოდებაო. ასეთი რამ ჯერ არასოდეს მომხდარა, ყოველ შემთხვევაში, ზედამხედველს არ ახსოვდა და ისიც სხვებზე არანაკლებ გაოცებული დარჩა, ვერაფერი გაეგო. ორ უბადრუკ მონას თავად რომის მმართველი რად იხმობდა! ზედამხედველს მათი გაცილება დაავალეს და მგონი, თავადაც დაფრთხა. ასე ახლოს ეს ზვიადი ბატონი მასაც არასოდეს ენახა. თუმცა ზედამხედველი რა შუაშია, მას მონების დანიშნულების ადგილზე მიყვანა ევალება.

დანიშნულ დროს, ისინი გზას გაუდგნენ, მთელი წისქვილი კი მათ კვალს გასცქეროდა. თვით ვირთხისმაგვარი ჯუჯაც, რომელსაც დახეთქილი ტუჩებით გაღიმებაც არ შეეძლო, ერთადერთი თვალით, ასევე მათ კვალს გასცქეროდა.

სააკსა და ბარაბას უგამცილებლოდ ამ ვიწრო ქუჩებში, ცხადია, გზა აებნეოდათ. ისინი ხომ ქალაქს არ იცნობდნენ. ჰოდა, ახლა ზედამხედველს უკან მიჰყვებოდნენ და ერთმანეთთან ძველებურად ისე ახლოს იდგნენ, თითქოს კვლავ ერთი ჯაჭვით გადაბმულიყვნენ.

კედარის კარზე ფეხით მიბმულმა ახოვანმა მონამ, ისინი დიდ სახლში შეუშვა და იქვე, კარს მიღმა, გადახურულ კოლონადაში დარაჯს გადააბარა. დარაჯმაც თავის მხრივ, მზით გაჩახჩახებული ეზო გაიარა და ისინი შეიყვანა მომცრო დარბაზში, რომელსაც პატარა ეზოსაკენ გასასვლელიც ჰქონდა. აი, ამ დარბაზში ისინი მოულოდნელად რომაელის წინაშე აღმოჩნდნენ.

სამივე პირქვე დაემხო და თავები იატაკს ახალეს — ეს ზედამხედველმა ასწავლა, თუმცა სააკი და ბარაბა თვლიდნენ, რომ თავის ასე დამცირება იმის წინაშე, ვინც მხოლოდღა ადამიანი იყო, ნამდვილად არ ვარგოდა. და მაინც, წამოდგომა მხოლოდ ბრძანების გაგონების შემდეგ გაბედეს. დარბაზის მოშორებულ კუთხეში სავარძელში გაშხლართულმა რომაელმა სამივენი ხელით მოიხმო. ისინიც გაუბედავად მიუახლოვდნენ და თვალი შეავლეს. რომაელი ჩასკვნილი, სამოციოდე წლის კაცი იყო, სავსე, მაგრამ ძლიერი სახე, ფართო ყვრიმალი და აშკარად ბრძანებებს მიჩვეული პირი ჰქონდა. მახვილი და გამჭრიახი მზერა მტრულად არ იმზირებოდა. უცნაურია, მაგრამ ეს რომაელი სულაც არ გაფრთხობდა.

პროკურატორმა თავდაპირველად ზედამხედველს გამოკითხა, ეს მონები როგორ იქცევიან, კმაყოფილი თუ ხარო. ზედამხედველს ენა დაება, კი, კმაყოფილი ვარო, წაილუღლუღა, და ყოველი შემთხვევისთვის, საერთოდ ,ზონებს ,დიდად არ ვათამამებო, დაუმა-

ეკ. გაუგებაია, დიდა ძაბიახეველა ეს ძგხეიაოეა დააფასა თუ არა, ზედამხედველის ჩასუქებული სახე მან ძხოლოდ გაკვრით შეათვალიერა და ხელის მსუბუქი აქნევით, დაითხოვა. ზედამხედველს გამეორება არ დასჭირვებია, მაშინვე მოუსვა, თანაც სიხარულით თავგზააბნეულმა, სიჩქარეში თავის მბრძანებელს ზურგიც კი შეაქცია.

რომაელი სააკსა და ბარაბას მიუახლოვდა და სადაურები ხართ, რა დანაშაულისთვის გაგასამართლეს, მაღაროდან როგორ ამოხვედით, ვინ დაგეხმარათო, გამოჰკითხა. თანაც ძალიან მეგობრულად ემასლაათებოდა. შემდეგ წამოდგა, დარბაზი გაიარა და საოცრად ახოვანი აღმოჩნდა. იგი სააკს მიუახლოვდა, მის საჭდეს ხელი მოჰკიდა, დამღას დახედა და თუ იცი, საჭდეზე რა არის ამოტვიფრულიო, შეეკითხა. სააკმა. ეს რომის სახელმწიფო დამღაააო, უპასუხა.

პროკურატორმა თავი დაუქნია, ჰო, სწორია, ესე იგი, შენც სახელმწიფოს ეკუთვნიო, უთხრა. შემდეგ საჭდე გადაატრიალა და აშკარა ინტერესით, თუმცა გაუოცებლად, საჭდეს მეორე მხარეზე საიდუმლო ნიშნები დაათვალიერა.

— იესო ქრისტე... — წაიკითხა მან. სააკი და ბარაბა კი განცვიფრებული დარჩნენ, რომ პროკურატორმა საიდუმლო ნიშნები და უფლის წმინდა სახელი გაარჩია.

— ვინ არის? — იკითხა რომაელმა.

— ჩემი ღმერთია, — უპასუხა სააკმა და ხმა ოდნავ შეუთრთოლდა.

— ასე. მგონი მისი სახელი არ გამიგონია. მაგრამ უამრავი ღმერთი არსებობს. ყველას ხომ ვერ დაიმახსოვრებ. ეს რა, შენი მშობლიური მხარის ღმერთია?

— არა, — უპასუხა სააკმა. — ის ყველას ღმერთია.

— ყველას ღმერთი? ასეა საქმე? კარგი, კარგი. აი, მე, მის შესახებ არაფერი მსმენია. თავის სიდიადეს ეტყობა, მოხერხებულად მალავს!

— ჰო, — თქვა სააკმა.

— ყველას ღმერთიაო. ესე იგი პატარა ძალა არ უნდა ჰქონდეს. რით იკრებს ამ ძალებს?

— სიყვარულით.

— სიყვარულით?... ჰმ, რატომაც არა, შეიძლება. კარგი, არ ჩაგერევი. როგორც გინდა, ისე ირწმუნე, ოღონდ მიპასუხე, მისი სახელი საჭდეზე რად გიწერია?

— იმიტომ, რომ მას ვეკუთვნი, — უპასუხა სააკმა და ხმა კვლავ ოდნავ აუთრთოლდა.

— ოჰო, მას ეკუთვნი? როგორ, განა დამღაზე რომაა აღნიშნული, იმ სახელმწიფოს არ ეკუთვნი? განა სახელმწიფო მონა არა ხარ?

Ssaakma araferi upasuxa. idga da iatakis ḩasckeroda.

Bolos romaelma tkva, sxvata Sorris dalian ubroroto tkva:

— unda mipasuxo. xom unda gavercxvet, gesmis tu ara, ras ambob. maS eckutvni saxelmwifos tu ara?

— ḩemS upalS vecutvni, — upasuxa saakma isev, rom tvalebi ar auwevia.

prokuratori idga da mas tvalS ar acilebda. Semdeg nikapSi mokida xeli da gadatrusul saxeze daackeroda. araferi kiv utkvamS da roca dainaxa, risi danaxvac surda, saakis nikapS xeli gauSva.

Semdeg baraba mituaxlovda, axla misi saSdeg gadaabrunda da Seekitxa:

— Sen? Senc am mosiyvarulo ḩmertisa gwamS?

baraba araferi upasuxa.

— aba? gwamS tu ara gwamS?

baraba tavi gaikinia.

— ara? maS saSdeze misi saxeli rad amogitvifravS?

baraba isev gaxumda.

— Seni ḩmertia tu ara? es warwera xom amas niSnavS?

— ara myavS ḩmerti, — bolos da bolos isev ḩumad upasuxa baraba, titqos arc utkvamS, magram es pasuxi saakmac gaigona da romaelmac.

am warmoudgenelo sitkvebis Semdeg, saakis sasowarkvetit, tkivilita da gaognebit aysavsi mzera barabas lakvarivit moxeda da gul-ḩvidli auwva, tumca tavad maSin saakis ar uyurebda.

romaeli gaocda.

— araferi mesmis, — tkva man. — maS saSdeze „iesoqristes“ rad gicwria?

— mindo, rom mwamdes, — tavauyebelad upasuxa barabam.

romaelma Seatvalierda misi gamoxitulo saxe. upisqveSi naSrilobevi, uxeSi, sastiki pirs, romelsac dzveli dzlierebis kvali Serceoda. es umetkvelo saxe araferis eubnebodo, albat amistvisac rom moekida nikapze xeli, maincc araferis etkyoda. tumca azradac ar moutvidoda am monisatvis aewia nikapi. ratom? tvitonac ar icoda.

prokuratori kvlav saakis miubrunda.

— netav tu gesmis, axla rat mitxari? Sen xom kesisaris aujanudi? gesmis tu ara, rom kesisarc ḩmertia, Sen kv misi saukutrebi xar da kisertzec misi damoa gkidia? arada, micxadebi, sxva, idumal ḩmertis vecutvnio, tanac misi saxeli sa-

ჭდეზეც ამოგიკვეთავს, რომ დაადასტურო კეისრის კი არა სხვისი საკუთრება ვარო. განა ასე არ არის?

— ჰო, — ნერვიულად უპასუხა სააკმა, მაგრამ ხმა აღარ უკანკალებდა.

— კიდევაც ადასტურებ?

— ჰო.

— თუ გესმის, ამისთვის რა გელოდება?

— ჰო, მესმის.

რომაელი გაჩუმდა. ამ მონათა ღმერთზე ფიქრობდა. სიმართლე თუ გნებავთ, მისი სახელი უკვე სმენოდა, ბოლო დროს ბევრს უბედობდნენ ამ იერუსალიმელ უგნურზე, რომელიც მონის სამარცხვინო სიკვდილით მოკვდა. „...ხუნდებს დალეწავს...“ „...უფლის მონა ვარ და თავად დამიხსნის...“ ეს ყოველივე შეიძლება, არც ისე უწყინარი აღმოჩნდეს, თუკი დაფიქრდები... ისეთი სახეც, აი. იმას რომ აქვს, არც ერთ მონათმფლობელს არ მოეწონება...

— თუ შენს რწმენას უარყოფ, გადარჩები, — თქვა მან. — გასაგებია?

— არა. არ შემიძლია, — უპასუხა სააკმა.

— რატომ?

— ჩემი ღმერთის უარყოფა არ შემიძლია.

— უცნაური კაცი ხარ... იმედი მაქვს გესმის. რისი მოსჯაც შომიწევს? ნუთუ მართლა ისეთი მამაცი ხარ, შენი რწმენისთვის სიკვდილი შეგიძლია?

— ამას მე ვერ გადავწყვეტ, — ჩუმად უპასუხა სააკმა.

— შენი პასუხი არცთუ ისე გაბედულად ეღერს, ნუთუ სიცოცხლე არ გენანება?

— მენანება, — უპასუხა სააკმა.

— მაგრამ თუკი შენს ღმერთს არ უარყოფ, ვერაფერი გიშველის, სიცოცხლეს გამოემშვიდობები.

— ჩემს უფალთან განშორება არ შემიძლია.

პროკურატორმა მხრები აიჩეჩა.

— შენთვის ვერაფერს გავაკეთებ, — თქვა და მაგიდას მიუახლოვდა. სადაც მათი შემოყვანის დროს იჯდა. სპილოს ძვლის ჩაქუჩი მარმარილოზე დააკაკუნა. — შენი ღმერთივით შეშლილი ხარ. — დასძინა, თუმცა სააკისთვის აღარ მიუმართავს.

დარაჯის მოლოდინში პროკურატორი ბარაბას მიუახლოვდა, საქმე გადააბრუნა, ხანჯალი ამოიღო და ალესილი მხრით იესო ქრისტეს სახელი გადახაზა.

— რახან მისი არა გწამს, ეს არც გჭირდება, — უთხრა.

სააკმა კი ამ დროს ისეთი მზერით შეხედა, რომ მზერა ბარაბას ცეცხლივით წაეკიდა და ამას ვერასდროს დაივიწყებდა.

შემდეგ საკი წაიყვანეს, ბარაბა კი დარჩა.

პროკურატორმა გონიერი საქციელისათვის შეაქო, უთხრა,

ჯილდოს იმსახურებ, წადი ათისთავთან და სხვა, უფრო მსუბუქ სამუშაოზე დაგაყენებენო.

ბარაბამ პროკურატორს ელვის უსწრაფესად შეხედა და რომაელმა ახლაღა შეამჩნია, რომ ამ სახეს ჰქონდა გამომეტყველება. ჰქონდა გამოხედვა და ეს გამოხედვა საშიში არ იყო. მასში სიძულვილი ჩაბუდებულიყო და ისე ცახცახებდა, როგორც წვერი ისრისა, რომელიც მშვილდის ლარს არასოდეს მოსწყდება.

და ბარაბაც ბრძანების შესასრულებლად გაეშურა.

* * *

როცა სააკს ჯვარზე აკრავდნენ, ბარაბა ცოტა მოშორებით, ბუჩქებს ამოფარებული იდგა, რათა ჯვარცმულ მეგობარს მისთვის თვალი არ მოეკრა. მაგრამ სააკი წინასწარ ისე იყო ნაწამები, ბარაბას ალბათ მაინც ვერ შენიშნავდა. იგი მხოლოდ იმიტომ აწამეს, რომ ასე იყო მიღებული და გადაწყვიტეს განმგებელს ალბათ ბრძანების გაცემა დაავიწყდაო. არადა, პროკურატორს აზრადაც არ მოსვლია მისი წამება, თუმცა არც ის უთქვამს, ნუ აწამებთო. ჰოდა, ყოველი შემთხვევისათვის ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით გააკეთეს. რისთვის აკრავდნენ ჯვარზე ამ მონას, არავინ იცოდა და დიდად არავინ დაინტერესებულა. ისინი ჩვეულ სამუშაოს ასრულებდნენ.

სააკისათვის ნახევარი თავი კვლავ გადაეპარსათ. დარჩენილი თეთრი თმა კი სისხლით იყო მოთხვრილი. მას არაფრისმთქმელი სახე ჰქონდა, მაგრამ ბარაბა სააკს კარგად იცნობდა და მიხვდა. რა აღებეშდებოდა სახეზე ძალა რომ ჰქონოდა. ამ სახეს ბარაბა ალმოდებული თვალებით შესცქეროდა, თუკი საერთოდ შეიძლებოდა ბარაბას ალმოდებული თვალები ჰქონოდა. მაგრამ ახლა ალბათ შეიძლებოდა. გატანჯულ სხეულსაც თვალს ვერ აშორებდა, რომ მოენდომებინა, მაინც ვერ მოაშორებდა, ისე კი არც უნდოდა. ეს სხეული ისე გაძალტყაევებული და უძლური იყო, გაუგებარია ბოროტება აქ როგორ დაიბუდებდა. მისი მკერდი, რომელზედაც ყველა ნეკნს დაითვლიდი, სახელმწიფო ბეჭდით დაედალათ, ნიშნად იმისა, რომ სახელმწიფო ღალატის გამო ისჯებოდა. საჭდე კი მოეხსნათ, რაც არ უნდა იყოს, ის მაინც ლითონისაა, თანაც ნამდვილად აღარ სჭირდებოდა.

იგი დასჯეს ქალაქგარეთ, მომცრო გორაკის ფერდობზე საიდაც მეჩხერი ბუჩქები ხარობდა. ბარაბა-შენდობილი სწორედ ერთი ასეთი ბუჩქის უკან იდგა. მისი და ჯვარზე გამკვრელების გარდა გორაკთან კაცი არ ჭაჭანებდა, სააკის სიკვდილი არავის აინტერესებდა. საერთოდ, აქ ბევრი ხალხი იკრიბებოდა ხოლმე. განსაკუთრებით თუ ვინმეს მძიმე დანაშაულის გამო სჯიდნენ, მაგრამ

სააკს არავინ მოუკლავს, არავინ გაუძარცვავს და ვინ იყო და რა დაეშავა, არავინ იცოდა.

ისევ გაზაფხული იდგა, სწორედ ისეთი გაზაფხული, როგორც მაშინ, ის და სააკი მიწისქვეშეთიდან რომ ამოვიდნენ, სააკი მუხლებზე დაეცა და „აქ არის, უკვე მოვიდაო," დაიყვირა.

მდელოები ირგვლივ მწვანედ ხასხასებდა და ის გორაკიც კი სადაც სააკი ჯვარზე გააკრეს, ყვავილებს დაეფარა. მთებისა და ცოტა მოშორებით, ზღვის თავზე, მზე ანათებდა. შუადღის ხვატი იდგა და საკმარისი იყო უწმინდურ მთაზე ვინმეს გაევლო, რომ ბუზები ჯგროდ წამოიშლებოდნენ. სააკის სხეულსაც ბუზები შეესოდნენ, მას კი განძრევა და მათი მოგერიება არ შეეძლო. არა, ამ სიკვდილს ამაღლებულსა და განმანათლებელს სწორედ ვერ დაარქმევდი, და მით უმეტეს გაურკვეველი იყო, ბარაბა ასე რად შეძრა. მისი თვალები ყოველივეს გაფაციცებით ნთქავდა, რომ სამარადჟამოდ დაემახსოვრებინა. ოფლი სააკს შუბლიდან და ღრმად ჩაცვენილი იღლიებიდან მოჟონავდა, მკერდი, რომელზეც რომის დამღა ამოეწვათ, აუდ-ჩაუდიოდა, ბუზების მომგერიებელი არავინ ჩანდა. სააკს თავი ჩამოუვარდა, მომაკვდავი ძნიმედ კვნესოდა. ბუჩქს უკან მიმალულ ბარაბას ყველა ჩქამი ესმოდა. იგი თავადაც ძნიმედ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ სუნთქავდა და პირიც ჯვარზე გაკრული მეგობარივით გაეღო. მოსწყურდა კიდეც, სწორედ ისე, როგორც ახლა ალბათ ჯვარზე გაკრულ სააკს სწყუროდა. ჰო, გაუგებარია, მაგრამ ისინი ხომ ასე დიდხანს იყვნენ გადაჯაჭვულნი და ახლა ბარაბას მოეჩვენა, ყველაფერი უკუღმა დატრიალდა და ჯვარცმულს ისევ ჯაჭვით მიმაბესო.

ს

ფეთებულან, არიქა, ჯვარცმული მოკვდაო. უბრალოდ, ვერაფერი შენიშნეს. მხოლოდ ბარაბამ შენიშნა და როგორც კი მიხვდა, სული შეუგუბდა, მუხლებზე ისე დაეცა, თითქოს ლოცვას აპირებდა.

უცნაურია! როგორ გაიხარებდა სააკი ეს რომ დაენახა. მაგრამ სააკი უკვე მკვდარი იყო და ვეღარაფერს დაინახავდა.

ბარაბა მუხლებზე დაეცა, მაგრამ ლოცვა მაინც ვერ შესძლო. აბა ვისთვის უნდა აღევლინა ლოცვა. მხოლოდ ცოტა ხანს მუხლებზე იდგა, შემდეგ ჰაღარა-წვერიანი, ტანჯული სახე ხელებში ჩამალა და ეტყობა, ატირდა.

უცებ ერთ-ერთმა ჯარისკაცმა შენიშნა, ჯვარცმული მოკვდაო და შეიგინა. ახლა მხოლოდ მისი ჩამოხსნაღა იყო საჭირო და შეიძლებოდა გზას გასდგომოდი. მათაც ჩამოხსნეს და გზას გაუდგნენ

ასე გააკრეს ჯვარზე სააკი. ბარაბა-შენდობილი კი იდგა და შესცქეროდა.

* * *

იმ დროისათვის, როცა თავისი თანამდებობა დატოვა და დარჩენილი წლების გასატარებლად რომში დაბრუნდა. პროკურატორს კუნძულის ყველა გამგებელზე მეტი სიმდიდრე ჰქონდა. სამაგიეროდ, საბადოებიცა და მთელი პროვინციაც, მისი განმგებლობის ქამს, ჯერ არნახულ შემოსავალს იძლეოდა. უთვალავი ზედამხედველი, თავისი მგზნებარებით, სიმკაცრითა და ალბათ სისასტიკითაც არანაკლებ უწყობდა ხელს პროკურატორს მოსახლეობისა და შონების მთელი ძალები გამოეყენებინა და ბუნებისაგანაც ყოველივე გამოეწურა. თავად პროკურატორი კი მკაცრი კაცი სულაც არ გახლდათ. სასტიკი ის კი არა, მისი განმგებლობა იყო და სასტიკესაც მას მხოლოდ არცოდნის გამო სწამებდნენ. სწორედ ისინი სწამებდნენ, ვინც მას საერთოდ არ იცნობდა. ჭორები და ვარაუდები არ ილეოდა. მაღაროს ჯურღმულებსა და მზით გადახრუკულ ველებზე მომუშავე ათასობით დაბეჩავებული ადამიანი, როცა გაიგებდა პროკურატორი გვტოვებსო, ღმერთს მადლობას სწირავდა და ახალი განმგებელი უკეთესი იქნებაო, ბრიყვულად იმედოვნებდა. პროკურატორი კი სასურველ კუნძულს სევდითა და სინანულით ტოვებდა. მან ხომ აქ თავის გემოზე იცხოვრა.

განსაკუთრებით თავისი საქმიანობის მიტოვება არ უნდოდა, რადგან ჯერ კიდევ ჯან-ღონით აღსავსე გახლდათ. მაგრამ ამასთანავე დახვეწილი პიროვნებაც იყო და სიამოვნებით ელოდა იმ სიტკბოებას, რომის ფუფუნება და ტოლ-სწორთა საზოგადოება რომ ჰპირდებოდა. დაჩრდილულ გემბანზე მოხერხებულ სავარძელში ჩაფლული პროკუკრატორი ლაღად ოცნებობდა.

მონები, რომლებსაც პირადი საჭიროებისათვის გამოიყენებდა და მათ შორის ბარაბაც, პროკურატორმა თან წაიყვანა. თუმცა

ბარაბა ამ სიაში მხოლოდ რომაელის კეთილმოსურნეობის გამო შოხვდა. მისი ასაკის მონას რაღას გამორჩებოდი, მაგრამ პროკურატორმა დაიმახსოვრა ეს დამჯერე, მორჩილი მონა, ასე გონიერად რომ მისცა თავისი ღმერთის სახელის წაშლის უფლება და მისი წაყვანა გადაწყვიტა. აბა ვინ იფიქრებდა, რომ ბარაბას ასეთი მზრუნველი და მადლიანი მფარველი გამოუჩნდებოდა.

ხომალდი ჩვეულებრივზე დიდხანს მიცურავდა, ზურგის ქარი დიდხანს არ უბერავდა, მაგრამ მრავალი კვირის მანძილზე ნიჩბების მოსმით ხელებდასისხლიანებულმა მონებმა, ბოლოს და ბოლოს ხომალდი ოსტიაში ჩაიყვანეს. მეორე დღეს პროკურატორი უკვე რომში იყო. მალე კი მისი ქონება და მონებიც ჩამოვიდნენ.

სასახლე, რომელიც მისი ბრძანებით იყიდეს, ქალაქის შუაგულში, უმდიდრეს უბანში იდგა. ეს რამდენიმესართულიანი შენობა მრავალფეროვანი მარმარილოთი იყო მოპირკეთებული და არნახული ფუფუნებით მორთული. ბარაბა სხვა მონებთან ერთად სარდაფში ცხოვრობდა, მთელ სასახლეში მხოლოდ ამ სარდაფს ხედავდა, მაგრამ მაინც ესმოდა, რომ მისი პატრონის სახლში ქონება დუღდა და გადმოდუღდა. თუმცა ეს მისთვის სულ ერთი იყო მძიმე სამუშაოს არ აკეთებინებდნენ, წვრილმან დავალებებს ასრულებდა. ყოველ დილით კი ორ სხვა მონასთან ერთად თან ახლდა გაბღენძილ, გათავისუფლებულ მონას, სამზარეულოს ზედამხედველს, როცა ის სურსათის საყიდლად ბაზარში მიდიოდა. ასე რომ ბარაბა რომს საკმაოდ ხშირად ათვალიერებდა.

მაგრამ, ვინ იცის, იქნებ, უფრო სწორი იყო გვეთქვა, რომი, სულაც არ უნახავს-თქო. რომი ბარაბას მხოლოდ თვალწინ გაუელვებდა ხოლმე. ხალხით გაჭედილ ვიწრო ქუჩებსა და ახმაურებულ ბაზრის მოედანზე გზას მიიკვლევდა და ყველაფერს თითქოს შორიდან, ნისლის მიღმა ხედავდა. მსოფლიოს ძლიერი, ხმაურიანი დედაქალაქი თითქოს ნამდვილი არ იყო და ისიც. ფიქრებში ჩაფლული ისე დაეხეტებოდა, თითქოს იქ არც იმყოფებოდა. მრავალი ქვეყნის, სხვადასხვა ჯურის მამაკაცებსა და ქალებს მოეყარათ თავი და ბარაბას გარდა ყველას აოცებდა ადამიანებით დასახლებული ჭიანჭველების ეს ბუდე, მისი სიმდიდრე და ბრწყინვალება, ვეებერთელა შენობები და ყოველგვარ ღმერთთა უამრავი ტაძარი, სადაც მოოქროვილი ჯალამბრებით ცნობილი ბატონები მიჰყავდათ, რათა თავ-თავიანთი ღმერთებისათვის თაყვანი ეცათ იმ დროს, როცა უკვე Via Sacra-ს ვაჭართა მდიდარი სამეკიტნოების მიერ შემოთავაზებული ცდუნებები ან საუცხოო აბანოების განცხრომა აღარ იზიდავდათ. ნებისმიერი სხვა კაცი თვალებს ააცეცებდა, რომ ეს ბრწყინვალების ხატი დაეჭირა, მაგრამ ბარაბას თვალები არაფერს იჭერდა, შეიძლება იმიტომაც, რომ ძალიან ღრმად ჩამალულიყო და ყოველივეს, რასაც ხედავდა, როგორც უსარგებლოსა და უცხოს, ხატად არ აქცევდა. არა, ყველაფერი ეს ბარაბას არა-

ფერში სჭირდებოდა. გინდაც სულ არ ყოფილიყო, მისთვის სულ ერთი იქნებოდა. თავად, ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდა.

მაგრამ ეს ქვეყანა ბარაბასთვის მთლად სულ ერთი არ იყო, რაღაცეთუ სძულდა იგი.

ქუჩაში ჩაელილ პროცესიებს: ქურუმებს, მორწმუნეებს, წმინდა Lიმბოლოებს თითქოს მირაჟად აღიქვამდა. კაცს, ვისაც ღმერთი არ ჰყავდა, უკვირდა, რომ ეს პროცესიები დროდადრო გზაზე ხვდებოდა და მათთვის გზა უნდა დაეთმო. იგი კედელს ეკრობოდა ხოლმე და მათ კვალს ალმაცერად, უჩუმრად გასცქეროდა. ერთხელ გაჰყვა კიდეც და რომელიღაც უცნაურ ტაძართან მივიდა. ასეთი ტაძარი მას არასოდეს ენახა. შიგნით შევიდა და ჩვილბავშვიანი დედის ქანდაკების წინ სხვებივით დადგა. შემდეგ, ეს ვინ არისო, იკითხა და მაშინვე უპასუხეს, ნეტარი იზიდაა, ხელში კი ჩვილი გორი უჭირავსო. თანაც უნდობლად შეხედეს, საიდან ბოსელა — წმინდა დედის სახელი რომ არ იცისო. ტაძრის დარაჯმა კი მას სპილენძით შეკედილ კარისკენ უბიძგა და იდუმალი ნიშნით მისი გაძევება ითხოვა, რათა თავისი თავიცა და ტაძარიც ბარაბასაგან დაეცვა. დარაჯი თითქოს მიხვდა, რომ იგი ზეცისა და დედამიწის, ზეცისა და დედამიწის შემქმნელის სიძულვილით იყო ჩასახული და შობილი.

ბარაბას უპისქვეშა ნაჭრილობევი გაულურჯდა, ველურ. ჩამქრალ მზერაში გასაფრენად მომზადებული ისარივით აუცახცახდა სიძულვილი, იგი ქუჩებსა და შესახვევებში გარბოდა, „განეედ ჩვენგან, უწმინდურო!“ გზა აებნა, დაეკარგა. ბოლოს და ბოლოს, სახლს მიაგნო. მაშინვე დასჯა მოუნდომეს და მხოლოდ იმიტომ არ დასაჯეს, რომ ყველამ იცოდა, პატრონი წყალობდა. თანაც ბარაბას დაბნეული განმარტება უცხო და უცნობ ქალაქში გზა დაეგებნაო, დამაჯერებლად ეღერდა. ბარაბა მონათა სარდაფის შორეულ კუთხეში დაიმალა. სიბნელეში იწვა, მკერდი აუდ-ჩაუდიოდა და გადახაზული სახელი „იესო ქრისტე“ ცეცხლივით წვავდა.

იმ ღამით ესიზმრა, რომ სხვა მონასთან იყო გადაჯაჭვული. მონა იწვა და ლოცულობდა, ბარაბა კი მას ვერ ხედავდა.

— ვისთვის ლოცულობ? — შეეკითხა ბარაბა. — რისთვის ლოცულობ?

— შენთვის ვლოცულობ, — სიბნელიდან უპასუხა მონამ და ბარაბას მისი ხმა ეცნაურა.

ჩუმად იწვა, რათა მისთვის ლოცვა არ შეეშალა და ბებერ-თვალები ცრემლით ევსებოდა. გაიღვიძა თუ არა, იატაკზე ხელი მოაფათურა, ჯაჭვი მოიძია, ჯაჭვი კი არსად იყო, არც მონა ჩანდა. ბარაბა არაფრისთან, ქვეყანაზე არავისთან არ იყო გადაჯაჭვული.

ერთხელაც მარტო იჯდა და სასახლის თაღიანი სარდაფის კე-

დელზე, მოფარებულ ადგილას მიჩხაპნილი თევზის ნიშანი დაინახა. ეს თევზი მოუქნელ ხელს მოეხაზა, მაგრამ რას გამოხატავდა ან მასში რა აზრი იფარებოდა, ეჭვს არ იწვევდა. ბარაბა იდგა და აქაურ მონებს შორის ქრისტიანი რომელიაო, ფიქრობდა. ამაზე შემდეგაც დიდხანს ფიქრობდა და ყველას ერთად, თანაც ყოველ მათგანს ცალ-ცალკე უთვალთვალებდა, გამოცანის ამოხსნას ცდილობდა. თუმცა არავინ გამოუკითხავს, არ გამოუკვლევია. ძნელი სულაც არ იქნებოდა, მაგრამ არავისთვის არაფერი უკითხავს.

სხვა მონებს ბარაბა საერთოდ არ ეკარებოდა, უფრო სწორად, მსოლოდ აუცილებელ შემთხვევაში მიმართავდა. იგი ხმას არავის სცემდა, ამიტომ, არავის იცნობდა. არც მას იცნობდა ვინმე და არც არავის ინტერესებდა.

რომში უამრავი ქრისტიანი იყო, ბარაბამ ეს იცოდა. ისიც გაეგონა, რომ ქრისტიანების საძმო ქალაქის სხვადასხვა უბნებში, თავის სამლოცველოებში იკრიბებოდა. მაგრამ ბარაბა მათთან არ მიდიოდა. რამდენჯერმე კი დააპირა წასვლა, მაგრამ საბოლოოდ მაინც არ წავიდა. თავის საჭდეზე მათი ღმერთის სახელი ეწერა. მაგრამ სახელი გადახაზული ჰქონდა.

უკანასკნელ ხანს ქრისტიანები ცხადია იმალებოდნენ, სხვადასხვა უბნებში ჩუმად იკრიბებოდნენ. დევნის ეშინოდათ. ბარაბამ ეს ბაზარში გაიგონა. იქ ვილაც კაცი იდგა და გაფშეკილი ხუთი თითით ქრისტიანებისაგან თავს ისე იცავდა, როგორც ჭმანდა დედის ტაძრის დარაჯმა ბარაბასგან დაიცვა თავი. ქრისტიანებზე ლაპარაკობდა. სახითათო და საზიზღრები არიან, შეიძლება გაგთვალონ, რას არ ჩაიდენენო. მათი ღმერთი ხომ საზარელი ბოროტმოქმედი და რა ხანია ჯვარზე გააკრეს, ჯობია მათგან თავი შორს გეჭიროსო.

ერთ საღამოს, შემთხვევით, სარდაფის წყვდიადში, ბარაბამ ორი მონის ჩურჩული გაიგონა. ისინი მას ვერ ხედავდნენ და თავიც მარტო დაიგულეს. ვერც ბარაბა ხედავდა, მაგრამ ხმები ეცნაურა. ეს ორი მონა ამ სახლში სულ ახალი მოყვანილი იყო, ისინი სულ რამდენიმე კვირის წინ იყიდეს.

ორივე ჩუმად საუბრობდა საძმოს შეკრებაზე, ხვალ საღამოს, ალბის გზაზე. მარკუს ლუციუსის ბაღში რომ იყო დანიშნული. მაგრამ ბარაბა მალე მიხვდა, რომ შეკრება დანიშნული იყო არა ბაღში, არამედ ებრაელთა კატაკომბებში, რომელიც სწორედ იქ იწყებოდა...

უცნაური ადგილი აურჩევიათ... მიცვალებულთა შორის... რამ მოიფიქრათ...

მეორე საღამოს, სანამ ღამით სარდაფს ჩაკეტავდნენ, ბარაბამ გაძვრომა მოახერხა. თუმცა ამისთვის სიკვდილით დასჯა ელოდა.

როცა Via Appia-ზე გავიდა. უკვე ბინდი ეშვებოდა და ქუჩაშიც კაცისშვილი არ ჭაჭანებდა. ბაღთან მისასვლელი გზა იმ მწყემსმა ასწავლა, რომელიც ცხვრის ფარას შინისაკენ მიერეკებოდა.

ბარაბა მიწისქვეშეთში შევიდა და ვიწრო, დამრეც გზას ხელების ფათურით გაუყვა. დღის სინათლე ზევიდან ჯერ კიდევ აღწევდა და კარგად ჩანდა კუბოთა პირველი რიგი თანდათან ბინდში როგორ იძირებოდა. კაცი ხელებს ცივ, სველ კედლებზე აფათურებდა და წინ მიიწევდა. მონებმა თქვეს პირველ, დიდ გალერეაში შეეიკრიბებითო, ჰოდა. ბარაბაც მიდიოდა და მიდიოდა.

აი, მგონი, ხმები გაისმა. კაცი ადგილზე გაიყინა, ყური მიუგდო — არა, არაფერი ისმოდა. ისევ დაიძრა. ფრთხილად მიაბიჯებდა. მიმავალს ხშირად საფეხურები ხვდებოდა, ხან ერთი, ხანაც რამდენიმე საფეხური, და ბარაბაც სულ უფრო და უფრო ქვეითად ეშვებოდა.

გალერეა კი არა და არ ჩანდა. კუბოთა შორის მხოლოდ ვიწრო გასასვლელი მიემართებოდა. შემდეგ ეს გასასვლელი ორად გაიყო და ბარაბამაც. საით წასულიყო, აღარ იცოდა. სრულიად დაბნეული, გაოგნებული შეჩერდა, მაგრამ ამ დროს, სადღაც შორს ნაპერწკალი აკიაფდა — ძალიან შორს აკიაფდა. რა თქმა უნდა, ცეცხლის ალია! ბარაბაც იქით გაქანდა. ეტყობა, იქ არიან!

მოულოდნელად ალი გაქრა. სულ მთლად გაქრა. იქნებ, შემთხვევით სხვა გასასვლელში შევიდა? უკან გამოქანდა, რათა ალი კვლავ დაენახა. მაგრამ ალი გაქრა, აღარსად ჩანდა.

ბარაბას ვერაფერი გაეგო. სად არიან? როგორ მოძებნოს? არადა. ნამდვილად აქ არიან.

თავად სადღა შემოხეტა? თუმცა არა უშავს. მას ხომ კარგად ახსოვს რა გზით იარა, შესასვლელამდე მისვლა არ გაუჭირდება. და უკან დაბრუნება გადაწყვიტა.

მაგრამ, როგორც კი უკან გამობრუნდა, სწორედ იმ გზით, სადაც ყოველი ორმო დაამახსოვრდა, უცებ კვლავ ალი დაინახა. მკაფიო, ძლიერი შუქი გვერდითა გასასვლელში გამოჩნდა — ალბათ ადრე ვერ შეამჩნია და ალიც ახლა სხვა მიმართულებით ციმციმებდა. ეს, ალბათ, იგივე შუქი იყო და ბარაბაც ახლა იქით გაქანდა. შუქი უფრო და უფრო აკაშკაშდა და... მოულოდნელად ისევ ჩაქრა. სულ გაქრა.

ბარაბამ თავზე ხელი იტაცა, თვალები მოიფშვნიტა. ეს რა შუქია? ან იყო კი საერთოდ შუქი? იქნებ, მოეჩვენა? იქნებ, მის თვალებს ისევ რაღაც დაემართა... როგორც ოდესღაც... დიდი ხნის წინათ... კაცი თვალებს იფშვნეტდა და აქეთ-იქით საცოდავად იხედებოდა...

შუქი არ იყო! არსად არ იყო! ირგვლივ მხოლოდ გაყინული წყვდიადი მეფობდა და ბარაბაც ამ წყვდიადში მარტო იდგა, მის მეტი აქ არავინ ჩანდა. არც ერთი სულიერი, არავინ. მხოლოდ მიცვალებულები მოჩანდნენ!

მიცვალებულები! ირგვლივ მხოლოდ მიცვალებულები იყვნენ! ირგვლივ, ყველგან, ყოველ მხარეს, ყველა გასასვლელში, საითაც

არ უნდა გაგეხედა, მხოლოდ მიცვალებულები მოჩანდნენ! საით წავიდეს? ბარაბას წარმოდგენა არ ჰქონდა, რა გზას უნდა დადგომოდა, რომ აქედან გასულიყო, თავი დაეხსნა, მიცვალებულთა საუფლოსთვის თავი დაეღწია.

მიცვალებულთა საუფლო!.. მიცვალებულთა საუფლოში ჩაეშვა! მიცვალებულთა საუფლოში ჩაიკეტა!

ბარაბას ელდა ეცა. გულისამრევი შიში იგრძნო. და უცებ წინ ალაბედზე გაქანდა. იგი გასასვლელებში დაქროდა, სიბნელეში საფეხურებს აწყდებოდა, აქეთ-იქით ეხეთქებოდა, გასვლას, აქაურობისგან თავის დაღწევას ლამობდა. წინ და უკან შეშლილივით დარბოდა, იხრჩობოდა, ბორძიკობდა, აწყდებოდა კედლებს, სადაც მიცვალებულები იყვნენ შემარხულები და აქედან გაღწევის იმედი ეწურებოდა...

და აი, როგორც იქნა, იქიდან, ზემოდან, სხვა სამყაროდან მონაბერი თბილი სიო მიელამუნა... თითქმის გონდაკარგული ბარაბა ფერდობზე აბობღდა და ვენახში აღმოჩნდა. იქვე, მიწაზე გაწვა. ასე იწვა და ცარიელ, ჩამუქებულ ზეცას შესცქეროდა.

ბინდი უკვე ყველგან ჩამოწოლილიყო. ღედამიწაზეც, ცაშიც ყველგან წყვდიადი მეფობდა.

ოცა შინ მიბრუნებული ბარაბა ღამეულ Via Appia-ს მიუყვებოდა, თავს ძალიან მარტოსულად გრძნობდა, იმიტომ კი არა, რომ გვერდით არავინ ედგა და ქუჩაშიც არავინ ხვდებოდა, არამედ იმიტომ, რომ ამ უკიდეგანო ღამეში, მთელი დედამიწა რომ მოეცვა, მარტოდმარტო მიაბიჯებდა და არც მიწაზე, არც ზეცაში, არც ცოცხალი და არც მკვდარი არავინ ეგულებოდა. ბარაბა ყოველთვის მარტოსული იყო, მაგრამ ამას მხოლოდ ახლაღა მიხვდა. იგი ისე მიაბიჯებდა. თითქოს წყვდიადში იყო დამარხული, ბებერ, ეულ სახეს კი მამის დანით მიყენებული ნაკრილობევი სერავდა. მოშვებულ, ბებერ მკერდზე, ჭაღარა ბალანში ჩამალულიყო მონის საჭდე. რომელზედაც უფლის გადახაზული სახელი ეწერა. ჰო, ის მარტოდმარტო იყო, არც მიწაზე, არც ზეცაში არავინ ჰყავდა.

ბარაბა თავის თავში, თავის მიცვალებულთა საუფლოში ჩაკეტილიყო. თავი როგორ დაეღწია იქიდან?

ერთადერთხელ გადააჯაჭვეს კაცს და ისიც რკინის ჯაჭვით. მხოლოდ რკინის ჯაჭვით გადააბეს, მეტი არაფრით, არასდროს...

ბარაბა მიდიოდა და ქვაფენილზე საკუთარი ნაბიჯების ხმა ესმოდა. ეს ხმა რომ არა, სრული სიჩუმე დაისადგურებდა, თითქოს მთელ ქვეყანაზე მის გარდა არავინ არსებობდა. ყოველი მხრიდან წყვდიადი შემოხვეოდა. შუქი არსად მოჩანდა. შუქის სულ მცირე ციალიც კი არსად მოჩანდა. ვარსკვლავებიც არ ჩანდა და გარემო მიტოვებულს, ცარიელს ჰგავდა.

ეაოაეა ეეიიეედ სუეთქავდა, ჯაეოიც სიცხიახივით გავარვარებული და ჩახუთული იყო. იქნებ თავად ბარაბას ჰქონდა სიცხე, იქნებ, ავად გახდა, იქნებ, იქ, ქვემოთ, სიკვდილი შემოეპარა? სიკვდილი! ის ხომ ყოველთვის თან სდევდა, მასში დაებუდებინა, ყოველთვის. მას შემდეგ, რაც ამ ქვეყანას მოევლინა, თან სდევდა. საკუთარი გონების ბნელ, თხუნელას დერეფანივით ვიწრო გასასვლელებში სწორედ ის ერეკებოდა, ელდით ავსებდა. თუმცა დაბერდა და სიცოცხლეც აღარ უნდოდა, მაინც ელდით ავსებდა... არადა, რა სიხარულით... ჰო, სიხარულით....

არა, არა, ოღონდ ნუ მოკვდება, ოღონდ ნუ მოკვდება!

ისინი კი მიცვალებულთა საუფლოში იკრიბებიან, ლოცულობენ, თავის ღმერთსაც და ერთმანეთსაც შეერწყმებიან. სიკვდილის არ ეშინიათ, სიკვდილი დაამარცხეს. საძმოს შეხვედრებზე, სიყვარულის საღამოებზე იკრიბებიან... „გიყვარდეთ ერთმანეთი...“ „გიყვარდეთ ერთმანეთი...“.

და აი, ბარაბა მათთან მივიდა, ისინი კი იქ არ დახვდნენ, არც ერთი არ დახვდა. კაცი კი წყვდიადში, თხუნელას დერეფანივით ვიწრო გასასვლელებში დაეხეტებოდა...

სად გადაიკარგნენ? სად გადაიკარგნენ ისინი, ვითომ ერთმანეთი რომ უყვართ?

საით წავიდნენ, ირგვლივ ხომ ღამე, ჩახუთული ღამე ჩამოწვა? (აქ, ქალაქში ჩახუთული ჰაერი უფრო ახრჩობდა), ღამემ, მხურვალე ღამემ მთელ დედამიწას რიდე ჩამოაფარა და სასუნთქი ჰაერიც აღარ დატოვა. ბარაბას ღამე ახრჩობდა, სულს უხუთავდა...

კუთხეში შეუხვია და ტრუსის სუნი ეცა. შორიახლო მდგარი სახლის სარდაფიდან და პირველი სართულიდან ბოლი ამოდიოდა, ზოგიერთი ფანჯრიდანაც ალი გამოიჭრა... ბარაბა იქით გაქანდა!

გაქანდა და ირგვლივ დაძრული ხალხის ხმაც გაიგონა:

— ხანძარია! ხანძარია!

გზაჯვარედინზე შენიშნა, რომ მეორე ქუჩაც იწვოდა, თანაც უფრო ძლიერად. ბარაბას აღარაფერი გაეგებოდა... და მოულოდნელად ვიღაცამ დაიყვირა:

— ქრისტიანები! ქრისტიანებმა გადაწვეს!

მაშინ ყოველი მხრიდან გაისმა:

— ქრისტიანებმა! ქრისტიანებმა!

თავდაპირველად ბარაბა ადგილზე გაიყინა, რას ამბობდნენ, ვერ გაიცნაურა, გონება ვერ მოიკრიბა. ქრისტიანები რა შუაშია?... და მოულოდნელად ყველაფერს მიხვდა.

ცხადია ქრისტიანების საქმეა! ქრისტიანებმა გადაწვეს რომი! მთელი ქვეყანა გადაწვეს!

ახლა გასაგებია კატაკომბებში რად არ დახვდნენ! ისინი აქ დაბრჩნენ, რათა ეს უგვანი რომი ცეცხლისათვის მიეცათ, რათა

მთელი ეს უგვანი ქვეყანა ცეცხლისათვის მიეცათ! საათმა დაჰკრა! მათი მაცხოვარი დაბრუნდა!

ჯვარცმული მოვიდა, ის, გოლგოთელი დაბრუნდა, ხალხის გადასარჩენად, ამ ქვეყნის დასარბევად დაბრუნდა. განა ასე არ შეჰპირდა? განა არ დაიბარა ამ ქვეყანას ცეცხლს მივცემ, გავანადგურებო? მან ხომ პირობაც დასდო. და აი, როგორც იქნა, თავისი ძალა გამოაჩინა. მას უნდა დაეხმაროს ბარაბა! გოლგოთაზე დაღუპულ თავის ძმას, დაღუპული ბარაბა ახლა აღარ უღალატებს! ახლა აღარ მოატყუებს!

კაცმა უახლოეს ცეცხლმოკიდებულ სახლთან მიირბინა, დიდი ნაკვერცხალი აიტაცა და მეზობელ სახლს ესროლა, ერთიმეორეს მიყოლებით ნაკვერცხლებს იტაცებდა და სახლებს და სარდაფებს ესროდა. არ გიღალატებ! არ გიღალატებ! ზუსტად ისროდა, არ აცილებდა! რა ცეცხლი ავარდა! ალი ერთი სახლიდან მეორეზე გადადიოდა, კედლებს ლოკავდა, ყველაფერი ცეცხლში გაეხვია! ბარაბა კი ისევ დარბოდა, უფრო დიდ ცეცხლს აჩაღებდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, იხრჩობოდა, უფლის გადახაზული სახელი კი გულთ ახლოს უცახცახებდა. არ გიღალატე! უფალო ჩემო, არ გიღალატე! როცა ნამდვილად დაგჭირდი, როცა ჟამმა, დიადმა ჟამმა დარეკა, როცა ყოველივეს დაღუპვის დრო დადგა! გაჩაღდა ცეცხლი, გაჩაღდა! ყვალაფერი უშველებელი ცეცხლის ალის ზვირთად გადაიქცა და ქვეყანაც ცეცხლმა შოიცვა!

აი, ეს არის! შეხედე! აი, ეს არის მისი მეუფება!

* * *

ყველა ქრისტიანი, ვისაც ხანძრის გაჩენაში ბრალი ედებოდა, კაპიტოლიუმის მიწისქვეშა ციხეში ჩაყარეს. მათ შორის ბარაბაც იყო. იგი ბოროტმოქმედების ადგილზე შეიპყრეს, დაჰკითხეს და აქ, მათთან მოიყვანეს.. ახლა იგი ქრისტიანებთან ერთად იჯდა.

ციხე პირდაპირ კლდეში იყო გამოკვეთილი და კედლებიც ნესტიანი გახლდათ. ჩამოწოლილ ბინდში სახეები ბუნდოვნად მოჩანდა და ბარაბას ეს ახარებდა. იგი მოშორებით, დამპალ ჩალაზე იჯდა და ყველასთვის ზურგი შეექცია.

ქრისტიანები კი სულ ამ ხანძარზე და თავის ხვედრზე საუბრობდნენ. ცხადია, ხანძარი მხოლოდ საბაბი იყო მათ შესაპყრობად. მსაჯულმა თავადაც მშვენივრად იცოდა, რომ ქრისტიანებს არაფერი გადაუწვავთ. ისინი ხომ იქ არც ყოფილან, ხანძრის ადგილას არ ყოფილან. როგორც კი გაიგეს შეპყრობას გვიპირებენო, ვილაცამ კატაკომბებში ჩვენი შეხვედრის ადგილი გასცაო, სახლებიდან არც კი გამოსულან. ქრისტიანები უდანაშაულონი არიან. მაგრამ რას იზამ, თუკი ყველას სჭირდება, რომ დამნაშავენი სწორედ ისინი იყვნენ,

თუკი ყველას უნდა დაიჯეროს, რომ მოსყიდული ბრბოს ყვირილი, „ქრისტიანებმა გადაწვესო“, სრული სიმართლეა.

— ვინ მოისყიდა? — სიბნელიდან გაისმა ხმა, მაგრამ მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

...განა მაცხოვრის მიმდევრებს ხანძრის გაჩენა და რომის გადაწვა შეეძლოთ? განა ამის დაჯერება შეიძლება? მაცხოვარი ხომ ადამიანთა სულებს ანადგურებს ცეცხლით და არა მათ ქალაქებს. იგი, უფალი ჩვენი და მიწისა და ზეცის მაცხოვარი, ბოროტმოქმედი არ არის.

და ტყვეებიც ერთხმად ალაპარაკდნენ მასზე, ვინც თავად სინათლე და სიყვარული იყო და მის მეუფებაზე, მისივე აღთქმით რომ ელოდნენ. შემდეგ ჰიმნების გალობა წამოიწყეს და ამ ჰიმნებში ისეთი ლამაზი, უცნაური სიტყვები იხმარეს, ბარაბას ადრე რომ არსად გაეგონა. იგი თავჩაქინდრული იჯდა და მათ გალობას ისმენდა.

სწორედ ამ დროს გარედან ურდული გადასწიეს, კარის ანჯამებმა გაიკრიალა და ზედამხედველი შემოვიდა. მან კარი ოდნავ შეღებული დატოვა, რათა მცირეოდენ შუქს შემოეღწია, სანამ პატიმრებს დაანაყრებდა. თავად, როგორც ჩანს, სულ ახლახან გამომძღარიყო და ლაზათიანადაც გადაეკრა, რადგან სახე წამოწითლებოდა და ყბედობის გუნებაზე მოსულიყო. ბინძურად იგინებოდა და მონებს სალაფავს ესროდა. თუმცა თავისი ლანძღვით ვინმეს შეურაცხყოფა არც უფიქრია, უბრალოდ ლაპარაკობდა იმ ენაზე, რომელზედაც ამ სამსახურში ჩამდგარი ხალხი ლაპარაკობს ხოლმე. ყველა დროის, ყველა ზედამხედველი ამ ენაზე ლაპარაკობდა. საერთოდ კი გულითადი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მან მოულოდნელად შენიშნა ბარაბა, რომელსაც ოდნავ შეღებული კარიდან შემოჭრილი სინათლის სხივი ეცემოდა და გულიანად გადაიხარხარა.

— ეს ბრიყვიც აქ არის! — დაიყვირა მან. — დარბოდა და რომს ცეცხლს უკიდებდა! ვაი, რა შტერია! თქვენ კიდევ, არ გადაგვიწვავსო, იტყუებით! ის ხომ სწორედ მაშინ დაიჭირეს, როცა ნაკვერცხლით ხელში საწვავის საწყობისკენ, კაიუს სერვიუსის საწყობისკენ მიქროდა!

ბარაბას თვალები არ აუწევია. მისი გაყინული სახე არაფერს გამოხატავდა, მხოლოდ თვალის ქვეშ ნაჭრილობევი გაულურჯდა.

დანარჩენი ტყვეები მას განცვიფრებით ათვალიერებდნენ. ბარაბას აქ არავინ იცნობდა. მონებს ის ვიღაც უცნობი ბოროტმოქმედი ეგონათ. დაკითხვითაც კი ცალკე დაკითხეს.

— შეუძლებელია, — ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ ისინი.

— რა არის შეუძლებელი? — გაოცდა ზედამხედველი.

— თუკი ყოველივე, რაც გვიამბე, მართალია, შეუძლებელია ეს კაცი ქრისტიანი იყოს.

—რაო? შეუძლებელიაო? თვითონ რომ ასე თქვა? მაგის დამჭერებმა მიამბეს, თანაც დაკითხვაზეც ხომ აღიარა.

— არ ვიცნობთ. — შეცბუნებით ბუტბუტებდნენ ტყვეები. — ჩვენიანი რომ იყოს, გვეცოდინებოდა. პირველად ვხედავთ.

— თავს ნუ იკატუნებთ! მოიცადეთ, ახლავე გასიამოვნებთ! — ზედამხედველი ბარაბას მიუახლოვდა და კისერზე შებმული საჭდე გადმოუბრუნა. — აჰა, შეხედეთ! ეს რა, თქვენი ღმერთის სახელი არ არის? მე ამ ნაჯღაბნში ვერ ვერკვევი, მაგრამ ხომ ასეა? აბა თავად წაიკითხეთ!

ტყვეები ბარაბასა და ზედამხედველს შემოეხვიენ და საჭდეს მეორე მხარეზე ამოტვიფრულ წარწერას გაოგნებით დახედეს. უმეტესობას მისი წაკითხვა არ შეეძლო, მაგრამ ზოგიერთები შეშფოთებით აჩურჩულდნენ:

— იესო ქრისტე... იესო ქრისტე...

ზედამხედველმა საჭდე გადააბრუნა და ტყვეებს გამარჯვებულის იერით გადახედა.

— ჰა, ახლა რაღას იტყვით? მაინც არ არის ქრისტიანი? თავად, თქვენ წარმოიდგინეთ, ქრისტიანი ვარო, მსაჯულს მოახსენა, თანაც დასძინა, კეისარს კი არა, აი, იმ ღმერთს ვეკუთვნიო, თქვენ რომ ლოცულობთ და კარგა ხნის წინ ჯვარზე ჩამოკიდეს. ჰოდა, ახლა ამასაც ჩამოკიდებენ, თუ გინდათ, ნიძლავს დაგიდებთ. სხვათა შორის, არც თქვენ აგცდებათ, თუმცა უფრო მოხერხებულები აღმოჩნდით, ოღონდ, ეგ არის, არ გაგიმართლათ რაღა, ერთი შტერი გამოგერიათ, ხელში თავად ჩაგვივარდა და ქრისტიანი ვარო, გამოგვიცხადა!

ზედამხედველმა ჩაიხითხითა, ტყვეების გაოგნებულ სახეებს თვალი მოავლო და კარი გაიკეტა.

ტყვეები კი კვლავ ბარაბას შემოეხვიენ და კითხვები დააყარეს. ვინ არის? ნუთუ ქრისტიანია? რომელ საძმოს ეკუთვნის? ნუთუ ხანძარი მართლა გააჩინა?

ბარაბას კრინტიც არ დაუძრავს. სახე სულ ჩაუნაცრისფერდა, ბებერმა თვალებმა მზერა უფრო ღრმად ჩამალეს.

— ქრისტიანიაო! აბა, რას ამბობთ, განა ვერ დაინახეთ, რომ წარწერა გადახაზულია...

— გადახაზულია? უფლის სახელია გადახაზული?

—ჰო, თავადაც ხომ დაინახეთ!

აი, ერთი მონა საჭდეს მისწვდა და თუმცა შუქი სულ გაილია, კვლავ დაათვალიერა. ახლა ყველამ დაინახა, რომ ვიღაცის უდავოდ ძლიერ ხელს სახელი დანით მკვეთრად, უხეშად, ჯვარედინად გადაეხაზა.

— რად არის გადახაზული უფლის სახელი? — ეკითხებოდნენ ისინი. — რატომ? ეს რას ნიშნავს? რა, არ გესმის? ეს რას ნიშნავს?

მაგრამ ბარაბა კრინტსაც არ ძრავდა. იგი თავჩაქინდრული იჯდა. ტყვეებს ხელს არ უშლიდა მისი საჭდე დაეთვალიერებინათ, მაგრამ ხმას არ იღებდა. ტყვეებს კი ეს კაცი უფრო და უფრო აოცებდა და

ამძვინვარებდა. თავი ქრისტიანად მოაქვს, მაგრამ არ შეიძლება ქრისტიანი იყოს! სად გაგონილა! ბოლოს და ბოლოს, ვიღაცამ მოხუცს მიმართა. ეს მოხუცი მოშორებით, ჯურღმულის კედელთან იჯდა და აურზაურში მონაწილეობას არ იღებდა, მაგრამ მიმართეს თუ არა, წამოდგა და ბარაბას მიუახლოვდა.

იგი ჩასკვნილი, თუმცა წელში ოდნავ მოხრილი, მაინც ჯერ კიდევ ახოვანი კაცი იყო. გრძელი, მაგრამ მკერდზე ჩამოფენილი წვერივით შეთხელებული და გაჭაღარავებული თმა ჰქონდა. მთელი მისი იერი პატივისცემას იწვევდა. მოკრძალებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მისი ცისფერი, ნათელი თვალები, თითქმის ბავშვურად შემოგცქეროდა, თუმცა მხცოვანების სიბრძნეც არ აკლდა.

თავდაპირველად მოხუცმა ბარაბას ბებერი, გამოფიტული სახე დიდხანს ათვალიერა. შემდეგ თავი ისე გაიქნია, თითქოს რაღაც გაახსენდა.

— ისე დიდი ხნის წინ მოხდა, — თავის მართლებით ჩაილაპარაკა და ტყვეების გვერდით თივაზე დაეშვა.

დანარჩენი მონები გაოცდნენ. ნუთუ ღირსეული მამა ამ კაცს იცნობდა?

მოხუცი ამ კაცს აშკარად იცნობდა. როგორც კი ხმა ამოიღო, ეს მაშინვე ნათელი გახდა. შენი ცხოვრება როგორ წარიმართაო, შეეკითხა ბარაბას. ბარაბამაც თავისი ბედ-იღბლის ამბავი მოუთხრო. ცხადია, ყველაფერი არ უამბია, აბა, სად შეეძლო, მაგრამ ისე მოჰყვა, რომ მხცოვანმა ბევრი რამ გაიგო და ბევრსაც თავადვე მიხვდა. დროდადრო მოხუცი რაღაც ისეთს დასძენდა, რაც ბარაბას გამორჩა და ჩაფიქრებული ბარაბაც თავს დაუქნევდა. მათ გულითადად ისაუბრეს, თუმცა ბარაბას არ სჩვეოდა ვინმესთვის გულის გადახსნა და ახლა, ამ მოხუცსაც მხოლოდ ნაწილობრივ ენდობოდა. და მაინც, მის შეკითხვებზე ჩუმი, დაღლილი ხმით პასუხობდა. ხანდახან კი შეათვალიერებდა მის ბავშვურ, ბრძნულ თვალებს და დაღარულ პირისახეს, რომელიც წლებს ასევე არ დაენდო, მაგრამ ბარაბას სახისაგან მაინც განსხვავდებოდა. ამ პირისახეზე ღრმა ნაოჭები მოჩანდა, მაგრამ მაინც სხვანაირი, თითქოს სიმშვიდით განათებული იყო. მოხუცს თეთრი სახის კანი ჰქონდა, ლოყები ჩაცვივნოდა, იქნებ იმიტომაც, რომ კბილები თითქმის აღარ შერჩენოდა. საერთოდ კი, თითქმის არ გამოცვლილიყო. საუბრითაც ძველებურად საუბრობდა და კილოც ისეთივე უბრალო და უეშმაკო ჰქონდა.

ღირსეულმა მამამ თანდათან შეიტყო უფლის სახელი გადახაზული რად იყო და ბარაბამ რომის გადაწვა რად სცადა. კაცს სურდა მათ დახმარებოდა. მაცხოვარს დახმარებოდა და ეს ქვეყანა ძირის-ძირობამდე გადაებუგა. ამის გაგონებაზე მოხუცმა მწარედ გადაიქნია თავი და ბარაბას, როგორ დაიჯერე, რომ ჩვენ ქრისტიანებმა რომი გადავწვითო, შეეკითხა, ეს ხომ თავად კეისარმა ბრძანა და შენც იმას დაეხმარეო, უთხრა.

— ამა ქვეყნის მბრძანებელს დაეხმარე, — უთხრა მან. — სწორედ იმას, ვინც საჭდეზე მეპატრონედ გიწერია და არა უფალს, ვისი სახელიც გადაგიხაზავს. თუმცა არ იცოდი, მაინც შენს კანონიერ მეპატრონეს ემსახურებოდი. ჩვენი ღმერთი კი სიყვარულია, — დასძინა ჩუმად, ბარაბას ჭაღარა, ბანჯგვლიან მკერდზე ჩამოკიდულ საჭდე აიღო და თავისი უფლის გადახაზულ სახელს სიმწრით დახედა.

შემდეგ საჭდეს ხელი გაუშვა და მძიმედ ამოიოხრა, იგი მიხვდა, ბარაბას ხვედრი ასეთი იყო, ეს ტვირთი მას ბოლომდე უნდა ეზიდა და ვერაფერს, ვერაფერს შეცვლიდა. იმასაც მიხვდა, რომ ეს ბარაბამაც იცოდა. ყველაფერი მის გაუბედავ, ეულ თვალებში ამოიკითხა.

— ვინ არის? ვინ არის? — ერთმანეთს ასწრებდნენ ყვირილს, როცა მოხუცი ადგილიდან წამოდგა. მოხუცს კი პასუხის გაცემა არ სურდა, თავის არიდებას ცდილობდა, მაგრამ ტყვეებმა ისე შეუტიეს, იძულებული გახდა დაეთმო.

— ეს ბარაბაა, მაცხოვრის ნაცვლად რომ გაათავისუფლეს, — თქვა ბოლოს.

მონები უცხოს თავგზააბნეულები შესცქეროდნენ. ასე ძლიერ შათ ვერაფერი გააოცებდა და ააღელვებდა.

— ბარაბა, — ჩურჩულებდნენ ისინი. — ბარაბა-შენდობილი!

ეს გონებაში არ ეტეოდათ და მათი თვალები წყვდიადში ბრაზიანად ელავდნენ.

მაგრამ ისინი მოხუცმა დააწყნარა.

— უბედური კაცია, — თქვა მან. — რა უფლება გვაქვს განვსაჯოთ. თავად ხომ უამრავი ნაკი და ზადი გვაქვს და რა ჩვენი დამსახურებაა, თუ უფალი წყალობით გვექცევა. არ გვაქვს უფლება, კაცი იმისთვის განვსაჯოთ, რომ ღმერთი არა ჰყავს.

ტყვეები თავჩაქინდრულები იდგნენ და ამ სიტყვების, ამ საშინელი სიტყვების შემდეგ თითქოს ვეღარც ბედავდნენ ბარაბასთვის შეეხედათ. ჩუმად ჩამოშორდნენ და ძველ ადგილებზე ჩუმადვე დასხდნენ. მოხუციც, უხალისოდ და ოხვრით, მათ კვალს მიჰყვა.

და ბარაბა კვლავ მარტო დარჩა.

დანარჩენი დღეები ჯურღმულში ასე ყველასგან მოშორებით, განცალკევებით იჯდა, ესმოდა, როგორ უგალობდნენ ღმერთს მონები, როგორ ესაუბრებოდნენ ერთმანეთს სიკვდილსა და მარადიულ ცხოვრებაზე მათ რომ ელოდათ. განაჩენის გამოტანის შემდეგ კიდევ უფრო მეტს საუბრობდნენ, რადგან სწამდათ და არავითარი ეჭვი არ აწუხებდათ.

ბარაბა მათ საუბარს ღრმად ჩაფიქრებული ისმენდა. თავადაც ფიქრობდა იმაზე, რაც მოელოდა. იმ კაცსაც იხსენებდა, ზეთისხილის მთაზე პური და მარილი რომ გაუყო. ის კი კარგა ხანია ხელ-

მეორედ მოკვდა და მისი მკვდარი თავისქალა მარადიულ წყვდიადში იკრიჭებოდა.

მარადიული ცხოვრება...

ნეტავ ბარაბას ცხოვრებას თუ ჰქონდა რაიმე აზრი? საეჭვოა. მაგრამ მან არაფერი იცოდა და არც თავად გადაუწყვეტია რამე.

მოშორებით თავისიანებს შორის ჭაღარაწვერიანი მოხუცი იჯდა. იგი ტყვეებს უსმენდა და თავისი განუმეორებელი, გალილეური კილოთი ესაუბრებოდა. ანდა უცებ გაჩუმდებოდა და თავის დიდ თავს ხელებზე ჩამოაყრდნობდა. იქნებ, მშობლიური გენესარეთის ნაპირები აგონდებოდა, სადაც სიკვდილის შემდეგ წოლა უნდოდა. მაგრამ ამას მისი ნება როდი წყვეტდა. გზაზე მაცხოვარს გადაეყარა, მან „გამომყევიო“ უთხრა და კაცსაც სხვა გზა არ ჰქონდა. თავისი ბავშვური მზერით იგი წიხ იყურებოდა, ბებერ, დაღარულ სახეზე კი დიადი სიმშვიდე ეფინა.

და აი, ისინი ჯვარზე გასაკრავად წაიყვანეს. მონები ჯაჭვებით წყვილწყვილად გადააბეს, მაგრამ ბარაბას მეწყვილე არ ეყო და ისიც კუდში მარტოდმარტო მიაბიჯებდა. უბრალოდ ასე გამოვიდა. შემდეგ კი ისე მოხდა, რომ ყველაზე მოშორებით მდგარ ჯვარზე გააკრეს.

ხალხმრავალმა ბრბომ მოიყარა თავი და სანამ ყველაფერი დასრულდებოდა დიდი დრო გავიდა. ამ ხნის მანძილზე ჯვარცმულები ერთმანეთს აიმედებდნენ და აწყნარებდნენ, ბარაბას კი არავინ ამშვიდებდა.

შებინდდა თუ არა, დიდხანს ფეხზე დგომით დაღლილი ბრბო დაიშალა. თანაც ამ დროისათვის უკვე ყველა მკვდარი იყო.

მხოლოდ ბარაბა იყო ცოცხალი. შემდეგ მანაც იგრძნო მოახლოვება სიკვდილისა, რომლისაც მუდამ ეშინოდა და წყვდიადში ისე ჩაილაპარაკა, თითქოს სიკვდილს მიმართავდა:

— შენ გაბარებ ჩემს სულს.

თქვა და სულიც განუტევა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ



მთის ფერდობზე, რომლის ძირას დელფო გადაჭიმულიყო, განმარტოებულ ქოხში გონებასუსტ ვაჟიშვილთან ერთად დედაბერი ცხოვრობდა. ქოხი სულ პატარა იყო, უკანა კედლის მაგივრობას უწევდა ჩამოთლილი მთის ფერდი, საიდანაც გამუდმებით ნესტი ჟონავდა. ეს უბადრუკი ქოხმახი, ოდესღაც მწყემსებს რომ აუშენებიათ, შიშველ ფერდობს ობლად აკვროდა და ქალაქსა და ტაძრის წმინდა მიწას მაღლიდან დაჰყურებდა. დედაბერი ქოხიდან იშვიათად გადიოდა, ვაჟიშვილი — არასოდეს. იგი ბინდბუნდში იჯდა და რაღაც თავისას უღიმოდა. ასე იჯდა და მთელი ცხოვრება ასე იღიმებოდა. ახლა მას ახალგაზრდა აღარ ეთქმოდა და გაბურძგნულ თმაში ჭაღარა შეჰპარვოდა. სახე სულ გამოსცვლოდა, ისეთივე დარჩენოდა, როგორც მთელი ცხოვრება ჰქონდა — ქოსა იყო, შეღინღლული, ახალშობილის პირველქმნილ, გლუვ ნაკვთებში უცნაური ღიმილი ჩაჰკვდომოდა. დედაბერს კი პირქუში და დანაოჭებული პირისახე ისე ჩაშავებოდა, თითქოს ცეცხლს შეუტრუსავსო, ოღონდ მის მზერაში გამოსჭვივოდა ადამიანი, რომელსაც უფლის ხილვა შეეძლო.

ისინი ქვეყნისაგან მოწყვეტილნი იყვნენ, მათთან არავინ მიდიოდა, ახლოსაც კი არ ეკარებოდნენ. რამდენიმე თხა ჰყავდათ, თაწაც დედაბერი მთაში ფესვებსა და ბალახებს აგროვებდა და ამით იკვებებოდნენ. სხვათა დახმარების იმედი არც ჰქონდათ, რადგან მათი ცნობა არავის უნდოდა.

ქოხს შესასვლელი ხეობისკენ ჰქონდა მიქცეული. დედაბერი ხშირად იჯდა ზღურბლზე, ნიშის ბინდბუნდში და დიდი ხნის წინ

შისგან მიტოვებულ ქვეყანას ჩასცქეროდა. ყველაფერი თითქოს ხელისგულზე ედო. ქალაქი, სადაც თავისი საზრუნავით გართული ხალხი სახლებს შორის დაძრწოდა, წმინდა გზა, სადაც პილიგრიმები ტაძრის მოედნისაკენ საზეიმოდ მიაბიჯებდნენ, საკურთხეველი უფლის სავანის წინ, სადაც მსხვერპლს სწირავდნენ — ეს ყველაფერი კარგად ნაცნობი იყო მისთვის. ხანდახან კი, დილით, ალიონზე ხდებოდა სწორედ ის, რაც დედაბრისთვის ყველაზე ახლობელი იყო და ყველაზე უკეთ იცოდა. ტაძრის მოედანი ჯერ ცარიელია, მას მსახური ბიჭუნა ხვეტავს და ტაძრის შესასვლელს უფლის წმინდა ჭალიდან მოტანილი ხასხასა დაფნის რტოებით ამკობს. მთელი ხეობა აღმოსავლეთის მთების მიღმა ახლად ამოსული ჰზის ნათელი შუქითაა მოფენილი. წმინდა გზას, ორი ქურუმის თანხლებით ნელა მიუყვება მთის ნაპრალიდან გადმოდენილ წყაროში ახლად განბანილი ახალგაზრდა ქალი, რომელიც ტაძარს მოწიწებით შესცქერის. მას პატარძლის, მდიდარი პატარძლის სამოსი აცვია. მსახური ბიჭუნა ქალს ტაძრის კართან ეგებება, წმინდა წყალს აპკურებს და ისიც განწმენდილი შედის ღვთის სავანეში, რათა უფლის ძლიერი სულით აღივსოს.

უხსოვარი დროიდან ასე იყო, ახლაც ასე გრძელდებოდა. დედაბერი ქოხის ზღურბლზე იჯდა და ყველაფერს ბებერი თვალებით უმზერდა. მის ზურგს უკან კი, სიბნელეში, ჭაღარათმიანი ვაჟიშვილი, ახალშობილის სახეზე ღინღლი რომ წამოზრდოდა, იჯდა და იღიმებოდა.

ერთხელ, სადამო ხანს, სწორედ მზის ჩასვლის წინ, მთის ბილიკზე, რომელიც ქალაქიდან ამოდიოდა, კაცი გამოჩნდა. უცნაური აქ არაფერი იყო, ხალხი ხანდახან მიეშურებოდა მთის საძოვრებზე, სადაც მათ ნახირს მწყემსავდნენ. ბილიკი ქვემოთ, ქოხისაგან საკმაოდ მოშორებით მიემართებოდა. ამჯერად კი ისეთი უცნაური რამ მოხდა, დედაბერი განცვიფრებული დარჩა. კაცმა უცებ გადაუხვია გზას და დაქანებულ ფერდობზე ამობობღდა. მსგავსი რამ არასდროს მომხდარა, არ ყოფილა შემთხვევა, ვინმეს ბილიკისთვის გადაეხვია და მისი ქოხისკენ აეღო გეზი. აბა, აქ ვინ უნდა მოსულიყო. ადამიანი ძლივს მობობღავდა ქვიან და შვავიან ფერდობზე, იქნებ, არც კი იცნობდა აქაურ ადგილებს. თავის ბუდეში შეყუჟული დედაბერი კაცს ბებერ თვალებს არ აშორებდა.

ადამიანი სულ ახლოს მოვიდა და დედაბერმა მისი სახეც გაარჩია. იგი არ იცნობდა კაცს, თუმცა ის ხომ აღარავის იცნობდა, არავის იმათთაგან, ვინც ახლა ცოცხლობდა. კაცი საკმაოდ ტანმაღალი გახლდათ, ხშირი, გრძელი, მუქი წვერი ადგილობრივი წესისამებრ არ ჰქონდა შეკრეჭილი, ფერმკრთალი, სისხლისაგან დაწრე-

ტილი ლოყები ჰქონდა, სულ ახალგაზრდა კაცი იყო, ალბათ, შუახნისაც არ იქნებოდა და აღმართის დაძლევა მაინც აშკარად უჭირდა.

კაცი მიუახლოვდა და მიესალმა, ოღონდ არა ისე, როგორც ამ მხარეში იყო მიღებული. შემდეგ ქოხის გვერდით, ქვის მერხზე დაეშვა, მძიმედ დაილაპარაკა და სიტყვის შერჩევა აშკარად გაუჭირდა. დედაბერი დარწმუნდა, რომ იგი შორიდან მოსული, უცხოელი იყო. მის მძიმე გამოხედვასა და თვალთა გამომეტყველებაში რაღაც უცხო გამოსჭვივოდა. ახალგაზრდა კაცს ბებერი თვალები ჰქონდა, თუმცა ეს შეიძლება თვისტომთა ზიარი კი არა, პირადად მისი გამომეტყველება ყოფილიყო.

იგი დელფოში ჩამოვიდა, რათა ორაკულისთვის ძალზე მნიშვნელოვანი შეკითხვა მიეცა, მაგრამ დაითხოვეს, ორაკულისთვის შეკითხვის უფლება არ მისცეს, ტაძრის სიღრმეში მდებარე დარბაზში, სადაც მავედრებელნი იყრიან თავს, არ შეუშვეს.

შენი შეკითხვა უპასუხოოა, ასე აუხსნეს. ვერც ერთი ორაკული პასუხს ვერ გასცემსო.

გულდამძიმებულმა დატოვა ტაძრის მოედანი და მთელი დღე ქალაქში იხეტიალა. დროდადრო ფიქრობდა დელფოს დავტოვებო, რადგან აღარაფერს ელოდა და სულ ერთი იყო, საით გასწევდა, მაგრამ როგორღაც, ქალაქის უღარიბესი უბნის ერთ ბინძურ შესახვევში ბრმა მათხოვარს გადაეყარა. ეს გადაღრძუებული ბებერი კუთხეში იჯდა, აკანკალებული ხელი წინ გაეწვდინა და მოწყალებას იმედით ელოდა.

ამ შესახვევში ალბათ ყველა ერთნაირად ღატაკი ცხოვრობდა და უცნაური იყო მათხოვრის დანახვა. თავად მიამბო, ადრე ტაძრის მოედანსა და წმინდა გზასთან ვთხოულობდი მოწყალებას, ახლა კი იქ მისასვლელად ჯანი აღარ მყოფნისო. ასე გაიბა საუბარი და მეც ვუამბე ჩემი საზრუნავი, ჩემი ხანგრძლივი და ამაო ყარიბობის ამბავი. ისიც ვუამბე, თუ როგორ დამწყდა გული, როცა გავიგე ორაკული ჩემს შეკითხვას ვერ უპასუხებდა. მან თანაგრძნობით, თანადგომით მომისმინა, თუმცა უცნაურად მოეჩვენა დელფოს ორაკულს პასუხის გაცემა რად არ შეუძლიაო. „ეტყობა, ძალიან თავსატეხი შეკითხვები გაქვს," — მითხრა ბოლოს.

მათხოვარი ცოტა ხანს დაფიქრდა და დაამატა, მგონი არსებობს ერთი ადამიანი, რომელიც დაგეხმარება და ნებისმიერ, თუნდაც ურთულეს კითხვაზე გიპასუხებსო. შემდეგ მიამბო: მაღლა მთებში დელფოს ორაკულის ბებერი ქადაგი ქალი, ძველი პითია ცხოვრობს, რომელიც ყველამ შეაჩვენა და შეიძულა, რადგან ღვთის წინაშე მოვალეობას უღალატაო. ტაძრის, ღმერთისა და ყოველივე წმინდას წინაშე უღალატა თავის მოვალეობას და მაინც განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული უდიდესი სიბილა იყო. დელფოს ორაკულის ვერც ერთი ქადაგი მას ვერ შეედრებოდა, ასე არც ერთი არ უყვარდა უფალს, ასე არც ერთი არ იყო ღვთით ატანილი; ფართოდ

განხმული ბაგეებით წარმოთქვამდა წინასწარმეტყველებას და ვერაკინ უძლებდა მის დანახვას, როცა თავის უფალს ნებდებოდა. ქალის პირიდან უზენაესის ძლიერი სუნთქვა ამოსკდებოდა და ამბობენ მისი სიტყვები აბობოქრებული ცეცხლივით მძვინვარე იყო. აი, ასე უყვარდა იგი უფალს. მრავალი წლის მანძილზე უზენაესი მხოლოდ ამ ქალის მეშვეობით ქადაგებდა და სხვა არავინ სურდა.

შემდეგ ღვთისა და ხალხის წინაშე ქალმა მძიმე დანაშაული ჩაიდინა და თავიც დაიღუპა. ქვებითა და მარგილებით შეიარაღებულმა, გახელებულმა ბრბომ იგი გააძევა ქალაქიდან და შეაჩვენა ხალხმაც და ცხადია, ღმერთმაც, რომელსაც უღალატა. „პატარა ბიჭი ვიყავი, როცა ეს ამბავი მოხდა, — თქვა მოხუცმა. — თუმცა დღეს მის ამბავს აღარავინ ჰყვება და მის სახელსაც აღარავინ ახსენებს, მაინც ამბობენ ჯერ კიდევ ცოცხალია და გაძევებული მთებში ცხოვრობსო. ეჭვიც არ მეპარება, რომ ასე იქნება, რადგან მასავით ვინც დაუახლოვდება ღვთაებას, იმისთვის სიკვდილი იოლი საქმე არ უნდა იყოს. ამ ქალში, ალბათ, დღემდე იმალება განსაკუთრებული ძალა. უზენაესი აღარ მიატოვებს, ვისაც ერთხელ ჩაუსახლებს თავის სულს და თუნდაც შეჩვენების სახით მახში კვლავ დაიბუდებს“.

„წადი, მოძებნე, ის გაგცემს პასუხს შენს შეკითხვებზე, თუმცა შეიძლება თავზარი დაგცეს მისმა სიტყვებმა“.

მათხოვარმა აკანკალებული ხელი მაღლა, ამ მთისკენ გამოიშვირა და თუმცა ბრმა იყო, მაინც სწორად მიჩვენა მიმართულება.

ის კი, ვისაც კაცი სიტყვით მიმართავდა, ისევე უძრავად დარჩა, როგორც მთელი თხრობის მანძილზე იჯდა. სახეზე ნაკვთიც არ შერხევია. სულის ფარული მოძრაობა არაფრით გაუცია. კაცი კი, განცვიფრებული, დაჟინებული ყურადღებით ჩასცქეროდა ჩაშავებულ, დანაოჭებულ პირისახეს, თითქოს სურდა წაეკითხა უძველესი წიგნი, რომელიც ერთი შეხედვით მკაფიოდ იყო ნაწერი და მაინც ასე რთული წასაკითხი აღმოჩნდა. უძველესი ენით იყო იგი ნაწერი, ენით, რომელსაც დღეს აღარავინ ხმარობდა.

დედაბერი დიდხანს იჯდა ასე თავის თავში ჩაძირული, არაფრისმთქმელი გამომეტყველება ჰქონდა და დუმდა.

— რა უნდა გეკითხა ორაკულისთვის? — ისე წარმოთქვა ბოლოს, თითქოს ფიქრებისგან გამოერკვაო.

— ჩემი ხვედრის გაგება მსურდა, — უპასუხა კაცმა.

— ხვედრის?

— ჰო, ჩემი ხვედრის, როგორ ცხოვრებას გავლევ ან წინ რა მომელის.

— ამას ხომ თითქმის ყველა კითხულობს, ყველას მხოლოდ ეს აინტერესებს. შენი ხვედრი რიდათია ასე აღსანიშნავი? იქნებ, განსაკუთრებული მოხდა რამე?

— ჰო, მოხდა.

და მან უამბო რა უჩვეულო ამბავი გარდახდა თავს. უამბო ის

შემთხვევა, რომელიც ისე ღრმად შეიჭრა მის მეხსიერებაში, სხვა აღარაფრისთვის დატოვა ადგილი, შემთხვევა, რომელიც თავს არასოდეს ანებებდა და რომელმაც აიძულა ჯერ დელფოში, შემდეგ კი აქ, ამ მთაზე ამოსულიყო, რათა პასუხი ეპოვნა და სულის რაღაც მშვიდობა მაინც მოეპოვებინა.

— ახალგაზრდა ცოლსა და პატარა ვაჟიშვილთან ერთად ბედნიერად ვცხოვრობდი ქალაქში, სადაც გაეჩნდი და სიცოცხლის ბოლომდე ვაპირებდი დარჩენას, — დაიწყო კაცმა. — შემოსავლიანი საქმე და მამისაგან მემკვიდრეობით მიღებული სახლი მქონდა. თუმცა მდიდარი არ გახლდით, არც გაჭირვება მაწუხებდა, მომავალს თვალს მშვიდად ვუსწორებდი და უშფოთველად ვცხოვრობდი. ერთი შეხედვით ყოველივე კარგად მიდიოდა.

ერთხელაც ჩემი სახლის კართან ვიდექი და დავინახე: — უცხო კაცი მოჩანჩალებდა, ზურგით კი თავისი ჯვარი მოჰქონდა. ეს არც გასაოცარი იყო, არც უჩვეულო: ჯარისკაცები ხშირად ჩაატარებდნენ ხოლმე ჩემი სახლის წინ განკიცხულებს, რომელთაც ჯვარზე გაკვრა ჰქონდათ მისჯილი. სასჯელის აღსასრულებელი ადგილისაკენ მიმავალი გზა ჩვენს ქუჩაზე გადიოდა. რაიმე განსაკუთრებული ან თვალში საცემი არც ადამიანს ეტყობოდა. იგი ფერმკრთალი, სუსტი და ღონემიხდილი იყო. ალბათ, სწორედ ამიტომ ერთი წამით შეჩერდა და რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით ჩემი სახლის კედელს მიეყრდნო. არ მომეწონა, ვიფიქრე, ეს უბედური კაცი, სიკვდილმისჯილი ნეტავ აქ რას დამდგარა, ჩემს სახლს უბედურება არ დაუკვეთოს-მეთქი და ასეც ვუთხარი, წადი შენი გზით, არ მინდა აქ რომ იდგე-მეთქი.

კაცი ჩემკენ შემობრუნდა და როგორც კი მისი პირისახე ვიხილე, მივხვდი, ჩვეულებრივი ადამიანი არ იყო. მასში ჭეშმარიტად რაღაც განსაკუთრებული იმალებოდა, თუმცა ვერ აგიხსნით ასე რად მომეჩვენა. მისი სახის ნაკვთებში ბოროტება არ ბუდობდა დავფიქრობ, ჩვეულებრივ, ალბათ, მოკრძალებითა და მორჩილებით იყო აღსავსე, მაგრამ იმ წუთას მისი სახე ამგვარი როდი გახლდათ — ისეთი მბრძანებლური და საზარელი იყო, არასოდეს დამავიწყდება. „რადგან შენი სახლის კედელზე თავიც არ მიმაყრდნობინე, შენი ბედკრული სული ვერასოდეს ეზიარება ნეტარებასო," — მომაძახა.

მისმა სიტყვებმა გამაოგნა, გულზე მომხვდა და თავი რაღაც ცუდად ვიგრძენი. ჯარისკაცებმა კი მხოლოდ გადაიხარხარეს და რადგან მისი შეჩერება თავადაც არ მოეწონათ, ერთი შეუძახეს და წინ გაიგდეს, მაგრამ, სანამ თავის ჯვრიანად გზას გაუდგებოდა, კვლავ მომიბრუნდა და მრისხანედ მითხრა: „რადგან ამაზე უარი მითხარ, ჩემზე საზარელი სასჯელი მოგელის. შენ არასოდეს მოკვ-

დები. ამ ქვეყანაზე უკუნითი უკუნისამდე იხეტიალებ და ვერასოდეს შოიპოვებ სულის მშვიდობას“.

შემდეგ კვლავ წამოიკიდა ჯვარი და ქუჩას გაუყვა, სანამ ქალაქის ალაყაფს არ მიეფარა.

მე კი კვლავ ვიდექი და სულში უცნაური გრძნობა ჩამისახლდა. თითქოს რაღაც დამემართა, რაღაც ისეთი, ჯერ რომ ვერ გავერკვეოდი და ვერც ჩემს თავს, ვერც სხვებს ვერ ავუხსნიდი. მაგრამ ასე კი იყო, მეზობლებმა კაცის სიტყვები გაიგონეს, ისიც იხილეს, რომ გონებადაფანტული ადგილიდან ვეღარ ვიძვროდი და მითხრეს, ნეტავ რას ნაღვლობ, ვიღაც ჯვარს გასაკრავი ბოროტმოქმედის სიტყვებს რა მნიშვნელობას ანიჭებ, განა არ იცი, რომ ასეთებს შეჩვენება და მუქარა უყვართ, ყველაზე და ყოველზე გაბოროტებულნი არიან. რადგან სიცოცხლეს ეთხოვებიან მათ ხომ ყველაფრის დაროშვა შეუძლიათ, განა ამას მნიშვნელობა უნდა მიანიჭოო.

ცხადია, მესმოდა, რომ მართლები იყვნენ. ცოტა დავწყნარდი, როცა დავინახე. ამ ამბავს როგორ უყურებდნენ, მეხუმრებოდნენ და შხოლოდ მხრებს იჩეჩავდნენ. მეც გავმხიარულდი, მეზობლებს გავგაუბრე, ჩემს საქმეებს ბივუბრუხდი და შევეცადე, ამაზე აღარ შეფიქრა.

და მაინც, მომხდარი ამბის მთლად დავიწყება ვერ შევძელი. როგორ არ ვებრძოდი, ხანდახან მოგონება თვალწინ წამოტივტივდებოდა. დრო გადიოდა, ჩემს საქმეს ვაკეთებდი და ცხოვრება ჩვეულებრივ მიედინებოდა. ყოველ შემთხვევაში ასე მეგონა. მაგრამ მისი სიტყვები ჩემში დარჩა, შინაგანად მეხმიანებოდა; ვიღაც ისევ და ისევ მიმეორებდა — ვინ მიმეორებდა? იქნებ, თავად ვუმეორებდი ჩემს თავს? არ ვიცი, მაგრამ მესმოდა, ნათლად და გასაგებად მესმოდა. ვერც ის გამეგო, რად ვიხსენებდი, ხომ ვიცოდი, რომ ეს არაფერს, სრულიად არაფერს ნიშნავდა, რომ ეს სიტყვა შხოლოდ წამოცდა ჩემთვის უცნობ ბოროტმოქმედს, რომელსაც ჩემი სახლის კედელზე თავის მიყრდნობის უფლება არ მივეცი. სულ ეს ყოო და ამისთვის მნიშვნელობის მინიჭება სიბრიყვე გახლდათ. მაშ, რად ვერ ვიბიწყებდი?

მტკიცედ მწამდა, ხვალ ნაღდად აღარ მემახსოვრება-მეთქი. მაგრამ დილით ისეთი გრძნობით გამეღვიძა, თითქოს რაღაც დაშემართა. ძილბურანში შინაგანმა ხმამ კვლავ გამიმეორა მისი სიტყვები და ჩუმად, თითქმის ჩურჩულით შემახსენა განაჩენი, რომელიც გამომიტანა — ვინ გამომიტანა?

საწოლიდან წამოვდექი კვლავ ჩემს თავს დავემგვანე და ჩვეულებისამებრ მუშაობას შევუდექი. მაგრამ უხალისოდ ვმუშაობდი, მე, რომელიც მუდამ ხალისიანი შრომით გამოვირჩეოდი. ამჯერად ერთ ადგილზე მშვიდად ვერ გავჩერდი, საქმე მივატოვე და სახლში უაზროდ დავეხეტებოდი. გული ვერაფერს დავუდე. ეს მეუცხოვებოდა, ადრე სხვანაირი ვიყავი.

დღითი დღე ასე გრძელდებოდა; შესამჩნევად გამოვიცვალე, ჩემს თავს ვეღარ ვცნობდი.

არ ვიცი, რამდენი დრო გავიდა, სანამ ჩემამდე ამ უცნაურმა ხმამ მოაღწია: ის, ვინც ჩვენი ქუჩის გავლით ჯვარზე გასაკრავად წაიყვანეს, ღმერთის შვილი იყოო. ხმამაღლა ამას არავინ ამბობდა, მაგრამ ქალაქში ხალხი ჩურჩულებდა და ამ ამბავს ერთმანეთს საიდუმლოდ უმხელდა. ისინი, ვისაც ეს დანამდვილებით უნდა სცოდნოდა, ესე იგი, ვინც ირწმუნა მისი, როგორც ჩანს იმალებოდნენ და საჯარო დასტურს ვერ ბედავდნენ, მაშინ ჯერ კიდევ ვერ ბედავდნენ. ალბათ, ცოტანიც იყვნენ. ქალაქის უმეტესობამ ცხადია, ეს ჭორი არ დაიჯერა და გულუბრყვილო გამოგონებად ჩათვალა, ხოლო მისმა მსაჯულებმა მკრეხელობად გამოაცხადეს.

უფლის ვაჟიშვილი... სადაური ვაჟიშვილია, ტყუილია, ალბათ, ვარწმუნებდი ჩემს თავს. სასაცილოა. სისულელეა. უფლის ვაჟიშვილი?.. შემდეგ გამოკვლევა დავიწყე, საიდან წამოვიდა და ვინ ავრცელებდა ამ ხმებს. ცხადია, ისინი ავრცელებდნენ, ვინც მისი ირწმუნეს, სწორედ ისინი, ახლა რომ იმალებოდნენ. ერთხმად ამტკიცებდნენ სასწაული მოხდაო, თანაც არაერთი სასწაული, რაც ადასტურებს, რომ ეს ჭეშმარიტებაა. ისიც ხომ სასწაულია თავად რომ ვირწმუნეთ და უბრალოდ ვ ი ც ი თ, გულით ვგრძნობთ, რომ ღმერთის შვილიაო. ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი სასწაული მ:თთვის სწორედ ეს იყო. მაგრამ თავად ხალხი დიდ ნდობას არ იჩსახურებდა და მათი სიტყვებისათვის ყურის მიგდება არ ღირდა.

მეზობლებს სიტყვა ჩამოვუგდე, დავეკითხე, რას ფიქრობთ ამ ხმებზე, თითქოს ის ბოროტმოქმედი — თუ კიდევ გახსოვთ, აი, ის, წინ რომ ჩაგვიარა თავისი ჯვრითურთ, — თითქოს ის ღმერთის შვილი იყოს-მეთქი. ამ ამბისთვის მეზობლებსაც მოეკრათ ყური, მაგრამ სისულელედ და უაზრობად თვლიდნენ.

— მგონი, ბევრს სჯერა, — ვამბობდი მე.

პასუხად მხრებს ისე იჩეჩავდნენ, ვითომ ქვეყანაზე სულელების მეტი რა არისო.

— შენ რა, კიდევ მის სიტყვებზე ფიქრობ? — სიცილით შემეკითხა ერთი მეზობელი.

— ცხადია, არა, — ვუპასუხე და მეც გავიცინე. — ჭკუა ხომ არ დაგიკარგავს, საქმე არაფერი მაქვს ამაზე ვიფიქრო.

ვითომ სიმართლე ვუთხარი? ვითომ აღარ ვფიქრობდი? თქმით ყველაფერი შეიძლებოდა მეთქვა. მაგრამ ასე რად შევიცვალე, სულით დავეცი, ხალისი დავკარგე. ყოველივე ასე უაზრობად რად მეჩვენებოდა? ასე რად მოხდა? ჩემშიც და ირგვლივ ყოველივე ცარიელი და ნაღვლიანი რად იყო? ადრე ხომ ამგვარი გრძნობა არასოდეს განმიცდია. მაინც რა შეიცვალა ჩემში? ასეთი რად გავხდი?

მახსოვს ერთხელ სასეირნოდ წავედი და ქალაქის კარიბჭის შიღმა აღმოვჩნდი. ჩემთვის კარგად ნაცნობ, მადლიან ადგილებს, ვაზითა თუ ყანებით, ზეთისხილითა და ლეღვის ხეებით მოფენილ მხარეს მივაშურე. მაგრამ განცვიფრებული დავრჩი: რა უფერული და უსიხარულო მეჩვენა გარემო, წინათ მუდამ რომ ახალისებდა ჩემს მზერას. ჩახჩახა დღე იდგა, მე კი მეგონა უკვე მოსაღამოვდა-მეთქი და რა ვიხილე ეს უფერული და უდაბური ადგილები, შეუცნობელმა სევდამ დამრია ხელი. ეს რას ნიშნავდა? რა დამემართა?

ნუთუ ჩემი სამყარო ასეთი გახდა, სამყარო, რომელშიც ამიერიდან უნდა მეცხოვრა?

ჯერ კიდევ მახსოვს უკან, ქალაქში, ჩემს სახლში რა დამძიმებული ფეხებით ვბრუნდებოდი.

ცოლისათვის მაშინ ჯერ კიდევ არაფერი მჭონდა ნათქვამი, არ მსურდა მეთქვა. მაგრამ ქალი, ვფიქრობ, თავადაც ხვდებოდა, რომ რაღაც მემართებოდა. ანკი როგორ ვერ მიხვდებოდა?

ბოლოს და ბოლოს, ჩემს საიდუმლოებასთან განმარტოვება ვეღარ ავიტანე, მეტი ვეღარ გავძელი. ცოლთან წავედი იმ ოთახში, სადაც ჩვეულებრივ ამ დროს ატარებდა, რათა ყოველივე მეამბნა.

იგი ჩალის ჭილოფზე იწვა, ბავშვს ეთამაშებოდა და ისე გამოვიდა, თითქოს მათ თამაშს ხელი შევუშალე. შეძლებისდაგვარად ავუხსენი ცოლს, რაღაც უკეთური მჭირს, ალბათ, შეჩვენებამ მიწიაშეთქი.

ქალმა პასუხად გაიცინა, კვლავ ბავშვს მიუბრუნდა, ზურგზე გადაწვა. პაწია მაღლა აიტაცა და ახალგაზრდული, წკრიალა ხმით გადაიკისკისა.

— ალბათ, ასეა, — მიპასუხა მან. — რამდენი ხანია აღარ გიკოცნია.

გაღიმება ვცადე. ვიდექი, მათ შევცქეროდი და ვიცოდი, რომ შშვენიერ სურათს ვხედავდი, რომ ორივე მხურვალედ მიყვარდა, მაგრამ მათაც. ისევე როგორც ყოველივეს, რასაც ირგვლივ ვხედავდი, ნაცრისფერი ფერფლი ფარავდა.

და უცებ, უცხოდ ვიგრძენი თავი, უცხოდ, რომელმაც მათ ცხოვრებაში ხელი არ უნდა შეუშალოს.

განვშორდი თუ არა, გავიგონე, რომ თამაში კვლავ გააგრძელეს.

სულ ცოტა ხნის წინათ თავადაც ასეთი ვიყავი. სიცოცხლე, არსებობა მიხაროდა. ყოველ ცისმარე დღეს ვხარობდი. ეს ცხოვრება ჩემთვის ძვირფასი იყო.

ყოველ ცისმარე დღეს? რა უცნაურია, მან ხომ მითხრა მუდამ იცოცხლე, არასოდეს მოკვდებიო. განა უცნაური არ არის? მაშ რიღათი ვარ უკმაყოფილო? მეც ხომ ის მსურდა, რომ სიკვდილი აუცილებელი არ ყოფილიყო, რომ არასოდეს მოვმკვდარიყავი? მაშ რად არ მიხაროდა? თავს ბედნიერად რად არ ვგრძნობდი?

„უკუნითი უკუნისამდე... და ვერასოდეს მოიპოვებ სულის მშვიდობას...“.

ადრე არასოდეს დავფიქრებულვარ, ახლა კი, ვგონებ, ვიხილე რა იყო მარადისობა. უკვე ვხვდებოდი, რომ ცხოვრებას სწორედ ის წამართმევდა, თავად წყევლა, გარდაცვალება სწორედ ის იყო, ჩემს სულს ნეტარებას სწორედ ის არ მიანიჭებდა.

მარადისობა... ცხოვრებასთან რა საერთო აქვს, ვფიქრობდი, ეს ხომ ცხოვრების საპირისპირო, რაღაც უსასრულო, უკიდეგანო, სიკვდილის სამეფოა, სადაც ცოცხალ არსებას შეხედვაც ზარავს. იქ ცხოვრება მომისაჯეს? ჩემთვის გაამზადეს? „უკუნითი უკუნისამდე...“ აი, ჩემი სასიკვდილო, ყველაზე უსასტიკესი განაჩენი, რაც კი შეიძლება გამოიგონო. „ეს ღმერთი ცხოვრების ყველა სიხარულს წამართმევს,“ — ჩემთვის ვჩურჩულებდი მე.

მაშინ პირველად წარმოვიდგინე არსებობა მომავალში რომ მელოდა და მისი უაზრობაც პირველად შევიგრძენი. საზარელი წყევლის ძალმოსილება პირველად ვირწმუნე, დავიჯერე. რომ ეს საეკვო ღმერთი თავისას მიღწევდა და ჩემს სულსაც ყოველივე მისი მოსჯილის განცდა ნამდვილად ეწერა. მისი წინასწარმეტყველება ჭეშმარიტად აღსრულდებოდა.

და აღსრულდა კიდეც. ჩემი დამღუპველი გარდასახვა უფრო და უფრო შესამჩნევი ხდებოდა. მის წინაშე უძლური გახლდით. რა უნდა მექნა, ან რა შემეძლო? როგორ ჩავრეულიყავი, წინააღმდეგობა როგორ გამეწია იმისთვის, რაც მემართებოდა? ეს ხომ არ მემორჩილებოდა. უძლური გახლდით. მაშ რა მექნა, თუკი საშველის მთხოვნელი ბედკრული სული თავად ვიყავი, თუ ეს დამღუპველი, გარდაუვალი გარდასახვა, უსაშველო სევდით რომ მავსებდა, თავად ვიყავი.

და აი, ერთხელ, სასოწარკვეთილმა, რაღაც ისეთი ჩავიდინე... რაღაც ისეთი, მხოლოდ რომ გააღრმავა ჩემი უბედურება და ბედკრულობა. გარეთ დღე იდგა; განუშორებელი ფიქრებით სავსე ლოგინში უსაქმოდ ვიწექი, სული კი, რომელიც მე აღარ მეკუთვნოდა, სევდას მოეცვა. უცებ მძაფრი სიძულვილით შემძულდა ჩემი ხვედრი და ეს ავისმოსურნე ღმერთი. მაშ რად ვემორჩილებოდი? ამ სიგიჟეს ქედს რად ვუხრიდი? ამ წამლეკავ ძალას ასე რომ დამიმორჩილა, რად არ აღუდგებოდი, რად არ ვყვიროდი: „არ მსურს, არ მინდა, სიცოცხლე, სიცოცხლე მსურს, მეც სხვებივით მინდა ვიცხოვრო, ძველებურად მინდა ვიცხოვრო, ისეთი მინდა ვიყო, როგორიც სხვები არიან, სიცოცხლე მინდა!“

როგორც კი ეს წარმოვთქვი — მე ეს ხმამაღლა წარმოვთქვი, თუმცა ჩემთვის ვლაპარაკობდი — შეჩვენება თითქოს ძველი სამოსივით ჩამომშორდა და ისეთი შვება, ისეთი თავისუფლება ვიგრძენი, როგორიც ბოლო დროს აღარ მიგრძვნია. მაშინ სარეცელიდან წამოვდექი და იმ ოთახისაკენ გავწიე, სადაც ცოლ-შვილი მეგულე-

ბოდა. წუთით შევდექი, მათ ეღურტულს ყური მივუგდე და მათი თამაშით დავტკბი, შემდეგ მივუახლოვდი, ბავშვი ფრთხილად ჩამოვაშორე და ცოლს ვაკოცე. მან კისერზე შემომხვია ხელები, რბილი, შიშველი ხელები და ჩვენი ოთახისაკენ გავემართეთ. ტანთ გავიხადეთ თუ არა, ქალი ჩემს საწოლზე წამოწვა, სწორედ იმ საწოლზე, ცოტა ხნის წინ გაწამებული რომ ვიწექი, ნაცნობი, თბილი ღიმილით გამიღიმა და ჩემს მიახლოებას დაელოდა. ყოველივე ისე იყო, როგორც უწინ, როცა ერთმანეთი გვიყვარდა და მეც ასე მეგონა, ვავიმარჯვე, კვლავ ბედნიერი ვარ-მეთქი.

მაგრამ, დახეთ, არაფერი შემეძლო. ცოლი ნაზად მეალერსებოდა, უფრო ნაზად ვიდრე ოდესმე, მე ვგრძნობდი ამას, ჩვენ ხომ ასე დიდხანს არ ვყოფილვართ ერთად, მაგრამ სურვილი არა და არ ჩნდებოდა. ქალი თავისი ცეცხლით ცდილობდა ჩემს ანთებას, მაგრამ ამ ცეცხლში მხოლოდ თავად იწვოდა, მე კი ცივმა ოფლმა დამასხა და არაფერი შემეძლო. სახეზე ვგრძნობდი მის მძიმე სუნთქვას. ჩემი ნდომით დამძიმებულ სუნთქვას, მაგრამ არაფრისთვის ვვარგოდი.

ბოლოს და ბოლოს, ქვითინი წამსკდა მის მშვენიერ, გახურებულ სხეულს სასოწარკვეთილი ვეხვეოდი და ვქვითინებდი.

ცოლმა თმაზე და ლოყებზე დამისვა ხელი. შემდეგ ორივე ხელი თავზე მომკიდა და დიდხანს მიყურა. ჩაციებული, გამომცდელი ნაზერით მიცქეროდა, ასე დიდი ხანია აღარ შემოუხედავს.

— თვალები დაგიბერდა; — მითხრა მან.

ამ დღის შემდეგ ჩემი უბედურება გასრულდა; თითქოს უძირო ჭაში ჩავეშვი, რადგან ე ს ე ც კი წამართვეს. თუმცა რა იყო გასაოცარი? განა სიცოცხლის უზენაესი ბედნიერება და ნეტარება ეს არ არის? და რა გასაკვირია, რომ წამართვეს, ვეღარასოდეს შევიგრძნობდი, ვეღარ დავიბრუნებდი, მე რომელსაც მარადიული ნეტარება, აღმიკვეთეს და მარადიულ ბედკრულობას მაზიარეს.

ამის შემდეგ, ჩემი გარდასახვა, ვგონებ, ყველამ შეამჩნია. ყოველ შემთხვევაში მე ასე მეჩვენებოდა. გამირბოდნენ, თავს მარიდებდნენ. ის კი, ვინც იძულებული იყო დამლაპარაკებოდა ან შემოეხედა, რაღაც უცნაურად მიმზერდა. მეზობლები სიტყვაძუნწები გახდნენ, როგორც ჩანს, ბოლოს და ბოლოს, მიხვდნენ, რომ უბედურება მეწვია; მიხვდნენ, რომ ეს დაკავშირებული იყო იმ ადამიანთან, რომელიც ჯვარზე გასაკრავად მიჰყავდათ და რომელსაც ჩემს სახლზე თავის მიყრდნობის საშუალება არ მივეცი. მეზობლები ამ თემაზე არასოდეს მესაუბრებოდნენ და როგორც აღვნიშნე. თავს მარიდებდნენ, მაგრამ ჩემი გარდასახვა აშკარად შენიშნეს, ჩუმად თვალს მადევნებდნენ, ჩურჩულებდნენ და ცხადია, ჩემი ცოლივით, თვალები დაგიბერდაო, მხოლოდ თანაგრძნობის გამო არ მეუბნებოდნენ.

ჩემი ცოლი უფრო და უფრო გაუბედავი ხდებოდა, თითქოს რაღაც აფრთხობდა, ვფიქრობ ჩემი თვალები აშინებდა. და ვინ იცის, ჩემი სიტყვებიც ახსოვდა, შეჩვენებამ მიწია-მეთქი, რომ ვუთხარი. არ ვიცი, ჩვენ არასოდეს გვისაუბრია, არც ამ თემაზე და არც იმ ამბავზე ჩვენ შორის რომ მოხდა.

როგორც ჩანს, ჩემს თვალებში ჩახედვა აღარ სურს-მეთქი, ჩემთვის ვიმეორებდი.

ჩემი სახეცვლილება მას, ალბათ, ჩემზე ნაკლებ როდი ტანჯავდა. არ ვიცი, ჩვენ ხომ ერთმანეთისთვის აზრი არასოდეს გაგვიზიარებია, არ ვიცოდით, მეორე რას ფიქრობდა. ჩვენი მზერა კი, იმ შემთხვევის შემდეგ, ახლა რომ გიამბეთ, ერთმანეთს აღარ შეხვედრია.

უნდა მოგახსენოთ, ჩემთვის მუდამ სულ ერთი იყო იგი რას ფიქრობდა. ჩემი ცოლი ხომ ნამდვილი ბალღი გახლდათ და მასთან საუბარში აბა რა ხეირი ეყარა. მაგრამ ადრე ამაზე რატომღაც არ დავფიქრებულვარ, უბრალოდ ვტკბებოდი მისი ბალღური ტიტინით. ახლა კი ხმას სულ აღარ ვცემდი, რადგან ვხვდებოდი, მასთან მსჯელობა უაზრობა იყო. და ჩემთვის წამებად გადაიქცა მისი აქ ყოფნა, აზრი, რომ სადღაც აქ, ახლოს ჩემს სახლში გახლდათ. მისი ხმისა და სიცილის გაგონება მტანჯავდა. მაგრამ ქალი ახლა იშვიათად იცინოდა და დროის უმეტეს ნაწილს ბავშვთან ატარებდა. ისინი ალბათ, კვლავ ერთად თამაშობდნენ, მაგრამ უფრო ჩუმად, მათი ხმა თითქმის არ მესმოდა. საერთოდ, ჩვენს სახლში ყოველივე ძალზე შეიცვალა.

მას შემდეგ, რაც ვეღარ დავეუფლე, ქალზე უნებურად დავიბოღმე და სამაგიეროს გადახდა მინდოდა. და აი, ახლა შურს ვიძიებდი. ზედ აღარ ვუყურებდი, აღარც მას ვამჩნევდი, აღარც ბავშვს და ისე ვიქცეოდი, თითქოს საერთოდ არ არსებობდნენ, შვილი განსაკუთრებით არასოდეს მყვარებია — ან, იქნებ, მიყვარდა კიდეც? ყოველ შემთხვევაში მეჩვენებოდა, ცოლი ბევრს ელოლიავება და ალბათ, ამიტომ თავადაც ბალღივით იქცევა-მეთქი. ბავშვთან ამ ფარულმა მტრობამ ახლა, როცა ცოლს სამუდამოდ დავშორდი, ახალი ძალით იფეთქა. ცოლს, მგონი, ეს ყველაზე მეტად ტანჯავდა —ჩვენი უთანხმოების გამო ხომ ბავშვიც წვალობდა. — და მეც ხშირად ვამჩნევდი, რომ ქალს ნამტირალევი თვალები ჰქონდა.

თუმცა ვცდილობდი ზედ არ შემეხედა, ამას ყოველთვის ვამჩნევდი.

უბედურება არ აკეთილშობილებს ადამიანს. მე თუ ვიტანჯებოდი, სხვა რად არ უნდა დატანჯულიყო!

სხვათა შორის, უხეში ან ავი სიტყვა მისთვის არასოდეს მითქვამს, ამას ბრალად ვერ დამდებდა. საერთოდ არ ველაპარაკებოდი. ვცდილობდი დამეთრგუნა, არ გამომემჟღავნებინა ის სისასტიკე, რაც ჩემში გროვდებოდა და მაინც, ვფიქრობ, ქალი ხვდებოდა

რა მჭირდა, შეუძლებელია, არ მიმხვდარიყო. ღვარძლი ისევე, როგორც სიყვარული, უსიტყვოდაც იჩენს თავს.

ჩვენი სახლი თითქოს ჩაკვდა, ისეთი მდუმარე და უფერული გახდა, ცოლი დათრგუნვილი, დაბეჩავებული დადიოდა, შვილი, ჩემს დანახვაზე, დამალვას ლამობდა.

ცხადია, ამას ბედნიერება არ მოუტანია ჩემთვის. პირიქით, ჩემი სული უფრო მშფოთვარე, უფრო ბედკრული გახდა. ხანგრძლივად ვიდექი და ცარიელი თვალებით წინ ვიყურებოდი ან ფანჯრიდან სივრცეს გავცქეროდი, თუმცა ვერაფერს ვხედავდი, იმასაც ვერ აღვიქვამდი, სად ვიყავი, თითქოს ჩემს თავშივე ჩაკეტილი პატიმარი გახლდით. ანდა უმიზნოდ დავეხეტებოდი ქალაქის კარიბჭის მიღმა ნაცრისფერ, უხალისო მიდამოებში, სადაც ხეებსა და ყანებს ფერფლი ფარავდა. თავადაც არ ვიცი ასე რამდენ ხანს გაგრძელდა.

და აი, ერთ დღეს ცოლ-შვილი გაქრა. ჩემდა გასაოცრად კედლებს ვაწყდებოდი, ვიმედოვნებდი მოვძებნი-ძეთქი და როცა, ვინ იცის მერამდენედ, შევირბინე იმ ოთახში, სადაც ჩვეულებრივ თამაშობდნენ და მათი სიცილის ხმები ისმოდა — თუმცა უკანასკნელ ხანს აღარ ისმოდა — როცა კვლავ შევედი და, ბოლოს და ბოლოს, შიეხვდი, რომ წავიდნენ და არასოდეს დაბრუნდებოდნენ, მიწაზე კვნესით დავემხე. როცა მათი ჩალის ჭილოფზე დავწექი, სწორედ იმ ჭილოფზე, ოდესღაც ქალი გულღიმა რომ იწვა, შიშველი ხელებით შვილს აბურთავებდა და იცინოდა, თითქოს გული დანით გამეპო და სისხლისაგან დავიწრიტე. არ ვიცი, რამდენი ხანი ვეგდე. უცებ ჩემში რაღაც ბგერები ახმიანდა: რაღაც ხმა უფრო და უფრო მკვეთრად გაისმა. უნებურად წამოვიწიე, წამოვჯექი და მზერა სივრცეს მივაშტერე. ისევ და ისევ სულ უფრო ხმამაღლა მესმოდა ის, რაც ჩემში ხმიანობდა, რაც მაშინ მითხრა, ჩემთვის წარმოთქმული საზარელი განაჩენის სიტყვები მესმოდა. ამ ხმებმა თავისი ეღერადობით ამავსო. ჩემს სულში, როგორც მიტოვებულ სახლში ციცარიელეს დაესადგურებინა და ცარიელ კედლებში ავბედითად ისმოდა მრისხანე სიტყვები, რაც ჩემს ხვდრს, ჩემს მომავალს წინასწარ სახავდა. ეს შეჩვენება ჩემს სულში ხმაურიანი ექოთი შემოიჭრა.

იმავე საღამოს ჩუმად დავტოვე მშობლიური ქალაქი და წყვდიადში ჩავიკარგე, რათა დროთა მიღმა ყარიბობა დამეწყო. ერთ ეულ ღამეს შევუდექი ჩემი მარადიული მარტოობის გზას.

მას შემდეგ ქვეყნად დავეხეტები, არც დასვენება ვიცი, არც სიმშვიდე. დავეხეტები და მასავით ვერ მიპოვნია ადგილი, სადაც შეიძლება თავი მივაყრდნო, დავეხეტები ამ ფერფლით დაფარულ ქვეყანაზე, ჩემს სამყაროში, რომელსაც რუხი ნაცრის ფენა ფარავს. ყოველგვარი ადამიანური უბედურება, სიბოროტე და ტანჯვა ვიხილე. შევიცანი, რომ ეს ქვეყანა ჩემსავით გაბოროტებული და უსულგულოა, რომ მისთვის ისევე უცხოა სიყვარული, როგორც ჩემთვის, ვისაც აქ მარადიული ცხოვრება მომისაჯეს. შევიცანი, რომ

ეს ქვეყანა სწორედ აბორგებული, დვთით შეჩვენებული კაცის სამყაროა, კაცისა, რომლის ბედკრული სული ვერასოდეს ეზიარება ნეტარებას.

დროდადრო მხვდებოდა ხალხი, ვინც იწამა მისი, მე ასეთი ცხოვრება რომ მომისაჯა. უფრო და უფრო ხშირად ვხვდები ასეთ ხალხს, რადგან მისმა მოძღვრებამ, როგორც ჩანს, ფართოდ მოიკიდა ფეხი. ეს ხალხი თითქოს ბედნიერია, თუმცა ვერ გეტყვი გულუბრყვილობაა ამის მიზეზი თუ რაიმე სხვა, ან იქნებ, რწმენაც იყოს, თავად ცხადია, რწმენაო ამბობენ. იქნებ, მართლაც ასეა. მათთვის, როგორც ჩანს, ლოცვა-კურთხევად იქცა ის ღმერთი, მე საშინელ შეჩვენებას რომ მაზიარა. და ისინიც კვლავ ამტკიცებენ კეთილია და სიყვარულითაა აღსავსეო, თავად სიყვარულად გადაიქცევა მათთვის, ვინც იწამებს და მისი ერთგული გახდებაო. რას იზამ, იქნებ, ასეც იყოს. ამასთან მე რა ხელი მაქვს? ჩემთვის ის ბოროტი ძალაა, ძალა, რომელმაც თავის კლანჭებში მომიქცია, არასოდეს გამიშვებს და არც სიმშვიდეს მომანიჭებს.

ამ ხალხს წუთითაც არ ეპარება ეჭვი, რომ ის ღმერთია; რომ ადამიანი, რომელიც ჯვარზე გასაკრავად ჩემი სახლის წინ ჩაატარეს ნამდვილად უფლის შვილია. ამბობენ, ეს მრავალი ნიშნით დადასტურდაო. იგი მკვდრეთით აღსდგა, ზეცაში ამაღლდა, ცაში ღრუბლით ციყვანესო, ბევრ სხვასაც ამბობენ. მაგრამ ყოველივე ამასთან მე რა ხელი მაქვს? მათი რწმენა, მოძღვრება, ნიშანი თუ სასწაული, მე არ მეხება.

ჩემი ნიშანი სულის მარადიული მშვიდობა იქნება.

ცხადია, ტყუილად ავუკრძალე ჩემი სახლის კედელზე თავის ძიყრდნობა. მაგრამ ჩემთვის იგი ღმერთი კი არა, მრავალთა შორის ერთი ბოროტმოქმედი იყო, რომელიც ზურგზე ჯვარწამოკიდებული ძიდიოდა და რომელსაც ყველა თავს ირიდებდა. თანაგრძნობა? მოყვასის სიყვარული? ჰო, შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ მე არც ისე გულკეთილი კაცი ვარ და არც თავი დამიდია ოდესმე. მე ჩვეულებრივი, სრულიად ჩვეულებრივი ადამიანი გახლავართ, უმეტესობაც ხომ ასეთია, ეს ამბავი რომ მოხდა, მაშინ ბედნიერი, უზრუნველი და გულქვა ვიყავი და, როცა ცხოვრების სიმძიმეს ვერ გრძნობ, ეს ბუნებრივია. იქნებ, ცუდიც გახლდით, მაგრამ სხვებზე უარესი ხომ არ ვყოფილვარ. მის მოძღვრებას სიყვარულზე ცოტა რამ გავუგე, ალბათ, მხოლოდ ის, რომ ასეთი მოძღვრება ჩემთვის არ იქმნება. მაგრამ თავად თუ არის კეთილი და სიყვარულით აღსავსე? მათ. ვინც ირწმუნა მისი, მშვიდობითა და სიმშვიდით აჯილდოვებს და როგორც ამბობენ, ზეცაში მიჰყავს, ვინც არ ირწმუნა მარადიულ ტანჯვას უსჯისო, ამასაც ამბობენ. და თუ ასეა, ზუსტად ჩვენნაირი, ჩვენსავით კეთილი და ბოროტი ყოფილა. ვინც მოგვწონს, მათთვის ჩვენც კეთილები ვართ, დანარჩენებს კი ყოველგვარ სიბოროტეს ვუსურვებთ. ამდენი ძალაუფლება რომ გვქონდეს, იქნებ, ჩვენც

მიგვესაჯა მარადიული შეჩვენება, თუმცა საეჭვოა. ასეთი ბოროტი მხოლოდ უფალი შეიძლება იყოს.

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში დროდადრო ვხვდებოდი ასეთ ხალხს, მაგრამ ახლო ნაცნობობა მათთან არასოდეს გამიბამს. ხალხთან დაახლოვება არ შემიძლია. მუდამ უცხო ვარ, მუდამ იბნევიან ჩემ წინაშე, ალბათ, რაღაც უჩვეულოს გრძნობენ და ეს აფრთხობთ. ვფიქრობ, ჩემი თვალები აშინებთ. მე შევამჩნიე ვინც კი ჩემს თვალებს იხილავს, მზერას მარიდებს. როგორც ჩანს, ეშინიათ ჩაიხედონ ჩემს თვალებში, ამ ამომშრალ ჭაში, ამ სიღრმეში, სადაც სრული სიცარიელე სუფევს. ეს ვის არ შეაშინებს? მე კარგად მესმის ჩემი რად ეშინიათ.

ჩემი ცოლივით...

ჩემი ცოლივით... ახლა მას, ალბათ, ახალგაზრდა თვალებიანი მამაკაცები ჰყავს-მეთქი, არაერთხელ მიფიქრია ჩემი ეული ყარიბობის ჟამს. ამის გაფიქრებაზე გული მეწურებოდა, ხელისგულით ვიფარავდი თვალებს, თითქოს მათი დამალვა მინდოდა, თუმცა არავინ მიმზერდა და დასამალიც არაფერი მქონდა.

რად არ უნდა ჰყოლოდა მამაკაცები! ალბათ, ასეც უნდა მომხდარიყო. როცა მე მქონდა ახალგაზრდა თვალები, მე ვუყვარდი.

თუ არ ვუყვარდი?

ასე ვფიქრობდი, მაგრამ ერთხელაც 'მორს, უცხო ქვეყანაში ჩემი მშობლიური ქალაქიდან ჩამოსულ კაცს შევხვდი. მან მიამბო, რომ ჩემმა ბედკრულმა და გასაცოდავებულმა ცოლმა, რომელსაც ძველი სილამაზის ნატამალიც აღარ 'შემორჩა. სიცოცხლე დედისეულ სახლში დაასრულა, ხოლო მის სიკვდილამდე კარგა ხნით ადრე, ჩემი ვაჟიშვილი შავმა ჭირმა იმსხვერპლა.

მაშ აღარ არიან, აღარ არიან ისინი, ასე მხიარულად რომ ეცინოდნენ.

რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ? არ ვიცი. დრო შეუცნობელია, ჩემთვის იგი არ არსებობს. რისთვის აღვნუსხო? მაგრამ ასე მგონია, რომ ეს ძალიან დიდი ხნის წინ მოხდა.

ჰო, ყველა მოკვდება, წავლენ ტომები და თაობები, თავიანთი ტანჯვითა და ბოროტებით, ყოველივეთი, რაც ერთმანეთის საწამებლად და სატანჯველად ემსახურება. მე კი არასოდეს მოვკვდები. სანამ არსებობენ ეს უმეტესწილად ბოროტი არსებები, მათსავით ბოროტი მეც ვიარსებებ, მათი ხვედრი ჩემი ხვედრია. ამიტომაც მსურს ჩემი ხვედრის გაგება, მომავალში ჩახედვაც ამიტომ მსურს, თუმცა ეს მაკრთობს და მაშინებს. მაშ შემოხსენი რიდე და ჩამახედე რა საზარელიც არ უნდა იყოს!

კაცი გაჩუმდა.

ბინდი კარგა ხანია დაეშვა. ის, ვისაც კაცი სიტყვით მიმართავდა არაფერს ამბობდა და კაციც თითქოს სულ მარტო დარჩა.

— მეც შენსავით ვიხილე ღმერთი, — მცირე დუმილის შემდეგ დასძინა კაცმა. — ცხოვრების გზაზე გადავეყარე და ამ შეხვედრამ ჩემი სული შიშის ზარით აავსო.

დედაბერი იჯდა და სქელი ბინდი ფარავდა, მაგრამ კაცმა გაიგონა, რომ მან ჩუმად, თითქმის უხმოდ ჩაილაპარაკა:

— უფლის ხილვა სიხარულს არ მოგანიჭებს.

დედაბერი წამოდგა და სამოსში შემცივნულივით გაეხვია. მზის ჩასვლის შემდეგ მართლაც აგრილდა და კაციც კანკალმა აიტანა. დედაბერმა ქოხში შეიპატიჟა. ისიც წამოდგა, მოიხარა და გაძვრა შესასვლელ ნიშში, რომელზეც კარი არ ეკიდა. ასეთი პატარა საცხოვრებელი კაცს ჯერ არ ენახა. ყოველ წუთს თავს ხრიდა, ხელით კი ნებისმიერ კედელს წვდებოდა. ერთი კედლის მაგივრობას ქოხს ნაჟური წვეთებისაგან ნესტიანი ჩამოთლილი მთის ფერდი უწევდა.

დედაბერმა ცეცხლი დაანთო. ცოტა ფიჩხსა და ხის ფესვებს, ლატაკზე გროვად რომ ეყარა, ალი მოედო. კერიის მაგივრობას მიწაში ღრმად ჩარჭობილი ქვა სწევდა, ბოლი კი იმ ნახვრეტში გადიოდა, რომელიც სახურავისა და კლდის შეერთების ადგილას გაეკეთებინათ.

ცეცხლი კარგად გაჩაღდა და კაცმა ეს უჩვეულო საცხოვრებელი შეათვალიერა. შემდეგ განცვიფრებულმა აღმოაჩინა, რომ მარტონი არ იყვნენ. ნახევრად ბნელ კუთხეში წელში მოხრილი, ჭაღარათმიანი კაცუნა იჯდა... კაცი ვერ გაერკვა ეს ბავშვი იყო თუ ბერმაკაცი, ვერც იმას მიხვდა, საერთოდ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო. ეს გაურკვევლობა რაღაც საშიში იდუმალების განცდას იწვევდა. კაცს ვერ გაეგო რატომ, მაგრამ სწორედ ასეთ განცდას იწვევდა. კაცუნას ბავშვის სახე ჰქონდა, სახეზე კი შეჰყინოდა ღიმილი, რომელიც ბინდში იდუმალის შთაბეჭდილებას სტოვებდა. იქნებ, იმიტომ ჰგავდა იდუმალს, რომ ღიმილისათვის არავითარი აშკარა მიზეზი არ ჰქონდა, ან იმიტომ, რომ ეს ღიმილი არც კეთილი იყო, არც ბოროტი და მის უცვლელ მუდმივობაში სრული გულგრილობა ისახებოდა, თუმცა ოდნავ წამოწეულ კისერზე, წამოსკუპებული ჭაღარა თავი კაცუნას მათკენ მოექცია და თვალებითაც მათ მიშტერებოდა. ირგვლივ ყოველივე უჩვეულო და უცნაური იყო. კაცის გონებაში რაღაც ბუნდოვანმა მოგონებამ გაიელვა — რის შესახებ? ამ ღიმილმა ხომ არ გააღვიძა მოგონება? არა, კაცმა თავადაც არ იცოდა ეს საიდან გაჩნდა და ვერც ბოლომდე გაეხსენებინა. მაგრამ ეს ჭაღარათმიანი ბავშვი, რომელიც იქ, ბინდში, წელში მოკუზული იჯდა და უცვლელი ღიმილით იღიმებოდა, რაღაც უკიდურესად უცნაური და საშიშიც კი იყო. კაცი მას თვალს ვერ აშორებდა. რა ერქვა ამ ბავშვს, ან რა საიდუმლოება იმალებოდა ამ პატარა სახლში, რომელიც ადამიანის საცხოვრებელს სულაც არ ჰგავდა?

— ჩემი ვაჟია, — თქვა დედაბერმა. — თამამად ილაპარაკე, არაფერი ესმის.

და მაინც, მოსულმა ვერ გაბედა თქვა, რაც გონებაში უტრიალებდა, ვერაფერი ჰკითხა ვაჟიშვილზე, რომელიც თავის კუთხეში მჯდარი მათ საუბარს მოუსმენდა, თუმცა ვერაფერს გაიგებდა და ამ თავისი ღიმილით გაიღიმეზდა...

ბოლოს და ბოლოს სიჩუმე დედაბერმა დაარღვია და წაიბუტბუტა:

— უცნაური ღმერთი შეგხვედრია. შემდეგ რა მოხდა, აცვეს ჯვარს?

— ჰო.

— უცნაურია, თუ მართლა უფლის ვაჟიშვილი იყო... რისთვის აცვეს ჯვარს?

— თავადაც ვერ ვხვდები რისთვის დასჭირდათ. ყური მოვკარი, ხალხი ამბობდა, საწამებლად გააკრეს ჯვარსო. თითქოს მამას სურდა, რომ დატანჯულიყო. ეს ხომ სრული სიგიჟეა. არა, ვერაფერს გეტყვი, თავადაც არ მესმის.

— სასტიკი ღმერთია.

— სასტიკია, ვერაფერს იტყვი. თუ ხალხის მითქმა-მოთქმას ვირწმუნებთ, ასე ყოფილა. უნდა ეწამოსო! რისთვის დასჭირდა?

— მგონი, მეცნობა ეს ღმერთი, — თავისთვის ჩაიბუტბუტა დედაბერმა. შემდეგ შეჩერდა და ყოყმანით განაგრძო. — ღმერთს რომ შვილი გაუჩინა იმ ქალზე თუ იცი რამე?

— არა, იმ ქალზე არასოდეს და არაფერი მსმენია. ალბათ, სრულიად ჩვეულებრივი ქალი იყო.

— ჰო, ალბათ. ესე იგი, მის შესახებ არაფერი იცი?

— არა, მხოლოდ იმას ამბობდნენ, როცა შვილი გააჩინა, ღმერთის დედა გახდაო. მაგრამ ეს ხომ ისედაც ნათელია. არა, მის შესახებ ნამდვილად არაფერი ვიცი, მაგრამ რად მეკითხები?

— უბრალოდ მაინტერესებს, როგორი იყო და როგორ ცხოვრობდა, ღმერთი, როგორ ექცეოდა, სანამ უყვარდა, ან შემდეგ, როცა, შეიძლება, აღარც უყვარდა. ერთი სიტყვით, ბედნიერი-თუ იყო, თუ უხაროდა, უფალს შვილი რომ შესძინა. ან იქნებ, ისიც ჯვარს აცვა?

— არა, არა, ის არ უცვია ჯვარს, ცხადია, არა, ის ხომ ქალი იყო!

— ჰო, ის ხომ ქალი იყო.

დედაბერი ცოტა ხანს გაჩუმდა, შემდეგ იკითხა:

— ის ვაჟიშვილი, მგონი თქვი, სიყვარულის ღმერთი იყოო?

— ალბათ ასეც შეიძლება ვუწოდოთ. იგი მოყვასის სიყვარულს და ადამიანთა შორის სიყვარულს ქადაგებდა. ადამიანებს ერთმანეთი უნდა უყვარდეთო, ამბობდა. თუ სწორად გავიგე, არსებითი მგონი ეს იყო.

— უცნაური მოძღვრებაა... როგორც ჩანს, განსაკუთრებული ღმერთი ყოფილა.

— შეიძლება განსაკუთრებულიც იყო.

— ასეთ ღმერთზე ჯერ არაფერი მსმენია. არადა, მე თუ არ ვიცნობ ღმერთებს... უკვე მეგონა, ყველა მათგანს ვიცნობ-მეთქი. ალბათ, ბედნიერი ქალი იყო... სამწუხაროა, რომ არაფერი იცი მასზე, ვინც იგი შობა, ვინც ამისთვის აარჩიეს.

— ნეტავ სულ არ გაჩენილიყო. ჩემს ცხოვრებას ბედნიერი გავლენდა. სწორედ ისე, მასთან შეხვედრამდე რომ ვცხოვრობდი.

— ჰო, ჰო, ღმერთთან შეხვედრა სახიფათოა, ეს ყველამ კარგად ვიცით. მაგრამ შენი სახლის კედელზე თავი რად არ მიაყრდნობინე? უარი რად უთხარი? ისე დაუნდობლად და სასტიკად მოქცევიხარ, მის წინაშე, ალბათ, ბევრი შესცოდე.

— დაუნდობლად! სასტიკად! როგორიც ვარ, ისეთი გახლავართ. არასოდეს მომიკატუნებია თავი, არიქა, სხვანაირი ვარ-მეთქი. მე ისეთივე ვარ, როგორიც ყველაა. ცუდი ამაში რა არის? თავად ღმერთი როგორიღაა? ნუთუ შენს თვალშიც ასე სიყვარულით ადსავსე მოჩანს? ნუთუ მართლა ასე თვლი, ან იქნებ, სიყვარულით შენ მოგექცა? მაშ რად შეგაჩვენა...

დედაბრის მკვეთრმა მოძრაობამ კაცს ენა დაუბა. ქალმა ბოლომომწვარი ჯოხი ისე შეუჩხიკინა ცეცხლს, რომ ნაპერწკლები სახურავქვეშ აფარფატდა.

კაცმა ცოტა ხანს შეიცადა, შემდეგ კვლავ ამოიღო ხმა:

— უფლის წინაშე შენც ხომ შესცოდე და ჩემსავით შეგაჩვენეს. შენ რაღაც შეგაჩვენეს? შენც სამართლიანად მოგექცა? ნუთუ სამართლიანობა მუდამ მის მხარეზეა? ნუთუ ჩვენს მხარეზე არასოდეს იქნება?

კაცი იმედით შესცქეროდა დედაკაცის ბებერ, დაღარულ პირისახეს და ელოდა თავის ნაწამებ სულს გადამიშლის, უბედურების ამბავს მიამბობს და ამით ჩემი საკუთარი ხვედრის გარკვევაში დამეხმარებაო.

მაგრამ დედაბერი მდუმარედ მისჩერებოდა ცეცხლს და მის სულის ძგერა კაცისთვის ფარული რჩებოდა.

— დელფოს ბრმა მათხოვარმა შენი ამბავი მიამბო, მაგრამ არც ისე ბევრი იცოდა, რომ გამეგო, რა შეგემთხვა. როგორ გახდი ორაკულის ქადაგი? — წუთიერი დუმილის შემდეგ კვლავ ჰკითხა კაცმა, იმ იმედით, იქნებ, ეს მაინც მიამბოსო.

— ჩემი მშობლები ღვთისმოსაობით იყვნენ ცნობილნი, — ბოლოს და ბოლოს უპასუხა დედაბერმა. — ალბათ, ამიტომ გავხდი ქადაგი. თანაც ღატაკები ვიყავით.

— ღატაკები? ამის გამო ხომ ვერ გახდებოდი ორაკულის ქადაგი?

— იქნებ, ამის გამოც გავხდი, ოღონდ გახსენება არ მეხალისება.

— თქვენ აქ, დელფოში ცხოვრობდით?

— არა, ქალაქში არა, ჩვენ ხეობის სიღრმეში ვცხოვრობდით, ბელეხური ოჯახი გვქონდა.

— აი, თურმე რა.

— ახლა რომ დღე იყოს, იმ ადგილს დაინახავდი, არც ისე შორსაა. თუმცა თვალთ დამაკლდა, სახლსაც და მის გვერდით მდგარ ბებერ ზეთისხილის ხესაც აქედან მაინც ვხედავ. მაგრამ ახლა ვინ ცხოვრობს იქ, ეგ აღარ ვიცი.

— ნათესავები არ დაგრჩა?

— ნათესავები? არა, არა მგონია. საიდან უნდა ვიცოდე. ნათესავები? არა, მე ვიზეც გიყვები, ისინი კარგა ხანია დაიხოცნენ.

— არაფერი მოგიყოლია.

— ჰო... არაფერი მომიყოლია, მართლაც...

— როგორც ჩანს, ვიღაც გაგახსენდა?

— ჰო, მშობლები გამახსენდა, დედა და მამა. მაგრამ რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ... წარმოიდგინე, მახსოვრობა ასე შორეული წარსულის მოგონებასაც კი ინახავს...

მამაჩემი მუყაითი მეურნე იყო, მაგრამ სახნავი მიწა ცოტა ჰქონდა და თუმცა თავს აკლავდა, მოსავალსაც ცოტას იწევდა. ყველაფრის გაკეთება ხელით უხდებოდა, მუშა საქონელი არ ჰყავდა. ცხადია. არც ადგილ-მამული იყო ჩვენი საკუთრება, მოსავლის დიდი ნაწილი ტაძარს მიჰქონდა: ამ ხეობის მიწა ტაძრის, ან უფრო სწორად, უფლის სამფლობელოა. ჩვენ ტაძარსა და ღმერთზე ვიყავით დამოკიდებული. როცა ყოველგვარ გადასახადს გადავიხდიდით, თითქმის აღარაფერი გვრჩებოდა, მაგრამ ცოტაც გვყოფნიდა, სიღატაკეს მიჩვეულები ვიყავით. ახლა, მას შემდეგ, რაც გამოვცადე, მაშინდელი ცხოვრება სიღატაკედ სულ არ მეჩვენება. მახსოვს, ჩვენთან მშვენიერი ზეთისხილის მსხვილი ნაყოფი ხარობდა, განსაკუთრებით კარგად სახლის გვერდზე მდგარი ბებერი ხე ისხამდა. ეს ხე მაშინაც ბებერი იყო და ხშირად საუკეთესო ნაყოფს სწორედ ასეთი ხეები ისხამენ. მას შემდეგ ასეთი ნაყოფი აღარც გამისინჯავს. ანკი როდის ვქამდი ზეთისხილს... უხსოვარ დროს.

— ესე იგი იქ გაიზარდე?

— ჰო, ორი ბავშვი დაეღუპათ, მხოლოდ მე გადავრჩი. ასე რომ ბავშვობაში სიყვარული არ დამკლებია. და მაინც, უცნაურია, თავს ეულად ვგრძნობდი. ბავშვები ხანდახან მარტოობას მაშინაც გრძნობენ, როცა სიყვარულით არიან გარემოცულნი, ოღონდ ამას ახლობლები ვერ ხვდებიან. ალბათ, უცნაური ბავშვი ვიყავი, თუმცა თავიდან ეს მაინცდამაინც თვალშისაცემი არ იყო. მე მარტოდმარტო ვატარებდი დროს და თანატოლებთან თითქმის არასოდეს მივდიოდი. თანაც განაპირას, თუმცა სხვა სახლებისგან არც ისე შორს ვცხოვრობდით. ყველაზე მეტად დედისკენ მიმიწევდა გული. მე და დედა ერთმანეთს ნამდვილად ძალიან ვგავდით, ორივე დინჯი და მკაცრი ზნეობით გამოვირჩეოდით და ისე ვსაუბრობდით, თითქოს

ტოლები, ცხოვრებით ერთნაირად გამობრძმედილნი გახლდით. სინამდვილეში კი რა ცუდად ვიცნობდით ცხოვრებას მეც და ისიც. დედაჩემს თითქმის არ შეხებია ყოველივე ის, რასაც ჩვეულებრივ სიმდაბლეს, სიბოროტეს, უთავბოლო ამაოებას ეძახიან, ყოველივე, რასაც ცხოვრება ჰქვია და რის ცოდნითაც ხალხს ასე უყვარს თავის მოწონება. იგი მხოლოდ მარტივ მოვლენებს სცნობდა. იცოდა, როგორ გაეჩინა, შემდეგ კი დაეკარგა შვილები, როგორ ჰყვარებოდა ოდესღაც ახალგაზრდა და ჯან-ღონით სავსე, ახლა კი მასავით მძიმე შრომით გატეხილი კაცი. სულ ეს იყო, რაც მან იცოდა, მაგრამ განა საკმარისი არ არის? წმინდა და ხესავით უბრალო სული ჰქონდა. ტანმაღალი იყო და თავისი სიმშვიდითა და მშვიდობიანობით მართლაც ხეს მოგაგონებდა. სწორედ იმ მაღალ, ეულად ამოსულ ხეს, რომელიც ხეობის სიღრმეში, ველზე ხარობდა. იგი წმინდა ბედ ითვლებოდა და მამაჩემიც თაყვანს სცემდა. ყოველ დილით, სანამ მუშაობას შეუდგებოდა, მამა ამ ხესთან მიდიოდა. მე და დედა კი ყოველდღე ღარტაფში, წყაროსთან ჩავდიოდით; ჩვენ ამ წყაროს ვეთაყვანებოდით. ღარტაფში ანკარა წყალი მოჩუხჩუხებდა, მის ირგვლივ კი ლორთქო, მარადმწვანე მცენარეები ხარობდა. ეს წყაროც ჭეშმარიტად წმინდა წყარო იყო. საკმარისია წყალში ჩაგეხედა, მაშინვე მიხვდებოდი, რომ ღვთაებრივ მოვლენასთან გქონდა საქმე. წყაროში ქვიშის ყოველი მარცვალი მოჩანდა, ერთ ადგილას კი ქვიშა ისე მდორედ ტრიალებდა, თითქოს უფლის უხილავი ხელი მართავდა.

ჩემი მშობლები უფალს თაყვანს სცემდნენ და პატივსაც მიაგებდნენ, მაგრამ მათთვის ღმერთი წყაროები, ხეები და წმინდა ჭალები იყო და არა ის, ვინც ტაძარში უფლობდა. ზედმეტად დიდი და შორეული გახლდათ ის, ვისაც ნაწყალობევი მიწის გადასახადს რის ვაივაგლახით უხდიდნენ. როცა დელფოში ჩადიოდნენ, ეს კი იშვიათად ხდებოდა, ჩვეულებრივ, მიწის ღვთაების გეას სადა ტაძარს მოინახულებდნენ. ეს ტაძარი ხის პატარა სახლი იყო, რომლის უბრალოება მათ მდაბიო ცხოვრებას ასე ეხამებოდა. ჩემმა დედამამამ არაფერი იცოდა არც ღვთაების უსაზღვრო სიდიადესა და უძირო სიღრმეებზე, არც იმ საშინელ ძალაუფლებაზე, რითაც ის ადამიანის სულს თრგუნავდა. ისევე როგორც, არ შეიძლებოდა სცოდნოდათ ყველა ის ურცხვობა, მისა და მისი ტაძრის ირგვლივ რომ ტრიალებდა.

ისინი თავად უკავშირდებოდნენ ღმერთს და შუამავლები არ სჭირდებოდათ. სახლისაგან მოშორებით, ჭალაში, საკუთარი, პატარა საკურთხეველი გვქონდა, რომელიც მამამ ბელტებისაგან ააგო და სადაც ყოველწლიური ღვესასწაულების ჟამს მიწათმოქმედების მფარველ ღვთაებას მსხვერპლს სწირავდა. მაგრამ საღამოობით, დღიური შრომის შემდეგ შინ მობრუნებული მამა, სადაგ დღესაც ხშირად გამოიელიდა იქ და წელიწადის დროის მიხედვით ან მიხდვ-

რიდან წამოღებულ რამდენიმე თავთავს ან ხილსა და კენკრას ტოვებდა. ჭამის წინ და ჭამის შემდეგაც. რა თქმა უნდა, კერიას მსხვერპლს სწირავდა და მე კარგად მახსოვს, რა მოწიწებით ასრულებდა ამ წესს, რომელსაც მრავალნი ისე დაუფიქრებლად სჩადიან არც მის არსს აცნობიერებენ და არც რაიმე აზრს დებენ. მამა გულჩათხრობილი და ჩუმი კაცი იყო; განსაკუთრებით მისი თვინიერი, მაგრამ ყოველთვის ოდნავ სევდიანი თვალები დამამახსოვრდა და კიდევ დიდი, გაუხეშებული ხელები, რომელსაც ფიჭვის ხის ქერქივით ნებები ჰქონდა; როცა ეს ხელები მეხვეოდნენ, თავს მშვიდად და უშფოთველად ვგრძნობდი. ასევე მშვიდად და კარგად ვიყავი, როცა სადმე ერთად მივდიოდით და ჩემი პატარა ხელი, მის ფართო ხელისგულში იმალებოდა. მაგრამ ლაპარაკი არ უყვარდა. სიბერეში უფრო მოღუშული და პირქუში გახდა, განსაკუთრებით დედის სიკვდილის შემდეგ შეიცვალა. ცხადია, ჩემმა ამბავმაც გაუჩინა სადარდებელი. მან ისე დიდხანს იცოცხლა, არც ეს ელდა ესცდა. ხშირად მიფიქრია, ნეტავ იმანაც თუ შემაჩვენა-მეთქი?

იგი მარტოდმარტო გარდაიცვალა და იმ წმინდა ხის ქვეშ იპოვეს, რომელზედაც უკვე გიამბეთ, ოღონდ ვინც იპოვა, იმან არ იცოდა, რომ ხე. წმინდა ხედ ითვლებოდა და ვერ მიხვდა, სასიკვდილოდ სწორედ ამ ხის ქვეშ რად დაწვა. მის სამარეზე სულის მოსახსენიებლად მსხვერპლი არავის შეუწირავს, მაგრამ ვიმედოვნებ, არ განმირისხდა და სული მისი მშვიდად განისვენებს.

ვიზრდებოდი და თანდათან უფრო შესამჩნევი გახდა, რომ სხვა ჩემს ტოლ გოგონებს რაღაცით არ ვგავდი. ზმანებები მქონდა და ხმები მესმოდა, სწორედ იმ დროს, როცა პირველი ნიშნების მიხედვით დაქალებას ვიწყებდი, შემდეგ ზმანებები გაქრა. მაგრამ რაღაც განდეგილობა შემომრჩა, თითქოს ჩემი სული სადღაც შორეთში დაქროდა: უფრო და უფრო ვესწრაფვოდი განმარტოებას და ჩემს გრძნობებს დედასაც აღარ ვუმხელდი. უფრო მძაფრად ვგრძნობდი, რომ მარტო ვიყავი და სხვებისაგან განვსხვავდებოდი. ვერ აგიხსნიდით, კერძოდ რით განვსხვავდებოდი, მაგრამ ეს მტანჯავდა. მუდამ აფორიაქებული ვცხოვრობდი, მშვიდად და მტკიცედ თავი აღარასოდეს მიგრძვნია, თუმცა ყველაფერი მქონდა, რაც ამისთვის საჭირო იყო. თვით ის მშვიდი და საიმედო ცხოვრებაც კი, გარს რომ მეკრა, მაფორიაქებდა და მამძიმებდა. უცნაური იყო, მიხაროდა, რომ ამ ცხოვრებით ვცხოვრობდი, უმისობა არ შემეძლო და მაინც მაწუხებდა. დედ-მამისაგან შეუმჩნევლად მათ სამყაროს უფრო და უფრო განველტვე, თუმცა თავადაც იქ ვცხოვრობდი და სხვაგან ცხოვრებაც არ შემეძლო. სხვა რა სამყარო უნდა მქონოდა? ჩემთვის მხოლოდ მშობლები არსებობდნენ, ისინი უსაზღვროდ მიყვარდა, და მაინც, საკუთარ სახლში თავს უცხოდ ვგრძნობდი. აფორიაქებული სულით დავდიოდი, რასაც ისინი ვერც კი ხვდებოდნენ და რომც მეთქვა, ვერ გაიგებდნენ. მშობლები ირგვლივ

ყველაფრის მიმართ გულუბრყვილო ნდობით იყვნენ აღვსილნი და ღმერთსაც ყველაფერში ხედავდნენ.

ღმერთი? მე თუ მყავს ძველებურად ღმერთი. ვეკითხებოდი ჩემს თავს. მგონი, მყავს, მაგრამ სად არის? სადღაც ძალიან, ძალიან შორსაა, მგონი მიმატოვა. იქნებ, მე მივატოვე? მაშ ასე აფორიაქებული რადა ვარ, სიმშვიდე რად დავკარგე? თავად ღმერთი ხომ არ არის სიმშვიდე — მშვიდობა და სიმშვიდე? ყოველივე ის, რაც აღარ მაქვს.

შემეძლო კარგა ხანი ყველაფრის მიმართ გულგრილი ვყოფილიყავი და ამავე დროს ჩემს სულს რაღაც, არ ვიცი რა, მძაფრად ენატრებოდა.

ისეც ხდებოდა, რომ უცებ, მოულოდნელად, უნებურად ცხელი ტალღა შემომაწვებოდა — ბედნიერების, სიხარულის ტალღა, რომელიც სულს ჯერ ნეტარებით ამივსებდა, შემდეგ კი ისე მძაფრად და მწველად შემომაწვებოდა, მაფრთხობდა და მაშინებდა. უკიდეგანო შიშით დათრგუნვილი ხელისგულებს თვალებზე მაგრად ვიფარებდი, ველოდი სიცხე როდის ჩაქრებოდა და ისევ ჩემს თავს დავიბრუნებდი. ჩემს თავს? ეს რაღას ნიშნავს?

თავად ვინა ვარ?

ამ დროს ჯანმრთელი და ძლიერი სხეული მქონდა და ჩემი მშობლებივით ტანმაღალი გახლდით. გასაოცარი კი აი, რა იყო. სრულქმნილი ჯანმრთელობა და რაღაც განსაკუთრებული სენი, სრულიად ჩვეულებრივი გლეხის გოგო და გარემოსთვის უცხო, მგრძნობიარე არსება ერთმანეთს ერწყმოდა. ამიტომ, ალბათ, ძნელი იყო ჩემი ჰეშმარიტი სახის უცებ შეცნობა.

დროთა განმავლობაში კი გასაგები გახდა, რომ უცნაურად ახირებული ვიყავი. ისიც უნდა ითქვას, რომ მთელ ჩვენს ოჯახს ახირებულებს ეძახდნენ. ტაძრის მსახურებსაც ალბათ, ამიტომ გავახსენდი, როცა ახალი პითია დასჭირდათ. აღარ მახსოვს, მაგრამ ვფიქრობ, როცა ეს მოხდა, ოცი წლის ვიყავი. ტაძრის ხელისუფლებმა, როგორ ჩანს გადაწყვიტეს, რომ გამოადგებათ სწორედ ასეთი ღატაკი და ახირებული, მდაბიო და გულუბრყვილო გლეხის გოგო, რომლის მშობლები ტაძარზე და ღმერთზე იყვნენ დამოკიდებულნი. ისიც ხელს აძლევდათ, რომ ოჯახი, სადაც გავიზარდე უფლის ღრმა და გულწრფელი თაყვანისცემით გამოირჩეოდა. ჩემი ოჯახის ამბავი, როგორც ჩანს, ხალხში გაიკითხეს.

დედ-მამა უკიდურესად დაიბნა, როცა ასეთი წინადადება მიიღეს. მსგავსი რამ არასდროს უფიქრიათ. ცხადია, იცოდნენ, რომ ეს დიდი პატივი იყო, ჰო, ალბათ, დიდი პატივი იყო, მათ ხომ იცოდნენ, რომ ამ დიადსა და ყოველისშემძლე ღმერთს შეუდარებელი სავანე და საუცხოო ტაძარი ჰქონდა, თუმცა თავად იქ იშვიათად შედიოდნენ, ურიცხვი განძეული და უცხო ხალხი აცბუნებდათ და აკრთობდათ ან კი როგორ შეიძლება, უარი უთხრა ასეთ დიდ პირებს, დელფოს ყველაზე წარჩინებულ ხალხს, როცა რაღაცას გთხოვენ? რადგან

გთავაზობენ, ესე იგი ასეცაა საჭირო. მაგრამ ეს ყოველივე ცუდად ესმოდათ და აღარ იცოდნენ, რა პასუხი გაეცათ. როგორც ჩანს, უნდა დათანხმებოდნენ, ღმერთს უნდა მინდობოდნენ, უფალს ასე სურსო, უნდა ეფიქრათ. თუმცა ძალიან ეშინოდათ: ჩემი თავი ხომ რაღაც შეუცნობლისა და გაუგებარის ძალაუფლებაში უნდა გადაეცათ.

მაგრამ მე? თავად მე?

ძლიერ ავღელდი და თავზარიც დამეცა, როცა ეს გავიგონე. ღვთის რჩეული? მე ვარ რჩეული? ტაძარში, უფალთან მიხმობენ?

მის იარაღად უნდა გადავიქცე, ხალხს მისი სიტყვები, მისი ჩაგონებული ხილვები ვამცნო? მისი სულით აღვსილმა წმინდა აღფრთოვანებით ვიწინასწარმეტყველო?

მე? მე ვარ რჩეული?

ეს აზრი თავზარს მცემდა, მაშინებდა, სულს ძიმძიმებდა და თანაც უკიდეგანო ბედნიერებით მავსებდა.

ნუთუ შესაძლებელია? უფალი მიხმობს? მათ ხომ ასე მითხრეს, ასე ფიქრობენ. ღმერთი მიხმობს, ღმერთი, რომელმაც მიმატოვა, რომელიც მივატოვე. ნუთუ შესაძლებელია? ნუთუ თავის მსახურად, თავის წინასწარმეტყველად მე ამირჩია? ნუთუ ქადაგება ჩემი ბაგეებით სურს? ეს გაუგებარი იყო, ეს სასწაული გახლდათ. ამ სასწაულს ველოდი?

არა, უფალმა არ დამივიწყა, არ მიმატოვა. არც მე მიმიტოვებია. არა. ცხადია არა. იგი მიხმობს და მეც მხოლოდ მისით აღვსილი გულით ვეახლები!

უფალი მიხმობს!

როცა პირველმა მღელვარებამ გადაიარა, ჩუმი სიხარულის შეგრძნება დამრჩა. დავდიოდი და დაუსრულებლად ვფიქრობდი, რა საოცრება მელოდა. აი, სად შევიცნობდი მშვიდობას, მის გვერდით კვლავ მოვიპოვებდი სიმშვიდეს.

გადაწყდა, რომ მე და დედა დელფოს ტაძარში ერთად წავიდოდით. ერთ მშვენიერ დილას, ასეც მოვიქეცით. მსახურებს ჩვენი შოსვლის მიზეზი ავუხსენით, მათ ტაძრის მოედანზე ერთ შენობაში მიგვიყვანეს და უზენაესი ქურუმის წინაშე წარგვადგინეს. ეს ხანდაზძული კაცი დელფოს ყველაზე ცნობილი გვარისა იყო, ასეთ ხალხს ჩვენ არასოდეს ვიცნობდით. იგი თბილად შეგვხვდა და მასთან საუბარი ძნელი სულაც არ აღმოჩნდა. ცოტა ჩვენი ცხოვრების შესახებ ვუამბეთ. შემდეგ მე გამომელაპარაკა, ჩემი ბავშვობის და მრავალი სხვა ამბავიც გამომკითხა, თუმცა გაუგებარია, რისთვის სურდა ამის გაგება. ჩემი, ალბათ, გულუბრყვილო პასუხებით თითქოს კმაყოფილი დარჩა. ბოლოს მითხრა ამ ტაძარში დაბუდებული ღმერთი, სინათლის ღმერთია, სხვა ღმერთებზე დიადია, ხოლო მისი ორაკული, მსოფლიოს ყველა ორაკულზე სანდოვანით. იყო ამ ტაძრის ქადაგი, თანაც ისეთი ქადაგი, რომელსაც თავად ღმერთ-

მა მოუწოდა და აკურთხა, დიდი წყალობა და დიდი პასუხისმგებლობაა. მის წინაშე აღელვებული და ბედნიერი ვიდექი და თვალებით მიწას მივშტერებოდი.

შემდეგ ჩვენი თავი გადასცა მსახურს რომელმაც მოედნის გაღლით ტაძარში შეგვიყვანა და ერთ ქურუმს ჩაგვაბარა.

ტაძარი მანამდე არასოდეს მენახა. დედაჩემს სახეზე შემცბარი გლეხის ქალის დაბნეულობა და გაუბედაობა ეწერა და თითქმის არსად გაუხედავს, მე კი ღვთის სავანის სიმდიდრითა და ფუფუნებით განცვიფრებული ყველაფერს აღფრთოვანებული ვათვალიერებდი. მსგავსი არაფერი მენახა და ვერც კი წარმოვიდგენდი ასეთი რამ თუ არსებობდა. იმის შეგრძნებამ, რომ ასე ახლო ვიყავი ღვთაებასთან, მოწიწებითა და სიხარულით ამავსო. დილის მზე ჩახჩახებდა და თავისი სხივებით ტაძარს ავსებდა. ეს ჭეშმარიტად სინათლის ღმერთის ტაძარი იყო, თავად უფლის სავანე, სახლი სადაც უზენაესი ცხოვრობდა.

ქურუმი, როგორც ჩანს, ჩემი აღფრთოვანებით კმაყოფილი დარჩა. და რა უცნაურადაც არ უნდა ეღერდეს, მგონი, ისიც მოეწონა. რომ ადრე ტაძარში არასოდეს ვყოფილვარ. იგი მოთმინებით იცდიდა და ჩემს მოწიწებულ ჭვრეტას ხელს არ უშლიდა. შემდეგ ტაძრის სიღრმეში შეგვიყვანა. სადაც კედელში პატარა კარი გამოჩნდა, დედას უბრძანა აქ დარჩი და დაგველოდეო, ჩვენ კი შევედით მომცრო დარბაზში, სადაც მისი თქმით იკრიბებოდნენ პილიგრამები, ესე იგი ხალხი, ვინ ორაკულს შეკითხვით მიმართავდა. დარბაზი გადავჭერით და ვიწრო კიბით დავეშვით ქვემოთ, თითქმის სრულიად ბნელ სადგომში, რომელსაც მხოლოდ ზეთის ორი, მკრთალი პატრუქი ანათებდა. ქვემოთ მძიმე, შმორიანი, სულისშემხუთველი ჰაერი იდგა. ასე მეგონა ახლავე დავიხრჩობი-მეთქი. ფეხქვეშ უსწორმასწორო და გალიპულ იატაკს ვგრძნობდი ღა მიჯსვდი, რომ ეს მხოლოდ კლდის ნესტიანი ზედაპირი იყო. ნაპრალის თავზე მაღალი ზედადგარი იდგა, ზედადგარის აქეთ-იქეთ თვალი ორ მაღალ თასს მოვკარი. მკაფიოდ ვერაფერი გავარჩიე. არც კედლები დამინახავს. ეს მიწისქვეშა გამოქვაბულს ჰგავდა, რომელსაც კეთილსურნელებისა და, როგორც ჩანს, კლდის ნაპრალიდან ამოჭრილი მძიმე, მომგუდავი ანაორთქლის უცნაური ნაზავი და სუსტი. მაგრამ საკმაოდ მძაფრი თხის სუნი ავსებდა. თავზარდაცემული ვიდექი. ნაწყვეტ-ნაწყვეტ. მძიმედ ვსუნთქავდი და ასე მეგონა, საცაა გონებას დავკარგავ-მეთქი.

ქურუმმა, რომელიც სიბნელის მიუხედავად თვალს ფხიზლად მადევნებდა, ამიხსნა, ეს ტაძრის გულია, სადაც უფალი ქადაგებს და ცნობამიხდილ პითიას შთააგონებს რა წინასწარმეტყველება წარმოსთქვასო, მისი წმინდა სულით შენ სწორედ აქ უნდა აღივსო და ემსახუროო. ვიხრჩობოდი და საპასუხოს ვერაფერს ვამბობდი. მას კი, როგორც ჩანს, მოეწონა ის ზემოქმედება, რაც ჩემს მგრძნო-

ბიარე სულზე წმინდა გამოქვაბულმა მოახდინა; შემდეგ კამაფერთ-ხილა, რაც გიგე და რასაც, ალბათ, კიდევ გაიგებ საიდუმლოდ უნდა შეინახოო და უკან გამოვბრუნდით. როგორც ყოველთვის, ძლიერი მღელვარების ჟამს, ხელისგულები მაგრად ავიფარე ოვალებზე და ვიწრო კიბეზე მის კვალს გავყევი.

დედა ზემოთ მოუსვენრად გველოდა და როგორც კი დამინახა, შეშფოთებული შემომაცქერდა. ისევ მძიმედ ვსუნთქავდი, მავრცელ ვიმედოვნებდი, დედა ვერ შემამჩნევს-მეთქი. ვეებერთელა, ნათელ, ძველებურად მზით გაჩახჩახებულ ტაძარს ცარიელი მზერა მოეავლე. აქ ყველაფერი ძველებურად ბრწყინავდა, მაგრამ მე აღარ მახარებდა. წარმიერად თვალი მოვუხუჭე ჩახჩახა სინათლეს, თითქოს მთლიანად ჩამითრია რაღაცამ, შიგნიდან რომ მავსებდა. მაშინ პირველად, ღვთაების საიდუმლო არსს ფარდა ოდნავ აეხადა.

ტაძრის შესასვლელთან ქურუმმა მოსვლის დღე დამინიშნა და დაგვტოვა. ხელჩაკიდებულნი ძინისაკენ ჩუმად გავეშურეთ. დედა შემეკითხა, სად წაგიყვანაო, მაგრამ მე გაურკვევლად ვუპასუხე და ამის შემდეგ სახლამდე მდუმარედ ვიარეთ.

ჩემს ფიქრებთან კვლავ მარტო დავრჩი. ვფიქრობდი, რომ უფალი შეუცნობელი და მიუწვდომელი იყო, რომ მიწისქვეშა გამოქვაბულში ბინადრობდა და მაშინებდა, რომ მაინც მენატრებოდა. დიახ, მენატრებოდა, მაინც მენატრებოდა. თუმცა ისეთი არ აღმოჩნდა, როგორიც წარმომედგინა და მისგან დახმარებასაც აღარ ველოდი, რადგან მხოლოდ მსახურებისათვის მიხმობდა.

მაგრამ მაინცდამაინც მე რად მიხმო? მე რად ამირჩია?

ზემოთ, დღის ჩახჩახა სინათლეშიც უდგას ტაძარი, მშვენიერი, დიდებული ტაძარი. მაგრამ ტაძრის გული იქ არ არისო, ასე მითხრეს. მეც იქ არ ვემსახურები, თავისი სულით იქ არ აღმავსებს: იქ, იგი სხვანაირია, მე არ ვჭირდები, რადგან ჩემი ავსება სინათლით არ სურს. არა, თავის ხილვებს ტაძრის მიწისქვეშეთში ჩამაგონებს, მიწისქვეშეთში ამიტანს.

და მაინც, რაღაც ძალა იქით მეწეოდა. შეშინებული, თავზარდაცემული ვფიქრობდი, რა მომელის-მეთქი, და მაინც, რაღაც იქით დაუოკებლად მეწეოდა! ფიქრი სხვა აღარაფერზე შემეძლო, მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ მძიმე, გამაბრუებელი სურნელით სავსე მიწისქვეშეთში ჩავიკეტებოდი, ფართოდ გახსნილი ბაგეებით წინასწარმეტყველებას წარმოვთქვამდი, მისი სულით აღვსილი, პირზე დუმრეული ველურ, გაუგებარ სიტყვებს ვიყვირებდი და ჩემს უფალს ვემსახურებოდი, დავნებდებოდი!

ასეთი მღელვარებით ველოდი მომავალს. მაგრამ თანდათან მღელვარება დამიცხრა და რაღაც ბურუსითა და გაშტერებით შეიცვალა. მოუსვენრობა თავს აღარ იჩენდა, თუმცა ჩემში მაინც თვლემდა. არ ვიცი; ამ მდგომარეობას ჩემი ახალი მეურნეები ამჩნევდნენ თუ არა, დელფოში ახლა ხშირად დავდიოდი. ახლოვდებოდა დღე-

სასწაული, როცა პითიად პირველად უნდა ვქცეულიყავი, ქურუმები ღვთისმსახურებისათვის მამზადებდნენ და სურდათ მშობლებისაგან მოშორებული მათთან უფრო ხშირად ვყოფილიყავი. ამ საზრუნავისა ცოტა მესმოდა, მათი მოქმედების აზრს კი ხანდახან საერთოდ ვერ ვიგებდი. წლები გავიდა, სანამ მივხვდებოდი: ერთი სისაძაგლე მხოლოდ იმისთვის ჩამიტარეს, რომ ჩემს უბიწოებაში დარწმუნებულიყვნენ. მე მათგან განსხვავებულ სამყაროში ვცხოვრობდი და ვინ იცის, იქნებ, თავად უფალმა მომახვია გაოგნება, რათა დავეფარე და ქურუმების კი არა, მის სამყაროში მეცხოვრა. იქნებ, ასეც იყო, თუმცა მე რა შეიძლება ვიცოდე.

გაზაფხულის თვის მეშვიდე დღე, უფლის დღესასწაული ახლოვდებოდა. ორაკულთან ერთად მეც პირველად უნდა შევდგომოდი მსახურებას. ძთელ იმედებს ქურუმები ჩემზე ამყარებდნენ, რადგან უწინდელი პითია ცოტა ხნის წინ მოულოდნელად გარდაიცვალა ისეთ გარემოებაში, რომლის გახმაურებაც არ სურდათ. ამ დღესასწაულზე, რომელიც მრავალი დღე გრძელდებოდა, მრავალ პილიგრიმს ელოდნენ და ქურუმები ღელავდნენ, როგორ მოვერეოდი საქმეს, მე ხომ ჯერ არ მომესინჯა ძალები, ისურვებდა კი უფალი ჩემი ბაგეებით ქადაგებას, ავიტანდი. კი ამ ყოველდღიური, დამაუძლურებელი მსახურების სიმძიმეს. ქურუმები ჩემზე დაუღალავად ზრუნავდნენ და მივლიდნენ. ოღონდ თავად მე ნაკლებად ვედარდებოდი, ეს მაშინაც მესმოდა, თუმცა სულ ბავშვი ვიყავი, ხალხს ჯერ კიდევ არ ვიცნობდი და არც მათი ზნის შესახებ ვიცოდი რამე. ისიც მესმოდა, რომ ქურუმები უფლისთვის კი არა უფლის ტაძრისთვის ცხოვრობდნენ და რომ ღმერთი კი არა, მისი ტაძარი, მისი ტაძრის გავლენა უყვარდათ.

ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ პილიგრიმები, როგორც ყოველთვის, ჯგროდ მოაწყდებოდნენ წლის მთავარ დღესასწაულს. ესე იგი, ტაძარი დიდ შესაწირავს მიიღებდა და თავის სიმდიდრესა და სიძლიერეს უფრო გაზრდიდა. ალბათ, ყველა ფუნდუკი სტუმრებით იქნებოდა სავსე და ქალაქში შემოსავლის თავისი წილი ასე თუ ის ყველას შეხვდებოდა. ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის ბევრს ნიშნავდა ეს დღესასწაულები, რომელსაც ქვეყნის ყველა კუთხიდან აწყდებოდნენ. ქალაქი არსებითად მხოლოდ ამით ინახავდა თავს და ისიც სტუმრების მისაღებად გულმოდგინედ ემზადებოდა.

მაშინ ეს არ მესმოდა, რადგან ცოტა ვიცოდი, სამაგიეროდ შემდგომში კარგად, მგონი ზედმეტად კარგადაც გავერკვიე. კარგად შევიცანი რა ეკრა გარს ღმერთსა და მის ტაძარს, კარგად გავიგე, რას ნიშნავდა ორაკულის დიდება ამ ხალხისათვის, რომელთა საბლები ტაძრის ირგვლივ წამოჭიმულ მთას მოფუსფუსე ჭიანჭველების ბუდეებივით მიჰკვროდა. ღმერთთან თანაზიარობამ ისიხი ჩვეულებრივი მიწის სამუშაოებისაგან გაანთავისუფლა, ძალაც ირწმუნეს, განსაკუთრებული ადგილი გვიჭირავსო და უამრავ

ეცხოელს, მათი არაჩვეულებრივი მთის ქალაქისაკენ რომ მოისწრაფოდნენ. ზემოდან დასცქეროდნენ. სიამაყით აღსილი მოსახლეობა წმიდათა წმიდა ქალაქად თვლიდა დელფოს, სადაც ყველა მხოლოდ ღმერთით ცხოვრობდა და იკვებებოდა.

ეს ყოველივე. მე ჯერ კიდევ არ ვიცოდი; ცხადია, შეუძლებელი იყო საყოველთაო ფუსფუსი არ შემემჩნია, მაგრამ მასზე არასოდეს დავფიქრებულვარ; იქნებ, თავად უფალმა მომახვია ეს გაოგნება, თითქოს ვერაფერს ვხედავდი, არაფერი მესმოდა და გარე სამყაროსულ არ მეხებოდა.

და აი, დადგა დღე, დღე სინათლის ღმერთისა, რომელიც მის საპატივცემულო დღესასწაულს თავად გახსნიდა. დღემდე ნათლად მახსოვს ის დილა. მთის მიღმა არასოდეს ამოსულა მზე ისეთი, როგორც ამ დილას იყო, ჩემთვის არ ამოსულა. სამი დღე ვიმარხულე. ჩიტივით მსუბუქი და ფარფატა ვიყავი. კასტალიის წყაროზე განვიბანე: წყალი ანკარა იყო, მე კი სუფთა და განთავისუფლებული ყველაფრისაგან, რაც კი უფალს არ ეხებოდა. პატარძლად, მის პატარძლად მორთული ტაძრის მოედნისაკენ მიმავალ გზას ნელა ვეკუყეკი. გზის გაყოლებით და თავად მოედანზეც ხალხის ბრბო იდგა, მაგრამ ვერავის ვამჩნევდი, ვერავის და ვერაფერს ვხედავდი. ეს უფლისაკენ მივიჩქაროდი. ტაძრის საფეხურებს ზევით ავყევი. ერთმა მსახურმა წმინდა წყალი მაპკურა და ასე შევაბიჯე გასხივოსნებულ ტაძარში, უფლის ამ ნათელ სავანეში, სადაც არ მელოდა, სადაც არ ვემსახურებოდი. ტაძარში მივდიოდი და დახრილქუთუთოების ქვეშ თვალებს ცრემლი მიწვავდა; თვალი დავხუჭე, რათა ეს სიდიადე არ დამენახა, არ მეღალატა ჩემი ღმერთისთვის, ამ მსახურებისთვის, რაც დამინიშნა. რისთვისაც ამირჩია. ორი ქურქმის თანხლებით ჩავუარე საკურთხეველს, სადაც უფლის ჩაუქრობელი ცეცხლი ენთო, შემდეგ პილიგრიმების დარბაზი გადავვერი და ვიწრო, უბადრუკი კიბით ქვემოთ, ორაკულის მიწისქვეშეთში დავეშვი.

იქ ისეთივე ბინდი დამხვდა, როგორც ყოველთვის იყო და ცოტა დრო დამჭირდა, სანამ რამის გარჩევას შევძლებდი. ნაპრალიდან ამოსული მძიმე ანაორთქლი კი მაშინვე ვიგრძენი და უფრო მახრჩობელა და გამაბრუებელი მეჩვენა. ვერაფრით მივხვდი თხის უწინდელზე მძაფრი და ძლიერი სუნი საიდან გაჩნდა. გარდა ამისა, მიწისქვეშეთი ბოლით ისე იყო გაჟღენთილი, თითქოს რაღაცას წვავდნენ. მცირე ხნის შემდეგ სიბნელეში მაყალი შევნიშნე; მაყალზე რაღაც ბუუტავდა, ერთი გამხმარი კაცი მასზე დახრილიყო და ნაკვერცხალს ძერას ფრთის მსგავსი ფრთით უბერავდა. კაცის ფეხებთან მოყვითალო-მონაცრისფერო გველი გასრიალდა და ბინდში გაქრა. თავზარი დამეცა; გაგონილი მქონდა, წინა პითია, სწორედ ასეთი გველის ნაკბენმა მოჰკლაო, მაგრამ ტყუილი მეგონა, რადგან პირველად აქ არავითარი გველები არ მინახავს. მოგვია-

ნებით გავიგე, რომ ეს მართლაც ასე იყო, რომ გველები აქ მუდამ ცხოვრობდნენ და მათ, როგორც ორაკულის წმინდა ცხოველებს, ღვთაებრივი შეგნებით აღჭურვილ არსებებს პატივს მიაგებდნენ. ისიც გავიგე, რომ მაყალზე უფლის წმინდა ხის, დაფნის ნაჭრებს წვავდნენ. ქადაგს ეს ბოლი უნდა შეესუნთქა, რათა უფლის წმინდა სულით აღვსილიყო.

მაგრამ აი, კაცი წამოდგა, თავისი მაყალი და ფრინველის ფრთა მიატოვა და ისე თბილად შემომხედა, შიშმა, მარწუხებივით რომ მიჭერდა, ცოტა უკან დაიხია. კაცის დანაოჭებულმა და გამოფიტულმა პირისახემ კეთილი და ალერსიანი ღიმილით გამიღიმა. მაშინ რა ვიცოდი, რომ მთელ ტაძარში იგი ჩემი ერთადერთი მეგობარი, ერთადერთი ნუგეში და საყრდენი გახდებოდა, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ბედი გამოქვაბულიდან აფრენილი არწივივით მოულოდნელად გამისწორდებოდა. მაშინ თითქმის გონდაკარგული გახლდით, მისთვის დაკვირვებით არ შემიხედავს და მაინც მივხვდი, რომ სხვებს არ ჰგავდა, რომ კეთილი იყო და ჩემთვისაც სიკეთე სურდა, თუმცა ვალდებული გახლდათ აქ, ორაკულთან მისთვის დაწესებული მსახურება შეესრულებინა. კაცმა დაფნის ცოცხალი ფოთლებით სავსე თასი გამომიწოდა. ეს ფოთლები ახლახან მოეკრიფათ უფლის ჭალაში, რათა მაყალიდან აღებულ ფერფლთან ერთად მეგემა და უფლის სულით აღვსებულიყავი. ორაკულის მოხუცმა მსახურმა სწორედ მაშინ გამიღიმა, თითქოს, ნუ გეშინიაო, მანიშნა და ამდენი საშინელების შემხედვარე მისმა ღიმილმა დამამშვიდა, მხარში ამომიდგა. ხმის ამოღება, ცხადია, არ შემეძლო, წმინდა მიწისქვეშეთში ლაპარაკის უფლება არავის ჰქონდა.

ნაზავს, რომელიც მან მომაწოდა, საზიზღარი გემო ჰქონდა. არ ვიცი გემომ იმოქმედა თუ მარხულობისაგან ღონემიხდილი ვიყავი, მაგრამ თავი ისე ცუდად ვიგრძენი, კინაღამ ჩავიკეცე. ორაკულის ორი ქურუმი თვალს არ მაშორებდა. ზედადგარი ისე მაღალი იყო თავად ვერ ავძვრებოდი და ქურუმებმა შემსვეს. შემდეგ მაღალ ქვესადგამზე გავარვარებული ნახშირით სავსე მაყალი აღმართეს და ისიც ჩემი თავის სიმაღლეზე აღმოჩნდა. ყოველ ჩასუნთქვაზე გამაბრუებელი ბოლი მავსებდა, ყელში მიღიტინებდა. როგორღაც უცნაურად დამეხვა თავბრუ და ცნობიერება გამიბუნდოვანდა. ყველაზე მეტად ნაპრალიდან ამოსული ანაორთქლი მოქმედებდა, ახლა, როცა ზუსტად მის თავზე ვიჯექი, შხამიანი და გულისამრევი სუნი პირდაპირ მახრჩობდა. შიშის ზარმა ამიტანა, თავში გამეელვა: ვიღაცისგან გამიგონია, რომ ეს ნაპრალი მიწის სიღრმეში, მიცვალებულთა საუფლომდე მიდის, ორაკული ხომ თავის ძალებს იქიდან კრეფს, რადგან საბოლოო ჯამში ყველაფერი სწორედ სიკვდილმა იცის. საზარელმა შიშმა მომიცვა. მეშინოდა იმისი, რასაც ქვემოთ ვხედავდი, რასაც შეიძლებოდა წარვეტაცე თუ გონებას დავკარგავდი და ზედადგარიდან ჩამოვვარდებოდი, შემზარავმა

შიშმა ამიტანა მიცვალებულთა საუფლოს, სიკვდილის, სიკვდილის წინაშე... ვგრძნობდი, რომ ვვარდებოდი, ვვარდებოდი... მაგრამ ღმერთი სადღაა? სადაა ღმერთი? არ მოვიდა! როგორც შემპირდა, თავისი სულით არ აღმავსო! და აი, ვვარდები, ვვარდები...

გონებადანისლულმა, თითქმის გრძნობადაკარგულმა შევნიშნე, რომ ორაკულის ერთმა ქურუმმა მიწისქვეშეთის სიბნელიდან ვეებერთელა რქებიანი თხა გამოიყვანა და თავზე ვგონებ, წყალი დაასხა. შემდეგ ვეღარაფერს ვხედავდი და აღარაფერი მესმოდა...

მოულოდნელად ყველაფერი გარდაისახა! ენით უთქმელი სიმსუბუქე და თავისუფლება ვიგრძენი; სიკვდილის განცდა გაქრა, სიცოცხლე. სიცოცხლე და აღუწერელი, ვეებერთელა სიხარული იშვა... მოვიდა! ჰო, ჰო, ის ჩამისახლდა! ვგრძნობდი, ვიცოდი! ის ჩამისახლდა, დამცალა, არარაობად მაქცია და თავისი სულით, ბედნიერებით, აღფრთოვანებითა და ზეიმით ამავსო. ო, რა მშვენიერია, როცა მისი სული. მისი აღფრთოვანება გაგანათლებს, როცა მას დანებდები, მისით ატაცებული მთლიანად, განუყოფლად მიეკუთვნები. როცა მისი აღფრთოვანებით, ბედნიერებით, შმაგი ზეიმით განიმსჭვალები. როცა უფალთან სიცოცხლით ტკბობას გაიზიარებ — რა შეიძლება იყოს უფრო მშვენიერი!

ეს განსაცვიფრებელი გრძნობა უფრო და უფრო იზრდებოდა და თუმცა კვლავ სიხარულის მომგვრელი და საზეიმო იყო, ზედმეტად ბობოქარი, ზედმეტად ყოვლისმომცველი აღმოჩნდა და ყოველგვარ საზღვარს გადასცილდა. მან ნაფლეთებად მაქცია, ტკივილით ამაკივლა, შემზარავად გადამრია. ჩემი სხეული დაიკლაკნა. ტკივილისაგან დაიკრუნჩხა, აქეთ-იქეთ მიასკდა, ყელში რაღაცამ წამიჭირა და ვიფიქრე, დავიხრჩობი-მეთქი. მაგრამ არ დავიხრჩვე; ამის ნაცვლად ყელიდან შემზარავი, მტანჯველი, ჩემთვის სრულიად უცხო ბგერები სისინით ამომსკდა; ტუჩები ჩემ უნებურად ისე ამოძრავდა, არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია და კივილი, ხმამაღალი კივილი გავიგონე. რას ვამბობდი, არ მესმოდა, ამის გაგება შეუძლებელი იყო, მაგრამ ვკიოდი, სიტყვები ჩემი ფართოდ გაღებული პირიდან მოფრინავდნენ, თუმცა მე არ მეკუთვნოდნენ... არა, ეს მე არ ვიყავი, მე აღარ ვიყავი, თავს ვეღარ ვერეოდი, მას, მხოლოდ მას ვეკუთვნოდი! ო, რა საზარელი, რა საშინელი შეგრძნება იყო!

არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა ასე, დროის შეცნობის უნარი დავკარგე. არც ის მახსოვს: მიწისქვეშეთიდან როგორ ამოვედი, შემღეგ რა მოხდა, ვინ დამეხმარა, ვინ მომიარა. ტაძრის გვერდით, იმ სახლში გამომეღვიძა, სადაც ბოლო დროს ვცხოვრობდი და მხოლოდ აქ გავიგე, რომ დაუძლურებულს ღრმად ჩამძინებოდა. ისიც გავიგე, რომ ქურუმები ძალიან კმაყოფილები იყვნენ; რომ არ ელოდნენ, ისეთი კარგი ქადაგი აღმოვჩნდი. ეს ყოველივე იმ ბე-

ბერმა დედაკაცმა მიამბო, ვისთანაც ვცხოვრობდი; შემდეგ დამტოვა, რათა კარგად დამესვენა და ძალაც მომეკრიბა.

პატარძლის, უფლის პატარძლის სამოსში გამოწყობილი საწოლში ვიწექი. ეს ერთადერთი საქორწილო სამოსი იყო, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე ჩავიცვი. მახსოვს, ჩემთვის უჩვეულო, ძვირფას ქსოვილს ხელს ვუსვამდი და თავს ეულად ვგრძნობდი.

ღმერთი? ვინ არის ღმერთი? ახლა სადაა? აქ რად არ არის, აქ, ჩემთან! სად არის ჩემი საქმრო? რად მიმატოვა?

მისი არ მესმოდა, მაგრამ მენატრებოდა. არა, სულ არ მესმოდა, ვინ იყო, არ ვიცოდი. მას შემდეგ, რაც დავნებდი, რაც თავისი სულით, თავისი ნეტარებით, თავისი აღფრთოვანებით ამავსო, ტკივილისაგან ამაკივლა, მისი უფრო ნაკლებად მესმოდა. დიახ, ტანჯვით ამავსო და მაინც მენატრებოდა. მხოლოდ ის მენატრებოდა, უიმისოდ არარაობა, სიცარიელე გახლდით.

ჰო, ჩემთან, აქ რომ მოსულიყო, რომ მიეტოვებინა თავისი ტაძარი, სადაც ახლა მსახურები ალბათ ხოტბას ასხამდნენ, სადაც ეთაყვანებოდა ყველა, ვისაც იგი ბრწყინვალებისა და სიდიადისათვის ტაძარში უყვარდა. ნეტავ აქ მოსულიყო და მომხვეოდა, უბრალოდ მომხვეოდა, როგორც შეყვარებულებს სჩვევიათ, მას შემდეგ, რაც ალერსით გულს მოიჯერებენ. ნეტავ პატარძლის სამოსში გამოწყობილი მარტო არ დავრჩენილიყავი, თითქოს მიმატოვა, თითქოს ჩემმა საყვარელმა მიმატოვა, როცა ალარ ვჭირდებოდი, როცა მოვალეობა შეევასრულე, ისე შეევასრულე, ჩემით კმაყოფილი დარჩა, როცა სიცხემ, უგონობამ და შეშლილობამ გადაიარა. მხოლოდ მაშინ რად ვუყვარდი? მხოლოდ მაშინ რად მოდიოდა?

ო, როგორ მინდოდა მის მკლავებში ჩუმად დამესვენა; არც გონი დამეკარგა, არც გავხელებულიყავი, მხოლოდ დამესვენა, მშვიდად და ბედნიერად დამესვენა.

არა, უფლით ატანილი არ მინდა ვიყო, სხვებივით მინდა ვუყვარდე, სიმშვიდე და მშვიდობა მსურს, მეტი არაფერი, მხოლოდ სიმშვიდე და მშვიდობა მის უბეში. ან იქნებ სულაც არა მსურს? იქნებ, ამისკენ არ ვილტვი?

რაღა თქმა უნდა ეს მენატრება. მეღირსება კი ოდესმე ამისი განცდა? ამისთვის ვარ მოწოდებული? ამისთვის ვჭირდები?

სიმშვიდე, მშვიდობა! ამის იმედი როგორ მქონდა! მის უბეში ამის პოვნის იმედი როგორ მქონდა! ღმერთთან სიმშვიდეს რა უნდა!

არა, უფალი, როგორც ჩანს ისეთი არ იყო, როგორიც წარმომედგინა, როგორიც ასე მხურვალედ მსურდა მეხილა. ალბათ, არც შეეძლო ასეთი ყოფილიყო. მეგონა, უშფოთველობა, სიმშვიდე, მოსვენება იქნებოდა. არა, უფალი შფოთვა, ღელვა და ძრწოლა იყო, აი, რა იყო!

ვიწექი და შევცქეროდი, როგორ ეშვებოდა ოთახში ბინდი. მან ისე დიდხანს ჩამძირა ძილში, დღე გასრულდა და საღამო დადგა.

ხვალ, სისხამ დილით, როგორც კი მზე ამობრწყინდება, ჩემი საქმრო კვლავ მომეახლება, რათა თავისი სულით, ცხელი სუნთქვით, ნეტარებით ამავსოს და მეც კვლავ დავნებდები.

აი, ასე გავხდი მისი ქადაგი. ჩემი ხანგრძლივი სამსახური ასე დაიწყო.

ხან დედ-მამასთან ვცხოვრობდი, ხანაც იმ სახლში ტაძრის ახლოს, დედაბერთან, რომელიც მომვლელად მომიჩინეს. ხანგრძლივი დღესასწაულების ჟამს, პითიებს მუდამ იგი ემსახურებოდა. ორაკულის სამსახური ისე დამქანცველი იყო, წინასწარმეტყველს მოვლა სჭირდებოდა, რათა კარგად დაესვენა, ღამით გამოეძინა და ძალა მოეკრიბა. დედაბერმა თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი ქურუმთა დავალებით ამ საზრუნავს მოახმარა. მან ყველაფერი იცოდა იმ პითიების შესახებ მისი ხანგრძლივი მსახურების ჟამს აქ რომ იყვნენ და მათზე საუბარიც უყვარდა. ქაქანი კი დაუსრულებლად შეეძლო. ქურუმებსაც კარგად იცნობდა. იცოდა, რა ხალხი იყო, ვინ ჭეშმარიტად სცემდა თაყვანს უფალს, ვინ მხოლოდ თავს იკატუნებდა. პირველმა რომ შეგიყვანა ტაძარში, ის მხოლოდ თავს იკატუნებსო, მაშინვე მაცნობა, მაგრამ დიდ პატივში ჰყავთ, ხაზინადარია და ტაძრისათვის ბევრი გააკეთაო. ახლა მისი ვადა მალე ამოიწურება, რადგან ამ თანამდებობაზე მხოლოდ გარკვეული დროის მანძილზე რჩებიანო. ქურუმები დელფოს საუკეთესო გვარების წარმომადგენლები არიან, ხოლო ყველაზე მაღალი თანამდებობის პირნი წარჩინებულ ოჯახებს ეკუთვნიანო. ამაზე ის ხშირად და ფრიად საფუძვლიანად საუბრობდა. როგორც ჩანს, ტაძარი მის თვალში საყოველთაო პატივისცემისა და დიდების ღირსი სწორედ ამის გამო იყო. ამ დიდებას კი მგზნებარედ ემსახურებოდა, ტაძარი და ყოველივე, რაც მას ეხებოდა, მისთვის ძვირფასი გახლდათ, უდავოდ ამაყობდა, რომ თავადაც ტაძრის მსახური იყო. ღმერთს დედაბერი ჩემთან საუბრისას არასოდეს ახსენებდა.

მიუხედავად იმისა, რომ მაღალ თანამდებობის პირებსა და წარჩინებულ წარმოშობას ასე მოწიწებით ეპყრობოდა, კარგი მათზეც კი არაფერი უთქვამს. მოწონებითა და ქებით, საერთოდ, არავიზე ლაპარაკობდა, სამაგიეროდ ყველა ადამიანურ ნაკლოვანებას უცებ ამჩნევდა. მე, ახალგაზრდასა და გამოუცდელს, ქვეყანაზე დამახინჯებული და ყალბი წარმოდგენა მისი ნაამბობის მიხედვით მექმნებოდა. თავადაც ვგრძნობდი ამას, მაგრამ მის სიტყვებში ბევრი სიმართლეც ერია, რაც მაბნევდა და თავგზას მირევდა. არაერთგზის მიფიქრია, რომ ამ ქალმა, რომელიც მოგვიანებით მძაფრი სიძულვილით შევიძულე, ალბათ, ყველაზე დიდი გავლენა იქონია ადამიანთა შესახებ ჩემი შეხედულებების ჩამოყალიბებაში და დიდი სიმწარე და უსამართლობაც შეიტანა-მეთქი. დედაბერი მძაგდა და დარწმუნებულიც ვიყავი, მისი მსჯელობა მცდარი იყო, მაგრამ გავლენამ მაინც იჩინა თავი. შემდგომ კი, როცა მისი სიმდაბლე ჩემ

წინაშე თვალნათლივ გადაიშალა, უფრო დავრწმუნდი, რომ თუმცა მცდარად მსჯელობდა, ადამიანის ბუნება სწორად ესმოდა. აი, ასე ვიძენთ ცოდნას იმათგან, ვისაც არსებითად ყველაზე ნაკლებად ვენდობით, შემდეგ ამ ცოდნას ჭეშმარიტებად მივიჩნევთ და გაუცნობიერებლად ცხოვრებაში სწორედ იმით ვხელმძღვანელობთ, რაც ყველაზე მეტად გვძულს.

დედაბრისგან ხომ მოვისმინე, თავადაც მომიწია ადამიანთა ბოროტება შემეცნო. მაგრამ უკვე რამდენი წელია მარტოდმარტო აქ ვზივარ, განცდილზე ვფიქრობ და ჩემი მწარე ხვედრის მიუხედავად ხშირად მიკითხავს, ვითომ მართლა ასე ბოროტია ადამიანი, ჩემმა მწარე ხვედრმა და მათმა განაჩენმა ხომ არ შემაცდინა-მეთქი? არ ვიცი, მე ხომ დიდი ხანია აღარავინ მინახავს, მაგრამ მარტოობის ჟამს ამაზე ხშირად მიფიქრია.

მაგრამ უმთავრესი, რითიც მის გავლენაში მოვექეცი, ის იყო, რომ მის ნაამბობში ბევრი სიმართლე ერია. მართალი იყო, როცა ჰყვებოდა წმინდა ქალაქის ურცხვობასა და ზნეობის დაცემაზე, განსაკუთრებით დიდი დღესასწაულების ჟამს, როცა დელფოში ყოველი მხრიდან ამდენი მამაკაცი ჩამოდიოდა; ეს მამაკაცები შემთხვევით ქალებს ეძებდნენ და ღატაკი და არა მხოლოდ ღატაკი ქალიშვილები მათ ფუნდუკებში ეხმარებოდნენ. მოხუცის სიტყვით მთელ ქალაქში უმანკო ქალწული არც ისე ბევრი იყო. — ალბათ, ამიტომ აგიყვანეს პითიად, — მოულოდნელად, ახსნა-განმარტების გარეშე დასძინა დედაბერმა, რითიც ფრიად გამაწითლა და დამაბნია. ხოლო სადღესასწაულო დღეების მჩქეფარე ვაჭრობის დროს, ვინ იცის, ეს ვიგინდარები და გაიძვერები რას ჩადიოდნენ და შეიძლება ითქვას, ტაძრის კალთის ქვეშ რა ბნელ, უპატიურ საქმეებს აგვარებდნენ. ქურუმთა შორისაც კი იყვნენ ნამდვილი გაიძვერები, რომლებიც გარკვეულ საფასურად ორაკულის შემკითხველებს სასურველ პასუხს აძლევდნენ, თუმცა იშვიათად. მაგრამ პითიას წარმოთქმულ სიტყვებშიც მათთვის სასურველ აზრს დებდნენ. ვიღაც შესაწირავ თანხას ითვისებდა, შეწირული ცხოველების ტყავებით ითბობდა ხელს ან რაღაც სხვას აკეთებდა. რა საშუალებებით აღარ ატყუებდა ტაძარს ის, ვისაც იქ შესაფერისი თანამდებობა ეჭირა და დედაბრის აზრით ბევრი და იქნებ, უმეტესობაც ამ შესაძლებლობას იყენებდა.

ეს აუტანელი ბილწსიტყვაობა, ეს სიცრუე და არამზადობა, რაზეც დედაბერი მიამბობდა და რის მოწმე თავადაც მრავალგზის ვიყავი, ჩემს სულში ამაღლებულ აზრებსა და უფლის სიყვარულს შობდა. ამ სიბილწით გარშემორტყმული, ასეთი ჭაობიდან ამაღლებული უფალი უფრო მნიშვნელოვანი და სიყვარულის ღირსიც გახლდათ. იგი უფრო და უფრო მჭირდებოდა და არ შემეძლო, არ მყვარებოდა. ამ სამყაროში, ამ საზიზღარ ადამიანურ სამყაროში ჩაგდებული ჩემნაირი ადამიანი ხომ ობოლი და დაუცველია.

ამ ბოროტი ყბედობისაგან, ყოველივესაგან, რასაც ირგვლივ ვხედავდი, თავშესაფარს უფალთან ვეძებდი. მენატრებოდა ის, ჩემი ღმერთი, რომელსაც დედაბერი არასოდეს ახსენებდა და მადლიერი ვიყავი. მენატრებოდა მისი სიახლოვე, მისი პირქუში მიწისქვეშეთი, სადაც მკერდში ჩამიკრავდა, ნეტარი ექსტაზით, შმაგი ნეტარებითა და თავისი სულით მავსებდა.

თავისი სულით? მაგრამ მისი სული რაღაა? მხოლოდ სიმაღლე და სიდიადე? მხოლოდ ესაა?

თუ მხოლოდ ეს არის, თუ ყოველივე ასე მარტივია, ტანჯვით რად ვსებდები, ვეწამები, ტკივილისაგან ვყვირი? მაშ რად არ არის მისი სიყვარული თავად სიკეთე, თავად მშვიდობა, მხურვალე სატვრად რომ გადამქცევია? რად არ მასაჩუქრებს სიმშვიდით, ნანატრი სიმშვიდით ასე რომ ვეაჯები, სულში დღემუდამ ვემუდარები? ხომ მშვენიერი და ფრთაშემსხმელია, საშინელი, მრისხანე, სასტიკი და საზარელი რაღად არის, ყველაფერს ერთად რად მოუყრია მასში თავი, რად მახრჩობს, თუკი ნეტარებით ამავსებს? რად მტოვებს, მარტო რად მტოვებს, როცა მჭირდება, როცა განსაკუთრებით ახლობელი მგონია?

ვინ არის იგი, ვინ?

მასავით შმაგი და ანთებული მკერდში ვეკვროდი, სანამ გონს დავკარგავდი, სანამ მისი საზარელი დაუოკებლობით არარაობად ვიქცეოდი, ვყვიროდი: ღმერთო, ვინა ხარ, ვინა ხარ? მაგრამ ის არასოდეს მპასუხობდა.

უზენაესი თავისი სულით მავსებდა და დამცლიდა, მაგრამ ვინ იყო, არ მეუბნებოდა.

და არც არასოდეს უთქვამს. ახლაც ვზივარ და ეული მასზე ვფიქრობ, ვფიქრობ ვინ არის. კვლავ ვეკითხები, ვეკითხები, მაგრამ პასუხს არ მაძლევს.

ჰო, მიყვარდა, მთელი გულით მიყვარდა, მაგრამ ამ სიყვარულმა ბედნიერება არ მარგუნა. ეს ბედნიერი სიყვარული არ იყო.

ჰო, დედაბერზე გიამბობდი. ჩემთან მუდამ თავაზიანი, ალერსიანი იყო და უზომო ხოტბას მასხამდა. ქურუმები ამბობენ, რომ შენ საუკეთესო ხარ იმ პითიათა შორის, ვინც კი მათ ახსოვთ, ვისაც კი ამ სახლში უცხოვრია. ვერც ერთი პითია შენთან ვერ მოვაო. დედაბერი ყველა ჩვენს წინამორბედზე აგდებულად ლაპარაკობდა. მტანჯველი და მძიმე მოსასმენი იყო, როგორ იგდებდა აბუჩად ამ ქალებს, რომელთა მიმართ არ შეიძლებოდა თანაგრძნობა და სიახლოვე არ მეგრძნო. ზოგიერთ მათგანს ხანდახან ქალაქის ქუჩებში ვხვდებოდი, განსაკუთრებით ხშირად ერთ ჩამომხმარ, უცნაური გამომეტყველების მქონე ქალს, რომელიც თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, სახლეშუა ჩუმად მიიპარებოდა და რაღაცას შეუსვენებლივ ბუტბუტებდა. დედაბერი მას გულიანად დასცინოდა. ხითხითით აცხადებდა, გონების უკანასკნელი ნარჩენიც დაუკარგავს, თუკი საერთოდ ჰქონდა

გონება ოდესმეო. მა კი მაფრთხობდა მისი სიტყვები, უნებურად ვფიქრობდი, ვინ იცის, იქნებ, ჩემი ბოლოც ეს არის-მეთქი.

კარგა ხანი გავიდა, სანამ მივხვდებოდი, რომ დედაბერს ეს ქალები სწორედ იმიტომ ეზიზღებოდა, ორაკულის ქადაგები რომ იყვნენ. ცხადია, მიზეზი სხვაც ბევრი ჰქონდა, მაგრამ უპირველესი მიზეზი ეს იყო. პითია მის თვალში თავისთავად სიძულვილის ღირსი გახლდათ.

გაოგნებული დავრჩი. ნუთუ შეიძლებოდა ასე ეფიქრა? არადა, საეჭვოც აღარაფერი დარჩა. ცხადია, პირდაპირ არაფერს ამბობდა, მაგრამ მის სიტყვებში ისედაც აშკარად ჩანდა. ვერ აგიწერთ, რა გაოგნებული დავრჩი, როცა მივხვდი, პითიებს როგორ უყურებდა.

ბოლოს და ბოლოს თვალი ამეხილა და სხვაც ბევრი შევამჩნიე. ასე მხოლოდ დედაბერი არ მსჯელობდა. ხალხს ირგვლივ თვალი მივადევნე. ყურადღებით შევხედე, როგორ მექცეოდნენ, ან ჩემთან როგორ ეჭირათ თავი და რაც უფრო ყურადღებით დავუკვირდი, მით უფრო ნათელი გახდა, რომ ვარაუდი რომელიც დედაბრის სიტყვებმა წამოჭრა, სწორი იყო. მე ადამიანთა შორის საყოველთაო სიძულვილი დამემსახურებინა. თავს მარიდებდნენ: ეს ადრეც მქონდა წარმოდგენილი და მეგონა, რომ მიზეზი ჩემი და შიში იყო, იმ ადამიანის წინაშე, ვინც ასე ახლოსაა ღვთაებასთან, ვინც ყველასთვის ნათელია, სახიფათო შეიძლება გახდეს, შიში უფლით ატანილი ადამიანის წინაშე, ვისი ყვირილიც საიდუმლო მიწისქვეშეთიდან ხანდახან ზემოთ, ტაძარშიც ისმის. თავს რომ მარიდებდნენ, არ მიკვირდა, მაგრამ თურმე დამცინავადაც შემომცქეროდნენ, გაკიცხულადაც მთვლიდნენ და ჩემი შემჩნევაც არ სურდათ! მე მუდამ მარტო ვიყავი, ან განმარტოებას ვცდილობდი, ბავშვობიდან ასე ვიყავი მიჩვეული, მაგრამ ახლა ხალხს დავუკვირდი და მივხვდი, თურმე არც არავის სურდა ჩემი გაცნობა, ჩემთან ურთიერთობა, მე უნებლიეთ დავრჩი მარტო და ნამდვილად ეული გახლდით.

საოცარია, როგორ დამანაღვლიანა და დამთრგუნა ამ აღმოჩენამ. თუმცა ნაცნობებს არ ვეძიებდი და არც ვინმეს ნახვა მსურდა, თუმცა თავადაც თითქოს მარტოობისთვის ვიყავი შექმნილი, ეს აღმოჩენა მაინც მთრგუნავდა. როცა ქუჩაში ჩემს დანახვაზე ყმაწვილები ერთმანეთს მუჯლუგუნს გაჰკრავდნენ და აჩურჩულდებოდნენ, გული ტკივილით მეწურებოდა, თუმცა არ მესმოდა, ასე რად ვიტანჯებოდი.

ნუთუ მათაც ვეჯავრებოდი? არა მგონია, ამაზე დაფიქრებულიყვნენ, უბრალოდ მიაჩნდათ, რომ მე მათ არ ვგავდი.

ეს კი მართალი იყო. მე მათ ნამდვილად არ ვგავდი, არც მათსავით ახალგაზრდა ვიყავი.

ახალგაზრდა? სინამდვილეში არც ბევრით უფროსი გახლდით. მაგრამ ახალგაზრდა? მე ახალგაზრდა?

ისინი ხმას არასოდეს მცემდნენ, საერთოდ არავინ მცემდა ხმას.

მხოლოდ მაშინ თუ დამელაპარაკებოდნენ, როცა სხვა გზა არ ჰქონდათ.

თვით ქურუმებიც. თუმცა დაუსრულებლად მაქებდნენ, — და ილინი პირშიც და ზურგს უკანაც დაუსრულებლად მაქებდნენ, — თვით ქურუმები, რომელთაც ჩემი ფასი კარგად ესმოდათ, სამსახურის საქმეების გარდა არაფერზე მელაპარაკებოდნენ. მათთვის მხოლოდ პითია, ტაძრის მსახური გახლდით, სხვაგვარად არ ვარსებობდი. უკეთური სიტყვა არასოდეს წამოსცდენიათ, მაგრამ თაკისი ბუდმივი შემწყნარებლულ-კეთილი მოპყრობით მაგრძნობინებდნენ რომ მათსა და ამ უბედურ, ბნელ ქალიშვილს შორის, რომელიც სადღაც ხეობაში, ღატაკ ოჯახში გაიზარდა, ვეებერთელა უფსკრული გაჩიმულიყო. უდავოდ მაფასებდნენ, კარგ პითიას, ვისი ბაგეებითაც ღმერთი აშკარად სიამოვნებით ქადაგებდა და ვისაც თავისი ძლიერი სულით დაუყოვნებლივ ავსებდა, აშკარად უფრთხილდებოდნენ. და თუმცა ჩემგან უდავო სარგებელი ჰქონდათ, თუმცა ღვთის რჩეულად მთვლიდნენ, ისე მიყურებდნენ, როგორც ტაძრის მიწისქვეშეთში გამოყენებულ მსახურს შეეფერება. უბედური, გონდაკარგული, მბოდავი ქალი, რომელიც უფლის ჩახუთულ მიწისქვეშეთში ზედადგარზე იჯდა, მათში მხოლოდ თანაგრძნობანარევ სიძულვილს იწვევდა. ეს იყო და ეს. პითია, ცხადია, უფლის შთაგონებით ქადაგებს, მაგრამ ამ ქადაგებას ქურუმები განმარტავენ. მხოლოდ მათ შეუძლიათ საქმეში ჩაუხედავი კაცისათვის გაურკვეველი, დაბნეულ სიტყვებს აზრი მიანიჭონ. რა საერთო აქვს ამ უბირი დედაკაცის ველურ კივილს იმ ღრმა აზრებთან, სამყაროს უმაღლეს სიბრძნესთან, რომელიც ქურუმებმა ორაკულის პასუხებში ამოიკითხეს, ცნობილ პასუხებთან, რითაც ორაკულმა სიძლიერე და მსოფლიო წარმატება მოიპოვა. ცხადია, პითია უფლით არის ატანილი, ცხადია, ღმერთი პითიას მეშვეობით ქადაგებს, მაგრამ რა აზრს დებს სიტყვებში, რისი თქმა სურს, ეს მხოლოდ ქურუმებმა იციან. ღვთაების იდუმალ არსში შეღწევა და მისი გამჟღავნებაც მხოლოდ ქურუმთა ხვედია.

რაც მართალია, მართალია, მე არ ვიყავი მათი ბრძნული განსჯის თანაზიარი, ეს ჩემს ძალებს აღემატებოდა, ჩემთვის მიუღწეველი იყო. არ ვიცოდი, რას ვამბობდი, გონდაკარგული და უფლით ატანილი რას ვყვიროდი; არც ის ვიცოდი, მის სიტყვებს როგორ ხსნიდნენ. როგორ მიყენებდნენ, მე მხოლოდ უფალს ვნებდებოდი.

ჰო, რას შთამაგონებდა, არ ვიცოდი, მისი სიბრძნის არაფერი მესმოდა, არსებითად მის რაობაზე წარმოდგენაც არ მქონდა და ვინ იყო, ისიც კი ვერ გავიგე. მხოლოდ ვნებდებოდი, მას ჩემს სხეულში ვგრძნობდი, ვეკუთვნოდი. მეტი არაფერი.

მაგრამ ამისთვის უნდა შემიძულონ? უფალს რომ ვნებდები და მისი სულით ვივსები? გაუგებარი იყო რით გამოვიწვიე ასეთი ღრმა სიძულვილი. არაფერი მესმოდა.

ადრე ღვთის წყალობად ვთვლიდი, რომ უფალმა მომიხმო, ყველაში გამომარჩია, გამომაცხადა თავის რჩეულად, თავის ქურუმად, რომლის ბაგეებითაც ქადაგება სურდა; ხალხის თვალში კი ეს რატომღაც დამამცირებელი იყო. უფლის რჩეულად ყოფნა დამამცირებელი იყო!

ორაკული, როგორც ამბობდნენ, მსოფლიოში ცნობილი გახლდათ, ის კი, ვისაც უფალი თავისი სულით, თავისი ზეშთაგონებით ავსებდა, განკიცხული იყო, მასთან ნაცნობობა სამარცხვინოდ ითვლებოდა და სიტყვის თქმაც არავის სურდა.

ამის გაგება არ შემეძლო.

დედაბერი თავისებურად გულწრფელი იყო და ერთხელ, როგორღაც მითხრა, ქურუმებისთვის დიდი ბედნიერებაა, რომ პითიად გიშოვეს, ახლა ხომ არც ერთ ქალწულს აღარ სურს პითიობა, ყველაზე ღატაკებიც კი აღარ თანხმდებიანო. ჰოდა, მაგრძნობინა, რომ ამას მხოლოდ ჩემი უბედური, გულუბრყვილო, სადღაც ხერბაში მცხოვრები განდეგილი და ალბათ, ცოტა ახირებული მშობლები დაეთანხმებოდნენ.

ძრწოლამ მომიცვა. ძნელი გასაგები არ უნდა იყოს, რა აღელვებული და დათრგუნული გახლდით და ჩემს გონებაში რა საზარელი, საშიში აზრები იშვა.

ღვთის რჩეული? იქნებ, არცა ვარ რჩეული? იქნებ, ღვთის კი არა ქურუმთა რჩეული ვარ? იქნებ, ქურუმებს სულაც არა სწამთ ღმერთის? იქნებ, დედაბერი მართალია და ჩემს უბედურ, ბნელ მშობლებს ეშმაკობით გამოსტყუეს ჩემი თავი, რადგან მეტი ვერავინ აცდუნეს? იქნებ, უფალმა სულაც არ მიხმო, არ მომძებნა და გამომარჩია?

მე ვირწმუნე ჩემი რჩეულობა, რადგან ვგრძნობდი, რომ მისი სული განმანათლებდა, მისი სული მავსებდა. მე ასე მწამდა, მაგრამ ასე კი იყო? ჭეშმარიტად ასე იყო? აბა, რა ვიცი. ჭეშმარიტი მხოლოდ ის გახლდათ, რომ მასთან შერწყმას და მის მშვენიერ სიდიადეს ვგრძნობდი, მაგრამ ამის შემდეგ გამეცლებოდა და უცებ მარტო ვრჩებოდი. უფალი ხომ თითქმის არასოდეს არ იყო ჩემთან. იგი მტოვებდა და მხოლოდ უკიდეგანო სიცარიელე მავსებდა. მენატრებოდა, მას კი ეს არ აწუხებდა, ვეძახდი, ის კი არ მპასუხობდა. შევღაღადებდი, უმაღლესი ხარ და მეც მიყვარხარ! ის კი არ მპასუხობდა, ის არასოდეს მპასუხობდა!

ამ დღეში ვიყავი, სანამ კვლავ არ მოვიდოდა, სანამ შმაგი სიმხურვალის, აღფრთოვანების, ნეტარების ქარაშოტად თავს არ დამესხმებოდა. მაშინ ბედნიერი, ყველაზე ბედნიერი გახლდით, ერთი წამით ყოველივე ნათდებოდა, ყველაფერი თანხმდებოდა. შემდეგ კვლავ სიცარიელეში ვიძირებოდი, სიცარიელეში, რომელიც ჩემსავით არავინ უწყოდა, ჩემსავით არავინ გრძნობდა. მე ხომ

უფალს ვნებდებოდი და სიცოცხლით საზეიმო ტკბობას მასთან ვიზიარებდი.

აი, რა ბედნიერია, აი, როგორ მიყვარდა ღმერთი; უზენაესი, რომელიც არც კი ვიცოდი ვინ იყო.

ღმერთი არ მანიშებდა სიმშვიდეს, არც რწმენას მანიშებდა. მის მკლავებში მშვიდად დასვენება არ შემეძლო. მისი მხურვალე აღფრთოვანება შევიცანი, მაგრამ სიმშვიდე, სიწყნარე არასოდეს მოუნიშებია. ვემუდარებოდი, მაკრამ ამას არ მითმობდა. თუ უფლის ოჩეული ვიყავი, ად არ მითმობდა? როგორც ყოველთვის მარტოდ-მარტო დავდიოდი და ვფიქრობდი. ვისთვის გადამეხსნა გული? ვისთვის გაბედნიერებინა მღელვარება? ერთადერთი, ვისაც ჩემი დაბნეულობა, ვისაც ჩემს კითხვებზე პასუხის გაცემა შეეძლო, როგორც არასდროს, ისე ბორს იყო ჩემგან. არასოდეს უფალი ასე შორეულად არ მომჩვენებია, როგორც იმ დღეებში. თან მენატრებოდა, თან მეშინოდა. პირველად მეშინოდა იმ დღის, როცა კვლავ პატარძლად მომრთავდნენ და გამოქვაბულში, მიწისქვეშა ტაძარში მასთან პაემანზე წამიყვანდნენ.

პაემნამდე კი დიდი დრო რჩებოდა. დღესასწაულები ჯერ არ დამდგარიყო, მაგრამ დღესასწაულის შუალედში ორაკულის ქადაგების დღე დანიშნეს. ხანდახან იქცეოდნენ ასე, თუკი საიდანმე პილიგრიმებს ელოდნენ. ის დილაც დადგა; მე კასტალიის ანკარა წყალში განვიბანე, პატარძლის სამოსით მოვირთე, წმინდა გზას გავეყევი, ტაძარი გადავჭერი და როგორც ყოველთვის, ბნელ კიბეს ჩავყევი. მიწისქვეშეთში ყველაფერი ჩვეულებრივ დამხვდა. გახელებით ვსუნთქავდი მძიმე ჰაერს, მხრჩოლავი დაფნის ნაკვერჩხლის ბოლს, თხის მძაფრს სიმყრალეს, ზედადგარის ქვეშა ნაპრალიდან ამოსულ გულისამრევ ანაორთქლს, ყოველივეს, რასაც უნდა დავეგბანგე, გავეხელებინე და მის უბემდე მივეყვანე. შლეგიანივით შენატრებოდა, თვალდახუჭული ვიჯექი, პირში წმინდა ხის ფოთლების გემოს ვგრძნობდი და ველოდი თავისი სულით, ცოცხალი სულით, მტკივნეული სიხარულითა და ნეტარებით როდის ამავსებდა, რათა დავეცალე, ჩემი შიში და ყოყმანი გაექრო და ყველაფერს კვლავ თანხმობით ესუნთქა.

უფალი არ ჩანდა, არ მოდიოდა. ღრმად ვსუნთქავდი, ყოველგვარ სიმყრალეს მძაფრად ვისუნთქავდი, და ვგრძნობდი, ახლა დავიხრჩობი, გონებას დავკარგავ-მეთქი. სხვა კი არაფერი ხდებოდა. თხამ მიწისკენ თავი დახარა, როგორღაც უცნაურად ჩაიკიკინა და ვიგრძენი.

ქურუმებმა წმინდა თხა გამოიყვანეს და თავზე წყალი აპკურეს. უფლის შთაგონება ამ წამს, სწორედ ამ წამს უნდა მწვეოდა. მაგრამ თხამ მიწისკენ თავი დახარა, როგორღაც უცნაურად ჩაიკიკინა და სიბნელეში წაბაკუნდა. მაშინ ქურუმმა გადაწყვიტა, რომ აღარაფერი გამომივიდოდა და ამით დაასრულა.

თვალებგადმოკარკლული, აკანკალებული ვიჯექი, გამშრალი ბაგეები კივილისთვის მქონდა გაღებული, კივილი კი არ მოდიოდა. შიგნით სიცარიელეს დაესადგურებინა, არაფერი მქონდა, მხოლოდ ჯერაც განუცდელ **საშინელ სიცარიელეს** დაესადგურებინა. ეს კი სიცარიელის განცდას კარგად ვიცნობდი. ირგვლივაც აღარაფერი ჩანდა. ხელი წინ გავიშვირე და იგი თითქოს სრულ სიცარიელეში, უკიდეგანო არაფერში ჩამოეკიდა. მხოლოდ მიცვალებულთა საუფლოდან ამოსული ანაორთქლი დატრიალდა და თავისი გაყინული სუნთქვა შემომახვია.

ზედადგარიდან ჩამომსვეს, მაგრამ ხელი გამიშვეს თუ არა, წავბარბაცდი და კინაღამ წავიქეცი. ეს მხოლოდ მოხუცმა მსახურმა შეამჩნია, ჩემკენ გამოქანდა და ხელი მტაცა. წირთხლს მივეყრდენი და ვიდექი, სანამ არ გადამიარა თავბრუსხვევამ, ასე ტყუილად რომ მეწვია.

ორაკულის ქურუმი — სწორედ ის, ტაძარში პირველად რომ შემიყვანა — ჩემით ფრიად უკმაყოფილო დარჩა. ახლა ხომ დარბაზში შეკრებილი, პილიგრიმების მომლოდინე ხალხი ხელცარიელი უნდა დაშლილიყო. მართალია, ამჯერად უბრალო გლეხები შეიყარნენ და ორაკულთან ყოველდღიური საზრუნავი და დარდები მოიტანეს, მაგრამ ტაძრის მსახური მაინც განაწყენებული გახლდათ, რომ ჩემი საქმე ვერ შევასრულე და უფლის შთაგონება ვერ შევისმინე. მკვახედ არაფერი უთქვამს. მაგრამ ეს ისედაც დღესავით ნათელი იყო; ამ ქურუმს, თავად არაფერი სწამდა ღმერთის, მაგრამ გაბრაზდა, ღვთიური სულით მე რომ არ აღვივსე, მე ხომ ასე მქონდა დაწესებული.

მისი უკმაყოფილება რა იყო ჩემს სასოწარკვეთილებასთან შედარებით. თითქოს უფსკრულში ჩავვარდი. ახლა ვიცოდი, რომ უფალმა მიმატოვა. აღარც ვეჭვობდი და აღარც ვღელავდი, ზუსტად ვიცოდი. აღარ ვსურდი, უარმყო. ოდესმე კი ვსურდი? ვითომ სხვებისაგან გამომარჩია? ვითომ უფლის რჩეული ვიყავი? იქნებ ტყუილად მწამდა, რომ იგი მიხმობდა! ვითომ სურდა თავის იარაღად, რჩეულად, ქადაგად ვექცი?

ქურუმებს რომ სურდათ, ვიცოდი. მათ სჭირდებოდათ ღატაკი, გულუბრყვილო ქალი, რომელსაც აიძულებდნენ ღმერთს მომსახურებოდა. თავად უფალს კი ეს სრულიად არ სურდა. ხოლო როცა ქურუმებმა ქალი თავზე მოახვიეს, უზენაესმა მას ჯერ პატივი აჰყარა, ხოლო შემდეგ უსარგებლო ნივთივით შორს მოისროლა. ასე გამოხატა თავისი სიძულვილი იმ გლეხის გოგოს მიმართ, რომელიც შეატყუეს და დარწმუნებულიც იყვნენ მიიღებდა, თავისი წმინდა სულით გაანათლებდა და ისე ეყვარებოდა, როგორც ქალს უყვარდა... პატივაყრილი და მიტოვებული გახლდით; აი, ამისთვის ვიყავი რჩეული!

უფალმა მიხმო! არ მოვუხმივარ, როგორ ვიფიქრე, როგორ და-

ღელვის! ეს მე. სევდიანი მარტოობით აღვსილი და მიგდებული, თავად ვუხმობდი ღმერთს.

სასოწარკვეთილი ასეთი მწარე, უიმედო ფიქრებით ვტანჯავდი თავს. და რომ არა მხცოვანი მსახური, მისი სიმძიმე, ალბათ, გამტეხავდა. მსახური მაწყნარებდა, ჭკუას მარიგებდა, ყოველივეს ჩემზე კარგად ხედავდა. ხანდახან ასეც ხდებაო, მეუბნებოდა, ეს გარდაუვალია. მე ხომ მრავალწლიანი გამოცდილებით ვიცი, როგორ ემსახურებიან ორაკულს მიწისქვეშეთში. ასეთი რამ ყველა პითიას მოსვლია. საკმაოდ ხშირადაც მოსვლია. შენც შეიძლება ასეთი რამ დაგემართოს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ უფალმა თავისი რჩეული მიატოვა, ო, არა, სულაც არ ნიშნავს. ქურუმი ასეთ შემთხვევაში მუდამ ჯავრობს, ის ხომ ორაკულის დიდებაზე ზრუნავს, აბა რას ეტყვი. ალბათ, განაწყენდა, რომ ეს სწორედ მის სამსახურს დაემთხვა. უფალი კი არა, უფალი არ ჯავრობს შენზე, ეს მიზეზი არაა. მიზეზს ვერავინ აგიხსნის, მიზეზი ჯერ ვერავის მოუძებნია. ეს მიწისქვეშეთის საიდუმლოა, რომელსაც უფალი არავის უმხელსო.

იმ დღეს, დილიდანვე ვგრძნობდი, რომ ყველაფერი ისე არ წარიმართა, ისე არ ხდებოდა, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე. ვერ გეტყვი, რატომ, მაგრამ ეს ყოველივე მრავალგზის მინახავს და ეუმანით მივსვდი, რომ ყველაფერი წესრიგში არ იყო. როგორც კი მიწისქვეშეთში ჩავედი, შენს მოსვლამდე კარგა ხნით ადრე, მაშინვე ვიგრძენი. მოყვითალო-ნაცრისფერი გველები არ ჩანდნენ, თავიანთი საიდუმლო თავშესაფრებიდან არ გამოდიოდნენ. ეს ცუდი ნიშანი იყო. აშკარად ცუდი ნიშანი იყო. ორაკულის წმინდა თხაც, რომელსაც მე ვუელი, როცა ორაკული არ ქადაგებს, დილიდანვე უცნაურად იქცეოდა. როგორც კი ბაკიდან გამოვიყვანე და მიწისქვეშეთში წაყვანა დავუპირე, ისე გაკერპდა და გაჯიუტდა, თითქოს იქ წასვლა არ უნდოდა. ასე წაეწყო ყველაფერი ერთმანეთს და ვიგრძენი. კარგი არაფერი მოხდება, ალბათ, ორაკული დღეს ხმას არ ამოიღებს-მეთქი.

ცხადია, მიზეზი შენ არ იყავი, შენ სულაც არ იყავი. დანაშაული არა მიგიძღვის რა, არა მიგიძღვის. შენ მშვენიერი პითია ხარ, და უფალს უდავოდ ძლიერ უყვარხარ. ზედ ეტყობა, რომ შენი მეშვეობით სიამოვნებით ქადაგებს, ისე მალე ეშვება შენთან და შენც ისე მალე ვარდები ქადაგებისათვის საჭირო უგონობაში. ხოლო როცა ექსტაზში ხარ, სახეზეც მშვენივრად გეტყობა, რომ უფალი ჩაგისახლდა. ეს არ დაემალება ადამიანს, რომელიც ორაკულს ამდენი წელი ემსახურაო.

ასე მაწყნარებდა და თანდათან მეც უფრო საღად და მშვიდად შევეფასე მომხდარი. მოხუცის სიტყვები და მისი გამხდარი, ნაოჭებით დაღარული სახე მაწყნარებდა. ცხადია, წინასწარ რომ მცოდნოდა, შემდეგი დღესასწაულის ჟამს ყველაფერი კარგად და ჩვეულებრივ ჩაივლიდა, უფრო დამშვიდებული ვიქნებოდი.

დროთა განმავლობაში ვირწმუნე, მიზეზი, ღმერთთან შეხვედრის წინ ჩემი გაუბედაობა, ყოყმანი, ეჭვები და შიში იყო-მეთქი. ალბათ, ეს არ უნდა გქონდეს. სული მღელვარების, მერყეობისა და ეჭვებისაგან უნდა განთავისუფლდეს, სხვაგვარად უფალი მკერდში არ ჩაგიკრავს.

მაგრამ როგორ არ იქნები გაუბედავი და მერყეევი, როცა უფალს უახლოვდები.

ჩემი მეგობრისათვის ეს არ მითქვამს, გული არასოდეს გადამიშლია, ალბათ, მხოლოდ განაწყენდება-მეთქი, ვფიქრობდი.

მაშინ ძალიან დავუახლოვდით ერთმანეთს და სანამ ორაკულს ვემსახურებოდი, სულ მეგობრები ვიყავით.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერთმანეთს ძალიან შეევეფერებოდით, ჩემი მეგობარიც სძულდათ. თუმცა თავად, ვგონებ, სულაც არ ნაღვლობდა, არც იცოდა, რომ სძულდათ, მე კი უზომოდ აღშფოთებული გახლდით. ტაძრის არც ერთ მსახურს მასავით შეუმჩნეველი მდგომარეობა არ ეჭირა, მაგრამ თავად ისეთი კმაყოფილი იყო, ძნლი გახლდათ უფრო კმაყოფილი კაცის მოძებნა. იგი ტაძრის იატაკსა და წინა კიბეს ასუფთავებდა, წყალს აპკურებდა, თავისი ცოცხით, ხალხის შემოტანილი ჭუჭყი გაჰქონდა. უფლისათვის სისუფთავეს ქმნიდა, ეს იყო მისი საქმე. ფრიად გულმოდგინედ შრომობდა, ყველგან სასიამოვნო სისუფთავე სუფევდა. დალაგება მისი მთავარი საზრუნავი გახლდათ, თუმცა სხვაც ბევრი რამ ევალებოდა. უფლის წმინდა ჭალაში დაფნის ხეებს უვლიდა, ტაძრის შესასვლელში, წმინდა წყლისთვის განკუთვნილ თასებს ავსებდა. ორაკულის გველებს ჩიტის კვერცხებითა და თაგვებით კვებავდა, უფლის საკურთხეველზე შეშა მოჰქონდა და ჩაუქრობელ ცეცხლს განელების საშუალებას არ აძლევდა. ეს ყოველივე მისთვის არავის დაუვალებია, მაგრამ მაინც აკეთებდა. ორაკულის ქადაგების დღეებში მიწისქვეშა ტაძარს უვლიდა და როგორც უკვე გიამბეთ, ქურუმებს ეხმარებოდა. იგი ყველას ემსახურებოდა, მადლობას კი არავინ უხდიდა. ქურუმები ქედმაღლურად დასცქეროდნენ, ყველა უყვიროდა, გარდა უმაღლესი ქურუმებისა. რომლებიც საერთოდ არ სცემდნენ ხმას. უბადრუკ, არაფრისმაქნის კაცად თვლიდნენ. სინამდვილეში კი ყველაფერს მოხერხებულად და კეთილსინდისიერად აკეთებდა და ეჭვიც არ მეპარება, უზენაესი ფრიად კმაყოფილი გახლდათ. მას, როგორც არავის, ისე უყვარდა და ეთაყვანებოდა ტაძარს, ძვირფასი განძივით უფრთხილდებოდა, მაგრამ ღმერთიც უყვარდა: ისევე უხმაუროდ, ჩუმად უყვარდა, როგორც თავისი უბრალო საქმიანობა, სამსახური, დამლაგებლის ფაციფუცი, თუმცა ამის დიდი მნიშვნელობა მშვენივრად ესმოდა. მოხუცი მსახური უფლის სავანეს უვლიდა, ღმერთისთვის ხან ერთ ხან მეორე საქმეს აკეთებდა, უზენაესთან მუდამ ახლოს იყო, მაგრამ მათ შორის გაურკვევლობა და რთული შეკითხვები არ წამოჭრილა, მხოლოდ

ურთიერთრწმენა და მეგობრობა აკავშირებდათ და არც დიდი მანძილით დაშორებიან ერთმანეთს. ის უბრალო მსახური გახლდათ, ოღონდ უფლის წინაშე დაბნეულობასა და მერყეობას არ განიცდიდა. თავს ისე გრძნობდა, თითქოს ახლობელი, უფლის კარგი მეგობარი იყო. იგი ღმერთსაც განსაცვიფრებელი უბრალოებით ექცეოდა. მათი ურთიერთობა ყოველდღიური და ბუნებრივი იყო.

ისე მიხაროდა მისი დანახვა, იმ სიმშვიდის განცდა, მისგან რომ გამოდიოდა და ნაწილი მეც გადმომეცემოდა. მოხუცი მსახური, ალბათ, ყველაზე ბედნიერი კაცი იყო, ვინც კი მინახავს. მან კარგად იცოდა, რომ მისი საქმიანობა აზრიანი და სასარგებლო იყო და უფალთან მეგობრობდა.

ალბათ, არც არის გასაკვირი, რომ მისთვის ცოტას ნიშნავდა ადამიანთა მსგავსი წარმავალი არსებების აზრი, არც მათი დამოკიდებულება აწუხებდა და როგორც უკვე მოგახსენეთ, ცუდსაც ვერაფერს ამჩნევდა. იმდენად მიმნდობი იყო, იქვნეულობა, ჩვეულებრივი დაკვირვებულობაც კი მისთვის იმდენად უცხო იყო, რომ გული მიჩუყდებოდა და ხანდახან მისი შემხედვარე სიცილს ვერ ვიკავებდი. მუდამ გულითადად უღიმოდა ყველას, იმათაც კი, ვინც მის მეგობრობას მეგობრობით არ პასუხობდა. უბრალო, შეუმჩნეველი შრომით, ყოველდღიურ მორჩილებაში ცხოვრობდა, თუმცა თავად ეს არ იცოდა. იმდენად მორჩილი იყო, თავისი თვინიერების შეცნობა არ შეეძლო.

ო, რა კარგად მახსოვს, თუმცა ამდენი წელი გავიდა. მახსოვს, ნახშირივით შავი ფეხისგულები ჰქონდა. ტაძრის ზღურბლს, მხოლოდ ფეხშიშველამ შეიძლება გადააბიჯო, ის კი თითქმის სულ იქ იყო. ჭუჭყი, ალბათ, ღრმად ჩაუჯდა და აღარ შორდებოდა. როცა თავისი მარდი ფეხებით აქეთ-იქით დარბოდა, მისი შავი ფეხისგულები თვალში გხვდებოდა.

მთელ ტაძარში სიხარულით მხოლოდ მას ვიხსენებ. აი, ახლაც გავიხსენე და სული გამინათდა. ახლა, ალბათ, კარგა ხნის მკვდარია.

მალე დღესასწაულიც მოვიდა და როგორც უკვე მოგახსენეთ, პირველი ღიდანვე ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ამას, ალბათ, უპირველეს ყოვლისა, მეგობარს უნდა ვუმადლოდე. წინა საღამოს დიდხანს მესაუბრა, დამამშვიდა, გამამხნევა, დილით კი, როცა ჩემი დრო დადგა და ცხადია, კვლავ დაბნეულობამ მომიცვა, ისე მოახერხა, შიში დამავიწყა. დასაღეჭი ფოთლებით სავსე თასი გამომიწოდა და წყნარად ჩამჩურჩულა, ორაკული გველები თავისი ნაპრალებიდან უკვე გამოძვრენო. მისი სახის ნაოჭები, ამ დროს, კმაყოფილ ღიმილად იქცა. ამის შემდეგ კი უფალმა გამიტაცა და თავდავიწყებაში შემიტყუა, რაც ნანატრ აღფრთოვანებასა და შეშლილობაში გადაიზარდა. მას შემდეგ, იშვიათი შემთხვევა იყო, უფლის შთაგონებას არ გავენათლებინე, მაგრამ როცა ასეთი რამ ხდებოდა, ყოველთვის იმ პირველივით საზარელი იყო.

ქურუმები უფრო და უფრო კმაყოფილი იყვნენ ჩემით და წლებთან ერთად სახელიც შორს გამივარდა. ბრმა მათხოვარმა ხომ უკვე გიამბო. ამტკიცებდნენ, თითქოს მე საუკეთესო პითია ვიყავი, თუმცა ეს სიმართლეს არ ჰგავდა, თითქოს უფალს ჩემ გარდა ქადაგება არავის ბაგეებით არ სურდა. ეს მითქმა-მოთქმა მას შემდეგ ატყდა, რაც მრავალდღიანი დღესასწაულების ჟამს ჩემი მძიმე მოვალეობის შემსუბუქება მოინდომეს და სხვა ქალი გამოსცადეს. ცდა წარუმატებლად დამთავრდა და მეც იძულებული გავხდი, ეს სიმძიმე შემდგომშიც საკუთარი მხრებით მარტო მეზიდა.

სწორედ ჩემი სახელი იყო მიზეზი, რომ ასე დიდხანს ვიყავი ორაკულის ქადაგი და რამდენიმე წლის შემდეგ ტაძარი არ დავტოვე. ჩვეულებრივ, პითიები ასე იქცეოდნენ, თუნდაც იმიტომ, რომ მეტს ვერ უძლებდნენ. ჩემი დაკარგვა კი ენანებოდათ, რადგან სახელოვანი პითიას ყოლა კარგი საქმე იყო. თავადაც არ მინდოდა ტაძრისა და სამსახურის მიტოვება. ორაკულის მიწისქვეშეთმა, ყოველივემ, რაც მასთან იყო დაკავშირებული, ჩემი სული დაიპყრო. იქ აღსრულებული საიდუმლოება, ჩემი გარდასახვა, სიშშაგე, შეშლილობა, ყოველისა და ყველაფრის სამანის გადალახვა ჩემი არსებობის საფუძველი გახდა, უამისოდ ცხოვრება აღარ შემეძლო.

მე მგონი, მას შემდეგ, რაც სახელი გამივარდა, უფრო პატივისცემით მექცეოდნენ. ყველამ გაიგო, რომ ორაკულს და ესე იგი ქალაქსაც ჩემგან დიდი სარგებელი ჰქონდა და რომ უფლის განსაკუთრებით სასურველი რჩეული გახლდით. მაგრამ, ამის გამო, ხალხი უფრო დამფრთხალი, უფრო შეშინებული შემომცქეროდა, თავს უფრო მეტად მარიდებდა და მეც სრულიად მარტო, თითქმის ყოველგვარი ადამიანურისაგან მოწყვეტილი აღმოვჩნდი. ყველამ იცოდა, რა სახიფათო ურთიერთობა მქონდა ღმერთთან და რა საშინლად მეცვლებოდა სახე, როცა უფალი ჩამისახლდებოდა. ღა ამის გამო წმინდა ქალაქის მცხოვრებლებს შორის მე ყველაზე ეული გახლდით.

მხოლოდ ორაკულის ქადაგი ვიყავი, მეტი არავინ. განა თავადაც ასე არ ვფიქრობდი? ორაკულისაგან განუყოფელი გახლდით, საკუთარი ცხოვრება არ მქონდა, სხვა ცხოვრება არ ვიცოდი, მხოლოდ მასში და მის მიღმა ვარსებობდი. მართლაც, მხოლოდღა პითია ვიყავი და როგორღაც დავკარგე ადამიანობა, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით.

თითქმის სულ დელფოში ვცხოვრობდი და ტაძრის კმაყოფაზე ვიყავი. ჩემს მშობლებთან, ჩემს სახლში, ხეობაში სულ უფრო და უფრო იშვიათად მივდიოდი. მათთვისაც უცხო გავხდი. ვგრძნობდი, რომ სხვებივით მიფრთხოდნენ. როცა მშობლებს ვესაუბრებოდი, როგორღაც არც კი ვიცოდით, რაზე გველაპარაკა. დელფოში ჩემი ცხოვრების შესახებ, ჯობდა არაფერი გვეთქვა. ეს მათ არ ესმოდათ და მხოლოდ ამაოდ ღელავდნენ, მათი ცხოვრება კი აბა, რა სალა-

პარაკოა-თქო, ვფიქრობდი მეც და ისინიც, მათი ცხოვრება ძველებურად მიედინებოდა, არაფერი იცვლებოდა, თავადაც მშვენივრად ვიცოდი. თუმცა ვიცოდი კი? იქნებ, უკვე აღარ ვიცოდი?

მათი სამყარო ძალიან შორეული გახდა, ზედმეტად დავშორდი. თუმცა ყველაფერი ძველებურად დარჩენილიყო და კარგად ნაცნობი იყო. თავად ვგრძნობდი თავს უცხოდ. ადამიანისათვის არაფერია ისე უცხო, როგორც სამუდამოდ მიტოვებული ბავშვობის სამყარო. ჩემი მშობლები უკვე თვალშისაცემად დაბერებულიყვნენ. ახლა დუნედ მოძრაობდნენ, დედა ძალიან ჩამოხმა. როცა გვერდით გაიხედავდა, ბებერი ფრინველივით თავს ატრიალებდა. თვალები ჩაუცვივდა, დასასვენებლად ხშირ-ხშირად ჯდებოდა. იჯდა და დუმდა. სათქმელი თითქმის არაფერი გვქონდა.

თავადაც აღარ მეთქმოდა ახალგაზრდა. რამდენი წლის ვიყავი, დედა რომ გარდაიცვალა? მგონი ოცდაათს გვარიანად გახლდით გადაცილებული.

ტაძარში ცნობა მიიღეს, დედა სიკვდილის პირზეაო, ოღონდ მაშინვე არ მითხრეს. სწორედ ამ დროს მიწისქვეშეთისაკენ მივემართებოდი და ეს რომ გამეგო, ჩემს მსახურებას ვეღარ ჩავატარებდი, უფლის შთაგონებას ვერ შევისმენდი. მე, ცხადია, ჩემი ვალი ჯერ უფლისა და ტაძრის წინაშე უნდა მომეხადა. იმ დღეს განსაკუთრებით ბევრი პილიგრიმი დაგროვდა. ეს საგაზაფხულო დღესასწაულის ბოლო დღე იყო და ორაკულის მსახურება უჩვეულოდ დიდხანს გაგრძელდა. მოხუცმა მსახურმა, როგორც კი შენიშნა, რომ გონზე მოვედი, ჩურჩულით მამცნო ამბავი, მაგრამ ჯერ კიდევ ბურანში ჩაძირული, დაბანგული გახლდით და თავიდან ვერაფერი გავიგე. ისე მომეჩვენა, თითქოს რაღაც შორეულზე მიამბობდა, რასაც ჩემთან არაფერი ჰქონდა საერთო. შემდეგ მისი სიტყვების ჯაჭვს უცებ მივხვდი და აღელვებული იქით, დედისაკენ გავიქეცი.

ჯერ კიდევ დაბანგული ვიყავი. აქოშინებული და გაწითლებული შევვარდი სახლში, სადაც სამარისებური სიჩუმე მეფობდა. ეს სახლი ყოველთვის ჩუმი იყო, მაგრამ ამჯერად სამარისებური სიჩუმე მეფობდა. და ვიგრძენი, რომ ჩემი მოსვლით ენით აუწერელი სიმშვიდე დავარღვიე.

საპატარძლო კაბა მეცვა, სწორედ ის კაბა, რომელსაც უფლის პატარძალი ორაკულის მიწისქვეშეთში ვატარებდი, შევამჩნიე, რომ მამამ განცვიფრებით შეხედა კაბას, თუმცა არაფერი უთქვამს.

დედა თვალდახუჭული, ფერმკრთალი, გაცრეცილი იწვა და ერთი ხანობა ასე მეგონა, უკვე გარდაიცვალა-მეთქი. როცა გვერდით ჩამოვუჯექი და ავტირდი, მან თვალი გაახილა და ისე შემომხედა, არასოდეს დამავიწყდება. ისეთი შორეთიდან მოდიოდა ეს მზერა, რომ უბრალოდ გაუგებარია, ჩემამდე როგორ მოაღწია. დედა უცხოსავით შემომცქეროდა, თითქოს ვერ გაერკვია მის გვერდით როგორ აღმოვჩნდი. ვინ არის ეს უცხო ქალი, რომ მოვიდა და სა-

წოლზე ჩამოუჯდა? თანაც რა უცნაურადაა მორთული — სამოსი თითქოს ეცნობა, მაგრამ ახლა აღარ აგონდება, ასე რისთვის ირთვებიან.

შემდეგ თითქოს შემნიშნა, მიცნო, მიხვდა, რომ მოვედი. მოგვიანებით გავიგე, თავად უთხოვია მამისთვის ჩემთან ვინმე გამოეგზავნა, რათა სიკვდილის წინ კიდევ ვენახე. მაგრამ როგორ ვიყავი ჩაცმული? რა უცნაურად ვიყავი გამოწყობილი!

გამხდარი ხელი ფრთხილად გამოწია, ჩემს კაბას შეეხო, ქსოვილი მოსინჯა, თუმცა ვერაფერი გაიგო. როგორც ჩანს, გადაცმული ვეგონე. არადა, მართლაც ხომ ასე იყო. ქალს, რომელიც მართლა იყო პატარძალი, რომელმაც ქმარს შვილები გაუჩინა და ქმარიც და შვილებიც უყვარდა, ნამდვილად ასე უნდა მოსჩვენებოდა. იგი იწვა, ხელს ჩემს ძვირფას სამოსს უსვამდა და არაფერი ესმოდა. შემდეგ დაღლილმა ტანჯვით დახუჭა თვალები და მისი გამხდარი, ცარიელი ხელი უღონოდ ჩამოეკიდა.

მისი საწოლიდან წამოვდექი, ჩემი ადგილი მამამ დაიკავა, მისი ხელი ხელში ჩაიდო და დედა წყნარად მიიცვალა.

შეძრწუნებული და სასოწარკვეთილი გახლდით. ცხელებისა და ბანგის ნარჩენი ჯერაც არ გამნელებოდა.

მამამ დიდი, უხეში ხელი სახეზე დაუსვა, იმ სახეზე, რომელსაც ახალგაზრდობისას, ალბათ, ეფერებოდა. აშკარად გაახსენდა მრავალი ისეთი რამ, რაც ჩემს ცხოვრებაში არ განმეცადა და ვერც განვიცდიდი, რადგან ადამიანური ცხოვრების საკუთრება იყო.

მამამ ვერ შეამჩნია, როგორ გავედი. პატარძლის სამოსი გავიხადე, მოვძებნე ძველისძველი კაბა, რომელიც ჩემი სიყმაწვილის წლებიდან მოყოლებული აქ, მათთან იდო და ჩავიცვი.

როცა დავბრუნდი, მამა კვლავ უძრავად იჯდა, დედას დასცქეროდა და ჩემი შემოსვლა ამჯერადაც ვერ შენიშნა. იგი ხედავდა მხოლოდ დედის დატანჯული სახეს, რომელიც სიცოცხლეში ხიბლავდა და ახლაც უყვარდა. დედის სახე მისი სულივით სუფთა და უბრალო გახლდათ. ახლა სული გაფრინდა, მაგრამ სახემ მისი მოგონება შემოინახა.

მივუახლოვდი და მის ლამაზ, განათებულ სახეს დავხედე. შემდეგ შევნიშნე, რა ენით უთქმელი სიმშვიდე ეფინა და ქვითინი წამსკდა.

ჩვენ ხომ ოდესღაც ძალიან ვგავდით ერთმანეთს.

კაცმა ხელები გულზე დაუკრიფა და ეს განსაცვიფრებლად თეთრი, თხელი, თითქმის გამჭვირვალე ხელები, რომელმაც თავისი ცხოვრების მანძილზე ამდენი სხვადასხვაგვარი საქმე გააკეთა, ისე თლილი და ჩამოქნილი იყო, თითქოს ყოველივე მიწიერი უკვე წარიშალა და გაქრა.

მკვდარი სხეული ერთად განებანეთ და ზეთით დავზილეთ. შემდეგ ძველებური წეს-ჩვეულების მიხედვით მამის გაკეთებულ

საკაცეზე გადავიყვანეთ და ზეთისხილის რტოებზე დავაწვინეთ, რათა მისი სხეული კვლავ სიცოცხლისთვის შეგვეწირა. მამამ ჩემს დახმარებაზე უარი განაცხადა, გაუხეშებული თითებით მურტის გვირგვინი თავად დაწნა და ღვთაებასთან ზიარების ნიშნად, ქალს თავზე დაამაგრა. იგი წეს-ჩვეულებას თავგამოდებით იცავდა და ჩვენც არაფერი დაგვიწყებია.

ბოლოს ჩავარდნილ მკერდზე რამდენიმე თავთავი დაადო და სახეზე საბურველი გადააფარა, რათა მისი სიმშვიდე არაფერს დაეფრთხო.

მეორე დღეს, უახლოეს ჭალაში, უძველეს საკურთხეველთან, სადაც თითქმის ყოველდღე რაიმე შესაწირავი მიჰქონდა, მამამ სამარე გათხარა. ჩვენ ერთად წავიღეთ საკაცე, რომელიც ჩემთვის საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა — დედა ზორბა ქალი იყო — და სამარეში ჩავუშვით.

მიწაში, მშობლიურ წიაღში კვლავ დაბრუნებული, ცოცხალი ფოთლების საფენზე იწვა. ჩვენც უკანასკნელად შევხედეთ სიმშვიდემოფენილ მის სახეს. შემდეგ მამამ მიწა მიაყარა და ჩვეულების მიხედვით სამარეზე პური დათესა, რათა დედა სიკვდილის კი არა, სიცოცხლის საკუთრება ყოფილიყო.

დროებით მამასთან დავრჩი, რათა პირველ ხანებში დავხმარებოდი. დიდი დღესასწაული გასული იყო და ასე მოქცევა შემეძლო. მამა ხომ მიჩვეული იყო, რომ სახლში მეურნეობას ქალი უძღვებოდა. მეც მინდოდა თუნდაც დროებით დავრჩენილიყავი ამ სიჩუმესა და სიმშვიდეში, ასე რომ მჭირდებოდა. მომხდარით თავზარდაცემული გახლდით. მახსენდებოდა, როგორ სინჯავდა ჩემს ძვირფას კაბას და ამ კაბაში გამოწყობილი, როგორ ძლივს მიცნო. ისიც მაწუხებდა, რომ ძალიან გვიან მოვედი და ვერ მოვასწარი პატიება შეთხოვა, მისი მსგავსი რომ არ გავხდი, რომ სიკვდილის ჟამს სიჩუმე დავურღვიე, რომ მისი ხელი ჩემი კალთიდან ცარიელი ჩამოეკიდა... ისე მძიმედ ვიყავი შეძრული...

ერთი შეხედვით უცნაურია, რომ ადამიანის სახეზე მოფენილი სიმშვიდე, შეიძლება საყვედურად აღიქვა, და მაინც, ზუსტად ასე აღვიქვამდი. ჩემს თავს ვსაყვედურობდი, რომ თავად ვერ შევიცნობდი, თავად ვერ ვგრძნობდი სიმშვიდეს სულში, რომ ასეთი გავხდი, რომ ჩემი სული, ცხოვრება, არსებობა ასეთი გახდა. მას რად არ ვგავარ? ჩემი ცხოვრება მის ცხოვრებას რად არა ჰგავს? მთელი ცხოვრება, მთელი ქვეყანა მას რად არა ჰგავს? ყოველივე ისე რად არ დარჩა, როგორც ბავშვობაში იყო? ბავშვობაში, როცა ღარტაფში ერთად მივდიოდით წმინდა წყაროსთან, სადაც ანკარა წყალი ჩუხჩუხებდა, ირგვლივ კი ლორთქო, მარადმწვანე მცენარეები ხარობდა. სადაც ქვიშა მდოვრედ ტრიალებდა, თითქოს უფლის უხილავი ხელი მართავდა. რად არ შეგვიძლია ხელიხელჩა-

კიდებულებს, როგორც ოდესღაც, კვლავ იქ წასვლა? რამდენი რამ მინდოდა მეთქვა.

ის აქ იწვა და მელოდა, მე კი არ მოვდიოდი, ძალიან გვიან მოვედი. ზედმეტად გამიტაცა დიდმა დღესასწაულმა, რათა მასზე მეფიქრა, რათა აქ, მათთან მოვსულიყავი და გამეგო, რომ ავად იყო, რომ ეს-ესაა სულს განუტევებდა. ზედმეტად გამიტაცა იმან, რაც დედას არ ესმოდა, რასაც ვერ ავუხსნიდი, რასაც მისი გონება ვერ დაიტევდა. ჩემი სული კი ამან მოიცვა, მის გარეშე სიცოცხლე აღარ შემეძლო.

სიცოცხლე არ შემეძლო? უიმისოდ კი შემეძლო ცხოვრება, რითაც დედა ცხოვრობდა? ნამდვილად შემეძლო?

დიდი დღესასწაული, რომელიც ისე მიტაცებდა, ვერ ვშორდებოდი, სიშმაგე, აღფრთოვანება, შეშლილობა, ეს ყოველივე სწორედ ეწინააღმდეგებოდა ადამიანის სახეზე აღბეჭდილ სიმშვიდეს, მის სულში ჩაბუდებულ სიმშვიდეს!

მე რაღა დამრჩა ან რა დავკარგე? რა არის ჩემი ცხოვრება მის ცხოვრებასთან შედარებით? სწორედ იმ ცხოვრებასთან, რომელიც დედასთან ერთად დავტოვე, მივატოვე.

აქ, სიჩუმეში მასთან უნდა ვმჯდარიყავი, მისი ხელი ხელში უნდა ჩამედო. ჩემი ადგილი აქ იყო.

მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ დიდი დღესასწაული აქ აღსრულდა, როცა დედა იწვა და კვდებოდა.

მსურდა ცოტა ხნით ამ მშვიდი, საიმედო ცხოვრებით მეცხოვრა, თუნდაც ცოტა ხნით მისი ცხოვრება განმეცადა.

ხშირად ვიჯექი კერიასთან, სწორედ დედის ადგილზე და ვამჩნევდი, რომ ჩვენი ძველი სახლის სურნელი მსიამოვნებდა. უცნაურია, ადრე მათ სანახავად რომ მოვდიოდი, სხვაგვარად იყო. მაშინ ეს სუნი არ მსიამოვნებდა, ალბათ, ზედმეტად კარგად მახსოვდა, სიჩუმე და სიმშვიდე კი მხოლოდ მთრგუნავდა. ახლა ეს სიმშვიდე გარს შემომერტყა და ალერსიანად მეხვეოდა. ო, რა სასიამოვნო შეგრძნება იყო.

აი, ასე აღმოვაჩინე ხელმეორედ ბავშვობის სახლი. აღვიქვი ველები, გარსშემოკრული მიწები, სახლის გვერდზე მდგარი ბებერი ზეთისხილის ხე და ჭალა, სადაც ბელტებისგან აშენებული საკურთხეველი იდგა და ახლა დედა განისვენებდა. კვლავ დავინახე დაკლაკნილი ბილიკი, ღარტაფისა და წყაროსაკენ რომ მიემართებოდა. ყოველივე ნაცნობი, ისევ ძვირფასი გახდა და ჩემ ირგვლივ ისე ერთგულად შემოიკრიბა, თითქოს არასოდეს განვშორებოდი. ჯერ კიდევ არ მჯეროდა, რომ ყოველივე ეს სინამდვილე იყო. და დროდადრო სხვაგვარი აზრებიც მაწუხებდა. და მაინც, ნელ-ნელა, ჩვეულებრივ, ნამდვილ ცხოვრებას ვუბრუნდებოდი.

მამა ძველებურად ყანაში მუშაობდა, მე კი, როგორც შემეძლო ოჯახს ვუვლიდი. ისე დიდიხანია საოჯახო საქმე აღარ გამეკეთებინა,

რომ ყველაფერი დამეიწყებოდა, მაგრამ საკმაოდ მალე შევეჩვიე. ერთად თავს კარგად ვგრძნობდით.

რა უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, დგდაზე ი'ზეითად ვსაუბრობდით, თუმცა განუწყვეტლივ ვფიქრობდით. მამამ მის საფლავზე ქვა დააგდო და მსხვერპლს ხშირად სწირავდა. პატარა მსხვერპლს სწირავდა, როგორსაც ისინი იყვნენ მიჩვეულნი. ვხედავდი, რომ ცოტა ხნით ჩერდებოდა საფლავთან, შემდეგ სახლისაკენ გამოემართებოდა და ისეთი არაფრისმთქმელი მზერით იყურებოდა, თითქოს ძალიან შორიდან ბრუნდებოდა. ეს მოკრძალებული, სევდიანი მზერა, მის ძლიერ გარეგნობას უცნაურად არ ეხამებოდა. თვალები ბავშვივით ნათელი ჰქონდა, თუმცა გამომეტყველება ბავშვური სულაც არ იყო. უფრო და უფრო იკეტებოდა თავის თავში, მაგრამ მისი სიპირქუშე სიკეთით აღსავსე გახლდათ.

კარგად მახსოვს, როგორი იყო მამა იმ ბოლო თვეებში, მასთან რომ გავატარე. საღამოობით, სახლში ნელი ნაბიჯით შემოდიოდა, ხოლო როცა ჭამას დაასრულებდა, თავის დაკოჟრილ, ნაჯაფარ უსაქმობას მიუჩვეველ ხელებს მაგიდაზე დააწყობდა. მათ შემხედვარეს მახსენდებოდა, რა კარგად და მშვიდად გვრძნობდი თავს ბავშვობაში, როცა ჩემს ხელს თავის ხელისგულში მოიქცევდა. ახლა ეს ხელები ძლიერ გამოიცვალა, სულ მთლად ბებერი და დანაოჭებული გახდა.

დილაობით, ჯერ სათაყვანო ეულ ხესთან მიდიოდა, შემდეგ ყოველდღიურ საქმიანობას იწყებდა. იგი სისხამ დილას, ჯერ კიდევ მზის ამოსვლამდე დგებოდა. აქ, მაღალ მთებს შუა მზე გვიან ჩამოიხედავდა, მაგრამ ცა, მის ამოსვლამდე კარგა ხნით ადრე ნათდებოდა.

ცოტა მოგვიანებით მეც გავუყვებოდი ბილიკს ღარტაფის წყაროსაკენ, სწორედ იმ წყაროსაკენ, წმინდა რომ გვეგონა. ვიდექი. წყალს ვუცქეროდი, სული სიმშვიდითა და მოწიწებით მევსებოდა და დაწყნარებული, გახალისებული, თავისებურად ბედნიერი ვბრუნდებოდი.

ასე მიედინებოდა ჩვენი ცხოვრება. გაზაფხული ძალას იკრებდა და ჩვენს ირგვლივაც და ვეებერთელა, ბარაქიან ხეობაშიც ზღაპრული სილამაზე მეფობდა.

ერთ დილას, ჩვეულებრივ, ბილიკს ჩავყევი და დავინახე კაცი, რომელიც წყაროსაკენ დახრილიყო და პეშვით წყალს სვამდა. მახსოვს, ჯერ კიდევ შორიდანვე თვალში მომხვდა, რომ წყალს რატომღაც მარცხენა ხელით სვამდა. თუმცა ზურგიდან ვხედავდი, მაშინვე მივხვდი, რომ უცხო იყო და ნაბიჯი შევანელე. მაგრამ კაცმა მაინც გაიგონა ჩემი ფეხის ხმა და შემობრუნდა. სულ ახალგაზრდა იყო, ჩემზე ერთი ათი წლით უმცროსი მაინც იქნებოდა, ნათელი, ცოცხალი, მზით დამწვარი სახე ჰქონდა.

ძალგად რომ დავაკვირდი, თითქოს მეცნო, თავადაც ნაცნობი-ვით შემომცქეროდა. იგი წამოდგა; მაშინ მივუახლოვდი და მივხვდი, რომ აქაური, ამ ხეობელი იყო და დიდი ხნის წინათ, ბავშვობაში შევხვედროდი. ახლა იგი ოცდახუთი-ოცდაათი წლის, არც ისე მაღალი, მაგრამ ძლიერი, მსხვილძვალა, ჯანმრთელი მამაკაცი გახლდათ, ოღონდ ცალხელა იყო.

თავადაც გავახსენდი, თუმცა ამდენი წელი გავიდა. ჩვენი სახლები ახლო-ახლო იდგა. მისი მშობლებიც ტაძრის პატარა მიწას ამუშავებდნენ და ღატაკები, მგონი ჩვენზე ღატაკებიც იყვნენ. შრავალშვილიანი ოჯახი ჰქონდათ.

ერთმანეთს გამოვესაუბრეთ. მიამბო, მრავალი წელია სახლში არ ვყოფილვარ, თითქმის ბიჭუნა ჯარისკაცად წავედი, რადგან სახლში ზედმეტად ბევრი მჭამელი გვყავდაო, შემდეგ ომში ხელი დავკარგე, ამიტომაც მოვბრუნდიო. ომისთვის აღარ ვვარგივარო, ჩაიცინა, სადარდებელიც არაფერია. ომი დიდად არ მომწონდა, უბრალოდ თავი ხომ უნდა გამეტანაო. მიწაზე მუშაობას არაფერი სჯობს, თუკი მიწა გაქვს, თუმცა არც ამისათვის არის ურიგო ორი ხელი გქონდესო.

შემდეგ ჩემი ცხოვრებით დაინტერესდა. მეც ვუამბე, რომ ლედა გარდამეცვალა და ახლა მამის სახლში მე ვდიასახლისობდი.

— შენ რა, გაუთხოვარი ხარ? — შემეკითხა იგი.

— ჰო, — ცოტა შემცბარმა ვუპასუხე.

შემდეგ წყაროზე ვისაუბრეთ. მე ვთქვი, რომ დედამ შემაჩვია და მეც ყოველ დილით მოვდიოდი აქ და რომ ეს წყარო, ნამდვილად წმინდა წყარო იყო. ჰო, ეს მასაც გაეგო, მაგრამ გემრიელი წყალი აქვსო, დაამატა. კასტალიაშიც კი არ არის ასეთი წყალი, იქ სულ ჯგროდ ეხვევა ხალხი ვერ წაეკარები. ეს წყარო სულ მენატრებოდა. სანამ უცხოეთში ვიყავიო, მითხრა. გუშინ საღამოს დავბრუნდი და დღეს სისხამ დილითვე აქეთ გამოვექანე, რომ წყალი, რაც შეიძლება მალე, გამესინჯაო.

შემდეგ კვლავ დაიხარა და სმა დაიწყო, თითქოს არა და არ ეკოფნიდა.

—შენ არ დალევ? — შემეკითხა.

ყოყმანით შევჩერდი, შემდეგ მის გვერდით მუხლებზე დავეშვი და ორივემ პეშვებით სუფთა, ცივი წყალი შევსვით. ცხადია, არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა, მე კი მეჩვენებოდა, რომ რაღაც განსაკუთრებულ წეს-ჩვეულებას ვასრულებდით. როცა წყლის სმა დავასრულეთ, ჩვენი სახეები წყაროში გვერდიგვერდ აირეკლა და წყალიც მაშინვე დაწყნარდა. არ ვიცი, დაინახა თუ არა, რა მდორედ ტრიალებდა ქვიშა ფსკერის ერთ ალაგას. იქნებ, არც დაუნახავს, მაგრამ მაინც თქვა:

— ასეთ მშვენიერ წყალს ვერსად იხილავ, მართლაც რომ წმინდა წყაროა.

წამოვდექით და ერთმანეთს გამოვემშვიდობეთ. მას ხეტიალი და მშობლიური ადგილების ნახვა უნდოდა. მაინტერესებს, ყველაფერი მახსოვს თუ არაო, მითხრა. შემდეგ მზით დამწვარ სახეზე მხუბუქმა ღიმილმა გადაურბინა, დამტოვა და წავიდა.

ბილიკით უკან, შინისაკენ წამოვეხეტე. ნელა მივდიოდი და თუმცა ძალიან მინდოდა დამენახა, როშელ მხარეს წავიდა, მაინც არ შევბრუნებულვარ.

ნეტავ თუ იცის, პითია რომ ვარ? როგორც ჩანს, არ უნდა იცოდეს!

მეორე დილით, როგორც ყოველთვის, წყაროსთან ჩავედი: კარგა ხანს, იქნებ, ჩვეულებრივზე მეტხანს ვიჯექი. ბოლოს და ბოლოს, ისიც მოვიდა და შევამჩნიე, რომ მისი მოსვლა გამიხარდა, თუმცა ეს გრძნობა მეუცხოვა.

ისევ გამოვესაუბრეთ ერთმანეთს. მან მითხრა, გუშინ მდინარესთან რომ გამოქვაბულია, იქ ჩავძვერი და მისი ხელახლა ნახვა ძალიან მესიამოვნაო. როცა გაიგო, გამოქვაბული არასოდეს მენახა, ძლიან გაოცდა. აუცილებლად უნდა ნახო, არც ისე შორსაა. თუ ადგილმდებარეობა იცი, არც დაღმართია ძალიან ციცაბო, ერთადაც შეგვიძლია იქით გავისეირნოთო, ისე შემომთავაზა, თითქოს რაღაც ჩვეულებრივსა და სრულიად ბუნებრივს ამბობდა.

წყლით გული მოიჯერა, ნაპირზე მოვეწყეთ და უცხო, ჩემთვის სრულიად უცხო მხარში თავისი ჯარისკაცური ცხოვრების შესახებ მიამბო. რა მშვენიერია, რომ მშობლიურ მხარეში დავბრუნდი, ოღონდ დილფო გულზე დიდად არ მეხატება. ქალაქი კი არა ყალთაბანდების ბუდეა და ქალებიც სულ როსკიპები არიანო.

— არაჩვეულებრივი ტაძარი აქვთ, — ვთქვი მე.

— აქვთ, ცხადია, — მიპასუხა მან.

მეტი არაფერი უთქვამს. მაინც ვერ მივხვდი, იცოდა, პითია რომ ვიყავი, თუ არ იცოდა. ან რა მნიშვნელობა ჰქონდა? ასე რად მაწუხებდა?

თუ არ იცოდა, მალე გაიგებდა, სულ ერთი არ იყო?

ვისხედით და ძველი მეგობრებივით ვსაუბრობდით. თითქოს მთელი საუკუნის ნაცნობობა გვაკავშირებდა. მაგრამ დროდადრო ერთმანეთს შევხედავდით, სიტყვა გვიწყდებოდა და იმ წუთას ნათქვამი გვავიწყდებოდა.

მზე უკვე საკმაოდ მაღლა იდგა მთებზე, როცა ერთმანეთს დავშორდით და შინ დავბრუნდი.

მესამე დილას — მახსოვს დღეებს ვითვლიდი, თუმცა, არა მგონია, ეს გაცნობიერებული მქონოდა — მესამე დილას. მამა მინდორში წავიდა თუ არა, მკვირცხლად მოვემზადე და მახსოვს, სანამ ვემზადებოდი. საკუთარ გულისცემას განცვიფრებული ვუსმენდი. ჩავედი თუ არა ღარტაფში, მაშინვე შევნიშნე, რომ უკვე იქ იყო, იმავე ადგილას იჯდა. სხივმოსილი, ახლადანთებული დილის

ჯერ კიდევ მქრქალი შუქი, უკვე მზად იყო, გაჩახჩახებულიყო და ხეობისათვის კაშკაშა მზის სხივები მოეფინა, მე კი ბილიკზე მივაბიჯებდი და თავს არაჩვეულებრივად ბედნიერად ვგრძნობდი. ჩემი ნაბიჯების ხმა მან შორიდანვე გაიგონა, შემობრუნდა, შემდეგ იჯდა და სანამ მივუახლოვდებოდი, მიღიმოდა. ხოლო როცა წყაროსკენ დავიხარე და წყალს დავეწაფე, ჩემ გვერდით მუხლებზე დაეშვა და თუმცა უკვე შესმული ჰქონდა, მზით გარუჯულ, ფართო, ზემოდან ბალნით დაფარულ ხელში კვლავ წყალი დაიგროვა. წყალი შევსვით, მუხლებიდან არც კი წამოვმდგარვართ, ერთმანეთს შევხედეთ და უცებ, სიტყვის უთქმელად, თავზე ხელი შემომაჭდო, მიმიზიდა და მაკოცა. ტუჩები ცივი წყლისაგან გექონდა გაყინული, მაგრამ თანდათან გაგვითბა, უფრო და უფრო გაგვიხურდა და ბოლოს სიმხურვალით აგიზგიზდა. კეფაზე მისი ფართო, ნამიანი ხელისგულის შეხებას ვგრძნობდი; მესმოდა, როგორ ამიჩქარდა სუნთქვა და გულიც ამიძგერდა. ბოლოს და ბოლოს ბაგე მომაშორა და თითქოს სადღაც შორიდან მისი მშვიდი ხმა გავიგონე:

— თვალებს რატომ ხუჭავ?

არც კი ვიცოდი, თვალები დახუჭული მქონია. მაშინვე გავახილე და დავინახე მისი მოღიმარე, გარუჯული სახე, რომელიც კვლავ მომიახლოვდა. შემდეგ ვეღარაფერს ვხედავდი, მხოლოდ ვიგრძენი, როგორ დააწვა ჩემს მომლოდინე, ოდნავ გაღებულ ბაგეს, მისი ძლიერი ტუჩები.

ამის შემდეგ აღარაფერი გვითქვამს, მდუმარედ ხელჩაჭიდებულნი ვისხედით. მაშინ პირველად მეჭირა ხელში მისი ერთადერთი ხელი, ძვირფასი, საყვარელი ხელი, რომელიც ასე კარგად მახსოვს.

ფეხზე წამოვდექით და ერთმანეთის გვერდიგვერდ დავდექით. ორივე ხშირად და არათანაბრად ვსუნთქავდით.

— წამო, მდინარესთან ჩავიდეთ, — ღიმილის გარეშე შემომთავაზა მან. — შენ ხომ იქ არასოდეს ყოფილხარ.

პასუხად მხოლოდ შევხედე და ხელზე ხელი მოვუჭირე. სულაც არ მომჩვენებია უცნაურად, რომ ეს შემომთავაზა და იქ ერთად წავიდოდით.

ჭთის ძირს ჩქარი ნაბიჯით ავუყევით. ცოტა ხნის შემდეგ ფერდობი ციცაბოდ დაეშვა. იგი ისეთ ადგილებს ეძებდა, სადაც იოლად გავივლიდი, თუმცა მაინც მიჭირდა, მიუჩვეველი ვიყავი, თანაც გამალებით მივდიოდით. ის მეხმარებოდა, ყველაზე ძნელ გასასვლელებთან ქვემოთ დგებოდა, ხელს მტაცებდა და მანამდე ვეჭირე, სანამ კვლავ არ ვიპოვიდი მყარ საყრდენს ქვიან ფერდობზე, სადაც ფიქვის ფესვები ამოჩრილიყო. რაც უფრო ქვემოთ ჩავდიოდით, მით უფრო ციცაბო და გაუვალი ხდებოდა ფერდობი, ქვემოდან უფრო და უფრო ხმამაღლა ისმოდა მდინარის ხმაური. მდინარე მძლავრად დუღდა და მოქუხდა. გამოქვაბული დავიწროვდა და ისე დაპატარავდა, უფსკრულს დაემსგავსა. დღის სინათლე გაილია, გაქ-

რა და ბოლოს მდინარის დამაყრუებელი ქუხილით საესე ბინდად გადაიქცა. მდინარე ფიქვების მიღმა იყო მიმალული, მაგრამ მალე უნდა გამოჩენილიყო.

მძიმე ფერდობი ჩათავდა და როგორც კი გახურებულნი გამოქვაბულის ფსკერზე აღმოვჩნდით, მდინარე, რომლის სანახავადაც მოვედით, არც კი გაგვხსენებია. მისკენ არც გაგვიხედავს; მხოლოდ ერთმანეთს ვხედავდით, ჩვენი თავის გარდა ყოველივე დაგვავიწყდა. მხოლოდ იმაზე ვფიქრობდით, ჩქარა მოვხვეოდით ერთმანეთს ამ ბინდში, სადაც ვერავინ დაგვინახავდა, სადაც ყოველივე საიდუმლოდ დარჩებოდა. ჩვენ მიწაზე დავეცით. თვალდახუჭულმა ვიგრძენი, როგორ შემომახია სამოსი და დამეუფლა.

პირველად შევიცანი სიყვარული, პირველად გავიგე, რა სასწაულით თავისუფლდები მარტოობისაგან, როცა მეორე ადამიანი შეგერწყმება. ერთმანეთს მოვეხვიეთ, შეერთდით და ჩემს ძლიერ სხეულს, ამას შეუცნობლად რომ ნატრობდა და სურდა, მძაფრი, შმაგი სიამოვნების ალი მოედო.

მთელი ამ ხნის მანძილზე ირგვლივ მდინარის ხმაური მესმოდა და ეგრძნობდი ფიქვის წიწვებისაგან შექმნილი საწოლის სურნელს, საწოლის, რომელსაც ეს კეთილი ხეები, ვინ იცის, რამდენი წელი ფენდნენ და ჩემთვის ამზადებდნენ. ჩემს ცნობიერებაში სიყვარულის განცდას წიწვის სურნელი და მდინარის ხმაურიანი ქუხილი სამუდამოდ შეერწყა.

თვალებს არ ვახელდი, არ მჭირდებოდა, ისედაც ვიცოდი, რომ ჩემი საყვარელი აქ, ჩემთან იყო, რომ ჩემი ბედნიერი, მოთენთილი სხეული მის მკლავებში გალურსულიყო, რომ მის ხელზე, მის ძლიერ, მაგარ ხელზე, ასე მშვიდად და შესანიშნავად ვისვენებდი. შისი თითები, მისი მარცხენა ხელის თითები სახეზე მეფერებოდნენ. ისე უჩვეულო და თანაც სასიხარულო იყო ამის შეგრძნება, მანამდე ხომ არავინ მომფერებია. არც შემდეგ, არასდროს და არავის ხელი არ მომფერებია, გარდა იმისა, გარდა მისი ხელისა.

აი, როგორი ყოფილა ადამიანური ბედნიერება. აი თურმე რას ნიშნავს, იყო ადამიანი. მეც ადამიანივით ბედნიერი ვიყავი, თითქოს ერთი მათგანი გავხდი.

როცა ტრფიალით გული მოვიჯერეთ, მაღლა ამოვედით. დღის სინათლე, მზის სინათლე, დამაბრმავებელი. კაშკაშა მზის ციალი ახლა მთელ ხეობას ეფინებოდა. წყარო ისეთი წყნარი იყო, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. სწორედ აქ დავშორდით ერთმანეთს და მე, ბედნიერი, შინისაკენ გავემართე.

სახლის კართან, ჯერ კიდევ ცხელი ხელით წირთხლს ჩავეჭიდე და ბედნიერებით აღსილი გავინაბე.

მინდვრიდან მამის დაბრუნებას ველოდი, საჭმელს ვამზადებდი და მდინარეზე ვფიქრობდი. ალბათ, ცუდად მოვიქეცით, რომ დავიკიწყეთ და არც კი შევხვედეთ, იქნებ, განრისხდა, რომ მის წინ არ

ვილოცეთ და მის წყალში არ განვიწმინდეთ, სანამ სიყვარული მოგვიცავდა, რომ მხოლოდ ჩვენს თავზე ვფიქრობდით. იქნებ, ეს შეცდომა იყო, და სასჯელიც მოგველოდა. ყველა მდინარეში ხომ ღვთაება იმალება და მისი ყურისწამღები ქუხილიც განრისხებული ღვთაების უცილობელი ნიშანი იყო. თითქოს კვლავ მესმოდა ეს შუქარით სავსე ქუხილი და ახლა, მარტომყოფს შიშით მავსებდა.

მდინარე ხომ გულღვარძლიანია, ეს ყველამ იცის, ღმერთიც ღვარძლიანია.

უფალი? უფალი რაღას იზამს? მაპატიებს ამ ცოდვას?

მე ხომ უფალს ვეკუთვნი, მე ხომ მისი პატარძალი ვარ.

ჰო, ცხადია, ასეა. მაგრამ მე ხომ ადამიანიცა ვარ. ადამიანი, ქალი, ისეთივე ქალი, როგორიც სხვები არიან. მე ხომ სწორედ ეს ვიგრძენი, ეს შევიცანი, სულ ახლახან, როცა ენით უთქმელი სიხარული განვიცადე. ისეთი სიხარული და ბედნიერება, რომ ვერც წარმოვიდგენდი, რისი უფლებაც ჩამორთმეული მქონდა. ჩამორთმეული? ვინ ჩამომართვა?

ღმერთმა ამირჩია, ღვთის რჩეული ვარ. მაგრამ მიწიერმა ცხოვრებამ, ჩვეულებრივმა ადამიანურმა ცხოვრებამაც ამირჩია. სიყვარულმა ამირჩია, ადამიანმა შემიყვარა, ჩემი დაუფლება მოისურვა და მეც ნეტარებით დავნებდი. მე მისი პატარძალი ვარ, უფლის და მისი პატარძალი.

არა, ამაზე ჯობდა, არ მეფიქრა. ჯობდა მხოლოდ ჩემს ბედნიერებაზე მეფიქრა, მხოლოდ ბედნიერებაზე და მეტი არაფერზე.

მაგრამ უფალი, თავად უფალი მღელვარე ფიქრებით მავსებდა და თუმცა თავიდან მოშორებას ვლამობდი, მათგან თავი ვერც შემდგომში დავაღწიე, არ მშორდებოდნენ. მაშინ არ ვიცოდი, ვერც კი ვხვდებოდი, როგორ უნდა შევეშფოთებინე ჩემი და ჩემი შეყვარებულის ბედს, ვერც კი წარმოვიდგენდი, რა გველოდა, რა გვემუქრებოდა.

თავადაც არ ვიცოდით, რა ჩავიდინეთ, როცა ამ უფსკრულში, აბობოქრებული მდინარისაკენ გავქანდით.

ვცდილობდი, შინაური საქმეებით გავრთულიყავი და სხვა არაფერზე მეფიქრა. მაგრამ გონებას ამით ვერ დავაკავებდი, ჩემი ხელები საქმეს დაუფიქრებლადაც მშვენივრად აკეთებდნენ. ჩემი ხელები, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ ეალერსებოდნენ...

რა მშვენიერია, როცა შეყვარებულის თავს, ასეთ განძს ხელებს შემოხვევ, მის ტუჩებს კოცნით გაათბობ, დაწვავ და დაინახავ მისი მზერა შენსაში როგორ ჩაიძირება...

ნეტავ მე როგორი მზერა მქონდა მაშინ... ალბათ, წყალწაღებულის...

ვინმეს რომ გაეგო, რა მოხდებოდა? რა საზარელი ხვედრი გველოდა? თუმცა ეს ხომ საიდუმლოდ მოხდა. არავინ და არაფერი

იცოდა. არა, მდინარემ იცოდა. მდინარემ და ღმერთმა. უფალმა იცოდა!

და ასე ხომ კიდევ გაგრძელდებოდა. კიდევ და კიდევ გაგრძელდებოდა. ჩემი სხეული ამას ითხოვდა და არაფერს შეეძლო მისი ძახილის ჩახშობა. მზად ვიყავი ხმამაღლა მეყვირა, დაე, ყველა მთას გაეგო... მოხდეს, რაც მოსახდენია! არ მეშინია! სიყვარულს არაფრის ეშინია! მხოლოდ ის მაფრთხობს, რომ ჩემი შეყვარებული... ჩემს შეყვარებულს შეუძლია...

ნეტავ თუ იცოდა რამე? თუ იცოდა, რომ პითია, უფლის ქადაგი და პატარძალი ვიყავი? ან თუ გაიგებდა, ნუთუ სხვებივით... ნუთუ მაშინ...

არა, ჯობდა არაფერზე მეფიქრა, მხოლოდ ჩემს ბედნიერებაზე მეფიქრა, რა ბედნიერი ვიყავი მაშინ, იმჟამად, იმ დღეს. გამეხსენებინა კეთილი ხეების საბურველქვეშ, სურნელოვანი წიწვის სარეცელზე მასთან როგორ ვიწექი, ამ საბურველქვეშ, მის ხელზე, მის მძლავრ ხელზე რა კარგად ვისვენებდი, როგორ მივეალერსე... ჰო, მასთან ვპოვე სიმშვიდე, როგორც იქნა, ვპოვე... ოღონდ უფალს შეერჩინა ეს სიმშვიდე, შენარჩუნების უფლება მოეცა... უფალს, ვინც სიმშვიდე ვერ მომანიჭა, ვისაც არ შეიძლებოდა ეს ჰქონოდა, ცხადია, გასაგებია, მშვენივრად მესმოდა... მაგრამ ადამიანი სუსტი არსებაა, მხოლოდ ადამიანია. მას ხომ უნდა ჰქონდეს სიმშვიდის შეცნობის უფლება, ორ შეყვარებულს ხომ უნდა ჰქონდეს ერთმანეთის მკლავებში სიმშვიდის მოპოვების უფლება... ხომ შეიძლებოდა შეყვარებულის მკლავებში ერთხელ მეც მშვიდად დამესვენა, მე ხომ ასე დიდხანს მენატრებოდა სიმშვიდე...

მახსოვს, როგორ ვემუდარებოდი უფალს, მომეცი ბედნიერების განცდის უფლება, მომეცი მშვიდობა სიყვარულში, ამ მიწიერ სიყვარულში ახლა რომ მავსებს-მეთქი.

არც კი მესმოდა, რომ მიამიტი სული იმას ვემუდარებოდი, რასაც ვერასოდეს მომანიჭებდა, ამის თხოვნა უაზრობაც იყო, მე ხომ ვთხოვდი, თავად მიმატოვე-მეთქი.

ჩვენი ბედნიერებისათვის უკეთესი იყო, მაშინ რომ არ მესმოდა, რა უაზრობას ვემუდარებოდი და. ისიც, რა რთულს, რა შეუძლებელს მოვითხოვდი, როცა მეგონა, უფალი მას შეისმენს-მეთქი. ჩვენ სიყვარულით ვცოცხლობდით, განუყოფლად მივნებდით, არაფერი გვაეჭვებდა და მაინცდამაინც არც არაფერზე ვღელავდით. დროდადრო მხოლოდ ჩემში იჩენდა შფოთვა თავს, ჩემს შეყვარებულს არაფერი აკრთობდა, ეს განცდა მისთვის სრულიად უცხო იყო. იგი მთლიანად სინამდვილეს, მიწიერ ყოფას, ჭეშმარიტ ცხოვრებას ეკუთვნოდა და მის მიღმა არაფერი აშინებდა. მან არ იცოდა, რისი უნდა გვშინებოდა, არ შეიძლებოდა ეს სცოდნოდა.

ჰო, მადლი იყო, რომ არაფერი, სრულიად არაფერი ვიცოდით. ერთმანეთი გვიყვარდა და როცა კი შეგვეძლო, როგორც კი სა-

შუალება მოგვეცემოდა სიახლოვეს ვეძებდით; საიდუმლოდ ვეძებ-
დით, სხვაგვარად არც შეგვეძლო შეხვედრა, მაგრამ ეს ჩვენს
ურთიერთობას მხოლოდ ამძაფრებდა. სადაც მოგვხვდებოდა, იქ
გვიყვარდა ერთმანეთი, როგორც ცხოველები, როგორც თავად ბუ-
ნება, მუდამ გალაღებულ ჰაერზე ვეძლეოდით თავდავიწყებას. იძუ-
ლებულიც გახლდით და თავადაც ასე გვსურდა. ჩვენცა და ჩვენს
მიუსაფარ და ბედნიერ სიყვარულსაც ასე უფრო უხდებოდა. არა
ჰერქვეშ, როგორც ეს ადამიანებს შორისაა მიღებული, არამედ
ქარში, წვიმასა და მზეში გვიყვარდა. თუკი სურვილი მოგვიცავდა,
სადღაც ქერის ყანაში შეგვეძლო ერთმანეთს დავნებებოდით. ვიწვე-
ქით იქ, თვალს მოფარებულნი, ჩვენს სიყვარულთან განმარტოე-
ბულნი. მხოლოდ არწივები ცაში ირაოს ჰკრავდნენ და გვხედავდნენ.
მახსოვს, ერთხელ, შუა ზაფხულში თავთავი მწიფდა და ჩვენს ზე-
მოთ მტვერი რიალებდა, როცა ერთმანეთს შევედღეთ მზის ელვა-
რებაში. სამუდამოდ დამამახსოვრდა ქერის სუნი და ზაფხულის
ხვატისაგან აცახცახებული ჰაერი.

მაგრამ მდინარესთან ჩასვლა არაფრით აღარ მინდოდა. თუმცა
ხანდახან ის მიხმობდა, ყველაზე საიმედოდ დაფარული იქ ვიქნე-
ბითო, ამბობდა. რად არ გინდა იქ წამოსვლაო, მეკითხებოდა, მაგ-
რამ არა და არ ვეუბნებოდი.

ისიც მყოფნიდა, რომ მდინარის ქუხილი, შორეული მუქარით
სავსე ქუხილი ჩემს სიყვარულს განუყოფლად შეერწყა. როცა
სიყვარულს ვნებდებოდი, ის ხმები მუდამ მესმოდა. დღისით, მზის
გულზე. პურის ყანაში გაჩეცდილ ბედნიერების წამსაც კი ირგლივ
მდინარის ყრუ ქუხილი მესმოდა. ან იქნებ, ეს ყველაფერი ჩემში
ხმიერებდა?

ჩემმა შეყარებულმა არაფერი იცოდა. აფორიაქებულ აზრებს
ეუმალავდი. ფიქრები ყველაზე ხშირად მაშინ მომეძალებოდა, როცა
შინ მარტო ვრჩებოდი, ვფუსფუსებდი და ფიქრისათვის საკმაო დრო
მქონდა. მაშინვე ბუნდოვანი მღელვარება, მომავლის გაუცნობიერე-
ბელი შიში მიპყრობდა. შემდეგ რა მოხდება? რა მომელის?
მუცლადღება? ერთხელ, რაღაცას ვეძებდი და უცებ ჩემს საპატა-
რძლო სამოსს წავაწყდი. სასწრაფოდ სადღაც მოშორებით გადავმა-
ლე და ცარიელ სახლში მშფოთვარე ფიქრებით დამძიმებულმა,
აღელვებულმა ვიბორიალე.

ნეტავ შემძლებოდა მისთვის, ჩემი შეყვარებულისათვის ამეხს-
ნა, რა მთრგუნავდა. როგორ დავმშვიდდებოდი, დარდის გაზიარება
რომ შემძლებოდა. არაერთხელ დავაპირე გულის გადახსნა. მინდო-
და მეკითხა, იცოდა თუ არა... იცოდა, ვინ ვიყავი? მაგრამ ვერ ვბე-
დავდი. ჩემი ბედნიერება მეტად ძვირფასი იყო და მისი დაკარგვა არ
მსურდა. დიახ, მე მოვიპოვე ბედნიერება და შეიძლებოდა დაშეკარ-
გა, თუკი შეყვარებულს გულს გადავუშლიდი. ასეთი რამ ხომ
ყველგან ხდებოდა. რომ მეთქვა, ვინც ვიყავი...

მან ხომ ალბათ, იცოდა კიდეც, შეიძლებელია, არ სცოდნოდა მაშ რად...

ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტე მეთქვა.

მას თურმე სცოდნია, რომ მე ორაკულის ქადაგი ვიყავი, მაშინ, როცა ის ჯერ კიდევ პატარა ბიჭუნა იყო და შესაძლებელია მიგვიანებებითაც, როცა მან მამისეული სახლი დატოვა, მაგრამ ეგონა, რომ მეც სხვებივით რამდენიმე წელიწადი დავყავი პითიად და ეს სამსაური კარგა ხანია დავასრულე. როცა გაიგო, რომ ახლაც ორაკულს ვემსახურები და კვლავ პითია ვარ, ძალიან გაოცდა. უცხო მიწიდან დაბრუნების შემდეგ, ჩემ შესახებ არავითთან ულაპარაკია, რათა ჩვენი საიდუმლო არ გავცა, ამიტომ არც არაფერი გაუგია. მხოლოდ ის იცოდა, რაც თავად ეუამბე: რომ მამძესთან ვცხოვრობდი და ოჯახს ვუვლიდი. მისმა ნათქვამმა მიმახვედრა, რომ მაინცდამაინც ნათლად არ ესმოდა ორაკულის ქადაგის არსი. იგი ხომ დიდხანს დელფოსგან მოშორებით ცხოვრობდა და ამასთანავე ამ ქალაქის ცხოვრება ღიდად არ იტაცებდა. ეს საჩემო არააო, მითხრა. მაგრამ როცა გაიგო, რომ კვლავ პითია ვიყავი და ღვთაებასთან ასე მჭიდრო კავშირი მქონდა, გაოცება ვერ დამალა. აშკარად არაფერი უთქვამს, მაგრამ მივხვდი, რომ შეჩქვიფდა.

გულზე მომეშვა, როცა დავინახე ჩემი ნაამბობი როგორ მიიღო. არა, არ დავკარგავდი, მივხვდი, რომ ცხადია, არ დავკარგავდი. მისთვის ჩემი პითიობა არც ისე მნიშვნელოვანი იყო. იგი პირველი ადამიანი გახლდათ, რომელიც ამის გამო არც ველურივით მიყურებდა და არც თავს მარიდებდა. ცხადია, არ იცოდა, რომ ახლა ვიყავი პითია, მაგრამ საერთოდ ხომ იცოდა ჩემი პითიობის ამბავი და ასეთი ვუყვარდი. განა საჭირო იყო კიდევ საბუთი, რომ მისოკის ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა!

მადლიერებისა და ბედნიერების გრძნობამ ამავსო. ყველაფერი ვუამბე და მანაც გაიგო, ჩემი მღელვარება გაიგო. თუმცა ჩემს შეშფოთებაზე ვერაფერი ვუთხარი, პირდაპირ არაფერი მითქვამს. აღარც ვდგლავდი, მან ხომ გაიგო, სწორედ ისე გაიგო, როგორც შეუყვარებულს ძალუძს გაგება.

ვიჯექი და ხელზე ვეფერებოდი, ასე ძვირფას და საყვარელ ხელზე, შემდეგ მახსოვს ამ ხელს ვაკოცე. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც კოცნითა და ღიმილით დავშორდით ერთმანეთს.

ამ საუბრის შემდეგ, პირველივე პაემნისას ყველაფრი ძველებურად გაგრძელდა. ჩვენი პირველი სიახლოვის მერე, ვგონებ ასე ვნებიანად არასოდეს მოვფერებივარ. ჩემი სიყვარული უფრო მხურვალე, უფრო მადლიერი გახდა და მსურდა ეს მეჩვენებინა, მსურდა მისთვის მეჩუქებინა სიყვარული, ჩემი თავი, მთლიანად ჩემი თავი, სხეული, სინაზე, სურვილი, ყოველივე, რისი მოცემაც შეყვარებულ ქალს ძალუძს. მან მიიღო ჩემი საჩუქარი და თავადაც ვნების ალში გაეხვია. თუმცა ჩემი თავაწყვეტილებით, მგონი, ცოტა

გაოცებული დარჩა. მახსოვს, შემდეგ ისე ჩუმად მეფერებოდა, თითქოს ჩემი დამშვიდება უნდოდა.

წინა საუბარს აღარ მივბრუნებივართ, ორივე თავს ვარიდებდით. თითქმის აღარასოდეს გვილაპარაკია. შევამჩნიე, სიტყვა ამ თემაზე ჩამოვარდებოდა თუ არა, შეცბებოდა და იბნეოდა, ამიტომ თავადაც ვერიდებოდი საუბარს ახლა, როცა გული გადავუშალე და ყველაფერი უწინდებურად რიგზე იყო.

დიახ, ყველაფერი ძველებურად იყო. მხოლოდ ჩემი სიყვარული უფრო მხურვალე გახდა და უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა. ვერ ვმალავდი, რა უსაზღვროდ მჭირდებოდა იგი, როგორ ვუფრთხილდებოდი და ვებღაუჭებოდი, რა აუცილებელი შეიქნა ჩემთვის და ეს ალბათ, კარგად მეტყობოდა.

მისი გრძნობა ისეთივე მშვიდი და ზომიერი იყო, როგორც სხვა მისი თვისებები — სწორედ ამის გამო მიყვარდა. თავისებურად მასაც ვუყვარდი, ძლიერი ადამიანის მშვიდი სიყვარულით ვუყვარდი და ცხადია, არასოდეს მიღალატებდა, მაგრამ ჩემი აფეთქებული ვნება, მის სიყვარულსა და სურვილს ვგონებ, სულაც არ აძლიერებდა. პირიქით, დროდადრო, თითქოს აკრთობდა კიდეც. როგორც ჩანს, შეჩქვიფებისა და კრძალვის გარეშე ვერ იხსენებდა ჩემს ხაბბობს, რომ მე პითია ვიყავი და უფალს ვეკუთვნოდი. ცოტა განმიდგა კიდეც და სწორედ იმიტომ, რომ მის განდგომას ვგრძნობდი, უფრო მჭირდებოდა, უფრო ვებღაუჭებოდი, უფრო მხურვალედ და თავშეუკავებლად ვეკრობოდი, სულ ასე ვიქნებოდი მის კისერზე ჩამოკიდებული!

ახლა მისი დაკარგვის აღარ მეშინოდა, ცხადია, არ მეშინოდა, სულაც არ მეშინოდა და მაინც ისე ვებღაუჭებოდი, თითქოს რაიმე საშიშროება მელოდებოდა. არ მჭირდებოდა, მაგრამ სახეზე ზეთს ვისვამდი, რათა სახის კანი დამერბილებინა და ნაოჭებიც გაძესწორებინა., თუმცა ჩემს ნორჩ სახეზე ჯერ არც ერთი ნაოჭი არ ჩანდა, ასაკი არ მეტყობოდა და გარეგნობითაც მასზე უფროსს არ ვგავდი. ზეთს კი მაინც ვისვამდი. ერთხელაც წყაროსთან არ დამხვდა და სასოწარკვეთილებამ მომიცვა, განსჯის უნარი დავკარგე, სირცხვილის გრძნობა დავივიწყე. მაშინვე ვაგრძნობინე, რა დაუცხრომელი იყო ჩემი სურვილი, რა გულწრფელად სიამისმომგვრელი იყო ჩემი სიყვარული. ვიცოდი, რომ წყალწაღებულის მზერა მქონდა, მაგრამ აღარ მაცბუნებდა, მზერას არ ვარიდებდი, აღარაფერს ვმალავდი! არაფრის დამალვა აღარ მსურდა!

ჩემი ვნება ჰგავდა ველურ უფსკრულს, რომელიც მის ჩასირეკმელად იყო გამზადებული და მე ვხედავდი, რომ კაცს ეს აფრთხობდა.

დიახ, ჩემი სიყვარული უზომოდ დიდი იყო. დიდი სიყვარული კი ადამიანს აწუხებს. ეს არ მესმოდა, ამის შესახებ არაფერი ვიცო-

დი. რომც მცოდნოდა, არაფერი შეიცვლებოდა. სიყვარულის ზუსტი საზომის მოძებნა ხომ არავის ძალუმს.

შეუძლებელი იყო, არ დაეფრთხო ამ თავშეუკავებლობას, ამ ველურ ხანძარს, რადგან მისთვის, მისი სამყაროსათვის, მისი საიმედო, მშვიდი, მიწიერი სამყაროსათვის ეს უცხო იყო. მე ხომ სწორედ ეს სიმშვიდე და საიმედობა მიყვარდა და ხედავთ, ისე შგზნებარედ შევიყვარე, დავკარგე კიდეც, შეუძლებელი იყო, არ დამეკარგა. სწორედ ყოვლისწამლეკავი სიყვარულის გამო დავკარგე. არა, ჩემი სიყვარული ამ ცხოვრებისათვის ვერ ივარგებდა, მასში არ ჩაეტეოდა. როგორც ჩანს, ამ სამყაროს, ნამდვილ ადამიანურ სამყაროს მართლა ვერ მოვერგე. მისთვის შექმნილი არ ვიყავი.

ჩემი შეყარებულის ხვევნა თავად სიმშვიდე, სასურველი და ტკბილი სიმშვიდე იყო. მაგრამ მე მშვიდობისათვის შექმნილი არ ვიყავი, მეუცხოვებოდა, რადგან უზომოდ მიყვარდა.

ჩემს შეყვარებულს ხელი არ უკრავს. იგი უწინდებურად კეთილი დარჩა. ხელიხელჩაკიდებულნი საათობით ვისხედით და ესაუბრობდით. როცა მივეკრობოდი ხვდებოდა, რომ მის მოლოდინში გული მელეოდა. ვგრძნობდი, თავად არ ვსურდი, საპასუხო ვნებას ვერ ვაღვიძებდი, მაგრამ ხშირად მაინც ემორჩილებოდა ჩემს ნდომას, ჩემს თავაწყვეტილობასა და აღგზნებას იტანდა, თუმცა თავად აღარ იზიარებდა. ყველაზე მეტად ის მტანჯავდა, რომ თითქოს მხოლოდ სიკეთის გამო მითმობდა. მიუხედავად სურვილისა, მწარე იყო იმის აღქმა, თუ რა ცოტა ჰქონდა საერთო სიკეთეს სიყვარულთან.

ჰო, ის ძალიან კეთილი იყო: უცნაური გრძნობა მიპყრობდა, როცა ვხედავდი მისი საერთოდ ასე ძლიერი ხელი რა წყნარად, დინჯად მეფერებოდა და ამ ალერსისას სიყვარული როგორ ქრებოდა და იფერფლებოდა.

აი, ასე ვცხოვრობდით იმ საბედისწერო დღემდე, როცა ტაძრიდან შემომითვალეს, უნდა დაბრუნდეო. ორაკული კვლავ იწყებდა თავის სამსახურს, და მე ხანგრძლივი დღესასწაული და პილიგრიმთა ვეებერთელა ლაშქარი მელოდებოდა.

უკანასკნელ საღამოს სასოწარკვეთილი ვიყავი და ამ სასოწარკვეთილებას ვერც ვმალავდი. სულ მეკითხებოდა, რა დაგემართოო. მაგრამ არ მსურდა, ჩემი თავი ვერ ვაიძულე, მეთქვა. აი, ასე აცრემლებული და სულაწეწილი დავშორდი.

მეორე დილას, პატარძლის სამოსი ამოვიღე, მამისთვის სიტყვა არ მითქვამს. სახლიდან ჩუმად გავედი და დელფოსაკენ გავემართე. დილის ბინდი იდგა და ვარსკვლავთა ყინულოვან სხივებქვეშ ვიყინებოდი. ღმერთი აღარ მიყვარდა, სხვა, სხვა შევიყვარე; მას კი არ ვეპირდებოდი და უსაზღვროდ მარტოსული ვიყავი.

როგორც კი მიწისქვეშა ტაძარში ჩავედი, მაშინვე ვიგრძენი, რომ ის ვისაც ეულალტე, უკვე ჰქ ‘იყო. მისმა მძაფრმა და გამა-

ბრუებელმა სუნთქვამ სახეში დამიბერა, თითქოს მაშინვე დამეძგერა. მთელი მიწისქვეშეთი მისით, მისი სულით იყო სავსე. მძიმე და მხუთავი ჰაერი იდგა. ორაკულის შხამიანი გველები უკვე გამოძვრენ და ორკაპა ენებს ჩემკენ იშვერდნენ, ნაპრალიდან, რომელიც მიცვალებულთა საუფლოსაკენ მიემართებოდა, გულისამრევი, შხამიანი ანაორთქლი ამოიჭრა. ჯერ ზედადგარზე შემჯდარი არ ვიყავი, რომ უკვე დავიბანგე. აქამდე არ ყოფილა შემთხვევა, მის გავლენას ასგ სწრაფად მოვექციე, არარაობად ვქცეულიყავი და მისით ავვსებულიყავი. თითქოს სწორედ ამ წუთს ელოდა, როცა ბოლოს და ბოლოს თავს დამესხმოდა. ყელში ისეთი ძალით წამიჭირა, თითქოს დახრჩობას მიპირებდა, სუნთქვა შემიჩერდა და საზარელი სისინი აღმომხდა. თავზარდაცემული და შიშით გათანგული გახლდით, სიმსუბუქე და სიხარული არც ერთი წამით აღარ მიგრძვნია. ასეთი წამება არასოდეს განმეცადა, ასე სასტიკად, ბოროტად, მძვინვარედ არასოდეს მომპყრობია, მაგრამ არც ასეთ შლეგ ექსტაზში ჩავუგდივარ ოდესმე. შემდეგ მიამბეს, ჩემი სხეული თურმე გაშმაგებით აწყდებოდა აქეთ-იქით, ხოლო შმაგი კივილი ზემოთ, ტაძარშიც ისმოდა. საზარელი განცდა იყო. ყველაზე მეტად კი იმან შემაშინა და დამაფრთხო, რომ ექსტაზის მიღმა, საიდანღაც მდინარის ყრუ ხმაური მესმოდა, მეზმანებოდა. ნუთუ შესაძლებელი იყო? ნუთუ მართლა მესმოდა? ყველაზე მეტად ეს რად მაფრთხობდა?

შემდეგ დედაბრის სახლში ვისვენებდი და საშინელი წამების შემდეგ, გონებას ვიკრებდი. მოხუცი მსახური მოვიდა და ცოტა ხანს ჩემს საწოლთან ჩამოჯდა. იგი ღელავდა, თავს როგორ გრძნობო, მეკითხებოდა. შენი სახე ასე დამაფრთხობლად საზარელი, როგორც ამჯერად იყო, ჯერ არ მინახავსო. ეს ქურუმებმაც შენიშნეს და ერთმანეთშიც ლაპარაკობდნენო. შენით, შენი ღვთაებრივი შეშლილობით ძალიან კმაყოფილები არიანო. მაგრამ, თავის მხრივ ფრთხილად დაამატა, რა საჭიროა ასე გახელებით დანებდე უფალს, ღმერთი, ხომ ცხადია, ამას არ მოითხოვსო. თვალდახუჭული მის შზრუნველ სიტყვებს ვისმენდი. დაღლილ სახეზე სუსტმა ღიმილმა გადამირბინა, თუმცა მსახურს ეს არ შეუნიშნავს.

ის ღმერთზე, თავის ღმერთზე ლაპარაკობდა. მე რაღა მაცინებდა?

შემდეგ მოხუცმა მსახურმა რაღაც მიამბო ერთ უცნობ ადამიანზე, რომელმაც პილიგრიმების დარბაზიდან კიბე ჩამოირბინა, წმინდა მიწისქვეშეთში შემოიჭრა და საზარელი თვალებით დამაშტერდა. ალბათ, აქაური არ იყო, დელფოში ამგვარი უცნაურობის ჩადენას ვერავინ გაბედავდა. ყველამ იცის, რომ ეს სასტიკად აკრძალულია. ორაკულის ქურუმები გამძვინვარდნენ. კაცი ცხადია, მაშინვე გააძევეს; ტაძრის დარაჯმა ხელი ჩასჭიდა, გაიყვანა და არავინ იცის, ახლა რა სასჯელი მოელის, თუმცა შეიძლება დაუსჯელიც გადარჩესო.

საკმაოდ უჩვეულო შემთხვევა გახლდათ, მაგრამ მე მაინც გონებადაფანტული ვუსმენდი, სანამ არ აღნიშნა, მგონი, ეს კაცი ცალხელა იყო.

საწოლიდან წამოვხტი. როგორც ჩანს, ფერი შეცვალა. მოხუცი მსახური გაოგნებული შემომცქეროდა. ცხადია, ვერ მიხვდა, ასე უცებ რად შევიცვალე. სამაგიეროდ მიხვდა, რომ დასვენებას აღარ ვაპირებდი, ესე იგი კარგად ვიყავი, შეეძლო, აღარ შეშფოთებულიყო და ისიც სრულიად კმაყოფილი, სიკეთით სავსე, გაღიმებულ დამშორდა.

მარტო დავრჩი. დიდხანს ვიჯექი და თავში ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები მერეოდა. რატომ მოვიდა? რა უნდოდა? რამ უბიძგა? იქნებ, იმიტომ, რომ იგი... იქნებ, მთლად გულგრილი მაინც არ იყო?

გულში რაღაც სუსტი იმედი გამიკრთა, თუმცა საამისო მიზეზი არა მქონდა.

პატარძლის სამოსი დინჯად გავიხადე, ჩვეულებრივი კაბა ჩავიცვი და ხეობისაკენ გავემართე.

შინ არავინ დამხვდა. გამოვედი და ალალბედზე ყანებისაკენ წავეხეტე. დავინახე, მამამისის დათესილ მიწის ნაკვეთს ამუშავებდა და მისკენ გავეშურე. ჩემს დანახვაზე იგი ოდნავ შეცბა და ყოველთვის პირდაპირ, ნათელ გამოხედვაში გაუბედავი, ფრთხილი მზერა შევნიშნე. როცა მივუახლოვდი, თავი არ აუწევია. ასე ვიდექით ორივე და ვდუმდით.

ყოველივე ნათელი იყო. მან დაინახა, იხილა ჩემი საზარლად შეცვლილი სახე, როცა უფალი მფლობდა, იხილა ის, რისი ატანაც არავის შეუძლია და რასაც სიკვდილის კარამდე ვერავინ ივიწყებს. ახლა მისთვის პითია ვიყავი, მისთვის, როგორც ყველასთვის, ღვთით ატანილი პითია ვიყავი. ახლა ისიც სხვებს დაემსგავსა და ამით ყველაფერი დასრულდა.

გამოვკითხე და დაუფარავად მიპასუხა, ასეო. ამას ვერასოდეს მოვინელებო. მივხვდი, რასაც ამბობდა: არც ერთ მამაკაცს არ შეუძლია ქალის შეყვარება, თუკი ასეთს, თუკი ღვთით ატანილს იხილავს.

შემდეგ მიამბო: დილით წყაროსთან ბოვედი და შენს მოსვლას ვუცდიდი. შენ არ გამოჩნდი და როცა გამახსენდა, რა უცნაურ სულიერ მდგომარეობაში იყავი წინა საღამოს, უფრო შევშფოთდი. უცებ გავიფიქრე, ხომ არაფერი დაემართა-მეთქი. თქვენს სახლთან ვიცდიდი. იქ არავინ დამხვდა, მაშინ უფრო შეშფოთებულმა მინდორში ბამაშენი მოვძებნე, მაგრამ არც ბამამ იცოდა რამე და გაუკვირდა. რომ სახლში არ იყავი. იგი შეყოყმანდა, შემდეგ ნაძალადევად, უხალისოდ დაამატა, ალბათ, დელფოში, ორაკულის ტაძარში წავიდაო. მეც ტაძრისაკენ გამოვეშურე და უკვე ტაძრის წინ შენი ველური კივილი გავიგონე, თითქოს ვიღაც გაწამებდა. ჯერ ტაძარში

შემოვიჭერი, შემდეგ პილიგრიმთა დარბაზში, საიდანაც, როგორც მომეჩვენა, შენი კივილი ისმოდა. შემდეგ კიბით ქვემოთ დავეშვი...

აქ, თხრობა შეწყვიტა.

ხელში მოვკიდე ხელი:

— ჩემ გამო შიშობდი?

— ჰო.

— მეტად აღარ შეშფოთდები, არასოდეს. ისე მიყვარხარ, შეუძლებელს შევძლებ შენთვის.

იგი მიმიხვდა, რა აზრი ჩავაქსოვე ამ სიტყვებში, მიმიხვდა, რომ მისთვის გავაკეთებდი ყველაზე ძნელს, უკანასკნელს, რაც კი შეყვარებულ ქალს შეუძლია: გავანთავისუფლებდი ჩემგან და მეტად ველარ მიხილავდა. დღეის შემდეგ გავიყრებოდით. ის ძველებურად თავის, მე კი ჩემს სამყაროში ვიცხოვრებდით. ალბათ, ასეც უნდა ყოფილიყო.

დიდხანს ვიდექით. მიწას მიშტერებულნი ერთმანეთს თვალს ვარიდებდით. ხელზე მოვუჭირე ხელი, ოღონდ არც ისე ძლიერად, რომ გახსენებოდა, რა მხურვალედ მიყვარდა ან რა მძიმე წუთი მედგა. შემდეგ ერთმანეთს სამუდამოდ დავშორდით.

თუმცა გვერდიგვერდ ვცხოვრობდით, აღარასოდეს შევხვედრივარ. აშკარად თავს მარიდებდა, ალბათ, ფიქრობდა, ორივესთვის ასე სჯობიაო. თავადაც ასე ვფიქრობდი და მისი მადლიერი ვიყავი.

თუ დელფოში არ ჭიბარებდნენ, უწინდებურად მამასთან ვცხოვრობდი და დროს იმავე ბუნებაში, იმავე ხეობაში ვატარებდი, ისევე როგორც ის, მე ვისაც დავშორდი. ზაფხულის მიწურულიდგა, ირგვლივ ყველაფერი გადაიხრუკა, ჩვენი ხეობა, ველები, ტყეები, ყველაფერი, ყველაფერი თითქოს ცეცხლმა დასწვა. მხოლოდ წყარო არ შეცვლილა, ძველებურად სუფთა, ანკარა წყლით იყო სავსე, რადგან ღვთაებრივი გახლდათ. ქვიშაც ერთ ადგილზე უწინდებურად ისე მდორედ ტრიალებდა, თითქოს უფლის უხილავი ხელი მართავდა. დილდილაობით ძველებურად მივდიოდი იქ და ფიქრებთან განმარტოებული ცოტახანს ვჯდებოდი. მაგრამ წყაროში არასოდეს ჩამიხედავს, არ შემეძლო, აღარ მსურდა ჩემი სახის დანახვა. უბრალოდ ვიჯექი, გავცქეროდი ცარიელ სივრცეს, რომელიც სულ უფრო საშემოდგომო და უფერული ხდებოდა. შემდეგ თვალდახუჭული რამდენიმე პეშვ წყალს შევსვამდი და შინ ვბრუნდებოდი.

ცხადია, ისიც ყოველდღე დადიოდა. ეს ცივი წყალი ხომ მასაც არანაკლებ უყვარდა და არც უმისობა შეეძლო, მაგრამ ისეთ დროს მოდიოდა, როცა მე არ ვიქნებოდი. ჩემი იმედი ჰქონდა, იცოდა, არ დავხვდებოდი.

ერთხელ შორიდან მოვკარი თვალი. ჭალაში, რომელიც მამამისის ნაკვეთს ეკუთვნოდა, ზეთისხილს აგროვებდა. იმის მიხედვით, თუ როგორ უჭირდა ტოტის დაჭერაც და ზეთისხილის ჩამოკრეფაც,

მაშინვე ვიცანი. თავად შეუმჩნეველი ვიდექი და შევყურებდი, როგორ სწევდა ზევით თავის ერთადერთ ხელს და ბებერ ხეს ნაყოფს აცლიდა. მისი სახე არ ჩანდა, მაგრამ ვიცოდი, რომ ის იყო. თავი ვერ შევიკავე, მიწაზე დავეცი, დავემხე და ავტირდი, ავქვითინდი.

შინ დავბრუნდი თუ არა, დავჯექი, სახეზე ხელები ავიფარე და მასზე ვფიქრობდი. მარტო გახლდით, მამა ჯერ კიდევ არ იყო ჩოსული.

ნეტავ შემძლებოდა დავხმარებოდი, სანამ ზეთისხილს ჩამოკრეფდა, ტოტი დამეჭირა. ნეტავ შემძლებოდა მასთან ერთად მიწაზე, ამ ხეობაში ხანგრძლივი და ბედნიერი ადამიანური ცხოვრებით მეცხოვრა. ისეთი ცხოვრებით, დედაჩემმა რომ გალია, მრავალნი და მრავალნი რომ ცხოვრობენ. რად არ მაქვს ამის უფლება? რად არ მაქვს უფლება სხვებს ვგავდე?

მაშინ უკანასკნელად ვნახე, მაგრამ თავად ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ უკანასკნელად ვხედავდი.

მცირე ხნის შემდეგ მე, უფლის მიერ ნამუსახდილი, ორაკულის მიწისქვეშეთიდან გონდაკარგული გამომიყვანეს. ამას ცხადია, ვერავინ ვიხვდა. ყველამ მხოლოდ დაინახა, რომ, როგორც არასდროს, ისე გახლდით ატანილი, რომ ჩემმა ექსტაზმა, სიშლეგემ საშინელი ძალით იჩინა თავი და ალბათ ზედადგარიდან ჩამოვვარდებოდი, ოღონდ მსახურს რომ არ მოესწრო და ხელი არ ეტაცა.

ეს ამბავი ასე მოხდა: ის იყო გონებას ვკარგავდი, რომ თხის მძაფრი სიმყრალე ვიგრძენი და შავ თხად გარდასახული, ორაკულის მიწისქვეშეთში თავის წმინდა ცხოველად გარდასახული უფალი მძვინვარედ, ხარბად დამეძგერა... ტკივილითა და ზიზღით ვიგრძენი, რომ ვიღაც დამეუფლა, მბრძანებლურად დამიმორჩილა, რაღაც მძვინვარე და მრისხანე ძალამ თავისი არაადამიანური სიდიადით ბამაბრუა. შეუცნობელმა, ყოველისშემძლე ძალამ რაღაც მანქანებით ორაკულის მიწისქვეშეთის მყრალი თხის სახე მიიღო და ამ დროს, როგორც არასდროს ისე ნათლად მესმოდა მდინარის ყრუ ქუხილი, რომელიც უფრო და უფრო იზრდებოდა, მეხივით გრგვინავდა და სიამტკბილობის ჟამს, ეხით უთქმელი ტანჯვითა და შიშის ზარით ბავსებდა.

შემდეგ თითქოს სადღაც ჩავეშვი და აღარ ვიცი, რა მოხდა, სანამ დედაბრის სახლში არ გამოვფხიზლდი. დედაბერი გულაჩუყებული თუ დამცინავი გამომეტყველებით ფუსფუსებდა და ცნობისმოყვარე ბზერას არ მაშორებდა. ვთხოვე, მარტო დამტოვე-მეთქი; იგი დაეჭვებული. უხალისოდ დამემორჩილა და ახლა მარტოს შემეძლო ჩემი ფიქრით დავტანჯულიყავი. ადგომის თავი არ მქონდა, ამიტომ დიდხანს ვიწექი და შინისაკენ მხოლოდ საღამოს გავეშურე.

როგორ მოხდა? ერთსა და იმავე დროს მოხდა? ამას ვერავინ და ვერასოდეს გაიგებს. მისი დამახინჯებული სხეული მეორე დღეს მდინარეში იპოვნეს. მაგრამ ამბავი, ალბათ, უფრო ადრე, იმ დილით

მოხდა, როცა სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა, სწორედ იმ დილას, როცა მე, რაც გიამბეთ, ის გარდამხდა თავს. როგორ მოხდა, ან იქ რისთვის წავიდა, ვერავინ მიხვდა, მას ხომ არაფრად სჭირდებოდა ამ ველურ უფსკრულში ჩაძრომა. აბა, საიდან უნდა სცოდნოდათ, რომ სცდებოდნენ, რომ მან ძახილი შეისმინა, რომ მას მოუხმეს იქით, რათა სიკვდილს შეხვედროდა, რომ გადაულახავმა ძალამ მოუხმო, მისი დაღუპვა, მისი გადაყლაპვა რომ უნდოდა. დაიხრჩო თუ უფსკრულში ჩავარდა, დაიმტვრა და დაუეჭილობამ თუ ჭრილობებმა მოჰკლა? ან იქნებ, ტკივილმა გონება დააკარგვინა და მღინარეში ჩაიხრჩო, თუმცა იმ დროს წყალი სულ დაბლა იყო დაწეული? მის ძალაუფლებაში მოქცეული ჩემსავით უგრძნობლად ხომ არ გაიშოტა? აბა რა ვიცი! გაქმული, გულღმა იწვა და წყალი ოღნავ ფარავდა, როგორც კი მოიფიქრეს, იქ მოვძებნოთო, მაშინვე შენიშნეს.

ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ უფსკრულში ჩავარდა, რადგან ერთადერთი ხელით ხის ტოტს გაშმაგებული ჩაბღაუჭებოდა. ფიქრობდნენ, ამ ტოტს მოეჭიდა, რათა თავი შეეკავებინა და არ ჩავარდნილიყო. მაგრამ დახეთ საოცრებას, ტოტი დაფნისა გამოდგა, თუმცა ვიწრო გამოქვაბულში უფლის წმინდა ხე არ ხარობდა. ეს ყველას უცნაურად მოეჩვენა; თუმცა ამაზე ფიქრით თავი არავის ეუტკივებია. არავინ იცოდა, სინამდვილეში რა მოხდა, ამის მიღმა სინამდვილეში რა იფარებოდა. ვის შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ ეს უფალმა იძია შური აღამიანური ბედნიერებისათვის, უფალმა იძია შური, რადგან რჩეულმა უღალატა, ალოლოდ მისთვის ცხოვრება არ ისურვა.

ხალხი, რომელმაც იგი იპოვნა, ამბობდა, თითქოს მძინარეს ჰგავდა, მაგრამ ფერი ჰქონდა დაკარგული, გაუფერულებული და მკრთალი იყო ის, ვისი ჯანმრთელობის ხასხასა ფერებიც მუდამ ყვაოდა. მისი სხეული ჭრილობებით გახლდათ დაფარული, ოღონდ სისხლი არ ჩანდა, სისხლი მდინარემ წაიღო, მდინარემ მიითვისა, ყველაფერი მიითვისა.

თავად არ მინახავს იგი, როგორ გაბედავდი! ბევრი კი წავიდა, სანახავად: მისმა უჩვეულო სიკვდილმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია; ნახულობდა ისეთი ხალხიც, რომელსაც მისი არსებობა არასოდეს გაახსენდებოდა, ასეთი სიკვდილით რომ არ მომკვდარიყო. მე კი უფლება არ მქონდა. სიყვარული მიშლიდა წავსულიყავი და მენახა. სიყვარული მაშინვე თავს გასცემდა, ყველასთვის საცნაური გახდებოდა. არ შემეძლო მისვლა მის სახლში, სადაც წაასვენეს. ეს მის მშობლებს გააოცებდა, შეიძლება დაეეჭვებინა კიდეც, მე ხომ მათ თითქმის არ ვიცნობდი. არაფერი შემეძლო, სრულიად არაფერი. მხოლოდღა მარტოობის ჟამს, როცა მამა არ მხედავდა, ტირილი შემეძლო. მამას არასოდეს შეუმჩნევია, რომ ვტიროდი, რადგან მაშინ, როცა ჩვენი სიყვარული ყვავოდა, არაფრით დაეჭვებულა. ეს

ამბავი კი მამისაგან შევიტყე. გავიგე, რომ ჩემი შეყვარებული მოკვდა, რომ იპოვნეს, ის გავიგე, რაც ყველამ იცოდა, ჩვენს ხეობაში ამაზე კარგა ხანს ლაპარაკობდნენ.

შემდეგ მალევე მიივიწყეს. მშობლიურ მიდამოებში მას ცუდად იცნობდნენ, რადგან მრავალი წელი შინ არ ყოფილა, სხვებთან ერთად გლეხურად არ უშრომია, გაშინაურება ვერ მოასწრო. და აი, გარდაიცვალა. რა მხურვალედ უნდოდა და მაინც ვერ მოასწრო მიწის ნაკვეთის შეძენა და ერთადერთი ხელით მისი დამუშავება.

მხოლოდ მე ვერ დავივიწყე. დარდისაგან გული მეფლითებოდა: მისი სიკვდილით თითქოს მეც წამერთვა სიცოცხლე, თუმცა მაშინ უკვე აღარ მეკუთვნოდა, თუმცა უფრო ადრე დავკარგე და როცა მისი სიყვარული მოკვდა, სიცოცხლეც მაშინ დავასამარე. ახლა არაფერი დამიკარგავს. მაგრამ როგორ შემეძლო, არ მეფიქრა მასზე, ვინც ყველაფერი მომცა, შემდეგ კი ყველაფერი წამართვა, ვინც თავისი უსაზღვრო სიკეთით სიცოცხლის ძალა მაგრძნობინა!

ვერ ვივიწყებდი და ვერც დავივიწყებ, თუმცა ამდენი ხანგრძლივი წელი გასრულდა, თუმც ყოველივე ისეთ შორეთში დარჩა, ალბათ, ბინდში უნდა ვხედავდე. ის კი, ისე ცოცხლად მიდგას თვალწინ, თითქოს არც მომკვდარა.

რა უცნაურია, ასე ვზივარ და კვლავ მას ვიხსენებ, კვლავ იმ ერთადერთ. ხანას ვიხსენებ, როცა ჭეშმარიტი ცხოვრებით ვცხოვრობდი.

მძიმე დრო დამიდგა. ჩემი დარდის ყველასთვის დამალვა მიჭირდა. ვერავინ უნდა მიმხვდარიყო, რა უბედურება მეწვია, როგორ ვიტანჯებოდი. მაგრამ მე ხომ ბავშვობიდან გულჩახვეულობასა და ყველაფრის დაფარვას ვიყავი მიჩვეული, ახლაც მოვახერხე და. მგონი, ვერავინ შენიშნა. ვერავინ დელფოელი დედაბრის გარდა. ზუსტად არ ვიცი, როგორც ჩანს, რაღაცამ დააეჭვა. დედაბერი ადამიანის ბუნებას კარგად იცნობდა, მას ხომ ყველას ნაკლის ქექვა უყვარდა. ამისგან კი თვალი გამჭრიახი ხდება. დედაბერს არაფერი დაემალებოდა.

ერთხელაც, გვიან შემოდგომისას, თვიური ციკლი დამერღვა და ვიფიქრე, ალბათ ფეხმძიმედ ვარ-მეთქი. ამ აზრმა შიშით და საოცარი, ჯერაც განუცდელი სიხარულით ამავსო. არ ვიცოდი, წარმოდგენაც არ ჰქონდა, როგორ შეიცვლებოდა ჩემი ცხოვრება, ცხადია, თუ ცოცხალი გადავრჩებოდი. მიუხედავად ამისა, სულის სიღრმეში სიხარული ცოცხლობდა. ჩემში ისეთმა ჩუმმა აღფრთოვანებამ ჩაიბუდა, რომ ვერავინ მიხვდებოდა, ჩემ გარდა ვერასდროს და ვერავინ მიხვდებოდა. იგი რაღაც არაჩვეულებრივს მეჩურჩულებოდა, ჩუმად, შეუპოვრად. განუწყვეტლივ რაღაც არარსებულს, თავად სიკვდილის დამარცხებაზე მეჩურჩულებოდა, სიყვარულის კვდომასა და თავად სიკვდილზე გამარჯვებას მამცნობდა. გაუნძრევლად, თვალდახუჭული ვჯდებოდი, რათა იგი, ჩემი სხეულის ჩუმი

აღფრთოვანება, გამარჯვების აღფრთოვანება შემეგრძნო. და როგორც კი ასე დავჯდებოდი, ვგრძნობდი, რომ ჩემი სიყვარული არ მოკვდა, იგი ჩემში, ჩემს სიღრმეში ცოცხლობდა. ჩემი შეყვარებული არ მოკვდა, ის კვლავ არსებობდა, ჩემში ცოცხლობდა. არ მოვუტყუებივარ, არასოდეს მიმატოვებდა, ახლა აღარასოდეს მიმატოვებდა.

ჩემმა სიყვარულმა ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვა. მე დავიბრუნე იგი.

ეს ბედნიერება იყო, ისეთი დიდი ბედნიერება, რომ ჩემთვის გაუგებარი დარჩა, როგორ ვერ ამჩნევდა ხალხი და საიდუმლოდ როგორ რჩებოდა. მაგრამ სწორედ ამის გამო, რომ ვერავინ მიხვდა, რომ ჩემში დაფარული საიდუმლო ვერავინ ამოიცნო, ჩემი ბედნიერება უფრო დიდი და ყოვლისმომცველი, მომხდარი სასწაული კი წარმოუდგენელი გახდა.

ცხადია, მოუსვენრად ვგრძნობდი თავს, ცხადია, ხშირად აღელვებით და გულის კანკალითაც ვფიქრობდი რა მომელის-მეთქი, მაგრამ რა მოხდებოდა, ვერ წარმომედგინა, ეს ზმანებას ჰგავდა. მე ხომ მომავალი თითქოს დაეკარგე, უმომავლოდ დავრჩი და ამიტომ შიშისაგან განსაცვიფრებლად განვთავისუფლდი. აბა რისი შეიძლებოდა ახლა, ასეთ მდგომარეობაში, ჩემს ახალ, დალოცვილ მდგომარეობაში მშინებოდა. ჩუმი აღფრთოვანება მღელვარებას, შიშს, სიფრთხილეს, ყოველივეს ახშობდა და მოსალოდნელ ხიფათსაც სადღაც სინამდვილის მიღმა დევნიდა. მხოლოდ იმ სინამდვილით ვცხოვრობდი, რასაც ჩემს სიღრმეში ვმალავდი. ახლა მხოლოდ ამით ვარსებობდი.

ზამთარი დადა და ჩემი ფეხმძიმობაც შუა ზამთარში აყვავდა, გაზაფხულივით, ზაფხულის კარიბჭესავით გაიფურჩქნა. ბუნების კვდომა სულაც არ აცბუნებდა, არაფერი არ აცბუნებდა. ხალხი ვერაფერს ამჩნევდა, ჯერ არაფერი მეტყობოდა. ასეთი დიდი საასწაული მოხდა, ირგვლივ კი ვერავინ ხედავდა, რა მჭირდა.

დედაბრის ეჭვი კი არ გაიფანტა, პირიქით, გაიზარდა. მართალია, კვლავ ალერსიანი იყო ჩემთან, როგორც ყველასთან, ვისაც ელაპარაკებოდა, მაგრამ ხანდახან ისე უცნაურად გამომხედავდა, თვალს ისე ამაღევნებდა, როგორც მხოლოდ ქალებს შეუძლიათ. ეს უსიამოვნო გრძნობა გახლდათ და მაწუხებდა, მაგრამ თავს ვიწყნარებდი, მე ხომ ადრეც არ მსიამოვნებდა, როცა მიყურებდა-მეთქი. დედაბერი არაფერს ამბობდა, ერთი გადაკრული სიტყვა არ უთქვამს, რომ მეფიქრა, რაღაც იცის, ან ხვდება-მეთქი. ასეთი მზერა, რომ არ ჰქონოდა...

ბალე მივხვდი, რად არ მსიამოვნებდა მისი მზერა, მივხვდი, რომ სულ თვალს მადევნებდა. ეს მისი მოვალეობაც გახლდათ, თუმცა საკუთარი სურვილითაც სიამოვნებით ჩაიდენდა. გავიგე, რომ პასუხისმგებლობა პითიაზე მას ეკისრებოდა, რომ უფლის რჩეულისათ-

ვის, რომელიც ღვთაებასთან სიახლოვის გამო ასე მნიშვნელოვანი პიროვნება იყო ტაძრისა და ქალაქისათვის, მას უნდა ეთვალთვალა და ეჯაშუშა და ყოველივე, თვით უმნიშვნელო წვრილმანიც კი ქურუმებისათვის მოეხსენებინა. დედაბერიც ამ საქმეს დიდი სიამოვნებით ასრულებდა.

პითიებზე მოსახსენებელი იშვიათად ჰქონდა, გარდა ჩვეულებრივი ჭორებისა, რომელიც ვგონებ, მხოლოდ მისი ცნობისმოყვარეობას აკმაყოფილებდა, ახლა კი უცებ გაჩნდა სათქმელი, თანაც ისეთი, ადრე რომ არასოდეს მომხდარა; ბოლოს და ბოლოს ამას მაინც მიუგდებდნენ ყურს, თანაც განცვიფრებულნი და თავზარდაცემულნი მოისმენდნენ. მთავარი კი ის იყო, რომ ეს მე მეხებოდა, პითიას. ვისზედაც სამწუხაროდ არასოდეს და არაფერი ჰქონდა სათქმელი.

ბოლოს და ბოლოს დარწმუნდა, რომ ფეხმძიმედ ვიყავი. როგორც ჩანს, თავი კარგა ხანს იმტვრია იმის გასაგებად, თუ როგორ ჩავვარდი ამ დღეში. მე ხომ მარტოსული გახლდით, არც კაცებს, არც ქალებს, არავის ვიცნობდი და მხოლოდ ჩემს ბებერ მამასთან დავდიოდი. დღემდე ვერ გამიგია, როგორ აღმოაჩინა ჩვენი სიყვარულის საიდუმლო, რომელიც ხეობის სიღრმეში ყველასგან დაფარული იყო, სიყვარული, რომელიც მეგონა, მხოლოდ ჩვენ ორს გვეკუთვნოდა, რომელსაც არ შეიძლებოდა ხალხის ბინძური აზრები და სიტყვები შეხებოდა. ასე იყო თუ ისე, დადგა დღე, როცა ქურუმებმა და მთელმა ქალაქმა შეიტყო ღვთის წინაშე, ტაძრის წინაშე. მთელი ქალაქის წინაშე ჩემი გაუგონარი დანაშაულის ამბავი. ყველამ გაიგო, რომ ფეხმძიმედ ვიყავი, მამა კი ის კაცი გახლდათ, რომელიც მკვდარი იპოვეს მდინარეში და რომელმაც დამსახურებული სასჯელი უკვე მიიღო. სწორედ ის ცალხელა ერთხელ, მიწისქვეშა ტაძარში შეეჭრა და მისი შეურაცხყოფა რომ სცადა და ვინ იცის, იქნებ, უფლისათვის მისი დოვლათის, მისი ატანილი, მისი სულით აღვსილი ქადაგის მოპარვა სურდა.

ეს კაცი უფალმა უკვე დასაჯა, მაგრამ მე დავრჩი. ყველაზე მთავარი დამნაშავე კი მე ვიყავი, რამეთუ ის კაცი უბრალო მოკვდავი გახლდათ, მე კი უფალმა ამირჩია, რათა მისი მიზნებისათვის, ერთგულად, რწმენით, თავგანწირვით მემსახურა. მე ხომ ასეც ვიქცეოდი მთელი ცხოვრება, სიყმაწვილის ჟამიდან მოყოლებული, რაც პითია გავხდი. მხოლოდ ტაძრისა და უფლისათვის ვცხოვრობდი. ყველას თვალში მე და ორაკული ლამის განუყოფელი ვიყავით. თავადვე ამბობდნენ, ისე უყვარს ღმერთს, რომ მხოლოდ მისი ბაგეებით სურს ქადაგება. ჩემი სახელი კი ტაძრისათვის და ესე იგი მთელი ქალაქისათვის სასარგებლო იყო. ეს ყოველივ ახლა განსაკუთრებულ დანაშაულად ეთვლებოდა, ეს ყოველივე ჩემს დაცემას უფრო საშინელს ხდიდა, ხოლო მოულოდნელად ამოხეთქილ სიძულვილს უფრო მძვინვარედ აქცევდა. ის ამბავი, რომ ღმერთი

სწორედ მე შევურაცხყავი და მოვატყუე, რომ ვუღალატე და მიწიერ მამაკაცში გავცვალე, წარმოუდგენლად მძიმე დანაშაული გახლდათ, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, თუ რა სამარცხვინო იყო.

უმაღლეს ქურუმთა საბჭოს წინაშე წარვსდექი. ნუთუ დედაბრის ნაამბობი მართალიაო, შემეკითხენ. მათ ეს შეუძლებლად მიაჩნდათ, ეს არ ეხამებოდა იმას, რაც თავად იცოდნენ ჩემზე, ამ წლების განმავლობაში, რაც ტაძარს ვემსახურებოდი, მე ხომ ორაკულის მშვენიერ ქადაგად მთვლიდნენ. როგორც ჩანს, ძალიან მოწადინებული იყვნენ, რომ ეს ტყუილი გამომდგარიყო. მაგრამ მე მაშინვე გამოვტყდი და, ალბათ, სახეზეც მეტყობოდა ჩემი ფეხმძიმობით რა ბედნიერი ვიყავი.

ქურუმები ამან უფრო გააოცა და გაამწარა. ერთხმად ალაპარაკდნენ, ყოველივე მომხდარი გაუგონარი, შეუძლებელი და ტაძრისათვის სამარცხვინო საქციელიაო, ორაკულის კეთილ სახელს ჩრდილს ჰფენსო, სამართლიანი იქნება თუ კლდიდან გადავჩეხავთ, როგორც ჩვეულებრივ ტაძრის შემბილწველებს ვექცევითო, თუმცა ვხვდებოდი, რომ ამის მოსჯას არ აპირებდნენ. შემდეგ კვლავ ჩემკენ იბრუნეს პირი, მელაპარაკნენ უფალზე, თუ რა საშინლად შევცოდე მის წინაშე და კვლავ სირცხვილზე, რომელიც ტაძარს, ორაკულს და მთელ ქალაქს თავს დავატეხე. დასასრულ გამომიცხადეს, ღმერთი შენთვის ჰკაცრ სასჯელს მოითხოვს და ღღის განმავლობაში განაჩენს გამოგიტანთო.

მათ არ დაეუსჯივართ, მათ მხოლოდ გადადეს მსჯავრის გამოტანა და ამით სხვებს ჩემი ხვედრის გადაწყვეტის საშუალება მისცეს.

ქალაქში მეხივით გავარდა ხმა, რომ ყოველივე ვაღიარე და გამძვინვარებული ბრბო მოაწყდა დედაბრის სახლს, სადაც, იცოდნენ, განაჩენს ველოდებოდი. ქვებითა და მარგილებით შეიარაღებული გამძვინვარებული ბრბო ჩემს სიკვდილს ითხოვდა. სარკმლიდან ვხედავდი მათ და ვხვდებოდი, რომ ამ ხალხს უყოყმანოდ შეეძლო თავისი მუქარა აღესრულებინა. ერთნაირი სიბოროტით, მძვინვარე სიძულვილით დამახინჯებული სახეები, საზიზღარი დასანახავი გახლდათ. სახლში კი ბებერი კუდიანი უჩუმრად ფუსფუსებდა, ვირთხის ნაცრისფერ სახეზე დაუფარავი, ავხორცული სიხარული ეხატა, თავს კი ისე მაჩვენებდა, თითქოს ჩემ გამო შიშობდა. თან დაუსრულებლად მიმეორებდა, შენზე პასუხს აღარ ვაგებ, სჯობს, აქედან წახვიდეო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩემი თავი ჩასაქოლად უნდა ვიმეცა, ბრბოს უნდა მოვეკალი. ცხადია, დედაბერს არ გაუმხელია, რომ თავად დამაბეზღა, მე კი არ მეხალისებოდა მეთქვა, რომ ყველაფერი ვიცოდი. დედაბერი, ალბათ, დარწმუნებული იყო, არაფერი იცისო და ადვილი შესაძლებელია, თავი უდანაშაულოც ჰგონებოდა ჩემს ხვედრში, იმ უბედურებაში თავს რომ დამატყდა. იგი ხომ ფიქრობდა, რომ სამართლიანი, კეთილი და მოკრძალებული

ქალი იყო, რომ ცხოვრებაში ცუდი არავიზე უთქვამს, თუმცა გარს არამზადა, ცრუ და ყოველმხრივ უგვანი ხალხი ეხვია.

ყვირილი და მუქარა უფრო გამძვინვარდა, ქურუმები კი ზომებს არ იღებდნენ, ჩარევას არ ცდილობდნენ. როგორც ჩანს, სიამოვნებით მისცეს ბრბოს უფლება თავად გამოეტანათ ჩემთვის განაჩენი, რათა ზედმეტი საზრუნავი თავიდან აეცილებინათ. ამ სახლში, სადაც შიგნით ნაცრისფერი უხსენებელი დაცოცავდა, გარედან კი გახელებული, სისხლმოწყურებული ბრბო ეხვია, ჩემი მდგომარეობა საშინელი, სასოწარკვეთი იყო და მეც ცოცხლად გადარჩენის ყოველგვარი იმედი გადავიწურე.

ჩემი ერთადერთი მეგობარი, ბერიკაცი — ორაკულის მსახური სწორედ მაშინ გამოჩნდა. სანდლების ხმამაღალი კაკუნით შემოირბინა, სული ძლივს მოითქვა და მითხრა, ტაძარს შეაფარე თავი, იქ დაიმალე. ტაძრის კედლები წმიდათა წმიდაა, იქ ვერავინ გაგიბედავს ხელის შეხებას, რადგან თავად უფალი დაგიფარავსო. ბებერმა კუდიანმა მისი არასასურველი ჩარევისას სულ ცოფი ჰყარა. გაახელა იმ აზრმა, რომ ტაძარი ასეთ საქმეს მოემსახურებოდა, რომ ჩემსავით გარყვნილ დედაკაცს, რომელმაც უფალი მოატყუა, ღმერთი დაიფარავდა. ალბათ, არცაა გასაოცარი, ასე რომ გახელდა. ორაკულის სახელი ხომ მუდამ ძვირფასი იყო მისთვის და უფრთხილდებოდა. ტაძარს, თავის განძსაც ესათუთებოდა და თვლიდა მის მოსაგლეველად ვარ გაჩენილიო, თუმცა იქ ფეხი არასოდეს შეუდგამს. აბა, როგორ უნდა დაეშვა, რომ ტაძარი ამ მიზნით გამოგვეყენებინა და დამსახურებულ სასჯელს გადავრჩენოდი! მის სახეზე, მის ნაცრისფერ ჩამკვდარ სახეზე, რომელსაც უკანასკნელად შევცქეროდი, ადრე სიბოროტე არასოდეს შეპიმჩნევია, მაგრამ ახლა თავის შეკავება აღარ შეეძლო.

ამასობაში, მოხუცმა მსახურმა, რომელსაც არაფერი შეუნიშნავს, ხელი მტაცა და ჩემი სიცოცხლის გადარჩენა სცადა. დედაბრის სახლი ზედ ტაძრის გვერდით იდგა და სანამ ბრბო ჩემს გაქცევას შენიშნავდა, იქ მირბენას მოვასწრებდით. ხალხმა სახლის წინ მოიყარა თავი. გვერდით კი კარი იყო, რომლის არსებობაც, ალბათ, არავინ იცოდა. იქიდან ისე გამალებით გავძვერით, არავის დაუნახავს. შემდეგ ტაძრის კიბე ავირბინეთ და შესასვლელისაკენ გავქანდით. ამ დროს, ცხადია, შეგვნიშნეს და ზურგს უკან გახელებული კივილი გაისმა. ბრბო დაგვედევნა და კიბე ერთ წამში შეავსო. ამასობაში ჩვენ კოლონადა გავიარეთ და ტაძარში შევცვივდით. დღევანდელი დღესავით მახსოვს: საფრთხისა და მღელვარების მიუხედავად, ჩემს მეგობარს სანდლების გახდა მაინც არ დავიწყებია და შემომხედა, რათა იგივე გამეკეთებინა მე, რომელსაც ცხადია, ყველაფერი დამავიწყდა. როგორ ჰგავდა ეს უფლის ჩემი კეთილი მეგობრის საქციელს, უპირველესად იმაზე იფიქრა, რომ ტაძრის წმინდა კედლებში შევედით. სწორედ ეს განაპირობებდა ჩვენს უსა-

ფრთხოებას, თუკი საშიშროება მართლაც აღარ გველოდა. ბრბოს მაინცდამაინც არ ეტყობოდა წმინდა კედლების პატივისცემა. იგი ყვირილით შემოიჭრა შიგნით და ტაძრის სიღრმეში მიმალვა ძლიეს მოვასწარი. შეშლილებივით ყვიროდნენ, მოვაშორებთ უფალს ამ სიბილწეს, ამ გარყვნილ ქადაგს, რომელმაც ისიც და მთელი ქალაქიც შეარცხვინაო.

ამ დროს, მოკრძალებული და კეთილი მოხუცი მსახური ისე გარდაისახა, თვალებს არ დაუჯერე. ძლიერი და მტკიცე ხმით, რომელიც მისგან არასოდეს გამეგონა, გამოაცხადა, აქ უფლის ტაძარია და ვინც მასში ძალმომრეობისათვის შემოჭრას გაბედავს, უფლის მსახვრალი ხელით მიიღებს სიკვდილსო. ყველას, ვინც ტაძარში იმალება, უფალი თავისი სიძლიერით იცავსო.

— იქნებ, არ იცოდით? — გამძვინვარებულმა შესძახა უცებ.

ამ სიტყვებით დამფრთხალმა, საზარელმა, ლურჯსახიანმა ბრბომ უკან დაიხია. ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში იოტისოდენი ეჭვიც არავის ეპარებოდა, ეს უმისოდაც ყველამ კარგად იცოდა. ბრბომ უკან, კოლონადისაკენ დაიხია, მაგრამ მოხუც მსახურს მოეჩვენა. ვიღაცეები ფეხს ითრევენო. მაშინ გულიანად სტაცა ხელი ცოცხს, რომელსაც მუდამ შესასვლელთან ტოვებდა და ამდენი ხალხი ნაგავივით ისე გახვეტა, თითქოს თავის საქმეს ასრულებდა. ის ხომ უფალმა ტაძრის სისუფთავის მოსავლელად დააყენა.

ამგვარად ყველა გაიძევა, თავად კი კოლონადაში დარჩა, რათა შეეკავებინა ისინი და მათთვის, ვინ შიგნით შემოჭრას შეეცდებოდა, გზა გადაეღობა. როგორც ჩანს, მოახერხა. ტაძარში არავინ გამოჩენილა. ბრბო შესამჩნევად ჩაწყნარდა, მხოლოდ განუწყვეტელი ხმაური და დროდადრო ცალკეული წამოძახილები მესმოდა.

მარტო ვიყავი ტაძარში, მარტო, უფლის მფარველობას შეფარებული. უარი არ უთქვამს, მთლად არ დავიწყებია, რომ მას ვეკუთვნოდი. მკლავები გადამიშალა, თავისი ნათელი მკლავები გადამიშალა და დღის სინათლით გაჩახჩახებულ ტაძარში მიმიღო, სწორედ იმ დიად ტაძარში, სადაც მე არ ვემსახურებოდი. როგორც იქნა, აქ მიმიღო.

საოცარია, ამ მძიმე წუთებში. როცა ტაძრის კედლებს მიღმა ბრბო ჩასაქოლად მელოდა და ალბათ, მომკლავდა, უცებ საზეიმო სიჩუმით ავივსე; მან ბოლოს და ბოლოს ამავსო თავისი სიჩუმით, რომელსაც ამდენგზის ვთხოვდი და ადრე არასოდეს მანიჭებდა. როგორც იქნა, შეეიგრძენი სიმშვიდე და მშვიდობა, ასე რომ ვემუდარებოდი, როგორც იქნა, მის მკერდში ჩაკრულს მშვიდად დასვენების უფლება მომეცა. ვხვდებოდი, რომ ეს წამიერი განცდა გახლდათ, ჩემი ხვედრი ხომ გადაწყვეტილი იყო. ვხვდებოდი და მაინც უზომოდ ბედნიერი ვიყავი.

ირგვლივ ყველაფერს ისე მოწიწებითა და სიხარულით ვუმზერდი, როგორც იმ დღეს, როცა აქ დედასთან ერთად მოვედი, მისი

სავანე პირველად დავინახე და მეგონა აქ ვემსახურებოდი. ჩემს სურვილს ახდომა არ ეწერა, მაგრამ ახლა აქ, თავის ჭეშმარიტ ტაძარში მიმიღო, სასიკვდილო საშიშროების ჟამს თავშესაფარი და სიმშვიდე აქ მომანიჭა. ახლა, როგორც არასდროს ვგრძნობდი მის სიახლოვეს, მაგრამ ამჯერად ცეცხლისა და სიმხურვალის სახით კი არა, სინათლის სახით მომევლინა. ვგრძნობდი, სახეზე მისი სინათლე მეფრქვეოდა და ბედნიერებისაგან დახუჭულ თვალებს ცრემლი მიწვავდა.

ამ სასტიკმა, შეუცნობელმა ღმერთმა თავისი სინათლე, თავისი სამყარო გულუხვად მიძღვნა, ახლა, როცა ყველაფერი დასრულდა, როცა მისი ტაძარი სამუდამოდ უნდა დამეტოვებინა. თავისი სიმშვიდე ახლა მაჩუქა წამიერად, მხოლოდ წამიერად და ისიც მაშინ, როცა იქ, კედლის მიღმა ჩახლეჩილი ხმები ყვირილით მომითხოვდნენ. ეს ყვირილი იჭრებოდა მისი ტაძრის სიჩუმეში, იმ სამყაროში, რითაც ბოლოს და ბოლოს დამასაჩუქრა.

არასოდეს დამავიწყდება ის წუთები. არასოდეს ჩამიქრება მადლიერების გრძნობა, რომ მისი განცდის უფლება მომენიჭა და ვერასოდეს გავიგებ ასეთი როგორ შეუძლია იყოს, ასეთი რად უნდა იყოს.

იქნებ, ამანაც მიშველა; გული გავიმაგრე, ძალა მოვიკრიბე და ტაძარი დავტოვე, თუმცა ბრბო კვლავ იქვე იდგა, მდარაჯობდა და თავშესაფრიდან ჩემს გამოსვლას ელოდებოდა. არ ვიცი ასე რად მოვიქეცი, იქნებ, უფალმა ჩამაგონა, ან პირიქით, იდუმალი დაუმორჩილებლობა, ჯანყი, თვითდამკვიდრებისაკენ მისწრაფება, ამ იდუმალი, უგულო ღმერთის გამოწვევა იყო. იქნებ, სიამაყე ან სიკვდილისა და ბრბოს ზიზღიც ერია. ასე იყო თუ ისე, გადავწყვიტე უბიფათო ნავსაყუდელი დამეტოვებინა და ჩემი ხვედრის, სიკვდილ-სიცოცხლის შესახვედრად გავსულიყავი. ტაძარში უსასრულოდ დარჩენა მაინც შეუძლებელი გახლდათ, ადრე თუ გვიან წასვლა მაინც ვომიწევდა.

ორაკულის მოხუცმა მსახურმა დაინახა, რომ სანდლებს ვიცვამდი, მიხვდა, რას ვაპირებდი და დაფრთხა. ჩურჩულით მთხოვდა, ამ სიგიჟეზე უარი თქვიო. მაგრამ მისი თხოვნის მიუხედავად, მიღებული გადაწყვეტილება აღარ შევცვალე.

ყველას გასაოცრად კოლონადაში გავედი და კიბეზე დავეშვი. ბრბო ისე გაოგნდა, გონი ვერ მოიკრიბა, არც კი გავულანძღივარ, ჭოლოდ მიცქერდა და მდუმარედ გზას მითმობდა. როგორც ჩანს, ახლა, როცა ბოლოს და ბოლოს გამოვედი და ვათ წინ წარვსდექი, ისევ ვაფრთხობდი, როგორც ვაშინებდი მუდამ, სანამ პითია ვიყავი, თანაც ჩემი უფრო ეშინოდათ, ვიდრე ორაკულის სხვა ქურუმებისა. მე ხომ უფლის განსაკუთრებით საყვარელი რჩეული გახლდით და როგორც არავინ, ისე ვიყავი მისი სულით ატანილი, მისით აღვსილი. ეტყობა, ბრბომ იფიქრა, თუმცა შეაჩვენეს, ღვთიური ძალა, თუნ-

დაც მრისხანე შეჩვენების სახით კვლავ ცოცხლობს მასშიო. ეს აშინებდა. მოშორებით აჩერებდა, ახლოს მოსვლას ვერავინ ბედავდა. ხალხი, მგონი, ჩემმა საქციელმაც დაზაფრა. გაიოცეს, რომ ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ტაძრიდან გამოსვლა გავბედე და მათ შორის გამოვჩნდი. ეს არ ესმოდათ, ადამიანი ასე არ იქცევა, აჭ რაღაც არაადამიანური მოჩანდა.

ბრბო მზად იყო ჩავექოლე, მხოლოდ ამაზე ფიქრობდა, თვალები სიძულვილით უბრწყინავდა და მაინც კარგა მოშორებით ფრთხილად იდგა.

კიბეზე დავეშვი და ტაძრის მოედანი გადავკვეთე, რათა წმინდა გზაზე გავსულიყავი. ბრბომ გზა დამითმო, გახელებულ, ქვებითა და მარგილებით შეიარაღებულ ხალხს შორის მივაბიჯებდი და ვერავინ მიბედავდა შესებას. მაგრამ უკანა რიგები თანდათან ახმაურდნენ, აყვირდნენ. მალე ყოველი მხრიდან წამოვიდა ლანძღვის კორიანტელი. ყველაზე უხეში სიტყვები, რაც ქალს შეიძლება უწოდო, ფეხმძიმობისათვის შეუფერებელ ჩემს ასაკს ბოროტად დასცინოდნენ! ისინი არაფრის წინაშე არ იხევდნენ უკან, სამართლიანი აღშფოთებითა და სიძულვილით იყვნენ განმსჭვალულნი ჩემდამი, ვინც თავი მოკრა ქალაქს, ტაძარს, ღმერთს, ყოველივეს, რითაც ისინი ცხოვრობდნენ, ვინც დელფოს და ორაკულს არნახული ლაფი დაასხა, რაც თავის მხრივ პილიგრიმთა ნაკადის შემცირებასა და ალბათ, მათი შემოსავლის შემცირებასაც გამოიწვევდა. არაბუნებრივი ზიზღისაგან ბრბოს სახეზე სისხლი წამოაწვა. მრავალი მათგანი სიძულვილით ვიცანი, ყველანი ხომ აქაურები იყვნენ, წელიწადის ამ დროს დელფოში უცხოები არ მოდიოდნენ. ყველა წრის, ყველა წოდების ქალები და მამაკაცები ირეოდნენ ბრბოში. თანაც ქალები მრავლადაც იყვნენ, თუმცა ერთი შეხედვით, ვის, თუ მათ არა, ჩემსავე დებს უნდა გაეგოთ და სიყვარულისთვის ჩადენილი ცოდვა უნდა მიეტევებინათ. ასეთი რა ჩავიდინე. მათ ენაზე ხომ ამას სიყვარული ერქვა.

ეს უგვანი სახეები სამუდამოდ ჩამინერგავდა ზიზღს ადამიანისადმი. ამ სახელით ცნობილი უგვანი არსებისადმი, მათ მიმართ ჯანსაღ აზრს რომ არ ეკარნახა, მთავარი ეს არ არის, მთელი სიმართლე ეს არ არისო. მაგრამ მაშინ ეს სიმართლე, სახიფათო და მრისხანე სიმართლე იყო.

ისინი ფეხდაფეხ მომდევდნენ. უკნიდან მომადგებოდნენ, გვერდიდან შემომირბენდნენ, დაუსრულებლად ყვიროდნენ და ილანძღებოდნენ, მაგრამ შეხებას ვერ მიბედავდნენ, ეშინოდათ. იქნებ, იმიტომაც, რომ წმინდა გზას მივუყვებოდი. ეს გზა ხომ ტაძარივით ის ადგილი გახლდათ, სადაც მშვიდობა არ უნდა დარღვეულიყო და ძალმომრეობა არ უნდა მომხდარიყო. ან იქნებ, მომხუცი მსახურის სიტყვებით აღძრული შიში ჯერ არ გამქრალიყო.

გზამ გვერდზე გაუხვია: უკანასკნელად მოვიხედე, რათა ჩემი

მეგობარი, ჩემი ერთადერთი კეთილისმსურველი დამენახა. იგი კვლავ ტაძრის კიბეზე იდგა და თვალს მადევნებდა. ასე იდგა იქ, თავის ცოცხით ხელში და ტიროდა. გამწარებულმა ცრემლი ძლივს შევიკავე. რამდენიმე წამში კი იგი უკვე აღარ მოჩანდა და მეც თავი მაშინვე უსაზღვროდ ეულად და ობლად ვიგრძენი.

ასე მივდიოდი ახლა წმინდა გზაზე, რომელსაც ოდესღაც, სინორჩის ჟამს, ერთი ღვთიური სიდიადით გასხივოსნებულ დილას, აღფრთოვანებული, უფლის პატარძლად მორთული და მისდამი სიყვარულით აღვსილი მივუყვებოდი. ახლა ამ გზაზე უკანასკნელად შევდიოდი და როგორ განსხვავდებოდა ეს გზა, იმ პირველი გზისაგან. ირგვლივ მუქარისა და შეურაცხყოფის კორიანტელი იდგა, არ ვიცოდი, წინ კიდევ რა საშინელება მელოდა და უცნაურია, მაინც ჭშვიდად ვიყავი. ისევე მშვიდად, როგორც ტაძარში. ოღონდ ახლა, ეგონებ, ეს ჩემს მიერ მოპოვებული, ჩემი ძალებით შექმნილი სიმშვიდე იყო. იქნებ, არა?

ჩემს მდგომარეობაში ასეთი სიმშვიდე ბრბოსთვის, ალბათ, არაბუნებრივი იყო და აფრთხობდა, შიშით ჩემზე ხელს არ აღმართვინებდა. ვფიქრობ, მე, თავიანთ ყოფილ პითიას, იმიტომ ვერ დამესჭნენ თავს, რომ მოკარებს ეშინოდათ ან ის ძალა ზარავდათ. ძველებურად რომ შეიძლებოდა ჩემში დაფარული ყოფილიყო. მაგრამ, როგორც კი წმინდა გზა დასრულდა და იძულებული გაეხდი მთის ფერდობს შევყოლოდი, წარმოუდგენელი კივილი ატყდა და ჩემს კვალს ქვების სეტყვა გამოჰყვა. ზოგიერთი ქვა მომხვდა, მაგრამ ეს სასიკვდილო არ იყო. მგონი, სასიკვდილოდ აღარც ჩემი მდევრები მესჭმოდნენ თავს, ჩემს მოკვლას ვეღარ ბედავდნენ და მზად იყვნენ ჩემი განდევნით დაკმაყოფილებულიყვნენ. ერთი ქვა კეფაში ისე ძლიერად მომხვდა, რომ მიწას დავასკდი და ვეღარ წამოვდექი. მხოლოდ მცირე ხნის შემდეგ წამოვიწიე და კვლავ მთაზე აღმოვჩნდი. ბრბო უკან აღარ გამომყოლია, ქვემოთ იდგა, შეჩვენებას მითვლიდა და ყვიროდა: აბა, გაბედე დელფოში დაბრუნება, შენი ფეხი არ ენახოთ აქ არასდროსო.

მოშორებით წავედი, სადაც ვერავინ დამინახავდა და სულის მოსათქმელად ჩამოვჯექი. აშკარად გადავრჩი. ჭრილობებიდან, განსაკუთრებით კი კეფის ჭრილობიდან სისხლი მდიოდა. ხელს ვაჭერდი და ხელისგული სისხლით მევსებოდა. სხეულიც დალურჯებული მქონდა. მაგრამ დანარჩენი უვნებლად გადამირჩა, მოულოდნელად, ოლად გადავრჩი. არადა რა ხიფათი ელოდა ჩემს სიცოცხლეს.

ყველაზე მეტად მეშინოდა, ისე დამამახინჯებენ ჩემი პირმშოს ტარებას და შობას ვეღარ შევძლებ, სულიერ ან სხეულის ისეთ ტრამვას მომაყენებენ, ფეხმძიმე ქალისთვის საბედისწერო აღმოჩნდება-მეთქი. ახლა აღარ მეშინოდა, მსგავსი არაფერი მომსვლია. ჩემმა ძლიერმა სხეულმა, ბევრს რომ გასტეხდა, ისეთი სასტიკი სასჯელი აიტანა, სულმა კი სიმშვიდე შეინარჩუნა. თუ ეს სიმშვიდე

მთლად ჩემი დამსახურება არ იყო, თუ აქაც უფლის ხელი ერია, მისი მადლიერი გახლდით. უფალმა ცხადია, ჩემს გადარჩენას და ესე იგი ბავშვის გადარჩენასაც ხელი შეუწყო. ოღონდ შეიძლებოდა კი უფალს ამ ბავშვის გადარჩენა სდომებოდა?

უპირველეს ყოვლისა, ცხადია, ორაკულის მოხუცმა მსახურმა მიხსნა. ის რომ არა, ამ კოშმარულ დღეს ვერ გადავიტანდი-მეთქი, ვფიქრობდი იმ საღამოს, როცა განვლილს თვალი გადავავლე და ღია ცის ქვეშ პირველი ღამის გასათევად მოვემზადე. მოგვიანებითაც ვფიქრობდი, როცა ღამის გასათევად ფოთლები მოვხვეტე, მთის ღრმულში, საიდანაც არავითარი ადამიანური საცხოვრებელი არ ჩანდა, პირდაპირ მიწაზე მოვეწყე და მხოლოდ მთების ციცაბო ფერდობები და მათ შორის ვარსკვლავები დავინახე: სულ მთლად ეული, მასზე, ჩემს ერთადერთ მეგობარზე ვფიქრობდი და ეს ფიქრი მაძნნევებდა, ძალას მმატებდა.

ჩემი მეგობარი როგორღა უყურებდა ჩემს დანაშაულს, ჩემს საქციელს? ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. ის დამეხმარა, სიცოცხლე გადაძირჩინა, მსარი დამიჭირა, მაგრამ არ გამიგია, როგორ განსაჯა ჩემი დანაშაული, რომელმაც მთელი ქალაქი აღელვა. ჩვენ სიტყვაც არ გვითქვამს ერთმანეთისთვის, ამის საშულება არ გექონდა.

მისმა ცნობიერებამ, ალბათ, ვერ აღიქვა ჩემი დანაშაული. მას ადამიანში ცუდის შემჩნევა არ შეეძლო, ამიტომ არავის განსჯიდა და არც მე განვუსჯივარ.

ახლა რა ეშველებოდა, ადამიანური სიკეთის მისეულ რწმენას, რა მოელოდა. ეს მოვლენები, რომლის მოწმეც დღეს გახდა, რომელმაც აღშფოთების ასეთი აფეთქება გამოიწვია უფლისა და ადამიანებისადმი მის ნდობაზე, როგორ იმოქმედებდა? ხომ არ შეატრიალებდა, ხომ არ დაარბევდა მის წარმოდგენას სამყაროზე?

არა, ვიმედოვნებდი, მალე დაივიწყებდა ამბავს, რომელმაც ცხოვრება აუწეწა და რომლის მიზეზიც მე გახლდით. კვლავ უწინდებური დარჩებოდა და როგორც მის ბუნებას შეეფერება, ადამიანებში მხოლოდ სიკეთეს დაინახავდა. სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო იგი, ღმერთისა და ადამიანების კეთილი მეგობარი და მოგონებებშიც ასეთი მსურდა შემომენახა.

თავი დავიიმედე და მშვიდად ჩავიძინე.

ღამით სიცივემ რამდენჯერმე გამომაღვიძა და როცა ბოლოს და ბოლოს მზე ამოვიდა და მიდამოც ცოტათი გათბა, ფრიად გავიხარე. შუა ზამთარი იდგა, ღამღამობით ძალიან ციოდა.

საერთოდ იმ წელს ძალიან თბილი ზამთარი დადგა; კიდეკ კარგი. თორემ ვერ გავუძლებდი. ისედაც ძალიან მიჭირდა, მძიმე იყო არსებობა, უბრალოდ შიმშილით სიკვდილს გადარჩენა, ღამის სიცივეების ატანა. თავშესაფარს ხან გამოქვაბულებში ვეძებდი, ხან მწყემსების მიტოვებულ უბადრუკ ქოხში, ხოლო საკვებად,

თავდაპირველად მაინც, ძველი, გამხმარი, ცოტა დამპალი კენკრა და ფიქვის გირჩების თესლი მქონდა. რაც მომხვდებოდა, იმას მივირთმევდი, ოღონდ ცოტა მოვემაგრებინე, ან სიმაძღრის გრძნობა მოეცა. დიდხანს დავეხეტებოდი, ვეძებდი კენკრას, რომლის სახელიც არ ვიცოდი. მაგრამ დროთა განმავლობაში გული მომეცა და მოხერხებაც გამოვიჩინე. შიმშილი მდევნიდა და ბავშვზე ზრუნვა მაშფოთებდა; ბავშვზე, რომელსაც უნდა ეცოცხლა და ჩემი მუდმივი შიმშილით არ უნდა დაზარალებულიყო. სხვისი თხები თავისკენ მიტყუებდნენ, როცა მთაში მხვდებოდნენ და მეც მათი გამოწველა დავიწყე. რძეს რომელიღაცა მწყემსის ქოხში ნაპოვნ თასში ვაგროვებდი და თავშეუკავებელი სიხარბით ვსვამდი, უფრო და უფრო უშიშრად და მოხერხებულად ვეტანებოდი სხვის თხებს. უფრო ჯანმრთელ და მშვენიერ საკვებს ჩემთვის და ბავშვისათვის ვერც მოვძებნიდი. შემდეგ მწყემსებისათვის ყველისა და პურის მოპარვაც ვავბედე. შორიახლო ბუჩქებში ან მაღალი ქვის უკან ვიმალებოდი და მათ წასვლას ველოდი, მერე კი მათ ქოხში შევიპარებოდი; ამ გზით ეიშოვე თხის ტყავი, რომელსაც ღამით ვიხურავდი. ყველაფერს ვიპარავდი, რაც კი ხელში მომხვდებოდა, და სინდისის ქეჯნის გარეშე ჩავიდენდი ყველაფერს ბავშვის გამო, მისი და ჩემი ბავშვის გამო, ეს ხომ ჩვენი სიყვარულის პირმშო გახლდათ, ეს ხომ საბუთი იყო, რომ მისი სიყვარული არ მოკვდა, რომ იგი ჩემში ცოცხლობდა, რომ ჩემი შეყვარებული კვლავ ჩემში ცოცხლობდა.

ველური არსებასავით, ველური პირუტყვივით ვცხოვრობდი მთაში. ხალხის მიერ გაძევებული, მათი ცხოვრებისაგან იძულებით მოკვეთილი, ნამატის მომლოდინე დევნილი ცხოველივით არაფერს ვთაკილობდი, რათა ჩემი და ბავშვის სიცოცხლე გადამერჩინა. იმ ადგილებს, სადაც ხალხი ცხოვრობდა, გულმოდგინედ ვერიდებოდი, მათთან ყოველგვარ შეხვედრას თავს ვარიდებდი, მათგან სიკეთეს არ ველოდი. და სულ მეშინოდა მწყემსებმა არ შემამჩნიონ-მეთქი. ცხადია, ხელიდან არ გაუშვებდნენ შესაძლებლობას, რამე ზიანი მოეყენებინათ ჩემთვის, ისინიც ხომ ადამიანები იყვნენ.

მიუხედავად ყველაფრისა, მაშინ ბედნიერი ვიყავი. ბედნიერი ჩემი თავისუფლებით, სხეულის ჯანმრთელობით, რომელიც ასეთ ცხოვრებას უძლებდა და არ ზიანდებოდა, რომელიც მძიმე და ყველაფერს მოკლებული ცხოვრებისაგან, მგონი, უფრო ძლიერი და ამტანი ხდებოდა და ყველაფრის გადასატანად მზად იყო. ბედნიერებას მანიჭებდა ფიქრი, რომ ჩემი პირმშო, რომელიც უნდა გამეჩინა და გულთან ვატარებდი, ჩემმა შეყვარებულმა ჩასახა. მუდამ ვგრძნობდი, როგორ მოძრაობდა, როგორ ცოცხლობდა ბავშვი ჩემში და ეს აუწერელი ბედნიერებით მავსებდა. მარტოსული და ყველას მიერ განკიცხული, უბედურების, მღელვარების, შიმშილისა და სიცივის მიუხედავად, დედობის შეუდარებელ ბედნიერებას სრულად აღვიქვამდი.

ბოლოს და ბოლოს გაზაფხულიც დადგა. ყველაფერი გაადვილდა და სულსაც შეღავათი მიეცა. აღარ ვიყინებოდი და მალე ჩემთვის, ისევე, როგორც სხვა, ველური ცხოველებისათვის უფრო მეტი საკვები უნდა გაჩენილიყო. უკვე ვპოულობდი ლორთქო, ცოცხალ ბალახს, რომელიც არ გაძღობდა, მაგრამ ჯანმრთელობისათვის უდავოდ სასარგებლო იყო. თხის რძე შესამჩნევად ბლანტი გახდა. თხების მიტყუება ძნელი არ იყო, ისინი თავად მოდიოდნენ და მოსაწველად მიშვებდნენ, იქნებ, იმიტომ, რომ უკვე მიცნობდნენ, ან ქალი რომ წველიდა, ის მოსწონდათ. თხები ხშირად ფეხდაფეხ დამყვებოდნენ და მეც მათი გაყრა, თავიდან მოშორება მჭირდებოდა. მე ხომ სულ მეშინოდა მწყემსები შემნიშნავენ-მეთქი. ის თხებიც კი, რომლებიც ადრე არასოდეს მენახა, ხანდახან კუდში ამედევნებოდნენ.

მაშინ პირველად შევნიშნე, რომ მათ რაღაცით ვიზიდავდი, თუმცა თავდაპირველად ეს უცნაურად სულაც არ მომჩვენებია, პირიქით, სრულიად ბუნებრივი მეგონა.

მთები ყვავილებით გადაჭრელდა. ღამღამობით ვიწექი, მათ სურნელებას ვისუნთქავდი, გული მეწურებოდა და ვნატრობდი იმას, ვისაც ოდესღაც ვუყვარდი, ვინც გაზაფხულის სასწაული, ჩემი სხეულის ერთადერთი გაზაფხული შემაცნობინა.

სად იქნებოდა, ახლა ცოცხალი რომ ყოფილიყო? ნეტავ თუ დამიბრუნდებოდა ახლა, როცა პითია აღარ ვიყავი და მის პირმშოს ვატარებდი? ნეტავ თუ შევძლებდით ამ ცხოვრებით ერთად ვეცხოვრა და ბედნიერები ვყოფილიყავით.

უსარგებლო ფიქრები გახლდათ. ის მოკვდა. ის აღარ იყო ამ ქვეყანაზე და არც აღარასოდეს იქნებოდა. ფერმკრთალი და სისხლისაგან დაცლილი მდინარეში იპოვნეს, ერთადერთ ხელში კი უფლის წმინდა ხის ტოტი ჰქონდა ჩაბღუჯული. ეს იყო და ეს. და მარად ასე დარჩებოდა.

ადამიანს მხოლოდ ერთი ხვედრი აქვს და როცა მას ბოლომდე გალევს, აღარაფერი დარჩება.

მრავალი ხვედრი მხოლოდ ღმერთებს აქვთ და სიკვდილიც არ იციან. მათ ყოველივეს შეგრძნება და განცდა შეუძლიათ. ყოველივესი, ადამიანური ბედნიერების გარდა. ამის შეცნობა არ ძალუძთ, ამიტომაც სურთ ადამიანებს წაართვან. არაფერი მათში ისეთ გაავებასა და სისასტიკეს არ აღვიძებს, როგორც ადამიანი, რომელსაც სითავხედე ეყო ბედნიერება განეცადა, რომელმაც მიწიერი ბედნიერების გამო ღმერთები დაივიწყა. მაშინ ღმერთები შურს იძიებენ და თავისი წმინდა ხის ტოტს მსხვერპლს ერთადერთ ხელში ჩაუდებენ.

ხანდახან, წყნარ ღამეებში მეჩვენებოდა, თითქოს მესმოდა როგორ მოედინებოდა ხეობაში მდინარე აქ, მთებშიც კი მესმოდა. ხმა მდინარისა, რომლის ძლიერი ქუხილი ჩვენს სიყვარულს განეშო-

რებლად დასდევდა, შემდეგ მას ასეთი საბედისწერო დარტყმა აგე-
მა, შური ასე სასტიკად იძია. ახლა კვლავ გაზაფხული იდგა, უდა-
ბური უფსკრულის ფსკერზე წყალმა, ალბათ, ძალიან მოიმატა და.
შესაძლებელი იყო, რომ მის ქუხილს აქამდეც მოეღწია.

შეუძლებელია ეს ქუხილი მხოლოდ შიგნიდან გამეგონა. არა,
აშკარად მესმოდა, რომ იქიდან, უფსკრულის ფსკერიდან ამოდიო-
და. მარტოდმარტო ვიწექი ყვავილებს შორის და მესმოდა ამ მდი-
ნარის ხმა, სასტიკი მდინარის ხმა, რომელმაც ჩემი შეყვარებულის
სიცხლი წაიღო.

ჰო, ის გაზაფხული ჩემთვის სასიხარულოც და, როგორც ყველა
ეული შეყვარებულისათვის, მძიმე ხანაც იყო. ეული? სულაც არ
ვიყავი ეული, ამის თქმა როგორ შევძელი! ჩემში, ჩემს წიაღში ხომ
ჩემი შეყვარებული ცოცხლობდა, ჩვენი სიყვარული ცოცხლობდა
და სიკვდილზეც და საკუთარ დასასრულზეც ზეიმობდა. თავად
უფალზეც კი ზეიმობდა! ალბათ, თავხედობაა ამის მტკიცება, მაგრამ
სინამდვილეში ხომ ასე იყო. უფალმა ტყუილად წაართვა მას სი-
ცოცხლე. მდინარეს ტყუილად გაატანა მისი სისხლი, ის კვლავ
ცოცხლობდა ჩემში, მე მივეცი მას ახალი სისხლი, ჩემი გულის ის
ცხელი სისხლი, რომელიც ჩემს სიყვარულს აღვიძებდა. ადამიანური
სიყვარულის სისხლი, რომლის შესახებაც ღმერთებმა არაფერი
უწყიან.

აი, ასე მოხდა. ჩვენსა და უფალს შორის ბრძოლა ასე დასრულ-
და. კეთილი, მშვიდი ზაფხული დადგა; გაფურჩქვნის, ფეფიფობის
ხანა. როცა მიწის წიაღი ზეიმობს. ვეებერთელა მთებს შორის მოქ-
ცეული ბეელი ხეობა გადაიქცა დიდებულ წიაღად, სადაც სიცო-
ცხლე ფეფიფობას იწყებდა და აქაც, ზემოთაც, ყოველივე, რასაც ამ
ველურ ფერდობზე ფეხის მოდგმა შეეძლო ასევე უხვად და დაუდ-
გრომლად გაიშალა. ირგვლივ სინათლე და სიხარული, სიმშვიდე და
იმედი სუფევდა და მეც მშვიდობითა და ნათელი იმედებით ვიყავი
სავსე. თუმცა სადარდებელიც არ მაკლდა; როგორ ვიმშობიარებდი,
რით გამოვკვებავდი თავსაც და ჩემს შვილსაც, სხვა ბევრ რამეზეც
ვფიქრობდი. თუკი ვინმეს ჰქონდა მიზეზი მომავლისთვის შეშფო-
თებით ეცქირა, ერთ-ერთი ალბათ, მეც ვიყავი, მაგრამ მე არ ვღე-
ლავდი. განა ღირდა ამაზე თავის შეწუხება? უკეთესი მომავლის
იმედი მქონდა და არაფერზე ვდარდობდი, როგორც პირმშოს მომ-
ლოდინე ქალს შეეფერება. ჩემი ყოველთვის ძლიერი სხეული ახლა
უშველებელი და უფორმო გახდა; მიუხედავად ამისა, კვლავ იოლად
ვმოძრაობდი, მე ხომ მუდამ ცოცხალი და ბუნებრივი ცხოვრებით
ვცხოვრობდი. დედალი პირუტყვი, რომელიც ნამატის მოლოდინში
იძულებულია თავად იშოვნოს საკვები, ადვილად მშობიარობს,
ვფიქრობდი და მწამდა, რომ მეც ასე გავაჩენდი. განა შეიძლებოდა
ამის შესახებ რაიმე მცოდნოდა?

უფრო და უფრო დაცხა; ზაფხულმა ძალა მოიკრიბა და მეგონა

ეს-ესაა მშობიარობის ჟამი დამიდგება-მეთქი, მაგრამ ჟამი არა და არ დგებოდა. ველოდი, ველოდი, მაგრამ, მშობიარობა არა და არ იწყებოდა. თავგზა ამებნა. როგორც ჩანდა, ყოველგვარ ვადას გადავაცილე, ოღონდ, არ ვიცოდი, რამდენით. ცხადია, მახსოვდა, როდის ვიყავით ერთად უკანასკნელად, სულ უკანასკნელად... მაგრამ არა, ამაზე სჯობდა არ მეფიქრა, ძალიან მძიმე იყო... სჯობდა მეფიქრა, რომ მალე ჩვენი სიყვარულის ნაყოფი მოჰწიფდებოდა, სჯობდა მეცოცხლა მოგონებებით ჩვენი სიყვარულის საუკეთესო ხანაზე, როცა ორივეს ერთმანეთი მხურვალედ გვიყვარდა, ისე გვიყვარდა, რომ ყოველივე დავძლიეთ. ახლა ჩვენი პირმშო გაჩნდებოდა, ჩვენი სიყვარულისა და მსხვერპლად შეწირული, გარდაცვლილის პირმშო — ჩვენი ტრიუმფი, სიკვდილზე გამარჯვება, ყველაფერზე, თვით ღმერთებზე გამარჯვება.

მაგრამ ვერა და ვერ ვაჩენდი. ველოდი და ველოდი, მაგრამ მშობიარობა არა და არ იწყებოდა.

ზაფხული გრძელდებოდა, სიცხე კი უფრო და უფრო საშინელი, აუტანელი, სიქაგამცლელი გახდა. და მხოლოდ ღამით აგრძელდებოდა ხანდახან, როცა მარადიული თოვლით დაფარული მთებიდან სიგრილე დაეშვებოდა.

არ მახსოვს ისეთი ცხელი ზაფხული, როგორიც იმ წელს დადგა-ცხადია, ჩემს მდგომარეობაში განსაკუთრებით მაწუხებდა სიცხე, მაწვალებდა ჩემი ვეებერთელა, დამძიმებული სხეული ადრე სულაც: რომ არ მაწუხებდა. კიდევ უფრო გავიბერე და მეგონა, მეტი გაბერვა შეუძლებელია და ჩემს მოსალოდნელად ყოველივე მზადა-მეთქი. მაგრამ მშობიარობა არ იწყებოდა. როგორც ჩანდა, ამ პავშვს ვერასოდეს გავაჩენდი.

ასე დიდი ხნით როგორ შეიძლებოდა მშობიარობის შეყოვნება? არაფერი მესმოდა. ნუთუ მართლა შესაძლებელი იყო ამდენ ხანს შეყოვნება?

ერთხელაც, სიცხისაგან გათანგული ვიწექი და, ბოლოს და ბოლოს, ვიგრძენი, რომ ჭინთვა დამეწყო. ჭინთვა ჯერ სუსტი იყო, შემდეგ უცებ გაძლიერდა, გახშირდა და მტკივნეული გახდა. მზე უმოწყალოდ აცხუნებდა და გავარვარებული სხივებით მწვავდა. ჰაერი კი ისე ჩამოიხუთა, სუნთქვა შემეკრა. თუმცა შეიძლება მომეჩვენა კიდეც. უცებ ცის სამხრეთით შხამიანი, მოყვითალო ღრუბელი გამოჩნდა და ჩემკენ გამოქანდა. მთელი ზაფხულის მანძილზე მგონი პირველად იწყებოდა ჭექა-ქუხილი. ხეობა ჩამუქდა, ღრუბლების ავბედითი ჩრდილები მიწაზე დაცურდა და მისი მკვეთრად გამოხატული კიდე სულ უფრო მომიახლოვდა. ზეცაზე ელვა გაიკლაკნა და აშკარად გამოიკვეთა, თუმცა მზე ჩახჩახებდა. ცოტა ხნის შემდეგ კი ქუხილის ყრუ გრუხუნიც გაისმა.

ამისთვის მოუმზადებელი აღმოვჩნდი, ამას სულ არ ველოდი. მეგონა, სადაც მომხვდება, ღია ცის ქვეშ ვიმშობიარებ-მეთქი და

თავშესაფარზე არ მიზრუნია. სად წავსულიყავი? თავსხმაში ხომ ვერ ვიმშობიარებდი, თქეში კი წუთი წუთზე შეიძლებოდა წამოსულიყო. ელვასაც უნდა მოვრიდებოდი, აქ, მთაში მეხი ხომ ასე ხშირად ეცემა ხოლმე მიწას.

წამოვდექი და ირგვლივ მიმოვიხედე, მაგრამ თავის შესაფარებელი ადგილი ვერსად შევნიშნე, ახლომახლო ხეც კი არსად იდგა. ქიდამო ბოვათვალიერე და მთის ფერდობისაკენ უთავბოლოდ წავეზეტე. ჭინთვები გამიძლიერდა და მომკუნტა, ტკივილმა მიწამდე დამხარა. მუცელზე ხელები შემოვიკრიე და გზა განვაგრძე, თან რით დამთავრდება ეს ყველაფერი-მეთქი ვფიქრობდი. სად წავსულიყავი? ჩემი პირმშო სად გამეჩინა?

აი, ამ დროს თხები გამოჩნდნენ. თხები, რომლებიც ადრე არასოდეს მენახა და არც მათ შეიძლებოდა ვცნობოდი. მგონი, ველური თხები იყვნენ. მათ თითქოს ესმოდათ, რა მჭირდა და როცა ვკვნესოდი, თანაგრძნობის საცოდავ, უცნაურ, უჩვეულო, თითქოს ადამიანურ ბგერებს გამოსცემდნენ. რამდენიმე თხა ერთი მიმართულებით, მთის ფერდობისაკენ წაბაკუნდა. შემდეგ ისევ ბობრუნდნენ, თითქოს იქით მეპატიჟებოდნენ. მთაზე უნდა ავსულიყავი, ჩემთვის კი ეს ადვილი არ იყო. მაინც დავიძარი და უძლური ნაბიჯით, რწევით გავწიე. თითქოს რაღაცა ძალა მაიძულებდა გავყოლოდი. ხანდახან, როცა ჭინთვა განსაკუთრებით მტკივნეული იყო, წუთით შევჩერდებოდი. ცხოველებს თითქოს ესმოდათ ჩემი, თავადაც ჩერდებოდნენ და მიცდიდნენ, გზის გაგრძელებას როდის შევძლებდი. დაჭანებული ფერდობი უფრო ციცაბო გახდა, ბოლოს სულ დაეკიდა და ვიფიქრე, ამას კი ვეღარ დავძლევ-მეთქი. როგორც კი ჩემი ყოყმანი შენიშნეს, თხები საწყალობლად აკიკინდნენ. მათი განაწყენება ვეღარ შევძელი, სისუსტე დავძლიე, მათ კვალს ჩავუდექი და ფერდობზე ავფოფხდი. თხები ამას აშკარა მოწონებით შეხვდნენ, ერთხმად აკიკინდნენ და ამით თავისი სიხარული გამოხატეს.

ზურგს უკან ავდრის ბობოქრობის ხმა მესმოდა. საშინელი თავსხმა ხეობიდან წამოვიდა და უფრო და უფრო მოგვიახლოვდა. ყველა მთის წვერზე ქუხდა, ციცაბო კედელს კი, რომელზედაც ხელფეხჩაჭიდებული მივძვრებოდი, ხშირი ელვა შეუწყვეტლად ანათებდა.

სრულიად დაუძლურებული, როგორც იქნა, თხებთან ერთად პატარა ბექობის მწირ, საკმაოდ სწორ ბაქანზე ავძვერი და იმ წუთას, როცა წვიმა წამოვეწია, ჩემ პირდაპირ შევნიშნე გამოქვაბულის შესასვლელი, რომელიც მთის სიღრმეში იკრებოდა. თხებმა სიღრმეში ბაკუნით შეირბინეს და მეც, თითქოს ბურანში, რწევით შევყევი.

შიგნით ბნელოდა, ყოველ შემთხვევაში სანამ თვალს შევაჩვევდი, თუმცა შემდეგშიც საკმარისი ბინდი იდგა და გამოქვაბუ-

ლის სიდიდე ვერ გავარჩიე. ასე მომეჩვენა, რომ უშველებელი გამოქვაბულის ბოლო სადღაც სიბნელეში იკარგებოდა. ცხვირში თხის მძაფრი სუნი მეცა: შემდეგ აღარაფერი დამინახავს და არც არაფერი გამიგონია. თხის გამხმარი კურკლის სქელი ფენით დაფარულ მიწაზე ულონოდ დავეცი, თუმცა უჩვეულოდ რბილად ვიწექი და ჩემი სარეცელიც არაჩვეულებრივად მეჩვენა.

როგორც ჩანს, ერთი ხანობა გული წამივიდა. როცა გონს მოვეგე, თხები ირგვლივ მჭიდროდ შემომხვეოდნენ და შეშინებულები თანაგრძნობით მიცქეროდნენ. რომ დაინახეს, გამოფხიზლდაო, ხალისიანად აკიკინდნენ. მაშინვე საშინელი ჭინთვები დამეწყო, რაღაც ისეთი, ადრინდელს რომ არ ჰგავდა და მეც ველური ხმით ვიკივლე. თხები გაჩუმდნენ და შეშინებულებმა უკან დაიხიეს, შემდეგ ისევ მომიახლოვდნენ და თავადაც კვნესა დაიწყეს. რაღაც უცნაურ, გაგრძელებულ, ნაღვლიან ხმებს გამოსცემდნენ. ცხადია, არა ისე ხმამაღლა, როგორც მე ვკიოდი, მაგრამ უფრო სევდიანნაღვლიან ხმებს, უტყვი პირუტყვის ჩივილს რომ ჰგავდა და მათი მადლით ჩემს ტანჯვაში მარტოობას ნაკლებად ვგრძნობდი.

თხები ჩემს ტკივილს იზიარებდნენ, თუმცა სხვაგვარად, ადამიანურად გამოხატვა არ შეეძლოთ, უნდა აღინიშნოს, რომ ეს მეც აღარ შემეძლო. ჩვენ ერთ ენაზე ვლაპარაკობდით და ერთმანეთის კარგად გვესმოდა.

ჭინთვები ისე გახშირდა, მათ შორის დროის მონაკვეთი მგონი სულ აღარ დარჩა და სულის მოთქმას ძლივს ვასწრებდი. ტკივილი ისე აუტანელი გახდა, ჩემი კივილი გამოქვაბულს აზანზარებდა. თავის შეკავება აღარ შემეძლო და მგონი კივილისაგან ცოტა შვებას ვგრძნობდი. ზოგიერთი თხა ამ დროს გამოქვაბულში შეშფოთებით დარბოდა. დანარჩენები კვლავ ჩემ ირგვლივ იდგნენ, უწინდებურად თავები აეწიათ და კვნესოდნენ, მაგრამ მათი ხმა არ ისმოდა, ჩემი განწირული კივილი ფარავდა. ვხედავდი, რომ შეშინებული კიკინისაგან ცხვირ-პირი უკანკალებდათ, ზედა ტუჩი უხტოდათ და სველი. მოყვითალო კბილები უჩანდათ.

მაშინ არ მიფიქრია, რომ ცხოველთა საქციელი და ჩვეულებანი მათი საგანგებო ყურადღება რაღაც უჩვეულო იყო. მაშინ საერთოდ არაფერზე ვფიქრობდი. უბრალოდ მადლიერი ვიყავი, რომ შემომეხვიენ. რომ ღვთისაგან და ხალხისაგან შეჩვენებული ამ მძიმე წუთებში სულ მარტო არ დამტოვეს. მხოლოდ ამ ცხოველებმა გამოიჩინეს თანაგრძნობა. როცა ჩემს პირმშოს წამებით ვშობდი.

გარეთ კვლავ ავდარი ბობოქრობდა. ახლა ის ზუსტად ჩვენ თავზე გრიალებდა. ითქმის შეუწყვეტლად ისმოდა ქუხილი, წვიმა კი ნიაღვრებად მიედინებოდა გამოქვაბულის შესასვლელთან, რომელსაც დროდადრო ელვა ანათებდა. მთელ ცაზე თითქოს ცეცხლი ციზგიზებდა და მოციმციმე ცეცხლის ენებს ჩვენკენ იშვერდა.

ჭინთვების სიძლიერით მიკვირდი, ეს-ესაა ვიმშობიარებ-მეთქი.

და თუმცა ტკივილისაგან გონება მენისლებოდა, ვიგრძენი, რომ ბავშვი დაიძრა. გონებაში გამიელვა, მგონი, ყველაზე ძნელი თავის გატარებაა-მეთქი. საერთოდ კი აღარაფერზე ვფიქრობდი, ამისი თავი არ მქონდა. მთელი ძალით ვეხმარებოდი მშობიარობას, უფრო სწორად, ჩემი სხეული ეხმარებოდა: ჩემთან შეუთანხმებლად, ჩემს სურვილთან შეუთანხმებლად ისეთი ძალით ირჯებოდა, რომ არც ველოდი და ალბათ, თვითონ არც ვისურვებდი. ასე მეგონა, ახლა გავიფხრიწები-მეთქი. ტკივილი მაშმაგებდა, დროდადრო კი, ალბათ, ნახევრადგონდაკარგულს, საკუთარი კვილი სხვისი ყვირილივით მესმოდა. არ ვიცი. ეს რამდენ ხანს გაგრძელდა, დროთა დინებას სულ ვეღარ ვგრძნობდი.

და აი, როგორც იქნა, განსაცვიფრებელი სიმსუბუქე, თავისუფლება ვიგრძენი. ცხადია, ისევ მტკიოდა, მაგრამ არა ძველებურად. სუნთქვა დამიმშვიდდა, აღარ ვკიოდი, მხოლოდ ჩუმად ვკვნესოდი. სხეულს დაჭიმვა აღარ ჭირდებოდა, მოდუნდა, ყველაფერი მომიდუნდა და ისეთი მშვენიერი განცდა დამეუფლა, თითქოს სიცოცხლეს კვლავ დავუბრუნდი.

თვალები გავახილე — როგორც ჩანს, მაშინ დავხუჭე, როცა ყველაზე საზარელი ტკივილები დამეწყო — გავახილე და დაეინახე, რომ ფეხებშუა რაღაც გუნდა მეგდო, თხები კი თავისი გრძელი, ვარდისფერი ენებით მას გულმოდგინედ ლოკავდნენ. მეც ასე გულმოდგინედ გამლოკეს და სისხლი, სადაც კი მისწვდნენ ყველგან გამაცალეს. ნათელი იყო, რომ ჩემზე კი არ ზრუნავდნენ, მშობიარობის შემდეგ მე კი არ მასუფთავებდნენ, თავად სისხლი, თითქოს რაღაც განსაკუთრებული და ფარული მათ იზიდავდა და სიხარბეს უღვიძებდა. იძულებული გავხდი თხებისთვის ხელი მეკრა და რაც ძალა შემწევდა — ჯერ ისევ ძლიერ სუსტად ვიყავი — მათთვის ნამიან პირისახეში ჩამეფარებინა.

როცა იმდენად მოვსულიერდი, რომ ბავშვის აყვანა შევძელი, ხელი მოვკიდე და დავინახე, ბიჭი იყო. ჭიპის გაწყვეტა ვცადე, მაგრამ ვერ მოვერიე, მაშინ გადავკვნიტე და ბავშვი ხელზე დავიწვინე, რათა თხებს ვეღარ გაელოკათ. პატარა უკვე სუფთა იყო და კარგი შესახედავიც გახდა. მაგრამ თხები არაფრით არ ეშვებოდნენ. იძულებული ვიყავი დაუსრულებლად შემეძახა და გამერეკა.

თხების საქციელი არ მესმოდა, მეჩოთირებოდა, უცნაურად დასაძაგლად მეჩვენებოდა. ბოლოს და ბოლოს ისეთი ზიზღი შემომაწვა, რწევით წამოვდექი ფეხებზე, რომლებზეც ჯერ კიდევ ცუდად ვიდექი და გაცლა დავაპირე. იქნებ, თხების მიმართ ეს უმადურობა იყო. მაგრამ სხვა არაფერი შემეძლო. მძაფრი თხის სიმყრალითა და სამშობიარო სისხლის სუნით გაჟღენთილი გამოქვაბული გულს მირევდა. ასე მეგონა, თუ მალე არ გავედი, დავიხრჩობი-მეთქი. ამასობაში ავდარიც დაწყნარდა და თუ თავის დასაღწევად ძალა მეყოფოდა, გამოქვაბულში დარჩენა აუცილებელი აღარ იყო. ახალ-

შობილი მკერდზე მივიხუტე, გამოქვაბულის გასასვლელისაკენ რწევით გავემართე და წვიმის შემდეგ გაწმენდილ ჰაერზე გამოვედი. ასე მეგონა, ცოტაც და გონებას დავკარგავ-მეთქი, მაგრამ სახეში სიგრილემ შემომიბერა და მიხსნა.

აი, ასე ჩაიარა სასურველმა მშობიარობამ, ამდენ ხანს რომ ველოდი, აი, ასე გავაჩინე ჩემი პირმშო.

დედაბერმა ამბის თხრობა შეწყვიტა, ეზრებში გასწორდა, შემდეგ წინ გადმოიხარა, მძაფრი მოძრაობით ცეცხლი, რომელშიც დროდადრო ფიჩხს ყრიდა, გაქექა.

— აი, ვინ გავაჩინე, — აღელვებით შესძახა მან. — აი, ის კუთხეში რომ ზის. ასეთი აღმოჩნდა ჩემი მხურვალე სიყვარულის, უმაღლესი ადამიანური ბედნიერების ნაყოფი. აი, როგორ დასრულდა ჩვენი მხურვალე სიყვარული, წმინდა წყაროსთან რომ დაიწყო, ზაფხულის მხურვალე სიყვარული აყვავებულ პურის ყანაში, მოწმეებად არწივები რომ ჰყავდა!

აი, ეს არის ჩვენი შვილი.

ეს არ მესმოდა, ამის ახსნა შეუძლებელი იყო. რაც უფრო იზრდებოდა ბავშვი და ვხედებოდი, როგორიც იყო, ეს ამოუხსნელი გამოცანა, თუ როგორ შვა ჩვენმა სიყვარულმა ასეთი ნაყოფი, უფრო და უფრო დაუსრულებელი და ამაო ფიქრებით მბოჭავდა. ცხადია, ბავშვი მაშინ ჩაისახა, როცა ჩვენი სიყვარული ძველებურად ბედნიერი აღარ იყო. და ვინც ჩასახა, მგონი, შეყვარებულიც აღარ გახლდათ. ეს იყო მიზეზი? ასე ძვირად ეს დაგვიჯდა? ასე სასტიკად ძვირად დაგვიჯდა.

მაგრამ უწინ ხომ ვუყვარდი, ჩვენი შვილი მაშინ რად არ ჩაისახა? თუ შვილის გაჩენა გვეწერა, ადრე, ჩვენი სიყვარულის მხურვალე შუადღის ჟამს რად არ ჩაისახა? რად გაჩნდა მხოლოდ დასასრულს, როცა ჩემს შეყვარებულს ნამდვილად აღარ ვუყვარდი, როცა ვნებადაცლილი მეალერსებოდა და მის სასიცოცხლო წვენს ჭეშმარიტი ძალა დაკარგული ჰქონდა? ასე რად მოხდა? ჩემი უბედური საშო მხოლოდ მაშინ რად განაყოფიერდა?

განა საოცარი არ იყო, რომ უფრო ადრე არ დავორსულდი?

იქნებ, ეს უკანასკნელ დღეს მოხდა, ჩვენი უკანასკნელი სიახლოვის იმ მძიმე წუთში, როცა ეს არც მე მიხარებდა გულს, არც მას.

უკანასკნელად... ცხადია, მაშინ უნდა მომხდარიყო, სხვაგვარად მშობიარობამდე ზედმეტად ბევრი დრო გავიდა. ისედაც ძალიან ხანგრძლივი იყო დრო...

არა, სჯობდა ეს არ მეფიქრა! ოღონდ ეს არა!

ქალი ხშირად დადგენილ დროზე დიდხანს ატარებს ნაყოფს. ყოველ შემთხვევაში, ასე ხანდახან მაინც ხდება. ზუსტად ხომ არავინ იცის, როგორ გამოითვალოს, ესეც ხშირად მსმენია. არა, აქ ვერაფერს გავიგებდი, თავის ატკივებადაც არ ღირდა. სჯობდა ეს არ

მეფიქრა, სულ არ მეფიქრა. სულ ერთია, არაფერი გამოდიოდა. სჯობდა თავიდან გამომებერტყა... სხვა რამით უნდა დამეკავებინა გონება, სულ ერთი იყო, რით დავაკავებდი, ოღონდ ამ უსაფუძვლო, უაზრო ანგარიშისთვის თავი დამენებებინა...

ასე ვეუბნებოდი, ასე ვარწმუნებდი თავს...

აზრი კი, რომელსაც თავიდან ვიშორებდი, ასეთი იყო: თუ ჩვეულებრივი ქალებივით დავიანგარიშებდი, სწორედ ის დღე გამოდიოდა, როცა ჩემი შეყვარებული ჭდინარეში მოკვდა, მე კი უფალმა ნამუსი ამხადა. თვიური ციკლი სწორედ ამის შემდეგ დამეოღვა. ჩემს შეყვარებულს კი თავისი სიკვდილის ჟამს კარგა ხნის მიტოვებული ვყავდი.

არა, რა სისულელეა! ეს ხომ სიგიჟეა! ეს ხომ შეუძლებელია, უფრო შეუძლებელი ვიდრე...

უფალმა ჩასახა? უფლის ძეა... ეს ბრიყვი, რომელსაც ადამიანსაც ვერ უწოდებ. ბავშვი, რომელიც თუ ცოცხალი გადარჩა, მხოლოდ უბედური შეშლილი იქნება, რომელიც თავის არსებობასაც კი ვერ აღიქვამს, სახეზე უაზრო ღიმილმოფენილი, ახალშობილის სულჩასახლებული შეშლილი იქნება.

რა უაზრობაა! მოგივა ხოლმე ხანდახან თავში ასეთი აზრი!

ორაკულის მიწისქვეშეთში მომხდარ ამ საშინელ, სასტიკ, ველურ და არაადამიანურ სისაძაგლეს შეუძლია ბავშვს სიცოცხლე მიანიჭოს? ამან გადამაქცია დედად? არა მხურვალე, ცოცხალმა, მიწიერმა სიყვარულმა, არამედ ამ სიბინძურემ, რომელსაც ღრმა ზიზღის გარეშე ვერ გაიხსენებ?

არა, ეს ნამდვილად შეუძლებელი იყო, გიჟური გამოგონება, უბრალოდ ბრიყვული აზრი გასლდათ. მოგივა ხოლმე თავში ასეთი აზრი...

არც ისე დაუშვებლად დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ჩემს შეყვარებულს, ჩემს ძვირფას შეყვარებულს უკანასკნელად დავნებდი. ისიც თავისუფლად შეიძლებოდა ბავშვის მამა ყოფილიყო. ამ ბავშვის მამა. ცხადია, ცხადია, შეიძლებოდა; თუკი ასე ვისურვებდი...

მსურდა კი? მსურდა, რომ...

არა, ამაზე ფიქრი არ შემეძლო, ეს უკიდურესი სასოწარკვეთით მავსებდა. სასოწარკვეთილი ვფიქრობდი სიცოცხლეზე, სიყვარულზე, ღმერთზე, ყველაფერზე.

ღმერთისთვის უცხოა გულმოწყალება. ვინც მას კეთილად თვლის, უბრალოდ არ იცნობს. უფალზე არაადამიანური არავინ მეგულება. ელვასავით მძვინვარე და ვერაგია. ელვასავით მოულოდნელად გამოსხლტება ღრუბლიდან უცებ, მოულოდნელად დაგკრავს; უცებ, მოულოდნელად დასცხებს ადამიანს და მთელ თავის სისასტიკეს, სიყვარულს ან სასტიკ სიყვარულს საამკარაოზე გამოიტანს., ყველაფერს უნდა ელოდო მისგან. როცა უნდა და რა

სახითაც უნდა, ისე გამოგეცხადება. ავდარი, რომელმაც გამოქვაბულში შემამწყვდია, ჩემს მოსავლელად გამოგზავნილი თხები, ცხელი, მზიანი ზაფხული, უკიდურესად გავარვარებული ჰაერი, მშობიარობა თხების გამოქვაბულში, როცა ზეცა მიწას ელვას სტყორცნიდა, თხების უცნაური საქციელი, მშობიარესა და ბავშვისადმი მათი გულმოდგინე ყურადღება, ამ გამოქვაბულში რაღაც საშინელის, საზიზღარის, არაადამიანურის აშკარა შეგრძნება — რა იმალებოდა ყოველივე ამის უკან? უფლის თვითნებობა ხომ არ იმალებოდა? ამის მიღმა ძლიერი ღვთაება ხომ არ იდგა?

ამაოდ მოძებნით ადამიანურს ღვთაებრივში. თავისი არსით იგი სხვანაირია. კეთილშობილურს, ამაღლებულსა და შთაგონებულსაც ამაოდ მოძებნით, თუმცა ვისურვებდით გვეხილა. ღვთაებრივი რაღაც უცხო და საზიზღარია, ხან შეშლილობაა, ხანაც ბოროტი, სახიფათო და საბედისწეროა. ყოველ შემთხვევაში მე ასეთად შევიცანი. უფლის თხის მძაფრი სიმყრალეც კარგად ნაცნობია, მე, თუ არა, მაშ ვის ეცოდინება! მაშინვე ვიცანი, როგორც კი ფეხი შევდგი გამოქვაბულში, სადაც ვაჟიშვილი გავაჩინე, პირმშო, რომლის მამა შეიძლება თავად უფალი იყო, ვაჟიშვილი, ჩასახული უფალი — თხის მიერ მიწისქვეშა ტაძარში, გამოქვაბულში, მისი ბრწყინვალე ტაძრის ქვეშ, რომელიც მზისა და სინათლის ღმერთს აუგეს, სწორედ იმ ტაძრის ქვეშ, სადაც მსახურების უფლება არ მომცა. სამაგიეროდ მისი გონებასუსტი ვაჟიშვილის გაჩენის ნება დამრთო, როცა მისი გაჩენა რაღაცისთვის დასჭირდა. ეს ბრიყვი, რომელსაც სახეზე უცვლელი ღიმილი შეჰყინვია, მთელი ჩემი ცხოვრება კისერზე ქვასავით მკიდია...

არა, არა, რას ვამბობ... მე ხომ არაფერი ვიცი, სულ არაფერი, არაფერი... არ ვიცი, ამ ბავშვის მამა ვინ არის, არც მაშინ ვიცოდი, არც ახლა ვიცი. არ შეიძლება უფლის ძე იყოს, არც ჩემი შეყვარებულის შვილი შეიძლება იყოს, მას ხომ სულ არა ჰგავს, არც მე, მგავს, ჩვენ ორში არც ერთს არ ჰგავს, საერთოდ ადამიანს არა ჰგავს. ღმერთს კიდევ უფრო ნაკლებად ჰგავს... არა, მე არაფერი ვიცი.

მაგრამ ხელები ფუშტებად მეკვრება, როცა ვფიქრობ მასზე, ვინც ასე მომექცა, ვინც დამიბრიყვა, მიწისქვეშეთში, ორაკულის გამოქვაბულში მიმსახურა, ჩემგან თავისი მორჩილი იარაღი გამოჰყვა, ჩემს სულსა და სხეულს ნამუსი ახადა, ვინც თავის ბოროტ სულს მიასახლებდა, ეგონობაში მძირავდა, თავის წინასწარმეტყველებას მინერგავდა, მსურვალე სუნთქვით, არაამქვეყნიური ცეცხლით მავსებდა; ვინც ქვეყანაზე გონებასუსტი ვაჟის გასაჩენად გამწირა, ვაჟის, რომელიც ადამიანის, გონებისა და ადამიანის და ჩემი, მისი გამჩენის ბოროტი დაცინვაა. ვინც მხოლოდ იმისთვის ამირჩია, რომ თავის მსხვერპლად გადავექცე, რათა მისით აღტაცებული და გახელებული დუჟით დავმხრჩვალიყავი და გიჟი გამეჩინა. ვინც მთელი ცხოვრება დამიბრიყვა! ნამდვილი ბედნიერება, ყოველ-

ვვარი ადამიანური ბედნიერება, ყოველივე, რასაც სხვებისთვის სიხარული მოაქვს და მშვიდობითა და სიმშვიდით აჯილდოვებს, წამართვა. ჩემი სიყვარული, ჩემი შეყვარებული, ყველაფერი, ყველაფერი წამართვა, სამაგიეროდ კი თავისი თავის გარდა არაფერი მომცა. თავისი თავის გარდა... და ის ახლაც ცოცხლობს ჩემში, თავისი მოუსვენრობით მავსებს, სიმშვიდეს არასოდეს მანიჭებს, რადგან თავადაც არ გააჩნია. არასოდეს არ მტოვებს, არასოდეს არ დამტოვებს!

ხელები, ჩემი უღონო ხელები მუშტებად მეკვრება, როცა მასზე ვფიქრობ!

დედაბერი ძაგძაგებდა. მთელი მისი არსება ძლიერ მღელვარებას მოეცვა. მან ცეცხლი გაქექა, შემდეგ შეამჩნია, ჩაქრაო და ძირმომწვარი ჯოხი, რომლითაც ქექავდა, მხრჩოლავ ნაკვერცხლებზე მოისროლა.

მერე თანდათან ცოტა დაწყნარდა, თავს მოერია, ხმაც ძველებური გაუხდა, თავისი ბუნებრივი ელერადობა დაიბრუნა და ცოტა ხნის შემდეგ კვლავ განაგრძო:

— არ მესმის ეს რატომ გიამბე, შენ ხომ უცხო ადამიანი ხარ თუმცა ასეთ საქმეში ვინ არ არის უცხო?

შენ რალაც მკითხე, მეც მოგონებებს მივეცი თავი და ჩემი ცხოვრება, ჩემი ხვედრი კვლავ წამოტივტივდა, მახსოვრობაში კვლავ გაცოცხლდა და შემიპყრო. ანკი როდის ველაპარაკე ადამიანს უკანასკნელად? როდის მოხდა? ისე დიდი ხნის წინ იყო, ვერც კი გეტყვი.

აქ, მარტო ვიჯექი და ჩემს ხვედრზე ვფიქრობდი. დრო საკმაო, საკმაოზე მეტიც მქონდა. მაგრამ არავისთან შემეძლო საუბარი.

მას შემდეგ, რაც დავტოვე ადამიანთა სამყარო — სიტყვას მოჰყვა და ამ სამყაროს ნამდვილად არც არასოდეს ვეკუთვნოდი — მას შემდეგ, რაც დავტოვე, ჩემი ცხოვრება სრულ მარტოობად გადაიქცა. მარტო გავლიე დღეები ამ ბავშვთან, ამ ვაჟიშვილთან, ახლა უკვე ჭალარა კაცთან, დღემდე რომ არ ვიცი, ვისია და საიდან გაჩნდა. მარტო ვცხოვრობდით მთებში, ამ ძველისძველ ქოხში, რომელიც მე, არც კი მახსოვს, რამდენი წლის წინათ საცხოვრებლად შოვაწყე. ჩვენი ერთადერთი თანამგზავრები ეს თხები იყვნენ. ეს ველური თხები არ გვშორდებოდნენ. სადაც არ უნდა გვეცხოვრა, ყველგან მოდიოდნენ და გვკვებავდნენ. ჩემი ვაჟიშვილი მხოლოდ ამ ცოცხალ არსებებს იცნობს და ეს თხები მას იზიდავს. ადამიანებს იგი საერთოდ არ იცნობს და არც აინტერესებს. თხები კი ყოველთვის იზიდავდნენ. თხებიც, სადაც არ უნდა წავიდეს, ფეხდაფეხ დასდევენ და ეხახუნებიან. მათ ერთმანეთს ვერ დააშორებ.

როცა ვცდილობ. მისი ვინაობა გავიგო, ამასაც ვიხსენებ. და კიდევ მის სახეს, რომელსაც არ შეეხო არარა, რასაც ადამიანები ცხოვრებას ვეძახით. იგი კვლავ ახალშობილის სახეა, ახლა უკვე

ჭაღარა ახალშობილის, რომელმაც ახალშობილის უცვლელი ღიმილი შემოიტოვა. ეს უაზრო ღიმილი ყოველთვის მტანჯავდა და მაწამებდა, ამის გამო ვფიქრობდი აქ, შეშლილთან ერთად ვცხოვრობმეთქი. ხანდახან კი თავს ვეკითხები, უფალი ხომ არ მიზის გვერდით ამ მარადიული ღიმილით, ქვევით თავის ტაძარს, დელფოს, მთელ ადამიანურ სამყაროს გადაჰყურებს და ყველაფერს ერთად მხოლოდ დასცინის-მეთქი.

არ ვიცი. მე არაფერი ვიცი. მაგრამ ხანდახან ვფიქრობ, ხანდახან ასეთი აზრებიც მომდის თავში.

დედაბერმა საუბარი დაასრულა, წუთით დადუმდა, შემდეგ წამოდგა და გაემართა შესასვლელისაკენ, სადაც ღამის სუსტი სხივი მოჩანდა.

უცებ შეჩერდა და დაიყვირა:

— ის არ არის! ა ქ ა ღ ა რ ა რ ი ს!

და მართლაც ის აღარ იყო, ის გაქრა.

როგორც ჩანს, ამ ხანგრძლივი თხრობის რომელიღაც მონაკვეთში გავიდა და ღამეში გაუჩინარდა. ასეთ სიბნელეში შეუმჩნეველად ამის გაკეთება იოლი იყო, თანაც ქოხს გასასვლელად მხოლოდ ნიში ჰქონდა, კარი არ ეკიდა.

დედაბერი შეიშალა. მისი სახის გარჩევა შეუძლებელი იყო, მაგრამ ალბათ, საშინელი ძრწოლა ეხატა და ეს ძრწოლა ხმაშიც გაისმა.

— სად არის, სად?! — ყვიროდა იგი. — სად წავიდა?! ამ სიბნელეში, ღამით სახლიდან რად წავიდა. ის ხომ ასე უმწეოა, დაიღუპება! ფერდობიდან ჩავარდება! ასე რად მოიქცა? როგორ? რისთვის? რად მიმატოვა?

იქნებ... იქნებ, მიხვდა, რა ბოროტებას, რა საშინელებას ვწამებდი. მე... ვი, თუ მ ი ხ ვ დ ა! არა, შეუძლებელია... მას ხომ ადამიანის სიტყვა არასოდეს ესმოდა და თავადაც არაფრის თქმა შეეძლო. მაგრამ... იქნებ, თავს მაჩვენებდა არ მესმისო, ა რ ს უ რ დ ა გაგება? ადამიანებთან ურთიერთობა არ სურდა? ხანდახან ხომ მეჩვენებოდა... ხანდახან ხომ ექვი მეპარებოდა რომ ესმოდა, რასაც გაბრაზებული ეუბნებოდი, როცა თავს ვეღარ ვერეოდი და თავს ვესხვოდი... ჩემს საბრალო ბალღს... ჩემი ბალღი... ო, ასე არაერთგზის მომხდარა. მე უსამართლო ვიყავი, უსამართლო... როგორ შ ე ვ ძ ე ლ ი, ასეთი სიტყვების თქმა როგორ შ ე ვ ძ ე ლ ი, ვატკინე, ის ვატკინე, რომ მიმატოვა! მიმატოვა!

დედაბერი თავის თავს ესაუბრებოდა და არა მოსულს, თუმცა გაცხარებული სიტყვებით მას მიმართავდა.

— ცხადია, მ ი ხ ვ დ ა, ცხადია, ა მ ი ტ ო მ წავიდა. ო, რა ჩავიდინე, რა ჩავიდინე!

— ჟნდა წავიდეთ და მოვძებნოთ! — უკიდურესი სასოწარკვეთ-

თით წამოიძახა უცებ დედაბერმა, გადახტა, დაბალ ნიშში გაძვრა და გაქრა.

კაცი უკან დაედევნა.

მთვარიანი და ვარსკვლავიანი ღამე იდგა, მაგრამ მთებს ციცინისლი შემოხვეოდა და შორს არაფერი მოჩანდა.

დედაბერმა ჯერ სწრაფად მიმოიხედა სახლის ირგვლივ. ვაჟიშვილი სადმე აქ ხომ არ არისო, შემდეგ არც დაფიქრებულა, ბილიკს შეუყვა. ეტყობა, იქ ბილიკი იყო, რომელიც ზემოთ, მთებისაკენ მიემართებოდა, მაგრამ არ ჩანდა. იგი ისე გამალებით მიქროდა, კაცი ძლივს ეწეოდა, რადგან ასეთ ადგილებში სიარულს მიჩვეული არ გახლდათ. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ მის ასაკში ასე ცქვიტად სირბილი შეეძლო. მაგრამ ამ ჰთებში მან სიცოცხლის დიდი ნაწილი გაატარა და მათთან თითქოს შერწყმული იყო. თხის გახეხილ ტყავის ნაგლეჯებში გახვეული ბებერი ფეხებით მთის ფერდობზე ისე ძალდაუტანებლად მიქროდა, თითქოს მათგან თავადაც განუყოფელი იყო და ბთვარის დაბინდებულ შუქში თითქმის შეუმჩნეველ, პატარა, ნაცრისფერ ცხოველს ჰგავდა: დედაბერი სწორედ ისე მოძრაობდა, როგორც შეჩვეულ გარემოში ველური ცხოველები მოძრაობენ.

კაცი უკან მისდევდა, განცვიფრებული დედაბრის ნაამბობით თავის თავზე, ვაჟიშვილზე, რომლის საძებნელად ნისლში, მთებისაკენ მიეშურებოდნენ...

უფლის ძე?

ნამდვილად ცხოველების ბილიკს მიუყვებოდნენ, ადამიანები აქ არ დადიოდნენ. მათი ბილიკი სადღაც ქვემოთ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ნისლში არ ჩანდა. დედაბერმა სწორედ ეს გზა რად აირჩია? ალბათ, ჰქონდა დაეჭვების მიზეზი, რომ ვაჟიშვილი სწორედ აქეთ წამოვიდა. ქვევით, დელფოში რომ არ ჩავიდოდა, დედაბრისათვის, ცხადია, ნათელი გახლდათ, დელფოში ის ნამყოფი არ იყო. იქნებ, ნაკვალევი იპოვა? იმის და მიხედვით თუ რა დარწმუნებული მიაბიჯებდა სწორედ ამ მხარეს, ესეც დასაშვები იყო.

თავიდან დამრეცი ფერდობი ციცაბო გახდა. ისინი უკვე საკმაოდ მაღლა, ველურ მთებს შორის მოექცნენ და ბილიკიც, რომელსაც კაცი ვერ ხედავდა, ზევით დაკიდულიყო. შემდეგ გაივაკეს, სწორ ადგილას გაიიდნენ, რაღაც მაღალმთიანი ზეგანის მაგვარ ადგილას აღმოჩნდნენ. დედაბერმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და გაჩერდა. ალბათ, უჩინარი ბილიკი გაიყო ან დედაბერმა დაკარგა კვალი. რომელსაც მოჰყვებოდა. დედაბერი იდგა, მოშიშვლებულ მთებს ირგვლივ ეჭვის თვალით უმზერდა. მთვარის შუქი ცივ ნისლში კრთებოდა. გარემოს უცნაური იდუმალების სამოსში ხვევდა და კაცმა იფიქრა, აქ, ამ ნახევრად გამქვირვალე სამყაროში ყველაფერმა შეიძლება დაგეჭვოსო. დედაბერი ისევ აჩქარებით გაუყვა გზას, როგორც ჩანს, აღარ ყოყმანობდა, მიმართულების არჩევანი

ღარ აეჭვებდა. კაცმა უნებურად გაიფიქრა, დედაბერი თუმცა ადამიანია, პირუტყვივით ინსტინქტით მიიკვლევს გზას ან უბრალო მოკვდავთათვის შეუცნობელი განსაკუთრებული გრძნობით ხელმძღვანელობსო. მოჩვენებით და ირეალურ სამყაროში უფრო და უფრო ეშვებოდნენ. ვაკე გათავდა და მათი გზა კვლავ აღმართს შეუყვა.

მოულოდნელად ნისლი ერთი ხელის დაკვრით გაიფანტა და მათ წინ ჩახჩახა მთვარის შუქით მოფენილი, მარადიული თოვლით დაფარული თეთრი, ნისლშემოხვეული, მოკიაფე ვარსკვლავებქვეშ დაკიდული უშველებელი მთა აღიმართა. ოდნავ დაქანებული დაღმართი თოვლის კიდისაკენ მიემართებოდა. ვიწრო, მაგრამ მკაფიოდ აღბეჭდილი მხეცების ბილიკიც მას გასდევდა და თოვლში იკარგებოდა. გაუგებარი იყო დედაბერი სწორედ იქით რად მიდიოდა, იქ ხომ ბილიკი თავდებოდა, ქრებოდა. უჩვეულო, უცნაური სანახავი იყო ეს ბილიკი, რომელიც მარადიულ თოვლში ქრებოდა. დედაბერი კი მას ზევით აჰყვა.

მცირე მანძილი რომ გაიარა, ქალი დაიხარა და მიწიდან რაღაც აიღო. თხის ტყავის ქამარი აღმოჩნდა. დედაბერმა იგი მძაფრი ყურადღებით დაათვალიერა, შემდეგ ღრმად ამოიოხრა და ქამარჩაბღუჯული ხელი ძირს ჩამოუვარდა. გზა მაინც განაგრძო. მალე ბილიკის მარჯვნივ ისევ თხის ტყავის სამოსი იპოვნა. დედაბერმა ისიც აიღო და სიტყვის უთქმელად მკლავზე გადაიკიდა. ცოტა ზევით ცალ სანდალს მოჰკრა თვალი, შემდეგ კი მეორეც მოძებნა. სანდლები ტყავის ნაგლეჯისა და თასმისაგან უბრალოდ გახლდათ გაკეთებული. მეორე სანდალი თითქმის თოვლის კიდესთან ეგდო. აქ ისინი შეჩერდნენ და იდუმალ მთას მზერა მიაპყრეს.

ღამით ახალი თოვლის თხელი ფენა ჩამოცვენილიყო და ამ ფენაზე შიშველი ფეხისგულის ანაბეჭდი აშკარად ჩანდა. აღმართს კვლავ აუყვნენ, კვალს ისევ და ისევ პოულობდნენ. ვიღაცის შიშველი ფეხები ზევით, მარადიული თოვლისაკენ მიემართებოდა. ეს ძალიან პატარა, ლამაზი ფეხის ანაბეჭდი იყო, რომელიც უფრო და უფრო მსუბუქი, უფრო სუსტი ხდებოდა, შემდეგ თოვლს ოდნავი შეხების კვალი ვინიშნებასავით ეტყობოდა, ბოლოს კი სულ გაქრა. უკან არავითარი ნაკვლევი არ ბრუნდებოდა.

დედაბერი იდგა და დასცქეროდა ამ გამქრალ ნიშნებს, რომელიც დატოვა ფეხმა, მიწას რომ აღარ ეხებოდა, დატოვა ქმნილებამ, რომელმაც სიმძიმე დაჰკარგა და ზემოთ ლაქვარდებში აიჭრა. ლაქვარდები კი აქ, უფლის მთასთან ისე გამჭვირვალე და მოწმენდილი იყო. გეგონებოდა, ვარსკვლავებს ხელით შეხებიო.

— უკან დაბრუნდა, — ჩუმად ჩაილაპარაკა დედაბერმა. — ასეც ვფიქრობდი.

— როგორც კი ჩვენი ქოხიდან გამოვიდოდა, ყოველთვის აქეთ მოისწრაფოდა, — მცირე ხნის შემდეგ დაუმატა მან — რაღაც

-ზიდავდა აქეთ. ახლა ჩამოაგდო ნიღაბი, რითიც ჭეშმარიტ სახეს მალავდა, შემოიცალა მიწიერი გარსი და კვლავ იმად გადაიქცა, რაც სინამდვილეში იყო. მამამ უკან, თავისთან წაიყვანა.

დედაბერი ჩუმად იდგა. სულის ფარული მოძრაობა, იდუმალი აზრები და გრძნობები არაფრით გაუცია. გროვად შერჩენოდა ის, რისგანაც შვილმა თავი გაინთავისუფლა, ის, რაც დედაბრისაგან მიიღო, რაც დედაბერმა თავისი ხელით გაუკეთა. ვინ იცის, იქნებ, ქალი თავის მიწიერ, დედურ გულში ჩხვლეტასაც გრძნობდა, რომ ყველაფერი ასე იოლად გაიძრო და გადაყარა. ვინ იცის, იქნებ, ასეც იყო, მაგრამ არაფერი ეტყობოდა. მის ბებერ, დანაოჭებულ სახეზე ვერაფერს წაიკითხავდი. ძლიერი სულიერი მღელვარებისაგან, აღრე რომ ეტყობოდა, კვალიც აღარ დარჩენილიყო. ახლა, როცა მიხვდა, თუ რა მოხდა, როცა ყველაფერი გაიცნაურა, როცა ყოველივე დასრულებულს ჰგავდა, ბნელი გამოცანა, როგორც იქნა, ამოიხსნა, მარადიული თოვლის ნაკვალევის მიხედვით ყოველივე გაირკვა, თვალწინ ალბათ, თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მრავალმა სურათმა გაურბინა. ერთი წამით მან თვალები დახუჭა და მოსულს მისი ნაამბობი გაახსენდა; ასეთი ჩვევა მქონდა, როცა სული პირთამდე იყო სავსეო. შემდეგ კვლავ გაახილა თვალები, თავისი უძველესი თვალები, რომელსაც, მგონი, ყველაფერი ენახა და კიდევ ერთხელ შეხედა მის დატოვებულ ნიშანს, იმის ნიშანს, რომ მიატოვეს, მოზრდილი მამაკაცისათვის უჩვეულოდ პატარა და ნატიფი ფეხისგულის მსუბუქ კვალს.

— ისეთი ლამაზი ფეხები ჰქონდა, — ისე ჩუმად ჩაილაპარაკა, თითქოს თავს ადანაშაულებდა, აღრე ამაზე საკმაოდ არ მიფიქრიაო. — ისეთი ლამაზი ხელ-ფეხი ჰქონდა.

დედაბერი ცოტა ხანს კიდევ გაჩერდა, შემდეგ თოვლის ფენას ქვემოთ, მთის ნაცრისფერი ძირისაკენ, უკან, მიწისაკენ ნელა დაუყვა და შინისაკენ უკანდასაბრუნებელ გზაზე გავიდა.

ახლა ნელა მიაბიჯებდა, თუმცა თავდაღმართში ეშვებოდა. აღარსად ეჩქარებოდა, ან იქნებ, ფიქრებით იყო გართული და ჩვეულებრივზე ნელა ამიტომ მიაბიჯებდა. თუ ასე იყო, ალბათ, თავის ვაჟიშვილზე ფიქრობდა, რომლის უბადრუკი, მიწიერი სამოსი უკან, თავის ქოხში, თავის მარტოობაში მიჰქონდა. იქნებ, მისი ძლიერი მამაც გაახსენდა, ოღესღაც ის საშოში რომ ჩაუსახა.

მოსული ცოტა მოშორებით მიაბიჯებდა. ისიც მიდიოდა და ფიქრობდა უფლის ვაჟიშვილზე, რომელმაც ღვთის შვილის ნიღაბი, თხის ტყავის სამოსი განიძარცვა და ამ უცნაური, იდუმალი მთიდან -ამაღლდა, ფიქრობდა უფალზე, რომელიც უდავოდ თხის ღმერთიც იყო, მაგრამ თხის ღმერთზე ჭეშმარიტად მეტი გახლდათ. ნეტავ ისეთივე ჭაღარა დარჩა, როცა თოვლს უკანასკნელად, მსუბუქად დაჰკრა ფეხი და ამაღლდა, ვარსკვლავებისაკენ გასრიალდა, თუ იმ წუთში ახალგაზრდობა კვლავ დაუბრუნდა? მაშინ, ალბათ, მარა-

დიულ ახალგაზრდობას ეზიარა. და ცხადია, მისი სახე სულ სხვანაირი გახდა, უფლის იერსახეს უფრო დაეგვსგავსა.

შემდეგ კაცმა გაიფიქრა, თუ იმ ხალხის ნაამბობს დავუჯერებთ, ვინც მას ეთაყვანება და უყვარს, უფლის მეორე შვილი, ვისაც ჩემი საშინელი ხვედრი მოეკითხება და რომელმაც თავისი ბოროტი შეჩვენება თავს დამატეხა, ასევე მთიდან ამაღლდა ზეცაში, მამა-ღმერთმა იქ, ღრუბლით აიყვანაო. ოღონდ მანამდე იგი ჯვარს აცვეს და ამით ხალხისათვის არაჩვეულებრივად შესანიშნავი გახდა, მისი ცხოვრება კი ყველასთვის და ყოველ ჟამს ღრმა აზრითა და მნიშვნელობით აივსო. ხოლო ღმერთის ეს ვაჟიშვილი, მგონი, მხოლოდ იმისთვის გაჩნდა, რომ ძველი, მწყემსური ქოხის ზღურბლზე ბინდში მჯდარიყო, ქვეყნისათვის, ფუსფუსისათვის, ადამიანთა ეშმაკური წამოწყებებისათვის და საკუთარი დიადი ტაძრისათვის ეცქირა და ყველაფერზე მხოლოდ გასცინებოდა.

უცებ გონება გაუნათდა, გაახსენდა ეს მარადიული ღიმილი რას აგონებდა. ჰო, უფლის ერთ გამოსახულებას აგონებდა, რომელიც გუშინ დელფოს ტაძარში იხილა, ძველებურ ფიგურას, რომელიც სადღაც. შორეულ კუთხეში ისე იდგა, თითქოს ადგილს უფრო ახალ და ლამაზ გამოსახულებებს უთმობდა. ფიგურას ზუსტად ასეთი აუხსნელი და იდუმალი, უაზრო და შეუცნობელი აზრით აღსავსე ღიმილი ჰქონდა. მისი ღიმილი არც კეთილი იყო, არც ბოროტი და ამით რატომღაც თავზარდამცემი ხდებოდა. ეს ფიგურა, ალბათ, იგივე ღმერთი იყო, დედაბრის ღმერთი, ვისთვისაც ეს ტაძარი აღმართეს, მაგრამ, ჩანს, იგი ძალიან ძველი გხლდათ, ისეთივე ძველი, როგორც მისი ქვის სიცილის გამოცანა.

დიახ, უფალი მიუწვდომელი, ულმობელი და ვრისხანეა. ეს თავად გამოცდილა დედაბერმა. ამ სიბილამ, რომელმაც იგი ისე კარგად გაიცნო, როგორც არავინ. მისით ატანილი, შეყვარებული და შეჩვენებული იყო, მთელი ცხოვრება მისთვის იცხოვრა და ვაჟიშვილიც გაუჩინა. ვაჟიშვილი, რომელიც ამქვეყნად მხოლოდ იმიტომ გაჩნდა, რომ ეჩვენებინა, სრული უაზრობაც შეიძლება ღვთაებრივი იყოსო. ან იქნებ, დედაბერზე იძია შური ამ ცალხელას სიყვარულისთვის. მის მკლავებში, მის ერთადერთ მკლავზე გატარებული ხანმოკლე საზაფხულო ნეტარებისთვის. ან იმიტომ, რომ უფლის გარდა სხვაც შეიცნო, ღვთის სიყვარულის გარდა სხვა სიყვარულიც განიცადა.

ჰო, ღმერთი ბოროტია, დედაბერი მართალს ამბობს. უგულო და ავია, შურს იძიებს და არ გაპატიებს თუ მის გარდა სხვაც შეიყვარე, თუ შენი სახლის კედელზე თავი არ მიაყრდნობინე. იგი ულმობელია და გულმოწყალება მისთვის უცხოა. ხალხი სულაც არ ენაღვლება, მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს და არასოდეს არ პატიობს, არასოდეს, არაფერი ავიწყდება.

მაგრამ მეც ხომ არავინ მედარდება ჩემი თავის გარდა! მეც

ისევე მძულს უზენაესი, როგორც უზენაესს ვძულვარ. შემაჩვენა? რას იზამ, მეც ასევე შევაჩვენებ!

ქედს არ მოვიდრეკ! მეც ხომ მასავით უკვდავი ვარ! თავად მაზიარა უკვდავებას, თუმცა სიბოროტით მაზიარა, ჩემი გახარება ხომ არ უნდოდა. მისი შეჩვენება ამასაც შეიცავს, ამ ყველაზე დიდ ულმობლობას, რაც კი გააჩნია. და მაინც, უკვდავი ვარ! თუმცა ჩემი უკვდავება მისი უკვდავებისაგან განსხვავდება.

იგი ტახტზე დაბრძანდა და ზეცაში, სადაც რამდენიმე საათი ჯვარზე დაკიდების შემდეგ ამაღლდა, მარადიული ახალგაზრდობით ტკბება. მე კი განწირული ვარ, დედამიწაზე უკუნითი უკუნისამდე ვეწამო. მის მიერ ჩანერგილი აფორიზმებით დევნილი ქვეყნად დავეხეტები, ჩემი უბედური სული კი ვერასოდეს შეიცნობს ნეტარებას. მარად ვიცოცხლებ ამ ქვეყანაზე, თავად, კარგა ხანია, რომ მიატოვა და სხვა ქვეყანას ვერასოდეს ვიხილავ. დღითი დღე, წლიდან წლამდე. საუკუნეებისა და ათასწლეულების მანძილზე მისჯილი მაქვს ამ ქვეყანას ყველაფრის განმკვრეტი ჩემი ბებერი თვალებით ვუყურო და კვლავ და კვლავ ყოველივეში არარაობა დავინახო. ამ ნაცრით დაფარულ ქვეყანას უნდა ვუყურო. აი, რისთვის ამირჩია! რა მომისაჯა! მაგრამ ქედს არ მოვუხრი! ჩემი სიძულვილი მისი სიძულვილივით უკვდავია!

ასე ფიქროობდა კაცი თავის ხვედრზე და ყველაფერი მასში ალშფოთებით ბობოქრობდა. სანამ დედაბერს კვალდაკვალ მიჰყვებოდა და მის ნაცრისფერ გამოსახულებას ოდნავ წინ ჰიმავალს ხედავდა.

შემდეგ მხოლოდ ვარსკვლავების შუქზე იარეს, მთვარე ჩავიდა, მაგრამ ბილიკს დედაბერი განსაკუთრებით კარგად იცნობდა. ნისლი სრულიად გაიფანტა, და, როცა ბოლოს და ბოლოს შინ დაბრუნდნენ, უკვე ახალი დღე დგებოდა. ქოხში ალარ შესულან, მის გვერდით ქვის უხეშ მერხზე ჩამოსხდნენ. თვალწინ გადაშლილ სივრცეს მზე ჯერ კიდევ არ ანათებდა. მაგრამ ოდნავ გაფერმკრთალებული ცა მის მოვლინებას იუწყებოდა.

კაცის გულში ალშფოთება ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო და უცებ ისეთი სიფიცხით იყვირა, თითქოს ადრე წამოწყებულ მხურვალე კამათს აგრძელებდა.

— შენ ხომ უნდა გძულდეს ეს ღმერთი. როგორ მოგექცა, რა გიქნა! შენ ხომ უნდა გძულდეს ასეთი უაზრო სიბოროტით ალსავსე ღმერთი!

დედაბერმა ცოტა შეიცადა, როგორც ჩანს, პასუხზე დაფიქრდა, შემდეგ თქვა:

— მე არ ვიცი, ღმერთი ვინ არის. მაშ როგორ უნდა მძულდეს ან მიყვარდეს? მგონი. ვერც სიძულვილს დავიჩემებ მისას, ვერც სიყვარულით დავიტრაბახებ.

თუკი ჩაუკვირდი, ეს სიტყვები, როცა მასზე ვლაპარაკობთ,

უაზრობად იქცევა. იგი ჩვენ არ გვგავს, ვეროდეს გავუგებთ, მიუწვდომელი და შეუცნობელია, ის ღმერთია.

რამდენადაც მესმის, ბოროტიცაა და კეთილიც, სინათლეცაა და სიბნელეც, სრული უაზრობაცაა და ღრმა აზრიც, რომელსაც ჩვენ ვერ მივაკვლევთ, ძებნას კი არასოდეს შევწყვეტთ. ეს გამოცანა გამოსაცნობად არაა შექმნილი, ის მხოლოდ არსებობს და ყოველთვის შეგვაშფოთებს.

ყველაზე გაუგებარია, რომ ის ზოგჯერ ბელტებისაგან აგებული პატარა საკურთხეველიცაა, სადაც რამდენიმე თავთავს დასდებ და ამით მშვიდობასა და სულის სიმშვიდეს მოიპოვებ, ანდა წყარო, სადაც საკუთარ ანარეკლს დაინახავ, მშვენიერ წყალს კი პეშვებით შესვამ. თავად არის ეს ყოველივე, მე ვიცი, ასეთიც ხდება ხოლმე, თუმცა ჩემთვის ასეთი არ იყო, ალბათ, არ შეეძლო.

ჩემთვის იგი ველური უფსკრული გახლდათ, რომელმაც მეც და ყოველივე ჩემთვის ძვირფასიც გადაყლაპა. ჩემთვის იგი მწველი სუნთქვა იყო, მშვიდობისა და სიმშვიდისაგან დაცლილი ალერსი და მაინც ალერსი, რომელიც მენატრებოდა, შმაგი და უცხო ძალა, რომელიც მთლიანად მიმორჩილებდა.

ძალიან გამაუბედურა, მაგრამ ბედნიერებაც განმაცდევინა, ისეთი ვეებერთელა ბედნიერება, რომ გონება ვერ იტევს. ჰო, ასე, იყო, ამის დავიწყებაც არ შეიძლება.

აბა, რა იქნებოდა ჩემი ცხოვრება უმისოდ? მისით, მისი სულით რომ არასოდეს აღვსილიყავი, მისეული ნეტარება და კვლავ მისეული ტანჯვა და ტკივილი არასოდეს შემეგრძნო, უფლის მწველი ალერსის ჟამს ჩემი არარად გარდასახვის სასწაული არ განმეცადა, როცა განუყოფლად მას ვეკუთვნოდი, მისი აღფრთოვანება, მისი უკიდეგანო ნეტარება არ შემეცნო და უფალს ყოფის ბედნიერებით უსაზღვრო აღტაცებაში არ შევზიარებოდი?

რა ვიქნებოდი უამისოდ, თუკი ჩემი თავის გარდა ვერაფერს შევიცნობდი!

მაგრამ ვერც მის სიბოროტეს და ამ საშინელ წამებას დავივიწყებ. არასოდეს დამავიწყდება როგორ დაეუფლა მთელ ჩემს ცხოვრებას, თითქმის ყოველგვარი მიწიერი სიხარული წამართვა და თავისი უფსკრულები, თავისი სიბოროტის სილრმეები გადამიშალა. არც დავივიწყებ და არც ვაპატიებ!

და მაინც. მხცოვანი და ეული, აქ, ამ ფერდობზე ვზივარ და ფიქრით კვლავ შენკენ მოვისწრაფვი. ჩემო უფალო! რამეთუ ცხოვრება ჩემი შენ იყავი. შენს გზაზე ყოველივესი ცეცხლივით დამწველი და დამბუგველი, სადაც არ გაივლიდი. შენ შემდეგ აღარაფერს რომ არ ტოვებდი. ჩემი ცხოვრება — შენში განვლილი ცხოვრება იყო. ულმობელი, მწარე და მდიდარი ცხოვრება, შენ რომ შომანიე. ო, უფალო, წყეულიმც იყავ და კურთხეულიც! . . .

კაცი მდუმარედ შესცქეროდა დედაბრის შავ, თითქოს დამწვარ

სახეს, მის ბებერ, უძირო, შეუცნობელ თვალებს — უფლის ჭიდ-ველ თვალებს, უყურებდა.

კაცის თვალებმაც იხილეს ღმერთი. მაგრამ ისინი ამის გამო დაცარიელდნენ, დამშრალ ჭას, ცარიელ სიღრმეს დაემსგავსნენ. მისი თვალები დედაბრის თვალებს არა ჰგავს რად მოხდა ასე? კაცი რად არის ასე ღატაკი, დედაბერი კი ასე მდიდარი?

— ჩემს ხვედრზე რაღას მეტყვი? — მღელვარებით შეეკითხა კაცი. — რას მიპასუხებ მე, ვინც ჩემი ხვედრის ახსნის იმედმა მო-მიყვანა შენთან, სულის მოუსვენრობის ტვირთად რომ მაწევს, იმ შეჩვენების ახსნის იმედმა? რით შეგიძლია მე დამამშვიდო? ის, რაც შენთვის ნუგეში და აზრია, ჩემთვის არაფერს ჰფენს ნათელს.

დედაბერმა კაცს შეხედა, მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა. კაცს ჭეშმარიტად ღატაკი მზერა ჰქონდა, ადამიანის ასეთი ღატაკი მზერა, ვგონებ, არასოდეს ენახა. დედაბერი ამან მაშინვე გააოცა, როგორც კი კაცი მოვიდა. მისი უბრალო წამოსასხამი თვალებთან შედარებით სამეფო მანტიასავით ძვირფასი მოჩანდა.

მაგრამ დედაბერმა ისიც შეამჩნია, რომ კაცის შენიშვნა, ჩემი თვალები დამშრალ ჭასა და ცარიელ სიღრმეს ჰგავსო, სწორი არ იყო. არა, არ იყო სწორი. თვალები ცარიელი კი არა, სასოწარკვე-თილებით ჰქონდა სავსე. შეჩვენებამ იგი ღატაკად, უმწეოდ აქცია, ყოველივე წაართვა, მაგრამ ეს სასოწარკვეთილებაც მანვე შვა. და ალბათ, იმიტომ, რომ ეს შეამჩნია, დედაბერმა ასე უპასუხა:

— ვხედავ, რომ უფალმა შეგაჩვენა და რაც მიამბე, ყველაფერი მართალია. ჩანს, რომ თავისუფალი არა ხარ, ჭას მიეჯაჭვე და შენს გაშვებას არც ფიქრობს. უფლის შეჩვენებამ მას ისევე მიგაჯაჭვა, როგორც ლოცვა-კურთხევა მიგაჯაჭვავდა. უზენაესი შენი ხვედრია. შენი სული უფლით არის სავსე, ცხოვრება კი, მისი შეჩვენების წყალობით, ღმერთთან განუშორებელია. გძულს იგი, დასცინი და აძაგებ, მაგრამ შენი აღშფოთებული სიტყვები მოწმობენ, რომ ამ ქვეყანაზე უფლის გარდა არაფერი გედარდება და მხოლოდ მისით ხარ სავსე. ამ სისავსეს შენ სიძულვილს ეძახი, მაგრამ უფლის შე-ნეული აღქმა სწორედ ეს მძაფრი სიძულვილი შეიძლება იყოს.

იქნებ, დადგეს დღე, როცა შეჩვენების ნაცვლად ლოცვა-კურთ-ხევას შემოგითვლის, აბა, მე რა ვიცი! იქნებ, დადგეს დღე, როცა შენს სახლზე თავს მიაყრდნობინებ. იქნებ, არც არასოდეს დადგეს. ვის შეუძლია ეს იცოდეს. მაგრამ, რაც უნდა მოხდეს, შენი ხვედრი ღმერთისაგან განუყოფელი, სული კი უფლით სავსე იქნება.

მომავალში გინდა ჩავიხედო? არ შემიძლია. მაგრამ ადამიანთა ცხოვრება რამდენადაც მესმის და მომავალი ცხოვრების განჭვრეტა რამდენადაც შემიძლია, ვფიქრობ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ უფლის შეჩვენებისა და ლოცვა-კურთხევის გარეშე, ვერასოდეს იცხოვრებენ. რაც არ უნდა ირწმუნონ, იფიქრონ ან ჩაიდინონ, მათი ხვედრი უფლისაგან მუდამ განუყოფელი იქნება.

დედაბერმა სიტყვა დაასრულა და შებრუნდა. იჯდა ასე, სადღაც იყურებოდა და კაცმა არ იცოდა, რას ხედავდა. იქნებ, შორეულ მთებს გასცქეროდა, უკვე მზე რომ ანათებდა, როცა აქ ჯერ კიდევ ბინდი იწვა. იქნებ, მიწიერ ხილვებს სხვა სურათი ფარავდა და ეს სურათი თვალწინ ედგა. ყოველ შემთხვევაში ქალი სადღაც ძალიან შორს წასულს ჰგავდა, თითქოს კაცის არსებობა დაივიწყა და მის აქ ყოფნას ვეღარ ამჩნევდა.

კაცი იჯდა, დედაბერს შესცქეროდა და ყურში მისი სიტყვები ესმოდა. ეჩვენებოდა, ამ სიტყვებმა ახლებურად აღმაქმევინეს და უფრო ღრმად ჩამახედეს ჩემს ხვედრში, დამეხმარენ, რაღაც ისეთი დამანახეს, ადრე რომ არ მიფიქრია და, შეიძლება. ახლა უფრო გამიადვილდეს ამ ტვირთის ტარებაო. იქნებ, არც ისე უაზრო და გამოუვალი იყოს, ადრე რომ მეჩვენებოდა, იქნებ, არც ისე უცილობლად შეუცვლელი იყოს, როგორც მეგონა, თუმცა ამაზე პასუხის გაცემას, ალბათ, ჩემი დაუსრულებელი ყარიბობა და ჩემ წინ გადაჭიმული უკიდეგანო გზა შესძლებს, რამეთუ ჭეშმარიტია დედაბრის სიტყვა: აბა, ვინ შეიძლება ეს იცოდესო.

დიდხანს ისხდნენ მდუმარედ.

ბოლოს კაცი მერხიდან წამოდგა. კვლავ უნდა გაეგრძელებინა ყარიბობა, კვლავ უნდა გასდგომოდა გზას. დედაბერს დაემშვიდობა, ქალმაც მხოლოდ ოდნავ დაუკრა თავი და არაფერი უთქვამს. ერთმანეთს მდუმარედ, უსიტყვოდ დაშორდნენ. კაცი ციცაბო ფერდობით ფელფოსაკენ დაეშვა, დედაბერი კი კვლავ ზემოთ იჯდა და გასცქეროდა მის კვალს, უძველეს ხეობას, ქალაქს, ტაძარს, ყოველივეს, რასაც ასე კარგად იცნობდა. მზე უკვე იქაც ამოვიდა და ხალხი სახლების წინ ფუსფუსებდა, ქუჩაში მიმოდიოდა. ტაძრის მოედანი ჯერ ცარიელი გახლდათ. მაგრამ მსახური ბიჭუნა უფლის ჭალიდან მოტანილი დაფნის რტოების ცოცხით მას უკვე ასუფთავებდა. წმინდა გზაზე ტაძრისაკენ ნელი, აუჩქარებელი ნაბიჯით მიემართებოდა პატარძლის სამოსით მორთული ახალგაზრდა ქალი, რომელსაც თან მიჰყვებოდა მოწიწებით აღვსილი ხალხიც და ალბათ, ისეთებიც განსაკუთრებულ მოწიწებას რომ არ განიცდიდნენ. ქალს მზერა ტაძრისათვის მიეპყრო და ახლავე აღვსილიყო აღფრთოვანებითაც, მალე რომ უნდა განეცადა და ვინ იცის, მოსალოდნელის შიშითაც. უფალთან შეხვედრის წინ მღელვარება და თანაც მონატრების გრძნობა ავსებდა. დილის მზე, ტაძრისაკენ მიმავალი ხალხის ბრბოს, მთელ ხეობას, მთებს, ამ უკიდეგანო სივრცეს, რომელიც ზემოდან თვალწინ იშლებოდა, სინათლეს ჰფენდა.

დედაბერი იჯდა და ყოველივეს თავისი ბებერი თვალებით უმზერდა.

სამოთხე

და თქვა უფალმა:

აი, შეხედეთ, თქვენთვის ყველაფერი საუკეთესოდ მოვაწყე. აღმოვაცენე ბრინჯი, ბარდა, კარტოფილი და სხვა მრავალი სასარგებლო, საკვები მცენარე, პურის გამოსაცხობი ყოველგვარი მარცვლოვანი, ქოქოსის პალმები. შაქრის ლერწამი და თალგამი; გავაჩინე სხვნავ-სათესი, საძოვარი, საბაღე თუ სხვა დანიშნულების მიწები; შევარჩიე შინაური და ნადირობისთვის საჭირო ველური მხეცები; შევქმენი ბარი, ხეობები, მთები, ვაზისა და ზეთისხილის ტერასები; დავრგე ევკალიპტები და მშვენიერი აკაციები; გამოვიგონე არყის ხის ტევრები, ლოტოსის ყვავილი, პურის ხე, იებით დაფარული სერები და მარწყვის მდელოები; კიდევ შევქმენი მზის შუქი, რომელიც თავადვე ნახავთ, რა დიდ სიხარულს მოგანიჭებთ; ჩამოვსვი ცაზე მთვარე, რათა საათის გამოგონებამდე დროს თვალი მიადევნოთ; დავკიდე ვარსკვლავები, რომლებიც გზას უჩვენებენ ზღვაში თქვენს გემებს, დედამიწაზე კი თქვენს ფიქრებს, თუკი ისინი მიწას მოსწყდებიან; მრავალფეროვნებისათვის მოვიგონე წელიწადის დრონი, და დავამყარე მათი ცვლის სასიამოვნო წესრიგი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. აჰა, მიიღეთ და განცხრომით იცხოვრეთ.

ოღონდ, ნუ დაივიწყებთ, მუდამ იგემეთ ნაყოფი ხე ცნობადისა, რათა ჭეშმარიტად გონიერნი და სწავლულნი გახდეთ.

და პირველმა ადამიანებმა უფალს მოწიწებით, მდაბლად დაუკრეს თავი.

— დიდი მადლობა, — თქვეს ადამიანებმა.

და ხალხმა მიწის ხვნა, თესვა თუ მკა, განაყოფიერება და გამრავლება დაიწყო. მთელ სამოთხეს შეესიენ და შეიძლება ითქვას, განცხრომით ცხოვრობდნენ. ცნობადის ხის ნაყოფსაც, უფლის ბრძანებისამებრ, მუდამ მიირთმევდნენ, ოღონდ გონიერება დიდად

არ დატყობიათ. ადამიანები უფრო და უფრო გაეშმაკდნენ; უფრო გამჭრიახები, აზრიანები და განათლებულები გახდნენ. საერთოდაც, მრავალმხრივ არაჩვეულებრივები იყვნენ, მაგრამ გონიერება არ მომატებიათ. ამიტომ, მათი ცხოვრება უფრო და უფრო გართულდა, აიწეწა, დამძიმდა და თავად მათთვისვე უფრო გაუარესდა. ბოლოს, ერთი უშიშარი კაციც გამოჩნდა. მას ჭეშმარიტად ტანჯავდა ის, რასაც ხედავდა, ამიტომ უფალთან ავიდა და უთხრა:

— მგონი, ადამიანები საკმაოდ უცნაურად იქცევიან. მართალია დღითიდღე უფრო საზრიანები და მოფიქრებულები ხდებიან, მაგრამ თავის ეშმაკობასა და ცოდნას, უმეტესწილად, უგუნურად, ერთმანეთისთვის საზიანოდ იყენებენ. ცხადია, მე არ ვიცი, მაგრამ, იქნებ. ცნობადის ხეს რაიმე ზადი აქვს?

— როგორ? — აღშფოთდა უფალი. — მაშ, შენი აზრით ხე ცნობადისა სრულქმნილი არ არის? არა, შემცდარხარ! სწორედ ასეთი უნდა იყოს, გესმის თუ არა? უფრო სრულქმნილი არაფრით არ გამოვიდოდა! და რახან ჩემზე უკეთ გცოდნია, იქნებ, წყალობა მოიღო და როგორ შევქმნა, ისიც მასწავლო!

ადამიანს კი აბა სიიდან ეცოდინებოდა. ოღონდ ცუდი საქმეები ტრიალებდა იქ, ქვემოთ, ოჰ, ცუდი საქმეები ტრიალებდა! და რა ბრძნულიც არ უნდა ყოფილიყო უფლის გამოგონება, რაღაც არ ჩანდა ხალხს მისი ნაყოფის მირთმევით გონიერება მომატებოდა.

— ხე ცნობადისა არ შეიძლება სხვაგვარი იყოს, — თქვა მამაზეციერმა. — რა თქმა უნდა, იოლი როდია ისწავლო, მისი ნაყოფი როგორ იგემო. მაგრამ განა ყველაფერი იოლი უნდა იყოს? რას იზამ, რაღაცას თავადაც უნდა მიხვდეთ, მაშ რისთვის არსებობთ ამ ქვეყანაზე? თოთო ბავშვებივით ყველაფერი დაგიღეჭოთ და პირში ჩაგიდოთ? ასე არ შეიძლება. მე მიმაჩნია, რომ ეს ხე ჩემი ყველაზე მშვენიერი გამოგონებაა და თუ მისი ღირსნი არ აღმოჩნდებიან, ადამიანები პირისაგან მიწისა აღიგვებიან. ასე გადაეცი ჩემგან ადამიანებს.

თქვა და კაცი უკან გამოისტუმრა.

მაგრამ, როგორც კი გამოისტუმრა, უფალი სევდიანი და დათრგუნული ჩამოჯდა. სხვა გამოგონებებს რომ შედაეებოდნენ, ასე არ ეწყინებოდა. მაგრამ ხე ცნობადისა მისთვის განსაკუთრებით ძვირფასი იყო, იქნებ იმიტომაც, რომ სხვა ხეებსა და საერთოდ მთელ სამყაროზე რთული გასაკეთებელი აღმოჩნდა. და უფალი, ეს ჭეშმარიტად დიადი შემოქმედი. ამ წუთებში თავის საყოველთაოდ აღიარებულ ქმნილებებზე კი არ ფიქრობდა, არამედ იმ უცნაურ ქმნილებაზე, რომელშიც იდუმალ თავისი სულის ნაწილი ჩასდო. მან კი სიხარული არ მოუტანა. უფალს ხომ საგანგებოდ, განსაკუთრებით საჭიროდ სწორედ ეს ქმნილება მიაჩნდა. უბრალოდ ვერ წარმოედგინა, როგორ შეეძლო კაცობრიობას ხე ცნობადისა და მასში დაფარული ღრმა შინაარსის გარეშე ცხოვრება.

იქნებ, მართალიც იყო, მას, გენიალურ შემოქმედს, ცხადია, უკეთ ესმოდა, უკეთ იცოდა სულის ნაწილს რაში ტოვებდა.

ღმერთი იჯდა და რა უმადურია ხალხი ჩემსა და ჩემი გენიალური ქმნილების მიმართო, ფიქრობდა.

ძნელი სათქმელია ასე რამდენ ხანს იჯდა. მარადისობაში დრო შეიძლება ძალიან სწრაფად მიქრის და უფლის წამიერი ჩაფიქრება ჩვენთვის, ალბათ, ათასწლეულობითაც გრძელდება. ბოლოს კვლავ სტუმარი გამოეცხადა. ამჯერად თავად მთავარანგელოზი მობრძანდა.

— ვერ წარმოიდგენ დედამიწაზე და სამოთხეში რა ხდება, — თქვა მან. — ამის წარმოდგენა შეუძლებელია. ადამიანები შენს შექმნილს მხოლოდ არბევენ და აფუჭებენ. ისე გაიწაფნენ, საშინელ სიმდაბლესა და ბოროტებას კისრულობენ. ირგვლივ ბოლის კორიანტელი ტრიალებს, ისეთი ხმაურია, დაგაყრუებს. ერთმანეთს ესვრიან ხე ცნობადის უგვანო ნაყოფს, რომელიც საშინელი ჭახანით სკდება და რაც მთავარია, ყოველგვარ მცენარეულობას მიწიდან გლეჯს. ისე ტრაბახობენ და თავს იწონებენ, გული აგერევა. თურმე ყველაფერი უფალზე უკეთ იციან და შეუძლიათ, თურმე რაღაც ისეთს გამოიგონებენ, შენ სიზმრადაც რომ არ გინახავს. მართლაც, გამოიგონეს რაღაც საშინელი ურჩხულები და შენი ქმნილებები დაარბიეს. ცაში უშველებელი, ყალბი ჩიტები დაფრინავენ და ცეცხლს აფრქვევენ. გარემო უდაბნოს დაემსგავსა. საბედნიეროდ, ქვესკნელში არ ჩავშვებულვარ, მაგრამ ვფიქრობ, იქაც იგივე ხდება. რა სირცხვილი, რა თავის მოჭრაა! და ყველაფერი იმ შენი ხე ცნობადის ბრალია, როგორ შეიძლებოდა ადამიანებისათვის მისი მიცემა? სხვათა შორის, მე თავიდანვე გაფრთხილებდი. მოკლედ, ეს ცხადია, შენი საქმეა, მაგრამ ერთხელ მაინც გადაგეხედა დედამიწაზე რა ხდება.

მაშინ მამაზეციერმა დედამიწას გადმოხედა, დაინახა, რომ მართალი უთხრეს და დიადი შემოქმედის შეურაცხყოფილ სულს მრისხანების ალი წაეკიდა. თვალებიდან ელვა გამოსტყორცნა და ხალხს მიუსია თავისი ზეციური მეომრები, რომლებმაც მთელი ეს ჯანდაბა და დოზანა, ჯავშნიანი ეტლები თუ ცეცხლისმფრქვეველი ურჩხული ხელში ჩაიგდეს. შემდეგ ადამიანთა ხელით დამზადებული ამ ქმნილებებითვე უფლის ანგელოზებმა ადამიანები გააძევეს თვალუწვდენელ უდაბნოში, სადაც არაფერი ხარობდა. უფალმა კი სამოთხეს ღობე შემოავლო და მის კართან ცეცხლოვანი მახვილებით აღჭურვილი ორი ანგელოზი დააყენა. უდაბნო სამოთხესა და მის ირგვლივ შემოვლებულ ღობეს ზედ ებჯინებოდა.

ღობის შიგნით კვლავ გაზაფხულის მზითა და სიმწვანით აღსავსე სიცოცხლე აყვავდა. ახლა, როცა ადამიანები იქიდან გაძევეს. მინდვრები მშვენიერ სურნელს აფრქვევდნენ, ჰაერს კი ჩიტების ჭიკჭიკი ავსებდა. გაძევებული ადამიანები ფიცრებს შუა, ღრიჭოებში იხედებოდნენ, ყოველივეს ხედავდნენ, მაგრამ შიგ შესვლა აღარ შეეძლოთ.

ანგელოზები, სწორედ ისინი, კარებთან დარაჯებად რომ დააყენეს, ბრძოლის შემდეგ დასასვენებლად მიწვნენ და დაღლილებს ქუთუთოები დაუმძიმდათ. მამაზეციერი კი სამოთხეში, ღრმად ჩაფიქრებული თავისი უსაყვარლესი ქმნილების ქვეშ იჯდა, ხოლო მისი ტოტები უზენაესს სიმშვიდით ავსებდა.

ბოროტი ანგელოზი

ღამის ქალაქის უდაბურ ქუჩებში ბოროტი ანგელოზი მიაბიჯებდა. სახლებს შორის და სახურავებზე ქარი დაქროდა. ქუჩაში მის გარდა, არავინ ჩანდა. ეს ბოროტი ანგელოზი, ძარღვიანი და კუნთმაგარი, ქარის საწინააღმდეგოდ იხრებოდა, მიდიოდა, ტუჩები მაგრად მოეკუმა, უშველებელ ფრთებს კი ცეცხლივით წითელი წამოსასხამი უფარავდა. იგი კათედრალური ტაძრიდან გაიქცა. ამ ტაძრის აშმორებულ, დახშულ ჰაერში დიდხანს ცხოვრობდა. საუკუნეების მანძილზე ისუნთქავდა სანთლების მხუთრსა და საკმევლის სურნელს, საუკუნეების მანძილზე ისმენდა ჰიმნებსა და ლოცვებს, რომლებსაც ხალხი მის თავზე ჩამოკიდულ მკვდარ ღმერთს აღუვლენდა, საუკუნეების მანძილზე შესცქეროდა მუხლმოყრილ, ეკლესიის იატაკზე გართხმულ ადამიანებს, მზერა ზეცისაკენ რომ მიეპყროთ, რაღაც სისულელეებს ბუტბუტებდნენ და თანაც ამ სისულელის სჯეროდათ. ეს მხდალი ბრბო ყოველგვარი სიყალბის რწმენით გაეღენთილიყო. რწმენით, რომელიც შიშის, აწეწილი აზრების, ბედისწერისაგან თავის დახსნის, თავის დაღწევის უბადრუკი იმედების გულისამრევი ნაზავი იყო. როგორც იქნა, ტაძრიდან გაქცევა შესძლო!

ბოროტმა ანგელოზმა თავი ხუნდებისგან დაიხსნა, ძარღვიანი ფეხი საკურთხეველს დაადგა და წმიდა შეწირულობებით სავსე თასი გადააბრუნა. იატაკზე გამძვინვარებული ჩამოვიდა და მლოცველთა მერხები წიხლისკვრით მიმოფანტა. ირგვლივ წმინდანთა ხატები ეკიდა. ამ წმინდანებს ნეტარი, აღფრთოვანებული გამომეტყველება ჰქონდათ. გისოსებს მიღმა, რელიქვიებს შმორის სუნი ასდიოდა. ასპიდში სინათლე ენთო; იქ, დამპალ ჩალაზე ახალშობილი იწვა, ხოლო მის წინ, მუხლმოყრილი ცვილის დიდა იდგა. — ოჰ, რა ცრუ, რა უაზრო ხარახურაა! — ანგელოზმა კარი წიხლისკვრით გააღო და ქარიან ღამეში გაუჩინარდა.

სიმართლეს ვიტყვი!

კარიბჭეს გაშორდა თუ არა, მაშინვე შეჩერდა და ირგვლივ მიმოიხედა. აი, თურმე როგორი ყოფილა ადამიანთა სამყარო. აი, თურმე როგორ ცხოვრობენ ადამიანები!

იგი ერთ-ერთი სახლის კარის წინ შეჩერდა და ალმოდებული

მზერით შეაფვალიერა. შემდეგ თავისი ხმლით, რომელსაც მუდამ თან ატარებდა, კარზე ჯვარი ამოკვეთა.

— შენ მოკვდები! — თქვა მან.

და სხვა სახლებისკენ გაეშურა. ფართო ბეჭების მიღმა ფრთები ისე მოეკეცა, გვერდიდან რომ დაგენახა, ეს ანგელოზი კუზიანი გეგონებოდა. იგი მეორე სახლთანაც შეჩერდა და აქაც ჯვარი ამოკვეთა.

— შენ მოკვდები! — თქვა მან.

ბოროტი ანგელოზი ერთი სახლიდან მეორესკენ მიეშურებოდა და ყასაბის დანასავით მოკლე, მძიმე ხმლით, ჯვრებს კვეთდა.

მოკვდები, მოკვდები, შენც მოკვდები. შენც, შენც, მოკვდები!

მთელი ქალაქი მოიარა და თუმცა ქარს ებრძოდა, არც ერთი სახლი არ გამოტოვა.

როგორც კი თავისი საქმე დაასრულა, ქალაქის კარიბჭის მიღმა, სადაც ადამიანთა საცხოვრებლები აღარ იყო, ღამეს შეაფარა თავი. იქ წამოსასხამი მოიშორა, გაშიშვლდა, ფრთები ფართოდ გაშალა და უსამანო წყვდიადში გაუჩინარდა.

დილით ხალხმა გაიღვიძა და ყოველ კარზე ამოკვეთილ ჯვრებს გაოცებით შეხედა. მაგრამ სულაც არ შეშინებულან. მხოლოდ ცოტა ხანს ისაუბრეს, ნეტავ რა მოხდაო, სანამ საქმეს შეუდგებოდნენ. საინტერესოა. ეს ყველასთვის კარგად ნაცნობი ნიშანი ყველგან რად ამოკვეთეს? ვითომ უფრო მნიშვნელოვანს ვერაფერს შეახსენებდნენ?

— თავადაც ვიცით, რომ მოვკვდებით, — ამბობდნენ ისინი.

სარჩევი

ბარაბა 7

სიბილა 87

სამოთხე 177

ბოროტი ანგელოზი 180

ПЕР ЛАГЕРКВИСТ

ВАРАВВА
СИБИЛЛА
ПОВЕСТИ

(На грузинском языке)

Издательство «Мерани», пр. Руставели, 42.
Тбилиси 1989

მხატვარი მ. დ ე დ ა ნ ა შ ვ ი ლ ი
მხატვრული რედაქტორი ჯ. ზ ე ნ ა ი შ ვ ი ლ ი
ტექნიკური რედაქტორი დ. რ ა ზ მ ა ძ ე
კორექტორი მ. ჩ ხ ა ი ძ ე

ჩაბარდა წარმოებას 05.07. 89 წ. ხელმოწერილია საბეჭდად 04.09. 89 წ. ფორმატი 60×84 1/16. საბეჭდი ქაღალდი № 2. გარნიტურა ჩვეულებრივი. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი, 10,7. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი, 11, 27. პირობითი საღებავ-გატარება 10, 93. ტირაჟი 60 000 ეგზ. შეკვეთა № 488.

ფასი 8 მანეთი

გამომცემლობა „მერანი“ 380008, თბილისი რუსთაველის პრ. 42.

სტამბა „ლენინსკოე ზნამია“, თბილისი — 8, ძნელაძის ქუჩა № 27

Типография газеты «Ленинское знамя».
380008 Тбилиси, ул. Дзнеладзе, 27.